ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: არქეოლოგია

ლანა ჩოლოგაური

ვერცხლის ჭურჭელი - იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების მარკერი (ახ.წ. I-IV სს-ში)

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სრული პროფესორი
ვახტანგ ლიჩელი

თბილისი
2025

ეს დისერტაცია არ შედგებოდა, რომ არ მქონოდა იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც სადოქტორო კვლევაზე მუშაობის რთულ გზაზე ჩემს გვერდით იდგნენ. მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ვახტანგ ლიჩელს, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე იდგა ჩემს გვერდით, არამედ თავისი კონსტრუქციული შენიშვნებით, თეორიული ხედვითა და პროფესიული გამოცდილებით შეუცვლელი გზამკვლევი აღმოჩნდა ამ აკადემიური გზის მანძილზე.

განსაკუთრებული მადლიერება მსურს გამოვხატო პროფესორების Eberhard Sauer-ის, იულონ გაგოშიძის, Michael Vickers-ისა და დოქტორ Eve Macdonald-ის მიმართ, წლების განმავლობაში გაწეული თანადგომის, შენიშვნებისა და რჩევებისთვის, რაც ჩემი კვლევის განვითარებისთვის უაღრესად ფასეული იყო.

მადლობას ვუხდი ურგანიზაცია FaRiG-ს (Friends of Academic Research in Georgia), რომლის ფინანსური მხარდაჭერით შევძელი, არა მხოლოდ დისერტაციისათვის მნიშვნელოვანი ფოტომასალის მოძიება, არამედ სადოქტორო კვლევის შედეგების წარდგენა არაერთ მაღალი დონის, საერთაშორისო კონფერენციაზე, კონგრესსა და ფორქშოფზე. მადლიერი ვარ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნებართვისა და წვდომისთვის ძვირფასი ლითონების ფონდში დაცულ მასალაზე. გულწრფელ მადლობას ვუხდი ფონდის კურატორს, ბატონ მინდია ჯალაბაძეს გაწეული დახმარებისთვის. ასევე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს ეროვნულ მუზეუმთან შუამდგომლობისთვის, უნივერსიტეტის პერსონალსა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლებს მათი მხარდაჭერისთვის წლების მანძილზე.

გულწრფელად მადლიერი ვარ ჩემი მეგობრებისა და ახლობლების აკადემიური ცხოვრების ამ რთულ გზაზე მათი მუდმივი თანადგომისა და გამხნევებისთვის.

მთელი გულით და უსაზღვრო მადლიერებით, დისერტაციას ვუძღვნი ჩემს მშობლებს და და-ძმას.

აბსტრაქტი

სადოქტორო კვლევის საგანია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის სრული კოლექცია და მისი შესწავლა არქეოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში.

საკვლევი თემის აქტუალურობა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, რომელთაგან უპირატესია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი კვლევების დეფიციტი. მასალის შესწავლა ამ კონტექსტში დღემდე არ განხორციელებულა, ხოლო არსებული ნაშრომების უმეტესობა, მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზზეა ორიენტირებული ან ცალკეული ნიმუშები განხილულია ძეგლის არქეოლოგიური შესწვალის კონტექსტში. ბოლო ათწლეულებში საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექცია მნიშვნელოვნად გამდიდრდა, ხოლო დარგის კვლევებს არაერთი სამეცნიერო სიახლე შეემატა. აღნიშნულმა ცვლილებებმა განაპირობა როგორც მასალის, ისე არსებული ინტერპრეტაციების ხელახალი გააზრების აუცილებლობა. კვლევის აქტუალობას ასევე განაპიორბებს საქართველოს ტორევტიკული მასალის სამეცნიერო ღირებულება არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მასშტაბებით, ვინაიდან საკვლევი მასალა ადგილობრივ ნაწარმთან ერთად დიდი რაოდენობით რომაულ, სასანურ და პართულ იმპორტსაც მოიცავს. მსოფლიოს მრავალ მუზეუმში დაცული ვერცხლის ჭურჭლისგან განსხვავებით, საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშების დიდი ნაწილი არქეოლოგიური გათხრებითაა მოპოვებული, რაც მათ ფასდაუდებელ წყაროდ აქცევს ცალკეული ქრონოლოგიური ნიუანსების, ტორევტიკის განვითარების ეტაპების, ფუნქციისა და მნიშვნელობის შესასწავლად როგორც იბერიასა და კოლხეთში, ისე მთლიანად რეგიონის მასშტაბით.

კვლევის მიზანია საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კომპლექსური შესწავლა, რაც გულისხმობს პირველ რიგში მათი არქეოლოგიური კონტექსტის ანალიზს, ქრონოლოგიური და ტოპოგრაფიული ნიუანსების განსაზღვრასა და უშუალოდ ტორევტიკული მასალის ცალკეული ნიმუშების კულტურული და სოციალური ატრიბუციის განსაზღვრის მცდელობას. გარდა ამისა,

არქეოლოგიური მასალის ამ ჯგუფზე დაყრდნობით შევეცდებით თვალი გავადევნოთ იბერია-კოლხეთის შიდა-პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობებს, ვინაიდან ვერცხლის ჭურჭელი ღირებული წყაროა სოციალური ნიუანსების, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შესასწავლად - ანტიკურ სამყაროში ის სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი, დიპლომატიისა და ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო.

კვლევა კონტექსტუალურ მიდგომაზეა დაფუძნებული. ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული კვლევის ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვანა საკითხის ისტორიულ-არქეოლოგიურ ჭრილში შესწავლისთვის: ტექსტუალური და კონტენტ ანალიზი, როგორც ისტორიული წყაროებისა, ისე მასალის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის; დესკრიფციული და შედარებითი მეთოდი; რაოდენობრივი, ხარისხობრივი და მხატვრულ-სიტილისტური ანალიზი. ნაშრომში მოცემულია როგორც უშუალოდ ვერცხლის ჭურჭლის, ისე მათი აღმოჩენის პირობების კლასიფიკაცია სხვადასხვა მარკერების მიხედვით.

სადოქტორო კვლევის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს გვიანანტიკური ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კომპლექსური კვლევაში შეტანილ მიშვნელოვან კონტრიბუციად. ამასთანავე, ნაშრომში მოცემული ქრონოლოგიური ნიუანსები და ვერცხლის ჭურჭლის კულტურული ატრიბუციის მცდელობა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადგილობრივი ტორევტიკის განვითარების შესწვალისათვის, დარგის კომპლექსური კვლევებისათვის რომაული, პართული და სასანური კულტურების წიაღშიც.

Abstract

This doctoral research examines the corpus of Late Antique silverware discovered in Georgia, analyzed through archaeological and historical perspectives. Despite the significance of these artefacts, Georgian scholarship lacks comprehensive studies of the entire corpus. The most recent in-depth examination of entire late antique silverware collection was conducted in the 1970s, with an emphasis on artistic and stylistic aspects. Other works also tend to focus on stylistic analyses of individual pieces. In recent decades, however, Georgia's Late Antique silver collection has expanded substantially, while new research developments have created the need to reassess both the material and its interpretations.

The relevance of the research also lies in the value and importance of Georgia's silverware collection at both local and international levels. The corpus includes not only locally produced vessels but also a substantial number of Roman, Parthian, and Sasanian imports. Unlike many museum-held collections around the world, most of the finds from Georgia come from well dated archaeological excavations. This provides important data for refining chronological frameworks, tracing function of the items in daily life and ritual contexts, and investigating the social attribution and cultural significance of silver vessels in Iberia, Colchis, and the wider region.

The aim of the research is to contribute to the study of late antique silverware of the region and to the political history of Colchis and Iberia. To achieve its goals, the research involves analyzing the archaeological contexts of the finds, establishing chronological and topographical frameworks, and attempting cultural and social attributions for individual pieces. The study uses these data to explore internal political dynamics and international relations in Iberia and Colchis, as silver vessels served in the ancient world as key indicators of social status and as important instruments of diplomacy and trade.

The research adopts a contextual approach, applying key empirical methods essential to historical-archaeological inquiry: textual and content analysis of historical sources and scholarly literature; descriptive and comparative methods; and quantitative, qualitative, and

stylistic analyses. The dissertation offers a classification of both the vessels and their find contexts according to multiple criteria.

Ultimately, this work represents a significant contribution to the complex study of Late Antique Georgia's political history. The chronological refinements and cultural attributions of specific silver vessels not only advance understanding of the development of local silverware and the role of external cultural interactions in this process, but may also shed new light on the chronology, production, and distribution of Roman, Parthian, and Sasanian silverware.

შინაარსი

შესავალი 1

თავი I. ვერცხლის როგორც ნედლეულის მნიშვნელობა და ვერცხლის ჭურჭლის როლი ანტიკურ სამყაროში 19

1.1. ვერცხლის მოპოვება-წარმოება და მისი მნიშვნელობა ანტიკურ სამყაროში 19

1.2. ვერცხლის ჭურჭლის როლი და მნიშვნელობა გვიანანტიკური ხანის რომსა და ირანში 26

თავი II. გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კომპლექსები საქართველოდან 32

2.1. ტოპოგრაფია და იბერია-კოლხეთის საზღვრის პრობლემა ახ.წ. I-IV სს-ში 32

2.2. არქეოლოგიური კომპლექსები იბერიიდან 39

2.3. არქეოლოგიური კომპლექსები კოლხეთიდან 84

თავი III. ვერცხლის ჭურჭელი - აღმოჩენის პირობები და კომპლექსების ქრონოლოგია 96

3.1. არქეოლოგიური კომპლექსების აღმოჩენის პირობები 97

3.2. არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლოგია 111

თავი IV. ვერცხლის ჭურჭლის კულტურული და სოციალური ატრიბუცია 126

4.1. კულტურული ატრიბუცია 128

4.2. სოციალური ატრიბუცია 134

თავი V. იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობები და ვერცხლის ჭურჭელი (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს) 162

5.1. პოლიტიკური ვითარება იბერიასა და კოლხეთში ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს-ში. მოკლე ისტორიული მიმოხილვა 164

5.2. იბერია-კოლხეთი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჭრილში (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს) 183

5.3. ვერცხლის ჭურჭელი - იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების არქეოლოგიური მარკერები 190

დასკვნა 210

გამოყენებული ლიტერატურა 216

ტაბულების აღწერილობა 232

ტაბულები 236

შესავალი

სადოქტორო ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის სრული კოლექცია და მისი კვლევა არქეოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში. არქეოლოგიური მასალის აღნიშნული კოლექციის შესწავლა ამ კონტექსტში დღემდე არ განხორციელებულა, ხოლო არსებული კვლევების უმეტესობა მასალის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზზე ან/და ცალკეული ნიმუშების არქეოლოგიურ კონტექსტში განხილვაზეა ორიენტირებული. გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის სრული კორპუსის კვლევა 1970-იან წლებში განხორციელდა, მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის კუთხით. მას შემდეგ საქართველოს ტორევტიკულ კორპუსს არაერთი აღმოჩენა შეემატა, ხოლო დარგში არაერთი სამეცნიერო სიახლე და მიღწევა დაინერგა. ყოველივე ამან მკვეთრად განსაზღვრა საკითხის არქეოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში შესწვალის აუცილებლობა, არსებული დასკვნების გადახედვა, გამყარება და ახლებური ინტერპრეტაციების შემოთავაზების საჭიროება.

სადოქტორო კვლევის განხორციელება სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე გადავწყვიტე, რომელთაგან უპირატესია მსგავსი კვლევების დეფიციტი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის მნიშვნელობა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ადგილობრივ ნაწარმთან ერთად, საკვლევი მასალა მოიცავს დიდი რაოდენობით რომაული, სასანური და პართული ტორევტიკის ნიმუშებსაც. როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული ნიმუშები განსაკუთრებით ფასეულია არა მხოლოდ იბერიის სამეფოსა და კოლხეთის მოსახლეობის სოციალური ყოფის, რელიგიისა და კულტურის ცალკეული ასპექტების შესწავლისთვის, არამედ მათი ეკონომიკური მიღწევების, პოლიტიკური მისწრაფებებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის კვლევისათვის. იმის გამო, რომ ანტიკური სამყაროს პოლიტიკური კონტაქტებისა და საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი არქეოლოგიური ატრიბუტი, სწორედ, ვერცხლის ჭურჭელია, ჩვენი საკვლევი მასალა

მუდმივად წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესის საგანს.

სადოქტორო თემაზე მუშაობა და კვლევის შედეგების წინამდებარე ნაშრომში თავმოყრა მნიშვნელოვნად განსაზღვრა საკვლევი თემისადმი დიდმა სამეცნიერო ინტერესმა, რომელიც ჯერ კიდევ სამაგისტრო თემაზე მუშაოებისას გაჩნდა. სადოქტორო ნაშრომის თემატიკის გარშემო განხორციელებულმა მრავალწლიანმა სამუშაომ და საკითხისადმი დამოკიდებულებამ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მომავალი სამეცნიერო საქმიანობის რაკურსი მთლიანად განსაზღვრა. ვიმედოვნებ, წინამდებარე ნაშრომი საფუძველს დაუდებს არაერთ სამომავლო სამეცნიერო სიახლესა და აღმოჩენას.

კვლევის მთავარი მიზანი გვიანანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის, კულტურისა და ცალკეული სოციალური ასპექტების კვლევაში მნიშვნელოვანი კონტრიბუციის შეტანაა. გვიანანტიკური ხანა (ახ.წ. I-IV საუკუნეები) კავკასიაში აღნიშნულია რთული გეოპოლიტიკური მოვლენებით, რაც რეგიონში გაბატონებისთვის რომისა და ირანის საუკუნეობრივი დაპირისპირებით იყო განპირობებული. ამ ფონზე, იბერიასა და კოლხეთს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდათ რეგიონულ პოლიტიკურ პროცესებში, რაც განპირობებული იყო მათი გეოგრაფიული მდებარეობითა და ადგილობრივ მმართველთა ჭკვიანი პოლიტიკური სვლებით. შესაბამისად, იბერია-კოლხეთის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია მთელი რეგიონის პოლიტიკური ისტორიის კვლევის კონტექსტში. ვერცხლის ჭურჭელი, როგორც არქეოლოგიური წყარო, უნიკალურ ცნობებს გვაწვდის საერთაშორისო ურთიერთობების, განსაკუთრებით კი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესწავლის თვალსაზრისით. ის ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პირველწყაროს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ურთიერთობების ფორმებისა და შინაარსის რეკონსტრუქცია. რა თქმა უნდა, გვიანანტიკური ხანის საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ისტორიის შესწავლა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს წერილობითი წყაროების, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, გლიპტიკური, ტორევტიკული

მასალისა და სხვა დარგების კომპლექსურ ანალიზს. ამ მრავალმხრივი კვლევითი მიდგომის ფარგლებში, ვერცხლის ჭურჭელი ერთ-ერთ მიმართულებად გვევლინება, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს ეპოქის რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებს.

კვლევა მიზნად ისახავს პასუხები გავცეთ ისეთ საკვანძო კითხვებსს, როგორებიცაა: რას გვიამბობს ვერცხლის ჭურჭელი იმდროინდელი საზოგადოების სოციალური ყოფისა და კულტურის შესახებ? რას უნდა დავუკავშიროთ ვერცხლის ჭურჭლის იმპორტული კომპლექსების შემოდინება გვიანანტიკური ხანის იბერიასა და კოლხეთში, სავაჭრო-ეკონომიკურ მიმოცვლას, კულტურულ გავლენებსა თუ დიპლომატიურ კონტაქტებს? შეიძლება თუ არა, რომ არტეფაქტების ეს ჯგუფი მივიჩნიოთ რეგიონი არსებული საერთაშორისო პოლიტიკის, კერძოდ რომისა და ირანის ინტერესების პირდაპირ არქეოლოგიურ სამხილებად? მასალის მრავალმხრივი ანალიზითა და აღნიშნულ კითხვებზე პასუხების გაცემით შევეცდებით, ნათლად წარმოვაჩინოთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლქეციის როლი რეგიონული პოლიტიკური მოვლენების კვლევის კონტექსტში.

კვლევის ერთ-ერთი მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის მნიშვნელობა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბებით და გარკვეული სიახლეები შეიტანოს ტორევტიკული დარგის კომპლექსურ კვლევებში. არქეოლოგიური გათხრებიდან მომდინარე ეს უნიკალური მასალა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ იბერია-კოლხეთის ტორევტიკის ქრონოლოგიური ნიუანსების, განვითარების ეტაპებისა და დისტრიბუციისა განსაზღვრისათვის, არამედ რომაული, პართული და სასანური ვერცხლის წარმოების კომპლექსური კვლევებისთვისაც.

როგორც ცნობილია, არქეოლოგიურ კვლევებში ემპირიული მიდგომა პრიორიტეტულია, ვინაიდან ის მდგომარეობს არსებული მონაცემებისა და მასალის მუდმივ შეჯერებასა და ანალიზში. ემპირიული მეთოდების გამოყენება, რომელიც გულისხმობს საკითხზე დაკვირვებას, შეფასებას და მონაცემთა ანალიზს, საშუალებას იძლევა აიხსნას ესა თუ ის მოვლენა, ფენომენი

კონკრეტულ გარემოში და მიღწეული იქნას კვლევის სიახლე. ჩემი საკვლევი თემა - „ვერცხლის ჭურჭელი როგორც იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების არქეოლოგიური მარკერები," ნათლად ეხმიანება არქეოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი დისციპლინის მთავარ მიზანს - წარსულის სურათის რეკონსტრუირებას არქეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული ნივთიერი მასალის საფუძველზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანიც ისტორიული წარსულის ერთ მონაკვეთში არსებული სურათის რეკონტსრუქციაა იმ არტეფაქტებზე (ჩვენ შემთხვევაში - ვერცხლის ჭურჭელი) დაყრდნობით, რომელიც ამ პროცესების თანადროული და ამსახველი ნივთიერი მასალაა. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა კონტექსტუალურ მიდგომაზეა დაფუძნებული, ვინაიდან ეს მიდგომა გულისხმობს იმ საერთო ფონისა და მდგომარეობის შესწავლას, რაშიც ჩამოყალიბდა, შეიქმნა ესა თუ ის არტეფაქტი და რამაც განაპირობა მისი გადაადგილება დროსა და სივრცეში.

მსგავსად სხვა არქეოლოგიური კვლევებისა, ჩემი მიზანიც ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე დაგროვილი ცოდნის გამყარება და გარკვეული სიახლეების მიკვლევა ან არსებული მონაცემების ახლებური ინტერპრეტაციაა. იმისათვის, რომ მიმეღო სასურველი ინფორმაცია, მივმართე ჰუმანიტარული კვლევის ისეთ აპრობირებულ მეთოდებს, როგორებიცაა: დესკრიფციული მეთოდი (არტეფაქტებზე დაკვირვება და მათი აღწერა); ტექსტუალური და კონტენტ-ანალიზი (შინაარსის ანალიზი) როგორც საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა, ისე მასალის სინქრონული ისტორიული წყაროების; საკვლევი მასალის კლასიფიკაცია სხვადასხვა მარკერებით, მაგალითად, მათი გეოგრაფიული გავრცელების, ქრონოლოგიის, წარმომავლობის, ფუნქციის მიხედვით; რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი; მხატვრულ-სტილისტური ანალიზი და სხვა.

თანმიმდევრულად რომ განვიხილოთ, ნაშრომში კვლევის მსვლელობა და მიღებული შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახით: საკითხის აქტუალურობისა და საკვლევი თემის მნიშვნელობის განხილვა, ასევე თემის

ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ნაშრომის შესავალ ნაწილსა და პირველ თავშია წარმოდგენილი. ნაშრომის შემდეგ თავში (თავი II) მოყვანილია დღემდე აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კომპლექსების ანალიზი, რომელიც ორ ისტორიულ რეგიონადაა დაჯგუფებული (კოლხური და იბერიული). აღნიშნულ თავში განხილულია თითოეული არქეოლოგიური ძეგლი და ჩამოთვლილია მასში გამოვლენილი ტორევტიკული მასალა. მომდევნო, III თავში, წარმოდგენილია ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების აღმოჩენის პირობები და მათი ქრონოლოგია. შემოთავაზებულია არქეოლოგიური ძეგლების კლასიფიკაცია მათი აღმოჩენების პირობების მიხედვით; აქვე განხილულია ტორევტიკული მასალის შემცველი სამარხეული ძეგლების ტიპოლოგია და მათში დადასტურებული დაკრძალვის წესი. ამავე თავში მოცემულია მსჯელობა იბერია-კოლხეთის დიდგვაროვანთა დაკრძალვის რიტუალში ვერცხლის ჭურჭლის მნიშვნელობასა და როლზე. აღნიშნულ თავს დართული აქვს ცხრილები და დიაგრამები, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავადევნოთ თვალი კვლევის შედეგებს. ნაშრომის IV თავში მოცემულია უშუალოდ საკვლევი მასალის, ვერცხლის ჭურჭლის კულტურული და სოციალური კუთვინლების საკითხი. თანდართულ ცხრილებში, რაოდენობრივ და პროცენტულ დიაგრამებში ილუსტრირებულია ტორევტიკული მასალის რაოდენობრივი და შედარებითი ანალიზი მათი კულტურული ატრიბუციის მიხედვით. IV თავის მეორე ნაწილში განხილულია ვერცხლის ჭურჭლის ის ეგზემპლარები, რომლებიც შემკულია ისტორიულ პირთა პორტრეტებით ან მათი სახელების შემცველი წარწერებით, რაც ამ ნივთებს სოციო-პოლიტიკური ასპექტების კვლევაში პირველხარისხოვან წყაროდ აქცევს. ამავე თავში შემოთავაზებულია ცალკეული ნიმუშების სოციალური ატრიბუციის ახლებურად გააზრებისა და ზოგიერთ ჭურჭელზე დატანილი პორტრეტების იდენტიფიკაციის პირველადი მცდელობა. ნაშრომის შემდეგი, V თავი, ეთმობა გვიანანტიკურ ხანაში იბერიასა და კოლხეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსა და ამ ისტორიულ კონტექსტში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური

ურთიერთობების მოკლე მიმოხილვას. თავის დასასრულს, ცალკე ქვეთავისა და თანდართული ცხრილების სახით, შემოთავაზებულია უშუალოდ ვერცხლის ჭურჭლის, როგორც იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების არქეოლოგიური მარკერების, ინტერპრეტაცია. ცალკეული თავების შემაჯამებელი დასკვნები და კვლევის ზოგადი შედეგები წარმოდგენილია დასკვნის სახით.

სადოქტორო ნაშრომში ასევე მოცემულია რიგი საკითხების კრიტიკული გააზრების მცდელობა და ახლებური ინტერპრეტაციები, რაც ძირითადად ბოლო პერიდში ქართულ და საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში დაგროვილი სიახლეებიითა და ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებითაა განპირობებული.

არქეოლოგიურ კვლევებში აუცილებელია როგორც იმ ისტორიული წყაროების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს კვლევისათვის საჭირო ინფორმაციას, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხის ირგვლივ არსებული ნაშრომებისა. ხარისხობრივი ანალიზის ეს ფორმა ამ დარგის კვლევებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამიტომაც ქვემოთ შევეცდებით მაქსიმალური სიფრთხილითა და მეტ-ნაკლებად ამომწურავად შემოგთავაზოთ საკითხის რელევანტური **სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.**

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომიდან და ირანიდან იმპორტირებულ ცალებს. ამასთანავე, ზოგიერთი ნიმუში ამ ორი კულტურის ტორევტიკულ კვლევებზე არსებულ წამყვან ნაშრომებშია წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, მოკლედ მიმოვიხილავთ ტორევტიკული კვლევების განვითარების ისტორიას ამ ორი კულტურის მაგალითზე, ხოლო შემდეგ უშუალოდ საკვლევი მასალის გარშემო არსებულ ლიტერატურას მივუბრუნდებით.

გვიანანტიკური ხანის ტორევტიკა ძალზე კომპლექსური თემაა, ვინაიდან ის მოიცავს სხვადასხვა ხალხთა მატერიალურ კულტურას, რომელიც განსხვავებულ გეოგრაფიულ საზღვრებში განსხვავებული ფაქტორებით ყალიბდებოდა და

ვითარდებოდა. ერთი კულტურის წიაღში შემქნილი არტეფაქტები მუდმივად მოგზაურობდნენ დროსა და სივრცეში, რაც თანადროული სოციო-ეკონომიკური ფაქტორებითა და პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული. არქეოლოგიური გათხრებიდან და კერძო კოლექციებიდან მომდინარე აურაცხელი რაოდენობის ანტიკური ხანის ძვირფასი ლითონის ჭურჭლის კვლევა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან დაიწყო და განსაკუთრებულ მასშტაბებს ბოლო ათწლეულებში მიაღწია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გასულ საუკუნეში განხორციელებული კვლევების უმრავლესობა მასალის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზზე იყო ორიენტირებული, ხოლო ბოლო ოცწლეულის განმავლობაში ყურადღება მიექცა ტორევტიკულ მასალის შესწავლას ფართო სოციალურ-ეკონომიკურ, ისტორიულ და პოლიტიკურ ჭრილშიც.

გვიანანტიკური ხანის რომაული და ირანული (პართული, სასანური) ტორევტიკის კვლევა ათწლეულების მანძილზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. შესაბამისად, გასული საუკუნის საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კულტურათა ტორევტიკისადმი მიძღვნილი კვლევები ცალკე ნაშრომებშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოცწლეულში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და მასალის ერთობლივ კვლევებსა და მათ ანალიზს იმ საერთო ისტორიულ ჭრილში, რომელიც რომისა და ირანის საუკუნეობრივ ურთიერთობებს მოიცავს, არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა.

რომაული ვერცხლის ჭურჭლის შესწავლაში პიონერული კვლევები ეკუთვნით მეცნიერებს თ. შრაიბერსა და ფ. დრექსელს. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ მათ ნაშრომებში „Die alexandrinische toreutik; untersuchungen über die griechische goldschmiedekunst im Ptolemaeerreiche“ და „Alexandrinische Silbergefasse der Kaiserzeit“ მოცემულია სხვადასხვა კოლექციებში შემავალი ლითონის ჭურჭლის კლასიფიკაცია ფორმებისა და დეკორის მიხედვით, მათი თარიღისა და წარმომავლობის განსაზღვრის პირველი მცდელობა (Schreiber, 1894; Drexel, 1909). შრაიბერისა და დრექსელის პირველადმა კლასიფიკაციამ მკვეთრად განსაზღვრა ამ კუთხით განხორციელებული შემდეგი კვლევები, რომელთა შორისაა ჰ. ვალტერსის 1921 წლის ნაშრომი ‘Catalogue of the silver plate

Greek, Etruscan and Roman in the British Museum," რომელიც ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციებში დაცულ ვერცხლის ჭურჭელს ეძღვნება (Walters, 1921).

ანტიკური ხანის ტორევტიკის კვლევაში მნიშვნელოვანია დონალდ სთრონგის მონოგრაფია 'Greek and Roman Gold and Silver Plate' და ენდრიუს ოლივერის ავტორობით გამოცემული კატალოგი 'Silver for the Gods, 800 Years of Greek and Roman Silver' (Strong, 1966; Oliver, 1977). გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ეს ნაშრომები, დღემდე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბერძნულ-რომაული ტორევტიკული მასალის კვლევაში.

გვიანრომაულ ტორევტიკაზე აღსანიშნავია კ. პეინტერისა და ჯ. კენტის თანაავტორობით ამავე ხანებში გამოცემული კატალოგი, რომელიც შეიქმნა ბრიტანეთის მუზეუმში მოწყობილი გამოფენისთვის „რომაული სამყაროს სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი ახ.წ. 300-700 წლებში" (Painter, 1977). კატალოგში განხილულია არა მხოლოდ იმპერიის ხანის რომაული ტორევტიკის ნიმუშები, არამედ სასანური ირანის თანდროული მატერიალური კულტურის ძეგლებიც, მათ შორის ვერცხლის ჭურჭელი.

რუთ ლიდერ-ნიუბაის ნაშრომი სახელწოდებით '"Silver and society in late antiquity, function and meaning of silver plate in the fourth to seventh centuries" წარმოადგენს ერთ-ერთ იმ რევოლუციურ ნაშრომთაგანს, რომელიც ორიენტირებულია არა მასალის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზზე, არამედ ვერცხლის ჭურჭლის როლის შესწავლაზე გვიანანტიკური ხანის საზოგადოებაში (Leader-Newby, 2004). ნაშრომში განხილულია ვერცხლის ჭურჭლის სოციალური ატრიბუცია, მისი როლი საყოფაცხოვრებო კონტექსტში და დიპლომატიურ ურთიერთობებში, ქველმოქმედებასა და რელიგიურ დღესასწაულებში; შესწავლილია, ასევე, მისი დანიშნულება როგორც ფულადი ერთეულისა. ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს გასული საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომ ვერცხლის ჭურჭლის შესწავლა, ძირითადად, ხელოვნებათმცოდნეობითი პერსპექტივიდან ხდებოდა და ნაკლები ყურადღება ენიჭებოდა მის როლს ანტიკური ხანის საზოგადოების ცხოვრების, ყოფისა და სოციალური ფონის შესწავლაში (Leader-Newby, 2004, p. 5).

ახ.წ. 200-700 წლების ძვირფასი ლითონის განძებზე მნიშვნელოვანი და ინოვაციური კვლევა ეკუთვნის ბრიტანელ მკლვევარს რიჩარდ ჰობსს (Hobbs, 2006). ავტორი ფოკუსირებულია რომის იმპერიის ძვირფასი ლითონის ჭურჭლის განძების ქრონოლოგიაზე, რაოდენობრივ-ხარისხობრივ ანალიზზე და მათ მიმართებაზე ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

ძალზე მრავალრიცხოვანია იმ სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიებისა და კატალოგების რაოდენობა, რომლებიც რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიებზე აღმოჩენილი ათობით ტორევტიკულ (და მასთან ერთად ნუმიზმატურ) განძს ეხება, და რომელთა კვლევებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რომაული ტორევტიკის ნიმუშების ქრონოლოგიისა და წარმომავლობის საკითხები. მაგალითად: საფრანგეთში აღმოჩენილი სხვადასხვა განძების შესახებ გამოქვეყნებული კატალოგი ეკუთვნით ფრანსუა ბარეტს, კენეტ პეინტერსა და ფრანსუა ლიჟს (Baratte & Painter, 1989); ცალკე კრებულია მიძღვნილი ბერთუვილის (Berthouville) განძის შესწავლისადმი Le Luxe Dans L'Antiquite (Avisseau-Broustet & Colonna, 2017). ამავე განძზე მნიშვნელოვანია კენეტ ლაპატინის შრომები (Lapatin, 2020; Lapatin, 2017, pp. 16-27); გერმანიაში აღმოჩენილი ჰილდეშეიმის (Hildesheim) და ქაიზეროგსტის (Kaiseraugst) რომაული განძების შესახებ მნიშვნელოვანია ბარბარა ნაიმეიერის კატალოგი 'Römische Siulberschätze. 150 Jahre Hildesheimer' და სხვადასხვა ავტორთა კვლევების კრებულები „Der spätrömische Silberschatz von Kaiseraugst - Die neuen Funde" (Niemeyer, 2018; Guggisberg, 2003; Stein & Boetzkes, 1997); რომაული პერიოდის ბრიტანეთიდან მილდენჰოლის განძის შესახებ ვრცელი კვლევა ეკუთვნის რიჩარდ ჰობსს (Hobbs, 2016); კიდევ ერთი რომაული განძის შესახებ (Traprain Law hoard) ბრიტანეთიდან მოგვითხრობს უახლესი კატალოგი (2022) 'The Late Roman Silver Treasure from Traprain Law' (Hunter, Kaufmann-Heinimann, & Painter, 2022); უნგრეთში აღმოჩენილი სევსოს განძის შესახებ მნიშვნელოვანი კატალოგი კი 2020 წელს გამოქვეყნდა, მას შემდეგ რაც ეს განძი სამშობლოში დაბრუნდა (Dági & Mráv, 2020). რომაული ტორევტიკის რაობაზე, შესწვალის ისტორიაზე, მნიშვნელობასა და რომის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ განძებში შემავალ ნიმუშებზე არსებული გამორჩეული ნაშრომია გერმანულენოვანი კრებული 'Das Haus Lacht vor Silber. Die

Prunkplatte von Bizerta und das Romische Tafelgeschiirr' (Hans-Hoyer von Prittwitz und Gaffron und Mielsch, 1997). გვიანრომაულ ვერცხლის განძებზე მნიშვნელოვანია კრებული „Late Roman Silver" (Hunter & Painter, 2013). ხოლო, იტალიაში, პომპეიში აღმოჩენილი ცნობილი განძის შესახებ მნიშვნელოვანი მონოგრაფია „The hoard from Casa Del Menandro" ეკუთვნის კ. პეინტერს (Painter, 2001). მენანდროს სახლის განძი ადრეიმპერიული რომაული ჭურჭლის ის გამორჩეული კოლექციაა, რომელიც ზუსტად არის დათარიღებული, ვინაიდან ის ვეზუვის ამოფრქვევის დროს იქნა დაფლული.

რომაული ტორევტიკის მსგავსად, სამაცნიერო ლიტერატურაში არაერთი ნაშრომია მიძღვნილი ირანული ვერცხლის ჭურჭლის კვლევებისადმი. სამწუხაროდ, პართული ტორევტიკის ნიმუშების სიმცირიდან გამომდინარე, პართული ვერცხლმჭედელობის ნიმუშების კვლევაში უფრო მეტი კითხვის ნიშანი არსებობს, ვიდრე წინარე (აქემენიდური) და მომდევნო (სასანური) პერიოდის მასალაში. შესაბამისდ მცირერიცხოვანია მის გარშემო არსებული სამეცნიერო კვლევების რაოდენობაც.

კალიფორნიაში, გეტის მუზეუმში დაცული პართული ტორევტიკის უმნიშვნელოვანესი კოლექციის კატალოგი „Mettalwork from the Hellenized East," მაიკლ ფრომერის რედაქტორობით 1993 წელს გამოიცა (Pfrommer, 1993). პართული ვერცხლი ასევე განხილულია ჯეფრი სპაიერისა, ტიმოთი პოტსისა და სარა კოულის რედაქტორობით 2022 წელს გამოცემულ კატალოგში 'Persia. Ancient Iran and the Classical World' (Spier, Potts, & Cole, 2022). ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია ამერიკელი მკვლევარის, მეთიუ კანეპას სამეცნიერო ნაშრომები (Canepa, 2022; Canepa, 2021). მ. კანეპა მიმოიხილავს ცალკეულ ნიმუშებს და გვთავაზობს დასკვნებს არშაკიდების იმპერიის ტორევტიკის განვითარების ეტაპების, კულტურული გავლენების, დანიშნულებისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. პართული ვერცხლმჭედელობის ნიმუშები ასევე წარმოდგენილია ნაშრომში „Mesopotamia and Iran in the Parthian and Sasanian Periods: Rejection and Revival c. 238 BC - AD 642," (Curtis, 2001).

პართულთან შედარებით, სასანური ირანის ტორევტიკული ძეგლები უფრო მრავალრიცხოვანია და შესაბამისად, დიდია ამ თემაზე მიძღვნილ ნაშრომთა რაოდენობაც. სასანური ტორევტიკის კვლევა დღემდე აქტუალური პრობლემაა და კერძო კოლექციებიდან თუ არქეოლოგიური აღმოჩენებიდან მომდინარე ახალი ნიმუშები მუდმივად გვთავაზობს სამეცნიერო სიახლეებს.

სასანური ვერცხლის ჭურჭლის კვლევაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ანტიკური ირანის მკლევარს ვლადიმერ ლუკონინს. სასანური ირანის ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა ძეგლთა სინთეზური კვლევების საფუძველზე იგი სწვალობდა სასანური ირანის საზოგადოების შეხედულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, მოდას, ურთიერთობებს გარე სამყაროსთან და სხვა კულტურულ მახასიათებლებს. თავის ნაშრომებში ლუკონინი ხაზს უსვამს დასავლური კულტურის გავლენას სასანურ ხელოვნებაში, რაც ნათლად აისახა როგორც ტორევტიკულ მასალაში, ისე მოზაიკებსა და ხელოვნების სხვა დარგებში (Луконин, 1977, გვ. 159-160). ავტორის 1961 და 1969 წლების მონოგრაფიებში „Иран в эпоху первых Сасанидов“ და „Культура Сасанидского Ирана, Иран в III-V вв“, ადრესასანური ვერცხლის ჭურჭლის კონტექსტში განხილულია უადრესი ნიმუშები კავკასიიდან, მათ შორის სარგვეშის თასი და არმაზისხევის პაპაკ პიტიახშის ლანგარი, რომლებიც სადოქტორო ნაშრომის შემდეგ თავებში იქნება წარმოდგენილი (Луконин, 1969; Луконин, 1961). აქვე უნდა აღვნიშნოთ ლუკონინისა და კ. ტრევერის ერთობლივი ნაშრომი „Сасанидское серебро. Собрание Государственного Эрмитажа. Художественная культура Ирана III-VIII веков.“ ნაშრომში მოცემულია ერმიტაჟში დაცული სასანური ვერცხლის უდიდესი კოლექცია, რომელიც რუსეთის, ჩრდილო კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიებიდან და სხვადასხვა კერძო კოლექციებიდან მომდინარეობს (Тревер & Луконин, 1987). ავტორთა აზრით, სასანური სამეფო პორტრეტისა და გამოსახულების სპეციფიკისა და ცალკეული დეტალების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ზუსტად გავნსაზღვროთ ნივთის თარიღი და წარმომავლობა (Тревер & Луконин, 1987, გვ. 36). წიგნში შემოთავაზებულია პოპულარული სამეფო ნადირობის სცენების ქრონოლოგიური კლასიფიკაციაც (Тревер & Луконин, 1987, გვ. 54-64).

სასანური ვერცხლის ჭურჭლის შესწავლაში მნიშვნელოვანია მიჩიგანის უნივერსიტეტის 1967 წელს გამართული გამოფენის 'Sasanian Silver, Late Antique and Early Medieval Arts of Luxury from Iran' კატალოგი (Grabar, 1967). ნაშრომში ოლეგ გრაბარი გამოყოფს სასანური ჭურჭლის ხუთ ძირითადი ფორმას და გვთავაზობს დეკორის კლასიფიკაციას (Grabar, 1967, pp. 40-43).

როდესაც საუბარია სასანურ ტორევტიკაზე, იქ აუცილებლად იგულისხმება პრუდენს ჰარპერის ნაშრომები, რომლებიც დარგში არსებული კვლევებისთვის საბაზისო წყაროს წარმოადგენს და რომლებშიც ქართული ტორევტიკის ნიმუშებიცაა წარმოდგენილი. საგანგებოდაა აღსანიშნავი პრუდენს ჰარპერისა და პიტერ მეიერსის თანაავტორობით გამოცემული წიგნი „Silver Vessels of the Sasanian Period, Royal Imagery", რომელშიც წარმოდგენილია სამეფო და დიდგვაროვანთა პორტრეტებით შემკული სასანური ტორევტიკის ნიმუშები მსოფლიოს ყველა კოლექციიდან. ნაშრომში განხილულია სარგვეშის ვერცხლის თასი და არმაზისხევის პაპაკის ლანგარი, როგორც სასანური ვერცხლის ჭურჭლის უადრესი ნიმუშები. კვლევაში ვერცხლის ტექნიკური ანალიზების საფუძველზე საინტერესო შენიშვნებია შემოთავაზებული ნედლეულის წარმომავლობასა და ქიმიური შემადგენლობის შესახებ (Harper & Meyers, 1981). პ. ჰარპერის ნაშრომებიდან ასევე გამოსარჩევია „In Search of a Cultural Identity: Monuments And Artifacts of the Sasanian Near East, 3rd to 7th Century A.D.," სადაც მოცემულია სასანური იმპერიის ხუთსაუკუნოვანი ხელოვნების ნიმუშები აღმოჩენილი იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე და მის პრიფერიებზე (Harper, 2006). ნაშრომში განხილულია სასანური ტორევტიკის განვითარების ეტაპები, ჭურჭლის ფართო გეოგრაფიული დიაპაზონით გავრცელების მიზეზები, კავშირები დასავლურ, რომაულ და ბიზანტიურ კულტურასთან. აღნიშნულ ნაშრომში ჰარპერი ასევე განიხილავს მაგრანეთის (ერწოს ვერცხლის ჯამს). აქვე ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადრესასანური ტორევტიკის ნიმუშები შესაძლოა რომაულთან და ბიზანტიურთან ერთად, ქართული (იბერიული) კულტურის გავლენითაც ჩამოყალიბებულიყო. ყურადღების ღირსია ჰარპერის სხვა სამეცნიერო სტატიებიც: 'Sasanian Silver Vessels: The Formation and Study of Early

Museum Collections', 'Silver Vessels', 'Image and Identity: Art of the Early Sasanian Dynasty' და სხვა (Harper, 2008; Harper, 2007; Harper, 2000).

როგორც შესავალი ნაწილის დასაწყისშია აღნიშნული, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი საკმაოდ მრავალრიცხოვან კოლექციას წარმოადგენს, რომელიც ანტიკური სამყაროს ტორევტიკაში გამორჩეულ ჯგუფს ქმნის. პირველი ნიმუშები მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში იქნა აღმოჩენილი. მასალის დიდი რაოდენობა გასული საუკუნის 40-70-იან წლებში შეემატა კოლექციას, ხოლო უკანასკნეული აღმოჩენები ბოლო ოცწლეულში განხორციელდა. გასულ საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულმა ტორევტიკული მასალის მზარდმა რაოდენობამ ამ კოლექციის შესწავლის საჭიროება განაპირობა. მასალის აღმოჩენების პარალელურად ათწლეულების მანძილზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა, რომელთა უმეტესობა სტატიების სახით ცალკეულ ნიმუშთა მხატვრულ-სტილისტურ შესწავლაზე და მათი არქეოლოგიური კონტექსტის განხილვაზეა ორიენტირებული.

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციისადმი მხოლოდ რამდენიმე მონოგრაფიაა მიძღვნილი. ამ მხრივ ფასდაუდებელია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, კიტი მაჩაბელის სამეცნიერო მოღვაწეობა. უნდა ითქვას, რომ მისი რუსულენოვანი მონოგრაფია „Позднеантичная торевтика Грузии" საქართველოს გვიანანტიკური ხანის ტორევტიკის სრული კოლექციის კვლევისადმი მიძღვნილ ერთადერთ მონოგრაფიას წარმოადგენს (Мачабели, 1976). თუმცა, ნაშრომში მხოლოდ ის მასალაა წარმოდგენილი, რაც 1976 წლამდე იქნა აღმოჩენილი და ძირითადი აქცენტები ნივთების მხატვრულ-სტილისტურ ანალიზზეა გაკეთებული. წიგნის შესავალ თავში ავტორი გვთავაზობს ძველ საქართველოში ძვირფასი ლითონების მოპოვებისა და დამუშავების შესახებ მსჯელობას, რის შემდეგაც, ასევე, ვრცლად განიხილავს იმპერიის ხანის რომაულ ტორევტიკას და მის ცალკეულ მახასიათებლებს. მომდევნო ორ თავში, რომლებიც ქრონოლოგიურადაა დალაგებული, ავტორს მოცემული აქვს ტორევტიკის სხვადასხვა ნიმუშების დეტალური მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, რომლებიც

თავის მხრივ სხვადასხვა მახასიათებლების, მაგალითად, ფორმის, ორნამენტის, წარმომავლობის და თარიღის მიხედვითაა დაჯგუფებული. ცალკეული ჯგუფების თუ ნიმუშების აღწერისას ავტორი გვთავაზობს პარალელებს სხვა კულტურებიდან. დასკვნით ნაწილში მოცემულია გვიანანტიკური ხანის საქართველოს ლითონმქანდაკებლობის მიმოხილვა ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო კვლევების საფუძველზე და ჩამოთვლილია ტექნოლოგიები, რასაც ქართველი მელითონეები ფლობდნენ. დასასრულს შემოთავაზებულია აღმოსავლური და დასავლური კულტურების განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი და მათი გავლენა იბერიული და კოლხური ხელოვნების ნიმუშებზე. ნაშრომს თან ერთვის მასალის ფოტო-ილუსტრაციები (შავ-თეთრი).

გარდა ზემოთაღნიშნული მონოგრაფიისა, მნიშვნელოვანია ამავე ავტორის 1983 წლის კატალოგი „ძველი საქართველოს ვერცხლი“, სადაც განხილულია ვერცხლის ჭურჭლის ზოგიერთი ნიმუში მოყოლებული ბრინჯაოს ხანიდან, ვიდრე ახ.წ. IV საუკუნის ჩათვლით (მაჩაბელი, 1983). მოკლე, ინფორმატიული შესავალ ნაწილს თანდართული აქვს ფერადი ილუსტრაციები და თითოეული ნივთის მოკლე აღწერა. კ. მაჩაბელის კიდევ ერთი მონოგრაფია „Серебряные фиалы из Армази“, არმაზისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი სამი ვერცხლის ფიალის ვრცელი მხატვრულ-სტილისტური აღწერა და კვლევაა (Мачабели, 1970). გარდა მონოგრაფიებისა, კ. მაჩაბელი ავტორია ოცამდე სამეცნიერო სტატიისა, რომელთა შესწავლის საგანი საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ტორევტიკული ნაწარმია. ნაშრომთა სიმრავლიდან გამომდინარე აღვნიშნავთ რამდენიმე მათგანს: არმაზისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის სურების კვლევა მოცემულია მის სტატიაში „ვერცხლის სურები არმაზიდან“ (1969), ურეკის განძში შემავალი ნივთები ორ ნაშრომში, „ვერცხლის ლანგარი ურეკიდან“ (1972) და „ვერცხლის ჭურჭლის ფრაგმენტები ურეკიდან“ (1975), ხოლო ანტიკური საქართველოს მელითონეობის შესწავლის მოკლე ისტორია წარმოდგენილია „მელითონეობის ხელოვნება ძველ საქართველოში“ (1976) (მაჩაბელი, 1969, გვ. 3-6; მაჩაბელი, 1972, გვ. 11-16; მაჩაბელი, 1975, გვ. 37-40; მაჩაბელი, 1976, გვ. 81-88). გარდა ჩამოთვლილი ნაშრომებისა, კიტი მაჩაბელს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი, სადაც

მოცემულია ქრისტიანულ ტაძრებში დაცული ადრე შუასაუკუნეების ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლის ერთეულები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში მაქვს განხილული (მაგალითად, სასანური სურა სვანეთიდან) (მაჩაბელი, 1979, გვ. 165-173; მაჩაბელი, 1982).

გარდა კიტი მაჩაბელის 1976 წელს გამოცემული ზემოთდასახელებული მონოგრაფიისა, საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერხლის ჭურჭლის სრული კოლექციის სხვა კვლევა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღესდღეობით არ გვხვდება. ცალკეული ნიმუშებზე და მათ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე ცნობები კი სხვადასხვა ავტორთა მიერ კრებულებში, ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებშია წარმოდგენილი. ამ მხრივ გამოსარჩევია კრებული მცხეთა I (1955), რომელშიც არმაზიხევის პიტიახშთა სამაროვნის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლის უმნიშვნელოვანესი ეგზემპლარების ვრცელი აღწერებია მოცემული თანდართული ილუსტრაციებით (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955).

ტორევტიკული მასალის კვლევაში ფასდაუდებელია რამინ რამიშვილის სამეცნიერო ნაშრომები. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული მაგრანეთის ქუშაანანთ გორის, არაგვისპირისა და ახალი ჯინვალის სამაროვნების არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ტორევტიკული მასალა ავტორს საგანგებოდ აქვს შესწავილი. აღსანიშნავია მისი 1979 წლის ნაშრომი „ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში“, რომელიც ქუშანაანთ გორის აღმოჩენებს შეეხება; ასევე სხვადასხვა კრებულებში, ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებული სტატიები: “ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი“ (1983); “Серебряные кувшинчики со сценами охоты из Арагвского ушелья” (1983), “Новые открытия на новостройках Арагвского Ущелья“ (1977); “ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის შედეგების წინასწარი ანგარიში“ (1972) და სხვა (რამიშვილი რ. , 1983; რამიშვილი რ. , 1979; რამიშვილი, და სხვ., 1972; Рамишвили, 1977; Рамишвили, 1983). გამოსარჩევია 2018 წლის ნაშრომი “ქართლის სამეფო ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში,“ რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ იქნა გამოცემული (რამიშვილი რ. , 2018). აქ წარმოდგენილია

მის მიერ განხორციელებული თითოეული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები და მის საფუძველზე შემოთავაზებული სოციალური ყოფის საკითხების ვრცელი ანალიზი. ნაშრომში რ. რამიშვილს ფუნქციის მიხედვით აქვს დაჯგუფებული მისი ხელმძღვანელობით აღმოჩენილი ტორევტიკული მასალა (ჯამები, სურები) და განხილული აქვს მათი წარმომავლობის, ქრონოლოგიისა და სოციალური ატრიბუციის პრობლემები. სამეცნიერო გამოკვლევა არაგვისპირის ვერცხლის სურებზე დატანილი ნადირობის სცენების შესახებ ეკუთვნის ქეთევან რამიშვილს (რამიშვილი ქ. , 1999).

ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის ტორევტიკული მასალის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებზე ინფორმაცია დაცულია გ. აფაქიძის მონოგრაფიაში „ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი," ხოლო სამთავროს 905-ე აკლდამის მდიდრული მასალა, კრებულის, მცხეთა XI-ის ვრცელ თავში, „მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III ს-სა - აკლდამა 905", ა. აფაქიძისა და ვ. ნიკოლაიშვილის თანავტორობითაა გამოქვეყნებული (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996; აფაქიძე გ. , 1973).

ზღუდერის სარკოფაგების აღმოჩენების, მათ შორის კი ვერცხლის ჭურჭლის მდიდარი კოლექციის შესახებ ცნობები თავდაპირველად გ. ნემსაძემ გამოაქვეყნა, ხოლო უახლესი ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) კატალოგი 2009 წელს დაიბეჭდა დ. ბრაუნდის, ქ. ჯავახიშვილისა და გ. ნემსაძის თანაავტორობით (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009; ნემსაძე, 1969, გვ. 45-56). ხაიშის განძის შესახებ უპირველესი ცნობები ა. ჯავახიშვილის ნაშრომშია („ხაიშის განძი") წარმოდგენილი, ხოლო უახლესი კვლევა მ. ოდიშელის სტატიაში „Ancient Georgia at the turn of the eras and Khaishi treasure" (2014) (ჯავახიშვილი, ა., 1958; Odisheli, 2014). კლდეეთის სამაროვნის ტორევტიკული მასალა გ. ლომთათიძის მონოგრაფიაში „კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა", ხოლო მოდინახეს მასალა ჯ. ნადირაძის „ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებში"-ა თავმოყრილი (ლომთათიძე, 1957; ნადირაძე, 1975). ა. ბოხოჩაძეს ეკუთვნის ცნობები აღაიანში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელზე, ხოლო ხოვლეს მდიდრული აკლდამის მასალის კვლევა ვ. შატბერაშვილის 2007 და 2024 წლის ნაშრომებშია ასახული (ბოხოჩაძე, 1981; შატბერაშვილი, 2007; Shatberashvili, 2024).

საქართველოს ტორევტიკული მასალის უადრესი აღმოჩენების (ბორის განძი, ბანძას ქვევრსამარხის მასალა და სვეტიცხოვლის აღმოჩენები, თაგილონის განძი) შესახებ ცნობები ეკუთვნით ს. მაკალათიას, ე. პრიდიკსა და ა. ამირანაშვილს (მაკალათია, 1928; Амиранашвили, 1935; Придикъ, 1914). კოლხეთის შვიზღვისპირეთში (ურეკი, ციხისძირი, პიტიუნტი, აჩმარდა) აღმოჩენილი ტორევტიკის ნიმუშებზე კვლევები კი რ. ფუთურიძემ, ნ. ხოშტარიამ, ნ. ინაიშვილმა, ა. აფაქიძემ და ა. ვინოგრადოვმა განახორციელეს (აფაქიძე ა. , 1978; აფაქიძე ა. , 1947; ვინოგრადოვ, 2013; ინაიშვილი, 1993).

უნდა აღინიშნოს იულონ გაგოშიძისა და სოსო მარგიშვილის სტატია 'მეფე ფლავიუს დადესის ვინაობისთვის', სადაც წარმოდგენილია ბერსუმა პიტიახშის ვერცხლის ლანგარი და მასზე დატანილი წარწერის ვრცელი ანალიზი (გაგოშიძე & მარგიშვილი, 2013). არმაზისხევის კიდევ ერთი აღმოჩენის, პაპაკ პიტიახშის ვერცხლის ლანგარზე და მის არამეულ წარწერაზე მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის შალვა ამირანაშვილს, ხოლო სარგვეშის სასანური თასი თავდაპირველად გიორგი ჩუბინაშვილმა შეისწავლა (ამირანაშვილი, 1958; Tchubinaschwili, 1925). გარდა ამისა, ეს ჭურჭელი არაერთხელ მოხვდა უცხოელ მკვლევართა ნაშრომებშიც (Harper & Meyers, 1981; Луконин, 1961; Henning, 1961).

ტორევტიკული მასალის ეპიგრაფიკული წარწერების ანალიზი გ. წერეთლის ნაშრომებშია განხილული (წერეთელი გ. , 1948; Tsereteli, 1948) შემთხვევითი აღმოჩენის, სასანური ტორევტიკის გვიანდელი და გამორჩეული ნიმუშის, ჭერმისხევის ვერცხლის თასის შესახებ კვლევა წარმოდგენილია იულონ და გიორგი გაგოშიძეების სტატიაში „ვერცხლის თასი ჭერმისხევიდან," ხოლო ასევე შემთხვევით აღმოჩენილი გომის რიტონის შესწავლა და ანალიზი გელა გამყრელიძის სამეცნიერო ნაშრომშია თავმოყრილი (გაგოშიძე, ი., გაგოშიძე, გ., 2014; Gamkrelidze, 2009).

გვიანანტიკური ხანის ტორევტიკის ცალკეულ ნიმუშებზე განხორციელებული ტექნოლოგიური და ქიმიური კვლევები მოცემულია გივი ინანიშვილის ნაშრომებში „ლითონდამუშავება ანტიკური პერიოდის საქართველოში" და „ქართული მეტალურგიის სათავეებთან" (ინანიშვილი, 2014; ინანიშვილი, 2007). ნივთების ტექნოლოგიურ კვლევაზე საინტერესო შედეგებია მოცემული ნაშრომში

„ფოთლოვანი ლითონების ჩარხზე დამუშავება ძველ საქართველოში“, ხოლო ვერცხლის ქიმიური შედგენილობის უახლესი ლაბორატოლიური კვლევა (დედოფლის გორისა და სამთავროს 905-ე აკლდამის მასალა) - სტატიაში ‘Roman Silver Objects from the Kingdom of Kartli (Caucasian Iberia) in Georgia (Mtskheta, Dedoplis Gora [Kareli District]) – a Lead Isotope Investigation (თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954; Parjanadze & Bode, 2017).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებისა, ვერცხლის ჭურჭლის ცალკეული ერთეულები ხშირად გვხვდება ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში. თუმცა, მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ნაშრომების სიმრავლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ნიმუშთა მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს შეეხება, ხოლო გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის მოსახლეობის სოციალური ასპექტების, სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებისა და პოლიტკური ურთიერთობების კვლევა ტორევტიკული მასალის პერსპექტივიდან, ძალზე მწირი სახითაა წარმოდგენილი. ასევე მწირია მასალის ქიმიური ანალიზის კუთხის განხორციელებული კვლევებიც, რაც სამომავლოდ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი.

თავი I

ვერცხლის როგორც ნედლეულის მნიშვნელობა და ვერცხლის ჭურჭლის როლი ანტიკურ სამყაროში

1.1. ვერცხლის მოპოვება-წარმოება და მისი მნიშვნელობა ანტიკურ სამყაროში.

ძვირფასი ლითონის ჭურჭელი არქეოლოგიური მასალის ის ჯგუფია, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ანტიკური სამყაროს სოციალურ ყოფაში, რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებში, სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. ვერცხლისა და ოქროს ჭურჭლის უძველესი ნიმუშები პრეისტორიული ხანიდანაა ცნობილი და აღმოჩენილია როგორც საბრძნეთისა და კრეტის, ისე ეგვიპტის, ახლო აღმოსავლეთის, ანატოლისაა და საქართველოს ადრე და შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ეს, თავის მხრივ, ნათელი დასტურია, რომ ევროპაში, აზიასა და აფრიკაში მდებარე ძვირფასი ლითონის საბადოები ადრეული ხანიდანვე იყო ცნობილი და ათვისებული. გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი მასალის მთავარი ნედლეული ვერცხლია, წინამდებარე თავში ამ ლითონის მნიშვნელობაზე, მის მოპოვებასა და წარმოებაზე ვისაუბრებთ.

ვერცხლის მნიშვნელობა და ღირებულება პრეისტორიულ ხანასა და ანტიკურ სამყაროში განპირობებული იყო ამ ლითონის სიმცირითა და მისი მოპოვების სირთულით. ვერცხლი, როგორც დამოუკიდებელი ლითონის მადანი, ბუნებაში ძალზე შეზღუდული რაოდენობით გვხვდება და მისი მოპოვება უმეტესწილად სხვა ლითონების, განსაკუთრებით კი ტყვიის, ოქროსა და სპილენძის მადნების დამუშავებისას არის შესაძლებელი (Craddock, 2014, p. 1085; Painter, 1980, pp. 140-142). პრეისტორიულ ხანაში ვერცხლის მოპოვება ინტენსიურ ხასიათს არ ატარებდა, ხოლო მისი იშვიათობა და დამუშავების ტექნიკის სირთულე ამ ნედლეულის მაღალ ღირებულებას განაპირობებდა.

ვითარება არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ვერცხლის შემცველი საბადოები ინტენსიურად იქნა ათვისებული და ეს ლითონი ტორევტიკისა და

სამონეტო წარმოების მთავარი ნედლეული გახდა. ძვ.წ. VI-V ს-დან მისმა მნიშვნელობამ და წარმოების ინტენსივობამ განსაკუთრებულ ნიშნულებს მიაღწია. ვერცხლის ღირებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ ამ ლითონის ნაკეთობებზე მუშაობა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ოქრომჭედლებს შეეძლოთ. შესაბამისად, მისი წარმოების მასშტაბები და დამუშავების ინტენსივობა შედარებით დაბალი, ხოლო ღირებულება ბევრად მაღალი იყო (Hobbs, 2006, p. 6). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანიტკურ ხანაში, ისევე როგორც დღეს, ვერცხლის ღირებულება ოქროსთან მიმართებაში ყოველთვის დაბალი (შეფარდება 1:10, 1:13), ხოლო ბრინჯაოსთან მიმართებაში ბევრად მაღალი იყო (Strong, 1966, p. 6).

ვერცხლის წარმოებისა და პოპულარობის ზრდა ანტიკურ ხანაში ატიკაში მდებარე ლავრიონის ვერცხლის საბადოების ხელახლა ამოქმედებამ განაპირობა, რომელიც ესპანეთის, ბრიტანეთის, ანატოლიისა და საბერძნეთის კუნძულების საბადოებთან ერთად, ამ ლითონის ნედლეულის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ანტიკური დასავლეთისთვის. ანტიკურ ხანის ამ საბადოების შესახებ ცნობები დაცულია ბერძენ-რომაელ ავტორებთან (Strabo, IX, I, 23; III, II, 8-10; Pliny, Natural History, XXXIII, 31), რაც განსაკუთრებით ფასეულია ამ ლითონის მოპოვება-წარმოების თანამედროვე კვლევებში. ლავრიონის საბადოები, რომელმაც ფუნქციონირება ძვ.წ. I საუკუნეში შეწყვიტა, მთელი კლასიკური და ელინისტური პერიოდის მანძილზე საბერძნეთის მთავარი ეკონომიკური დასაყრდენი იყო, რადგან სწორედ აქ მოპოვებული ვერცხლით იჭრებოდა მონეტები და მზადდებოდა კლასიკური და ელინისტური ხანის ტორევტიკის ნაირსახეობა.

კვლევებით დადასტურებულია, რომ თვითნაბადი ვერცხლი ბუნებაში ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ანტიკური სამყაროს ვერცხლის მოპოვების ძირითადი წყარო ტყვიის შემცველი პოლიმეტალური მადნების საბადოები იყო. ზემოთ ჩვენ მიერ ნახსენებ საბადოებში ვერცხლის მოპოვებაც ძირითადად ტყვიის მადნების დამუშავებითა და კუპელირებით ხდებოდა (Craddock, 2014, p. 1086; Strong, 1966, pp. 3-6; Oliver, 1977, pp. 13-14; Painter, 1980, p. 140).

გვიანანტიკურ ხანაში ვერცხლის მოპოვებისა და წარმოების მასშტაბებმა განსაკუთრებულ ნიშნულს მიაღწია როგორც რომში, ისე ირანში. დღესდღეობით დადასტურებულია, რომ რომის იმპერიაში ტყვიისა და ვერცხლის საბადოები და მადნები მდებარეობდა ესპანეთში, ბრიტანეთში, ცენტრალურ ბალკანეთში, გერმანიში, სარდინიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში (Parjanadze & Bode, 2017, p. 40; Marzinzik, 2022, pp. 401-402; Painter, 1980, pp. 140-142). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომის იმპერიის ტერიტორიული ექსპანსიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ბრიტანეთის მიმართულებით, სწორედ კუნძულზე არსებული ტყვიისა და სპილენძის მდიდარი საბადოების ხელში ჩაგდება უნდა ყოფილიყო (Pliny, Natural History, 34. 49. 164; Hobbs, 2006, p. 6).

მსგავსად საბერძნეთისა და რომის, ვერცხლის წარმოება აქემენიდური ხანიდან მოყოლებული ინტენსიური იყო ახლო აღმოსავლეთში. აქემენიდური, პართული და სასანური ირანის იმპერიების ტორევტიკული ნაწარმი ცალსახად მეტყველებს, რომ ვერცხლის საბადოები ამ იმპერიების ფარგლებშიც უთუოდ არსებობდა, რაც არქეოლოგიურადაც დასტურდება (Parjanadze & Bode, 2017, p. 40; Stöllner & Weisgerber, 2004, გვ. 51; Hallier, 1972, p. 306).

ვერცხლის მოპოვება-წარმოების მხრივ საინტერესო ვითარებაა საქართველოში. ავტორთა ცნობები და არქეოლოგიურად დადატურებული ლითონის მოპოვებისა და წარმოების კერები საქართველოდან, საშუალებას გვაძლევს, თამამად ვიმსჯელოთ საქართველოზე, როგორც უძველესი მეტალურგიის ერთ-ერთ კერაზე.

უძველესი ქართველური ტომები, როგორც ლითონის მოპოვებისა და დამუშავების უბადლო ოსტატები ძველ ავტორთა ცნობებში არაერთხელაა ნახსენები (Strabo, XII, 3, 19-20; Homer, Iliada, II, 856; Xenoph, Anabas, V, 5. 1-2; Apol. Rodos., Argonaut., 2; ინანიშვილი, 2014, გვ. 9-24; თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 6-11). სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ ხალიბთა ქვეყანაში ვერცხლის საბადოების არსებობაზე საუბრობს (სტრაბონი, XII, 3. 19-20). საინტერესოა, რომ თაბალთა ტომი, რომელიც ქართველური მოდგმის უძველეს ტომებადაა მიჩნეული, არა მხოლოდ ვერცხლის მიღების უბადლო ოსტატები იყვნენ, არამედ ამ ლითონის განთქმული საბადოებიც ჰქონიათ, რომელთა ხელში ჩასაგდებადაც გაუმართავს ლაშქრობა

სალამანსარ II-ს ძვ.წ. 837 წელს (თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 9; ჯავახიშვილი ი., 1928, გვ. 18-19). ასურეთის მეფის, სარგონის მიერ კავკასიაში ლაშქრობისას მოპოვებულ ნადავლში კი ჩამოთვლილია თაბალთა ქვეყნიდან წამოღებული ვერცხლის ოცდათოთხმეტი კათხა, ლარნაკები, თასები და სხვა ნივთები (მაჩაბელი, 1976, გვ. 82)

საქართველოს ტერიტორიაზე ვერცხლის მოპოვება-წარმოება ათასწლეულებს ითვლის. ეს ფაქტი არა მხოლოდ წერილობითი წყაროებით, არამედ ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III ათასწლეული) არქეოლოგიური ძეგლებიდან, ყორღანებიდან, მომდინარე მასალითაც დასტურდება (თრიალეთის ვერცხლის სარწყული და თასები, ფირფიტები (ვაზის გარსაკრავები) (ინანიშვილი, 2014, გვ. 48-83; თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 6-8). ბრინჯაოს ხანაში ქართველური ტომების მიერ ვერცხლის შემცველი მადნის მოპოვება-წარმოება საბადოებთან მდებარე არქეოლოგიური აღმოჩენებითაც არის დოკუმენტირებული. მაგალითად, რაჭაში, რიონის სათავეებთან აღმოჩენილი იქნა მეტალურგიის უძველესი კერა, მაღაროები და მადნების შემდეგი დამუშავების პროცესის ამსახველი არტეფაქტები (გობეჯიშვილი, 1966, გვ. 16-20; გობეჯიშვილი, 1952, გვ. 183-190; თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 6-11). ვერცხლის მოპოვების უძველესი კვალი არქეოლოგიურად დასტურდება ქვემო ქართლშიც.

საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც ანტიკური საბერძნეთის, რომისა და ირანის ცნობილ საბადოებში, ვერცხლი პოლიმეტალურ (ტყვია, სპილენძი და თუთია) გამადნებათა სისტემაშია გავრცელებული და ძირითადად მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და მცირე კავკასიონის სისტემაში (ინანიშვილი, 2014, გვ. 36-37). საქართველოში ტყვია-ვერცხლისა და ტყვია-თუთიის პოლიმეტალური მადნები და შესაბამისად, მათთან დაკავშირბეული ვერცხლის საბადოები ცნობილია აფხაზეთში, სამაჩაბლოში, სვანეთში, რაჭაში, კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. უნდა აღინიშნოს ზუგდიდის, ქუთაისის, ოზურგეთის, დმანისის, ბოლნისის, ბორჩალოსა და სხვა რაიონების ვერცხლის საბადოებიც (დვალი, 1977, გვ. 69-70; ინანიშვილი, 2014, გვ. 37). ზემოთ ჩამოთვლილი საბადოებიდან მეტალურგებს ყველაზე მნიშვნელოვნად აფხაზეთის, სამაჩაბლოსა (ე.წ. სამხრეთ ოსეთისა) და

სვანეთის ვერცხლის პოლიმეტალური საბადოები მიაჩნიათ. კვლევების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზეთისა და კვაისას (ჯავა) საბადოები უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო ათვისებული, ხოლო სვანეთის ტყვია-ვერცხლისა და თუთიის საბადოები შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა, აქ ვერცხლის მადნის ძველი გამონამუშევრებიცაა მიკვლეული (დვალი, 1977, გვ. 70-71). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, საქართველოში მდებარე დღეისათვის ნაკლებად ცნობილ ვერცხლის საბადოებში შესაძლებელია ისტორიულ წარსულში საკმარისი მარაგი ყოფილიყო, თუმცა დღეს ვერცხლის წარმოება აქ უმნიშვნელოა (დვალი, 1977, გვ. 70).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქიმიური ანალიზების მიხედვით ცნობილია, რომ როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში, ვერცხლის მიღება ძირითადად ტყვია-ვერცხლისა და ტყვია-თუთიის მადნებიდან წარმოებდა ერთხელ ან ორჯერ კუპელირებით. ვერცხლის მიღება პოლიმეტალური მადნებიდან საკმაოდ რთული პროცესი იყო და ამისათვის მადნების რამდენჯერმე დამუშავება და რაფინირება ხდებოდა ღუმელში (დვალი, 1977, გვ. 64-69). ამასთანავე ცნობილია, რომ საქართველოში ვერცხლის უძველესი წარმოების ნაშთები, როგორიცაა ღუმელი, წიდები და სხვა, მიკვლეული ამ დრომდე არაა, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ტყვია-ვერცხლის გამოსადნობად გამოიყენებოდა პრიმიტიული სახის შახტისებურ ღუმელები (დვალი, 1977, გვ. 62, 66).

პრეისტორიული და ანტიკური ხანის საქართველოს ტორევტიკული მასალის შესწავლისას მნიშვნელოვანია ნივთთა ტექნოლოგური და ქიმიური ანალიზები. მეტალურგებს მიაჩნიათ, რომ პრეისტორიული ხანის (ძვ.წ. III ათასწლ) ვერცხლის ნივთები დამზადებული უნდა იყოს თვითნაბადი ვერცხლისგან, რადგან მათ შემადგენლობაში ძალიან მცირე რაოდენობითაა სპილენძი, ტყვია, ბისმუტი, რკინა და ოქრო. ამ დროს ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო დაუფლებული მადნების კუპელირებას (დვალი, 1977, გვ. 72).

ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან ვერცხლის ნივთებში უკვე შეიმჩნევა ტყვიის შემცველობა (0.7%-მდე), თუთია (0.1%-მდე ან მეტი), ხოლო სპილენძის დანამატი 2.7-42.1%-მდე აღწევს, რაც იმას მოწმობს, ვერცხლის წარმოება უკვე

ხორციელდებოდა ტყვია-ვერცხლისა და ტყვია-ვერცხლი-თუთიის პოლიმეტალური მადნების აღდგენითი დნობითა და შემდეგ კუპელირებით (დვალი, 1977, გვ. 72-73). აღნიშნულ მადნებთან ხშირად ასოცირებულია სპილენძი, რის გამოც ის თითქმის ყველა ნივთის ქიუმიურ ანალიზშია წარმოდგენილი. სპილენძის შემცველობა თუ 3%-მდეა, ის მიჩნეულია მადნისეულ მინარევად, რომელიც ვერცხლს ჭედურობას და სიმაგრეს სძენდა, ხოლო თუ სპილენძის შემცველობა 3%-ზე მეტია, ის სპეციალურადაა დამატებული ვერცხლის სიმაგრის მოსამატებლად (დვალი, 1977, გვ. 67-68). ნივთთა ქიმიურ ანალიზში უმნიშვნელო რაოდენობით წარმოდგენილია სხვა მინარევებიც: ოქრო, ბისმუტი, სილიციუმი, მაგნიუმი, ალუმინი, კალციუმი და კალა. აღსანიშნავია, რომ ნივთთა ქიმიურ შემადგენლობაში თუთია ყოველთვის არ გვხვდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვერცხლის ეს ნივთები ტყვია-ვერცხლის პოლიმეტალური მადნებიდანაა მიღებული. ხოლო, რაც თუთიას შეიცავს, აქ გამოყენებულია ტყვია-ვერცხლი-თუთიის მადნები (დვალი, 1977, გვ. 71).

ადრეანტიკური და ელინისტური ხანის იბერია-კოლხეთში ვერცხლის მოპოვება-წარმოება ტორევტიკის ნიმუშთა მხატვრულ-სტილისტური და ქიმიური ანალიზებითაა დადასტურებული (ინანიშვილი, 2014, გვ. 84-89, ცხრილი 3.6; ფოფორიძე, კალანდაძე, 2007, გვ. 81-86; თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 7-9). ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV ს-ის სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის სარტყელებისა და ჭურჭლის მიკრორენტგენოსპექტრალური ანალიზით შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათი ქიმიური შედგენილობა მსგავსია კაზრეთის საბადოზე არსებული ვერცხლის ქიმიური შედგენილობისა, განსაკუთრებით კი მიკროკომპონენტების შემადგენლობითა და განაწილებით (ფოფორიძე, კალანდაძე, 2007, გვ. 81-86, 171). ელინისტური ხანის ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული ვერცხლის სამკაულთა გარკვეული ჯგუფის შესწვალისას, სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი დამზადებულია პოლიმეტალური ვერცხლის მადნებიდან (ტყვია-ვერცხლი-თუთია) მიღებული მასალით (კალანდაძე, ქებულაძე, 2020, გვ. 302-308).

ლითონის ქიმიური ანალიზები გვიანანტიკური ხანის ტორევტიკის რამდენიმე ნიმუშზეა ჩატარებული, რაც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ნედლეულის შემადგენლობასა და წარმომავლობაზე. ქიმიური და ტექნოლოგიური კუთხით

შესწვალილია არმაზისხევის, ბორის, ბაგინეთის, ცხინვალისა და კლდეეთის არქეოლოგიური კომპლექსების ვერცხლის ცალკეული ნიმუშები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილობრივ ნაწარმადაა გააზრებული (თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 24-29; დვალი, 1977, გვ. ცხრილი 2). ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული ვერცხლის სარეცლის ფეხის გარსაკრავის (არმაზისხევი), ფიალისა (კლდეეთი) და სურის (ცხინვალი) ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნედლეულის ქიმიური შემადგენლობა თითქმის იგივეა, რაც ელინისტური ხანის ადგილობრივ ვერცხლის ნაწარმში. კერძოდ, ფიქსირდება სპილენძი, ტყვია, რკინა, ოქრო, ბისტუმი (ინანიშვილი, 2007, გვ. 51, ცხრილი 1). მეტალურგი გ. ინანიშვილი ხაზს უსვამდა განსხვავებას, რაც ძირითადად იმ კუთხით გამოიხატება, რომ გვიანანტიკურ ხანაში ვერცხლის უპირატესი დანამატები სპილენძი და ტყვიაა, ხოლო თითქმის აღარ გვხვდება თუთია. მნიშვნელოვანია ქართლის სამეფოს გვიანელინისტური-ადრე გვიანანტიკური ხანის (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს) დედოფლის გორის სასახლის კომპლექსის ნანგრევებში აღმოჩენილი ვერცხლის ორი საკულტო ფიგურის ქიმიური ანალიზების შედეგებიც. ანალიზები იძლევა იმ დასკვნების გაკეთების საშუალებას, რომ ეს ნივთები ადგილობრივი ნედლეულით, იბერიელი ოსტატების მიერაა დამზადებული (Parjanadze & Bode, 2017, pp. 46-47).

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იბერიის ტერიტორიაზე ვერცხლის მოპოვება-წარმოების კვლევისთვის ასევე აღსანიშნავია გომში აღმოჩენილი ვერცხლის რიტონის ქიმიური კვლევის შედეგები. არქეოლოგი გ. გამყრელიძის მიხედვით, ვერცხლი, რომლისგანაც რიტონია დამზადებული შეიცავს სტიბიუმს, რაც რაჭისა და ჯავის (კვაისა) რაიონებისთვისაა დამახასიათებელი (Gamkrelidze, 2009, p. 210).

როგორც ვხედავთ, პრეისტორიული და ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე ვერცხლის მოპოვება-წარმოება ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ხოლო ადგილობრივი ოსტატები ამ ნედლეულისგან სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს ამზადებდნენ, რომელიც იმპორტულ ნივთებთან ერთად აქტიურად გამოიყენებოდა ადგილობრივი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში.

1.2. ვერცხლის ჭურჭლის როლი და მნიშვნელობა გვიანანტიკური ხანის რომსა და ირანში

ვერცხლს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა გვიანანტიკურ სამყაროში. ის იყო ტორევტიკისა და მონეტების მთავარი ნედლეული. როგორც რომში, ისე ირანში ამ ლითონის ტორევტიკული მასალა სოციალური სტატუსის ინდიკატორს, ფულად ერთეულსა და დიპლომატიური ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წარმოადგენდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომ ტერიტორიულ ექსპანსიასთან ერთად ძვირფასი ლითონების, ოქროსა და ვერცხლის საბადოების დაუფლებამ და შედეგად წარმოშობილმა განუსაზღვრელმა სიმდიდრემ, რაც განსხვავებულ ადმინისტრაციულ მოწყობასა და კონტროლს მოითხოვდა, გამოიწვია რომში რესპუბლიკური წყობილების დამხობა და მისი გარდასახვა ძლევამოსილ იმპერიად (Painter, 1977, p. 15). რომის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე ვერცხლისა და ოქროს საბადოებში ლითონების მოპოვებაზე, მათ წარმოებასა და მონეტიზაციაზე მკაცრი კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდებოდა, ხოლო წარმოების პროდუქტი არა მხოლოდ იმპერიის საზღვრებში მიმოიქცეოდა, არამედ მის საზღვრებს გარეთაც გაედინებოდა (Hobbs, 2006, p. 6; Painter, 1977, p. 15; Marzinzik, 2022, pp. 401-403).

რომის იმპერიაში ვერცხლის ჭურჭლის განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება იმპერიის ტერიტორიებსა და მის პერიფერიებზე (საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია, აღმოსავლეთ ევროპა და სხვ.) აღმოჩენილი, მიწაში საგანგებოდ ჩამარხული დიდი რაოდენობით განძები (მაგალითად: Berthouville, Boscorealle, Hildesheim, Carthage treasure, Chatusange, Seuso treasure, Traprain Law Treasure და სხვ) (Avisseau-Broustet & Colonna, 2017; Niemeyer, 2018; Zehnder & Koschik, 1997; Painter, 2001; Hobbs, 2006; Hunter, Kaufmann-Heinimann, & Painter, 2022). ჩანს, მნიშვნელობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე, მესაკუთრის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი პოლიტიკურად არასტაბილურ მდგომარეობაში (უმეტესწილად გვიანიმპერიულ ხანაში), საფრთხისა და შემოსევების დროს, თუ გაზრდილი გადასახადების პირობებში, მის საკუთრებაში არსებული ძვირფასი ლითონის ჭურჭლის გადამალვა უნდა ყოფილიყო (Painter, 1977, pp. 18-19).

იმპერიის ხანის რომში, ვერცხლისაგან დამზადებულმა სუფრის ჭურჭელმა ადრეული პერიოდიდანვე განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა მაღალი ფენის საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში. ლათინური სიტყვა „*მინისტერიუმი*“ (*Ministerium*) ამ ლითონის სუფრის ჭურჭლის მრავალფეროვანი კოლექციის აღმნიშვნელია, რომელიც ერთეული თუ წყვილადი, სხვადასხვა ფუნქციის, რთული დეკორატიული სახეებით შემკული ან სადა ნიმუშებით იყო წარმოდგენილი: ჯამები, ფიალები, თეფშები, კოვზები, საწვნეები, თასები, სურები, კათხები და სხვა. ვერცხლის ჭურჭლის ნაირსახეობა და მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ არქეოლოგიური აღმოჩენებითაა დადასტურებული, არამედ ამ ფენომენმა თავისი მნიშვნელობით ასახვა ჰპოვა რომაული კულტურის ხელოვნებაში, მოზაიკებსა და კედლის მხატვრობაშიც (ტაბ. 1: სურ. 1-2) (Hobbs, 2021, p. Fig. 8.6).

ფუფუნებაზე ორიენტირებული რომის საზოგადოებრივ იერარქიაში *მინისტერიუმი* მფლობელის სტატუსსა და გავლენას უსვამდა ხაზს. სუფრაზე წარმოდგენილ ვერცხლეულს არა მხოლოდ ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, არამედ ის სიმდიდრის ჩვენების ერთ-ერთ ხერხსაც წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იქმნებოდა მაღალ რელიეფებში, რეპუსისა (*repousse*) თუ ჭედვის ტექნიკით მიღებული რთული დეკორატიული სახეებით შემკული ჭურჭელი. ვერცხლის სუფრის ჭურჭელი აქტიურად გამოიყენებოდა დიდგვაროვანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, ვილებში გამართულ წვეულებებსა და ნადიმებში, სადღესასწაულო და რელიგიურ მსახურებებში (Hobbs, 2021, pp. 137-138; Leader-Newby, 2004, pp. 2-3; Baratte, 2013, p. 57). ვერცხლისგან მზადდებოდა მდიდარი რომაელების აბაზანისთვის განკუთვნილი აქსესუარები, სურები და დიდი ზომის ხელსაბანი ლანგრები თავისივე ვერცხლის სადგამებით. საომარი მოქმედებების, ლაშქრობებისა, თუ უბრალოდ შორ მანძილზე მოგზაურობის დროს, წარჩინებული რომაელები და მაღალი რანგის სამხედრო მოხელეები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ვერცხლეულს თან ატარებდნენ (Leader-Newby, 2004, p. 4).

გარდა საყოფაცხოვრებო მიზნებისა, ვერცხლის ტორევტიკულ ნაწარმს საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა. მას აქტიურად სწირავდნენ წარმართულ ტაძრებსა და სამლოცველოებში, სხვადასხვა ღმერთებისადმი მირთმეული ძღვენის სახით.

ღვთაებათა სახეებითა და მითოლოგიური თემატიკით იმკობოდა რელიგიური რიტუალების დროს მოსახმარი ჭურჭელი. ჩვენამდე შემორჩენილი ვერცხლის ჭურჭლის გარკვეული ნაწილი ტაძრებისა და სხვადასხვა ღმერთებისადმი შეწირულ ძღვენს წარმოადგენს (მაგალითად Berthouville, Notre-Dame-D' Allencon და Thetfor-ის ახ.წ. II-IV საუკუნის განძები ცალსახად მიჩნეულია მერკურის, მინერვასა და ფავნის კულტებისადმი მირთმეულ ძღვენად) (Leader-Newby, 2004, pp. 72-73; Fauduet, 2017, pp. 74-87; Avisseau-Broustet & Colonna, 2017, pp. 28-55; Lapatin, 2020, pp. 108-116).

უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა რომის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, სხვადახვა ღვთაებათა კულტისადმი შესაწირი ძღვენი ერთი კონკრეტული რელიგიის ქვეშ გაერთიანდა და ასე გაჩნდა ანტიკური ხანის ტორევტიკაში ახალი - ქრისტიანული საეკლესიო ჭურჭლის - ϫგუფი. ვერცხლის კოვზები, თასები, სასმისები, ლანგრები (რომელიც უკვე ქრისტიანული სიმბოლიკით იმკობოდა) აქტიურად გამოიყენებოდა ზიარებასა და სხვა ქრისტიანულ მსახურებებში (Leader-Newby, 2004, p. Figs. 2.9; 2.10). მეოთხე საუკუნიდან აქტიურად დაიწყო რომაელი იმპერატორების მიერ ქრისიტიანული ტაძრებისთვის ძვირფასი ლითონის ჭურჭლის შეწირვა (Leader-Newby, 2004, pp. 61-62). შესაბამისად, რომაული ტორევტიკის ის ნიმუშები, რომლებიც გაქრისტიანების შემდგომ ხმარებაში იყო, გადაადნეს და ახალი რელიგიის, მსოფლმხედველობისა და ტენდენციების შესაბამისი ჭურჭელი დაამზადეს. ამან ქრისტიანობამდელი რომაული ტორევტიკის მრავალი ნიმუშის გაქრობა გამოიწვია.

რომის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე ვერცხლის ჭურჭელი სიმდიდრისა და კეთილდღეობის ინდიკატორს წარმოადგენდა, რომელიც საჭიროების დროს ფულის მაგივრობასაც სწევდა. აქედან გამომდინარე ვერცხლის ხარისხი და წონა ყოველთვის კონტროლდებოდა (Painter, 1977, p. 19; Painter, 1980, p. 140). ჭურჭელზე დატანილი წონის აღმნიშვნელი წარწერები, სწორედ მის ფულად დანიშნულებაზე მიგვანიშნებს (Leader-Newby, 2004, pp. 2-3). ვერცხლის, როგორც საფასურის გამოყენებაზე, მეტყველებს რომის იმეპრიის სხვადასხვა ნაწილში დიდი რაოდენობით დანაწევრებული, სპეციალურად დაჭრილი ან დაჭყლეტილი ჭურჭლის აღმოჩენები, რომლებისთვისაც სამეცნიერო ლიტერატურაში

დამკვიდრებულია სპეციალური ტერმინი - '*Hacksilber*' (Painter, 2013, pp. 215-242). ამის ერთ-ერთი მაგალითია რომაულ ბრიტანეთში (შოტლანდიაში), ტრაპრეინ ლოუს ციხესიმაგრეზე (Traprain Law Hillfort) აღმოჩენილი განძი (Traprain Law hoard), რომელშიც დიდი რაოდენობით დანაწევრებული ჭურჭლის ფრაგმენტებია წარმოდგენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ვერცხლის მასიური ლანგრები, თასები, სურები, ჯამები და სხვა ნივთები შესაბამისი წონის მიხედვით გარკვეულ ფასის ნაჭრებად სწორედ იმ მიზნით დაუჭრიათ და დაუჭყლეტიათ, რომ ისინი ფულის ნაცვლად გამოეყენებინათ (Hunter, 2022, pp. 334-336; Hunter, Kufmann-Heinimann, & Painter, 2022, pp. 425-432).

რომაულ სამყაროში ჩვენი საკვლევი მასალის კიდევ ერთი ფუნქცია იყო მისი დიპლომატიური მიზნებით გამოყენება. ვერცხლის ჭურჭელი, სხვადასხვა ძვირფას ნივთთან ერთად, ხშირად იყო წარმოდგენილი საიმპერატორო ძღვენში, რომელიც ტაძრებს, ცალკეულ ინდივიდებსა და სხვადასხვა დაპყრობილი ქვეყნის მმართველებს ეგზავნებოდათ (Hobbs, 2021, pp. 139-143; Guggisberg, 2013, pp. 193-212)(ტაბ.1: სურ.3). მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან მიმართებაში, თუ კონკრეტულად რა წარმოადგენდა სიამპერატორო ძღვენს, მხოლოდ იმპერატორთა პორტრეტებითა და სახელებით შემკული ჭურჭელი (Imperial *largitio*) თუ სხვა ნაწარმიც, რომელსაც საიმპერატორო წარწერები/პორტრეტები არ ამკობს, თუმცა მათი აღმოჩენის კონტექსტი იძლევა საფუძველს მათი გააზრებისა, როგორც საიმპერატორო ძღვენი (Guggisberg, 2013, pp. 193-212). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმპერატორებისთვის ვერცხლეული საკუთარი თავის იდეალიზებული სურათის წარმოსაჩენ ერთგვარი საშუალებაც იყო, რის გამოც იქმნებოდა მათი პორტრეტებით და სახელებით შემკული ცალები (Leader-Newby, 2004, p. 7). დღესდღეობით იმპერატორთა პორტრეტებით შემკული ჭურჭლის (*imperial largitio)* სულ 19 ერთეულია აღმოჩენილი და ძირითადდ ახ.წ. IV საუკუნეში მოღვაწე იმპერატორებს, ლიციინიუსს, კონსტანტს, კონსტანტინე II-ს, ვალენტინიანეს და თეოდოსიუს I-ს ეკუთვნის (Leader-Newby, 2004, pp. 14-15; Guggisberg, 2013, pp. 198-199). აქვე დავძენთ, რომ რომის იმპერატორის, მარკუს ავრელიუსის პორტრეტით შემკული ფიალა ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგიდან იმპერატორთა

პორტრეტებიანი ჭურჭლის - *Imperial largitio* - ს იშვიათი და ყველაზე ადრეული ეგზემპლარია.

რომის მსგავსად ვერცხლის ჭურჭელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ირანულ სამყაროში. მისი მნიშვნელობა სამეფო კარზე, დიდგვაროვანთა ცხოვრებაში, სარიტუალო მსახურებაში, დიპლომატიასა და ვაჭრობაში, უკვე აქემენიდურ ხანიდან იყო თვალსაჩინო, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებითა და წერილობითი წყაროებითაა დადასტურებული. მომდევნო პერიოდის, სელევკიდებისა და არშაკიდების იმპერიის ტორევტიკლი ნაწარმი შედარებით ნაკლები რაოდენობითაა მოღწეული. შემორჩენილი პართული ნიმუშები, აქემენიდურის მსგავსი ვერცხლის რიტონები და რომაულის მსგავსი ჯამები ცენტრალურ მედალიონში დატანილი პორტრეტებით, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პართულ ტორევტიკაში აღმოსავლური და დასავლური კულტურების სინთეზზე (Harper, 2006, pp. 78-79). მიუხედავად იმისა, რომ პართული ტორევტიკის ნიმუშები ჩვენამდე მცირე რაოდენობითაა მოღწეული, თამამად შეგვიძლია ითქვას, რომ მსგავსად რომისა, არშაკიდების იმპერიის მაღალი ფენის წარმომადგენელთა ფუფუნების ნივთებს შორის ვერცხლს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. პართული ვერცხლის ჭურჭლის ნიმუშების მცირე რაოდენობით აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ სასანიანთა დინასტიის გაბატონების შემდეგ, რომელთა მიზანი არშაკიდების დინასტიისგან სრული გამიჯვნა იყო, პართული ვერცხლეული მასობრივად იქნა ხმარებიდან ამოღებული და ისინი ახალი მოთხოვნების შესაბამისად იქნა გადამუშავებული.

განსხვავებით პართულისგან, მრავალრიცხოვანია სასანური ირანის ვერცხლის ნაწარმი. მსგავსად რომაელებისა, ამ ლითონის სუფრის ჭურჭლის როლი დიდი იყო სასანიდი მეფეებისა და ირანელი დიდგვაროვნების ყოფა-ცხოვრებაში. ვერცხლეულით გაწყობილი სუფრაზე შეექცეოდნენ ნადიმს მეფისა და დიდებულების კარზე, სადღესასწაულო და რელიგიური მსახურების დროს. სანადიმო სცენები და რელიგიური დღესასწაულების სიუჟეტები, რომლებზეც ჭურჭლის სხვადასხვა ფორმებია გამოსახული, თავად გვიანანსასანური ტორევტიკის არაერთ ნიმუშზეა წარმოდგენილი (Тревер & Луконин, 1987, გვ. სურ. 32-33, 42-53; ; Hobbs, 2021, p. Fig. 8.9).

გარდა საყოფაცხოვრებო და ესთეტიური მიზნებისა, ტორევტიკული ნაწარმი აქტიურად გამოიყენებოდა ირანის დიპლომატიურ ურთიერთობებშიც. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ სასანიდი მეფეების მიერ რომაელ იმპერატორებთან გაგზავნილ ძღვენში ვერცხლის ჭურჭელიც ფიგურირებდა (Scriptores Historiae Augustae, III; Тревер & Луконин, 1987, გვ. 38). სასანიანთა დინასტიის საგარეო პოლიტიკაში ამ ნივთების განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს სასანური ტორევტიკის ნიმუშთა უმრავლესობის იმპერიის ცენტრალური რეგიონების გარეთ, პერიფერიებზე აღმოჩენა (მათ შორის საქართველოშიც) (Hobbs, 2021, pp. 138-141; Canepa, 2009, pp. 154-166).

რომის იმპერატორთა მსგავსად, ირანის შაჰები საკუთარ იდეალიზებულ პორტრეტს ვერცხლის თასებსა და ფიალებზე გამოსახავდნენ. ამის დასტურია შაჰანშაჰების ცხენოსანი ნადირობის სცენებით შემკული დიდი რაოდენობით სასანური ვერცხლის თეფშები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კოლექციებშია დაცული (მათ შორის ორი - სოხუმის მუზეუმში). აღნიშნული კომპოზიციით შემკული დიპლომატიური ძღვენი მნიშვნელოვანი იდეას ატარებდა. ეს იყო უძლეველი მეფეების როგორც ბრძოლის უბადლო ოსტატობისა და მათი განუზომელი ძალაუფლების შესახებ ერთგვარი გზავნილი, რომლის კანონიზაცია შაბურ II-ის მმართველობის დროს (309-379) განხორციელდა (Harper, 2006, pp. 81-82; 2008, p. 72;). სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ ამგვარი თეფშები იმპერიის საზღვრებს მიღმა გასაგზავნად იყო განკუთვნილი, ვინაიდან საზღვრების გაფართოების თანადროულად სასანიდი მეფეები ახლად დაპყრობილი ტერიტორიების მმართველებს ძღვენს უგზავნიდნენ (Canepa, 2009, p. 158).

იქიდან გამომდინარე, რომ იბერია-კოლხეთი აქტიურად იყო ჩართული გარემომცველი იმპერიების ინტერესთა ჭიდილში კავკასიაზე გაბატონებისთვის, ადგილობრივი კულტურა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენას განიცდიდა. სწორედ ამან განაპირობა ჩვენში ვერცხლისგან დამზადებული რომაული, სასანური, თუ მათი გავლენით შექმნილი ადგილობრივი ჭურჭლის ნიმუშების განსაკუთრებული სიუხვე, რომელიც ნაშრომის შემდეგ თავში იქნება განხილული.

თავი II

გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კომპლექსები საქართველოდან

2.1. ტოპოგრაფია და იბერია-კოლხეთის საზღვრის პრობლემა ახ.წ. I-IV სს-ში

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექცია ძალზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანი ტორევტიკული ნაწარმის საფუძველზე ანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის ცალკეული სოციო-პოლიტიკური ასპექტების კვლევაა, გადავწყვიტეთ, მასალა უპირველეს ყოვლისა არქეოლოგიური კომპლექსების მდებარეობის მიხედვით დაგვეყო. ამ მხრივ გამოვყავით ორი ჯგუფი - იბერიული და კოლხური, რომლებიც ორ ისტორიულ რეგიონს შეესაბამება: იბერიის, იგივე ქართლის, სამეფოსა და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიას, სადაც ამ პერიოდში სხვადასხვა ეთნიკური პოლიტიკური გაერთიანებები არსებობდა. თითოეული რეგიონში საკვლევი მასალის გავრცელების ინტენსივობისა და ხასიათის დადგენით შევძლებთ, თვალი გავადევნოთ ისეთ ნიუანსებს, თუ სად და როდის ჩნდება ძვირფასი ლითონის ჭურჭლის იმპორტი და რა გარემოებები განაპირობებდა მათ შემოდინებას რეგიონში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების თავმოყრით, შესწავლითა და შეჯერებით შევქმენით ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური ძეგლების ტოპოგრაფიული რუკა, მათი აღმოჩენის პირობებისა და ქრონოლოგიის ამსახველი ცხრილები და რაოდენობრივ-პროცენტული დიაგრამები.

დღეისათვის, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საქართველოში გვიანანტიკური ხანის ტორევტიკული ნაწარმის ას ორმორცდათვრამეტი (158) ერთეული ქვეყნის მასშტაბით ოცდათერთმეტი (31) არქეოლოგიური ძეგლიდან მომდინარეობს (ტაბ. 2). ვერცხლის ჭურჭლის შემცველი კომპლექსები მეტწილად წარმოდგენილია ზღვისპირა ზოლში, ბარსა და მთისწინა რაიონებში, თუმცა, ცალკეული აღმოჩენები გვხვდება მაღალმთიანეთშიც (ხაიში, მოდინახე, კვაშხიეთი, გომი). არქეოლოგიური აღმოჩენები ძირითადად მომდინარეობს იბერია-კოლხეთის

ურბანული ცენტრებიდან და კოლხეთის სასაზღვრო-სასიმაგრო პუნქტებიდან. იმ მიზეზით, რომ ახ.წ. I-III საუკუნეებში იბერია-კოლხეთის სასაზღვრო ზოლი სხვაგვარად იყო წარმოდგენილი, ვიდრე ეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თანამედროვე გეოგრაფიული დაყოფაა, ზოგიერთ ძეგლს, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით დღეს დასავლეთ საქართველოშია, ჩვენ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში განვიხილავთ[1] (ჩოლოგაური, 2024, გვ. 203). ამის მიზეზის ახსნას კი ქვემოთ, გვიანანტიკურ ხანაში იბერია-კოლხეთის სასაზღვრო ზოლის კვლევის პრობლემის მოკლე მიმოხილვით შევეცდებით.

რაოდენობრივი თვალსაზრისით გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია ქართლის სამეფოს დედაქალაქის, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლების (არმაზისხევი, ბაგინეთი, სამთავრო) შემდეგ, ისტორიულ არგვეთშია წარმოდგენილი (ტაბ. 3). არგვეთის კუთვნილების საკითხი იბერიისა თუ კოლხეთისადმი გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია. აღნიშნული პრობლემის ირგვლივ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, ხოლო სამეცნიერო დისკუსია დღემდე გრძელდება (ცქიტიშვილი, 1964, გვ. 71-106; ბახტაძე, 2003; გაგოშიძე, 2007, გვ. 20-32; ბრაგვაძე, 2021, გვ. 51-105; ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204-205).

ისტორიული არგვეთის, დღევანდელი ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლებში, ბორში, კლდეეთში, სარგვეშში, კვაშხიეთში და მოდინახეს ციხეზე შესწავლილი ახ.წ. I-IV საუკუნეების მდიდრული სამარხების კულტურული ატრიბუციის პრობლემის გადაჭრისთვის ძალზე მწირია წერილობითი წყაროები, ამიტომ საკითხის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სამარხის მდიდრულ ინვენტარს, განსაკუთრებით კი, ვერცხლის ჭურჭელს ენიჭება (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204). სწორედ ბორში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგრის წარწერის - „ბუზმიჰრ კეთილი პიტიახში“-ის საფუძველზე გაჩნდა სამეცნიერო ლიტერატურაში თავდაპირველად მოსაზრება, რომ

[1] ფართო ცნებით, ანტიკურ ხანაში კოლხეთი დასავლეთ საქართველოს, ხოლო იბერიის/ქართლის სამეფო აღმოსავლეთ საქართველოსთან ასოცირდება. თუმცა, აღმოსავლური ელემენტები კოლხეთის შიდა რაიონებში ჯერ კიდევ ადრეანტიკური ხანიდანვე იკვეთება, რისი ერთ-ერთი მაგალითიც საჩხერესა და ვანის არქეოლოგიური ძეგლებია. ცალსახაა, რომ კოლხეთის შიდა რაიონები ანტიკური ხანაში განიცდიდა აღმოსავლური კულტურისა და იმპერიების გავლენას.

აქ საპიტიახშო ცენტრი არსებობდა. ქართლში პიტიახშის ინსტიტუტისა და საპიტიახშო ცენტრებზე საუბარი საკვლევი თემიდან შორს წაგვიყვანს, თუმცა, ახ.წ. I-III საუკუნეებში არგვეთის იბერიის სამეფოსადმი კუთვნილების საკითხს ოდნავ ჩავუღრმავდებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ეს მონაკვეთი წარმოდგენილია ჩემ მიერ გასულ წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიაში „გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი იბეერიდან და კოლხეთიდან: ტოპოგრაფია და სოციალური ატრიბუცია“, შესაბამისად აღნიშნულ მონაკვეთს ქვემოთ პირველწყაროს სახით ბრჭყალებში შემოგთავაზებთ.

„ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, რომი-პართიის (მოგვიანებით კი რომი-სასანიდების) დაპირისპირების ფონზე, იბერიის სამეფო ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად გვევლინება, რომელიც კავკასიაში შექმნილ გეოპოლიტიკურ სურათს თავის სასარგებლოდ იყენებდა. იბერიის მეფეები, პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკურ კეთილდღეობის შენარჩუნების პარალელურად, ცდილობდნენ ქვეყნის საზღვრები გაეფართოებინათ. იბერიის მეფეთა ამ ჭკვიანური პოლიტიკის წყალობით ვხედავთ ქართლის სამეფოს ტერიტორიულ ექსპანსიას კოლხეთის შიდა რაიონებისა და მისი სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა ტერიტორიების ხარჯზე, რაც, როგორც წერილობითი წყაროებით, ისე არქეოლოგიური მასალით დასტურდება“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204).

„იბერია-კოლხეთის სასაზღვრო ზოლის კვლევისას საინტერესოა 1923 წელს ისტორიული წყაროების საფუძველზე შექმნილი საქართველოს ისტორიის რუკა (რედ. ივ. ჯავახიშვილი), რომელზეც ახ.წ. I საუკუნეში იბერია-კოლხეთის საზღვარი ასე გამოიყურება: სამხრეთიდან საზღვრის ზოლი გასდევს ზეკარის უღელტეხილს, მიჰყვება აჭარა-ახალციხის ქედს, მდინარე სკრეულასა და მდ. ხანისწყლის წყალგამყოფ ქედს, გაუვლის სოფლებს, სვირს, თერჯოლას, ჩხარს და გოგნას. ამ რუკის მიხედვით სოფლები: ბორი, სარგვეში და დიდი ალბათობით, კლდეეთიც, იბერიის სამეფოს ტერიტორიებია (ცქიტიშვილი, 1964, გვ. 77). იბერიის საზღვრებშია მოქცეული მნიშვნელოვანი ციხეები სკანდა და შორაპანი.

„არგვეთის ტერიტორიის გეოგრაფიულ კუთვნილებაზე ცნობები შემონახულია ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ლეონტი მროველის მიხედვით არგვეთის მხარე ფარნავაზიდან (ძვ.წ. IV-III სს) მოყოლებული ქართლის შემადგენლობაშია. ძველი ქართული ისტორიული ტრადიციით, აქ ჯერ კიდევ ფარნავაზმა დასვა ერისთავი და აქვე აღაშენა ციხეები - შორაპანი და დიმნა (ყაუხჩიშვილი ს. , 1965, გვ. 24). თუმცა, არქეოლოგიურად შესწავლილი შორაპნის ციხის უძველესი ნაშთები ძვ.წ. I საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება (ფარნავაზ II-ის მეფობის ხანა), რის საფუძველზეც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლეონტი მროველმა ორი ფარნავაზის (ფარნავაზ I და ფარნავაზ II) პიროვნების გაიგივება-გაერთიანება მოახდინა და რეალურად, ის მოვლენები, რომლებიც ძვ.წ. I საუკუნის მიწურულს მოხდა (ფარნავაზ II-ის დროს), ფარნავაზ I-ის (ძვ.წ IV-III) პოლიტიკურ საქმიანობას მიაწერა (ბრაგვაძე, 2021, გვ. 73). შორაპნის ციხის კუთვნილებაზე საინტერესოა ბიზანტიელი ავტორის, პროკოფი კესარიელის (VI ს) ცნობა, რომ სკანდა და სარაპანი (შორაპანი) ის ციხეებია, რომლებზეც იბერიასა და ლაზთა შორის არსებული საზღვარი გადიოდა (Procopius, Persian Wars, II. 29. 17-18; I. 13. 15; ყაუხჩიშვილი ს. , 1965, გვ. 185; Greatrex, 2022, p. 204)“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204-205).

იბერიის მისადგომების აღწერისას, შორაპნის (სარაპანას) ციხეს კოლხეთსა და იბერიას შორის საზღვრად ასახელებს სტრაბონი, რომელიც მას სასაზღვრო ციხესიმაგრედ იხენიებს (Strabo 11. 3. 4; ლორთქიფანიძე ო. , 2010, გვ. 205-208). სხვა ადგილას, კოლხეთისთვის მდინარე ფასისის სანაოსნოდ გამოყენებაზე საუბრისას, სტრაბონი აღნიშნავს, რომ მდინარე სანაოსნოდ გამოსადეგია სარაპანამდე (შორაპნამდე) (Strabo 11. 2. 17). ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ სტრაბონი ფასისად იხსენიებს მდინარე ყვირილას, რომელიც შორაპნის ციხესთან ჩამოედინება და მისი შენაკადია (ლორთქიფანიძე ო. , 2010, გვ. 87-88). სტრაბონის ცნობა შორაპნამდე ნაოსნობაზე კი იმის დასტურია, რომ მდინარეების ყვირილასა და ფასისის ხაზი, მართლაც მნიშვნელოვანი სანაოსნო-სავაჭრო მაგისტრალი იყო ანტიკური ხანიდანვე.

ჩანს, იბერიის საზღვრები ძვ.წ I საუკუნეში სწორედ შოპარნის ციხესთან, სკანდა-შოპანის ხაზზე გადიოდა. სავარაუდოა, რომ იბერია-კოლხეთის საზღვარმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ახ.წ. I საუკუნიდან და მან შედარებით დასავლეთითა და სამხრეთ დასავლეთით გადაიწია, რაც ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. ახ.წ. I საუკუნეში არგვეთი და შორაპნის ციხე ქართლის სამეფოს ნაწილად მიაჩნია ისტორიკოს მ. ბახტაძეს. მისი მოსაზრებით, ისტორიული არგვეთის ტერიტორია ქართლის სამეფომ ახ.წ. I-II საუკუნეების მიჯნაზე შეიერთა და დაკარგა ახ.წ IV საუკუნეში, ლაზთა სამეფოს გაძლიერების პარალელურად (ბახტაძე, 2003, გვ. 43). „იბერიის სამეფოს ტერიტორიებად მიაჩნია დღევანდელი საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონები არქეოლოგ იულონ გაგოშიძესაც (გაგოშიძე, 2007, გვ. 23). ზემო იმერეთში მდებარე მოდინახესა და რაჭაში მდებარე კვაშხიეთის იბერიისადმი მიკუთვნების საკითხს ამყარებს აქ გათხრილ მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც ემსგავსება იბერიის სამეფოს სხვა ძეგლებიდან (ბორი, ცხინვალი, არმაზისხევი, ბაგინეთი) მომდინარე მასალას. აქვე უნდა აღვნიშნოთ დაკრძალვის წესის მსგავსება (თავის დასვენება ვერცხლის ფიალაზე) მოდინახეს სამაროვანსა და ზღუდერისა და ჟინვალის მდიდრულ სამარხებს შორის (რამიშვილი რ., 2018, გვ. 88; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 7; რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 46; ნადირაძე, 1975, გვ. 70)“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204-205).

„იბერიის სამეფოს ტერიტორიულ ექსპანსიას კიდევ უფრო დასავლეთით ვარაუდობდა არქეოლოგი ზ. ბრაგვაძე. მისი მოსაზრებით, ახ.წ. II-IV სს-ში ქართლის შემადგენლობაში იყო არა მხოლოდ ქვემო და ზემო იმერეთი (მდინარეების ყვირილას, ძირულასა და ჩხერიმელას ხეობები. დღევანდელი საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული), არამედ მთლიანად აღმოსავლეთი კოლხეთი და მისი გარკვეული შიდა ოლქებიც (გურია-აჭარის ნაწილი) (ბრაგვაძე, 2021, გვ. 73-75). გურია-აჭარის ნაწილს იბერიის მეფის მორჩილებაში მყოფი ძიდრიტების განსახლების სავარაუდო ტერიტორიად მოაზრებდა ნ. ლომოური (ლომოური, 1968, გვ. 10). ნ. ლომოურისგან განსხვავებით, იბერიის სამეფოს ტერიტორიულ ექსპანსიას ზღვისპირა ოლქებამდე ზ. ბრაგვაძე იმით ხსნიდა, რომ II საუკუნეში ლაზთა

გარკვეული ნაწილი მას ფარსმან II-ის ქვეშევრდომად მიაჩნდა, რის დასტურადაც განიხილავდა ურეკის განძს, რომელიც იბერიის მატერიალურ კულტურასთან უფრო პოულობს მსგავსებას, ვიდრე კოლხეთის სხვა ძეგლებთან (ბრაგვაძე, 2021, გვ. 74). განსხვავებულ აზრს აფიქსირებს დევიდ ბრაუნდი, რომელსაც როგორც ურეკი, ისე კლდეეთი ლაზიკის ტერიტორიებად მიაჩნია. დ. ბრაუნდი ურეკის განძს კლდეეთის აღმოჩენებთან უძებნის პარალელებს, კლდეეთის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი აგრაფის პორტრეტულ გამოსახულებას ლაზ დიდგვაროვნად მიიჩნევს და მათ კოლხურ კულტურას უკავშირებს (ბრაუნდი, 2014, გვ. 290-291)“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204-205).

„იბერიის ტერიტორიული ექსპანსია შავ-ზღვამდე ახ.წ. I საუკუნის მიწურულს უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან, პლინიუსი I საუკუნის 60-70-იან წლებში აქ იბერების გავრცელებას არ იხსენიებს (Pliny, Naturalis Historia, VI, 11, 14; მელიქიშვილი, 1970, გვ. 526). თუმცა, მისვე ცნობით, აფსაროსის მიღმა არსებული მთები იბერიის სამეფოს ეკუთვნოდა (Pliny. NH. 6. 12). ახ.წ. II ს-ის დასაწყისში ეს ტერიტორიები რომ იბერიის სამფლობელოა, ამას რომაელი ავტორი, ფლავიუს არიანე ადასტურებს თავის პერიპლუსში (131 წ. საინსპექციო მოხსენება იმპერატორ ადრიანეს). მისი ცნობით, იბერიის საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ზღვამდე აღწევდა. ის ჭოროხის აუზის მიმდებარედ, რომაულ ციხეისიმაგრე აფსაროსამდე ასახელებს ძიდრიტებს, რომლებიც იბერიის მეფის მორჩილებაში იყვნენ (Arrian, Periplus, 11; მელიქიშვილი, 1970, გვ. 526). ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ახ.წ. II საუკუნეში ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ვარაუდობდა სამცხეს, აჭარას, კლარჯეთს და ლიხსიქითა არგვეთს გიორგი მელიქიშვილი (მელიქიშვილი, 1970, გვ. 527)“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 204-205).

გონიოს ციხის სამხრეთით, ქედზე აღმოჩენილი გონიოს განძი, ასევე მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭოროხის ხეობაში შესწვალილი ხელვაჩაურისა (კაპანდიბი) და მახოს გვიანანტიკური ხანის კომპლექსების მსგავსება (განსაკუთრებით ოქროს ბალთები და საკიდები) კლდეეთის, ურეკისა და მცხეთის არქეოლოგიური საგანძურის ნივთებთან, შესაძლოა, ახ.წ. II საუკუნის დასაწყისში ამ

ადგილებში მცხოვრებთა იბერიის სამეფოს მორჩილებაში ყოფნაზე მიგვანიშნებდეს. კომპლექსების ცალკეულ არტეფაქტებში იკვეთება როგორც ადგილობრივი, კოლხური, ისე იბერიული და რომაული კულტურების გავლენათა სინთეზი.

„ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიარებ მოსაზრებას გვიანანტიკურ ხანაში არგვეთის იბერიისადმი კუთვნილების შესახებ და ვფიქრობ, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების მდიდრული სამარხეული კომპლექსები ბორიდან, კლდეეთიდან, სარგვეშიდან, კვაშხიეთიდან, მოდინახედან, და შესაძლოა ციხისძირიდან და ურეკიდანაც, რომლებიც იბერიული, რომაული და ირანული კულტურების ელემენტების სინთეზს წარმოადგენს და პარალელელბს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან, იბერიის სამეფოს მატერიალური კულტურის ძეგლებია“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 205).

თუ გავითვალისწინებთ გვიანანტიკურ ხანაში არსებულ სავარაუდო პოლიტიკურ საზღვრებს, ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების გადანაწილება იბერიასა და კოლხეთის ტერიტორიაზე შემდეგნაირად წარმოგვიდგება: იბერიის სამეფოში საკვლევ მასალას ვხვდებით 21 არქეოლოგიურ ძეგლზე: არმაზისხევში, ბაგინეთში, სამთავროს სამაროვანზე, მცხეთაში (სვეტიცხოვლის ეზო), თბილისში (საბურთალო, ს. ეულის ქუჩა), ავჭალაში, არაგვისპირის სამაროვანზე, ჟინვალში, მაგრანეთში (ქუშანაანთ გორის სამაროვანი), ჭერმისხევში, ცხინვალში, აღაიანში (რიყიანების ველი სამაროვანი), ხოვლეში, ურბნისში, ზღუდერში, სარგვეშში, ბორში, კლდეეთში, კვაშხიეთში, გომში (რაჭა) და მოდინახეს ციხეზე. კოლხეთის ტერიტორიაზე კი გვხვდება ვერცხლის ჭურჭელი აღმოჩენილი 10 არქეოლოგიურ კომპლექსში: ბიჭვინთაში (პიტიუნტი), სოფლებში შუბარა და აჩმარდა (აფხაზეთი), თაგილონში, ბანძაში, ციხისძირში, ურეკში, გონიოში, ხელვაჩაურსა (კაპანდიბი) და ხაიშში (სვანეთი) (ტაბ. 2. და ტაბ.3).

დიაგრამა 1. *ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების რაოდენობა იბერიასა და კოლხეთში. რაოდნეობრივი დიაგრამა.*



2.2. არქეოლოგიური კომპლექსები იბერიიდან

ახ.წ. I-IV საუკუნეებში იბერიის სამეფოს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგური კომპლექსები წარმოდგენილია შემდეგ ლოკაციებზე: არმაზისხევი, ბაგინეთი, სამთავრო, მცხეთა (სვეტიცხოველი), არაგვისპირი, ახალი ჟინვალი, მაგრანეთი, აღაიანი, ხოვლე, ცხინვალი, ზღუდერი, ურბნისი, სარგვეში, ბორი, კლდეეთი, კვაშხიეთი, მოდინახე, გომი, ჭერემი, ავჭალა, თბილისის ს. ეულის ქუჩაზე (ტაბ.2). თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლებიდან მომდინარე მასალა მდიდრულ სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს, რომელთა ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული, ნაწილი კი დაზიანებული და გაძარცვული სამარხების მასალა ან შემთხვევითი აღმოჩენაა. ქვემოთ მოცემულია თითოეული კომპლექსის მოკლე აღწერა. აღწერას ვიწყებთ ქართლის დედაქალაქის, მცხეთის

არქეოლოგიური ძეგლებიდან, შემდეგ კი გეოგრაფიული თვალსაზრისით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მივუყვებით.

1. არმაზისხევი (ტაბ. 4-6). არმაზისხევის აღმოჩენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს წარსულის კვლევაში. აქ გამოვლენილი მასალები გვიანანტიკური ხანის იბერიის მმართველი ფენის ყოფა-ცხოვრების, კულტურის, რწმენა-წარმოდგენებისა და ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და მოდური მისწრაფებების, მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და დიპლომატიური ურთიერთობების შესწავლაში პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს.

არმაზისხევის არქეოლოგიური კვლევა 1937 წელს დაიწყო და ეტაპობრივად დღემდე გრძელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პიტიახშთა სამაროვანი, 1930-იანი წლების მიწურულსა და 1940-იანი წლების დასაწყისში იქნა შესწავლილი. აქ გამოვლენილია სულ 144 სამარხი, აქედან 123 ძირითად უბანზე. ყველა სამარხი ინჰუმაციურია. ზოგი მათგანი წარმოადგენს ორმოსამარხს, ზოგი კი ქვით ან კრამიტით ნაგებ სამარხ ყუთებს. მეორადი დაკრძალვა მხოლოდ N3 (ბერსუმა პიტიახშის) სამარხშია დაფიქსირებული. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ ერისთავთა სამარხები, რომლებიც ახ.წ. II-III საუკუნეებითაა დათარიღებული. გათხრილია სულ ერისთავთა ექვსი მდიდრული სამარხი (NN: 1, 2, 3, 6, 7, 9). თითოეულ სამარხში აღმოჩენილი ცალკეული ნივთი მნიშვნელოვანია, თუმცა, მათი ჩამოთვლა და დეტალური აღწერილობა შორს წაგვიყვანს. ყურადღებას გავამახვილებთ ვერცხლის ჭურჭელზე და იმ რამდენიმე არტეფაქტზე, რომელიც სამარხის თარიღისა და კუთვნილების განსაზღვრაში დაგვეხმარება.

სამარხი N1 ქვის მასიური ფილებისგან იყო შედგენილი. მიცვალებული თავით დასავლეთით ესვენა. სავარაუდოდ დასვენებული იყო ზურგზე გაშოტილი. სამარხში აღმოჩნდა: რკინის სატევარი და მისი ოქროს მოთვალული ქარქაში; ოქროს მოთვალული დიადემა, სარტყლის აბზინდა და ბალთები (პორტრეტიანი გემებით, რომელთაგან ერთზე ქალისა და კაცის პორტრეტია და წარწერა - „ზევახ - სიცოცხლე ჩემი - კარპაკი“); ოქროს საბეჭდავი ბეჭედი მამაკაცის პორტრეტითა და წარწერით „ასპარუკ პიტიახში“; ოქროს სამაჯურები, მძივები, საკიდები, ღილები და კილიტები;

ვერცხლის სარკე, ვერცხლის აბზინდები და დუგმები; ვერცხლის სარეცლის ფეხის 4 გარსაკრავი და კოლოფი; ბრინჯაოს ბალთები და აბზინდები; რკინის დანისპირები; მინის ჭურჭელი, პასტისა და ქვის მძივები; შვიდი ერთეული ვერცხლის ჭურჭელი და მონეტები (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 33-37).

ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: 1. პინაკი ცენტრალურ მედალიონში ანტინოეს რელიეფური პორტრეტით (ტაბ.5: სურ. 1); 2. სადაზედაპირიანი პინაკი, ფორმით მსგავსი ანტინოეს პორტრეტიანი პინაკისა; 3. კონუსური, სადაზედაპირიანი პინაკი; 4. ორყურა ჯამი (ტაბ.5: სურ. 2); 5 კიდევ ერთი ვერცხლის ორყურა ჯამი; 6-7. მსხლისებური მოყვანილობის მაღალ ქუსლიან ფეხზე შემდგარი, ცალყურა, სამ კომპონენტიანი ყურით შემკული ორი ანალოგიური სურა (ტაბ. 5: სურ. 3) (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 22-40).

სამარხში აღმოჩენილი მონეტებია: ერთი ავგუსტუსის დინარი და ექვსი რომაული აურეუსი: ტიტესი (79-81); ტრაიანესი (98-117); ოთხი კი ადრიანესი (117-138). მონეტებისა და სამარხეული მასალის მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზით, სამარხი N1 ახ.წ II საუკუნის შუა ხანებით ან მეორე ნახევრითაა განსაზღვრული (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 39-40).

სამარხი N2 წარმოადგენდა მდიდარი ქალის ქვასამარხს, რომელიც ბავშვთან ერთად იყო დაკრძალული. ძვლები ცუდადაა შემორჩენილი, თუმცა, ჩანს, მიცვალებულნი თავით დასავლეთით, მოკრუნჩხულ პოზაში დაუკრძალავთ. ინვენტარი მდიდრულია და შეიცავს: ოქროს ბეჭდებს; საყურეებს; რგოლებს; ღილ-საკინძებს; სამაჯურსა და გულსაკიდს; საავგაროზეს; მონეტებს; სასანური პორტრეტით შემკულ ვერცხლის პინაკსა და დუგმას (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 40-46).

ვერცხლის პინაკი ძალზე მნიშვნელოვანი ნივთია. რელიეფური ბურცობებით დაფარული ჭურჭლის ცენტრალურ მედალიონში გამოსახულია სასანიდი დიდებული ხელში შროშანის ყვავილით (ტაბ.5: სურ. 4). ჭურჭლის გარედან პუნსონით დატანილი არამეული წარწერაა *„პაპაკ პიტიახში, ძე ღვთაებრივი*

არდაშირისა, ღვთაებრივი პაპაკის ძისა.“[2] ლანგარზე და მის წარწერაში, ისტორიული ფიგურა, პაიკულის წარწერაში მოხენიებული პაპაკ პიტიახში უნდა იყოს გამოსახული, რომელიც ნარსეს თანამედროვეა (269-302 წწ). შესაბამისად, ლანგარი III საუკუნის მეორე ნახევრით, თარიღდება. ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე ლანგარს დეტალურად ნაშრომის IV თავში, სოციალური ატრიბუციის ქვეთავში განვიხილავთ.

სამარხში შემდეგი მონეტები აღმოჩნდა: ოთხი აურეუსი: ორი ცალი სეპტიმუს სევერუსის (193-211); ერთი ცალი ფილიპე უმცროსის (247-249); ხოლო ერთიც ვალერიანესი (253-260). მონეტების, ვერცხლის ვერცხლის პინაკის წარწერისა და სხვა ნივთთა ანალიზის მიხედვით, სამარხი N2 ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებით ან მეორე ნახევრით იქნა დათარიღებული (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 46). ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება თუ სამარხის თარიღს ახ.წ 260-290-იანი წლებით განვსაზღვრავთ.

სამარხი N3 წარმოადგენდა ქვაყუთს, რომელშიც მეორადი დაკრძალვა იქნა დაფიქსირებული. სამარხში ძვლები ვერცხლის ლანგარზე ელაგა, ხოლო დაშლილი სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები ერთ კუთხეში მიეწყოთ. სამარხეული ინვენტარით და მასში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული მასალით ირკვევა, რომ აქ, სავარაუდოდ, ბერსუმა პიტიახში ყოფილა დაკრძალული (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 46-47). სამარხის ატრიბუციაზე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, რომელზეც სოციალური ატრიბუციის თავში განვიხილავთ. სამარხეული ინვენტარი შემდეგნაირია: ოქროსტარიანი რკინის სატევარი; ოქროს საყურეები; ბეჭედი; მიცვალებულის საშუბლე გვირგვინი; საკიდები; მონეტები; კილიტები; მინის ჭურჭელი; ძვლის ნივთი; ქვისა და პასტის მძივები; სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები და ვერცხლის ჭურჭელი (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 46-59).

ვერცხლის ჭურჭელი ძალზე საინტერესო ერთეულებითაა წარმოდგენილი: 1. მასიური მრგვალი ლანგარი, რომლის შუაგულში ამოკვეთილია წრეში ჩასმული

[2] ეს წარწერის წაკითხვის მხოლოდ ერთი ვარიანტია. დეტალურად განხილულია ნაშრომის მესამე თავში.

ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო კიდეებზე ლამაზი ორნამენტირებული არშია შემოუყვება (ტაბ.5: სურ. 5). ლანგრის ქვემოთ, გარედან, ქუსლის შიდა მხარეს პუნსონით დატანილი, მაღალი ხარისხით შესრულებული ბერძნული წარწერაა *„მე, მეფე ფლავიუს დადესმა ვაჩუქე [ეს ლანგარი] ბერსუმა პიტიახშს.“* ლანგარზე და წარწერაზე, მასში დასახელებულ ისტორიულ პირებზე სოციალური ატრიბუციის თავში ვისაუბრებთ; 2. ქუსლიანი, ღრმა პინაკი ტალღისებური გოფრირებული ზედაპირით, ცენტრალურ მედალიონში საკურთხევლის წინაშე მდგარი ტორაწეული ცხენის გრავირებული და მოოქროვილი ორნამენტით (ტაბ. 6: სურ. 2); 3. კიდევ ერთი პინაკი მსგავსი წინა პინაკისა, ტალღოვანი ორნამენტებით შემკული კალთებითა და ცენტრში ცხენისა და საკურთხევლის მსგავსი გამოსახულებით (ტაბ. 6: სურ. 2);[3] 4. რელიეფური და ჩაღრმავებული ღარებით დაფარული ზედაპირიანი ვერცხლის პინაკი ცენტრალურ მედფალიონში ორბის (ან არწივის?) ფიგურით (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 52-59).[4]

N3 სამარხში აღმოჩენილი ოქროს აურეუსებია: ორი ცალი გორდიანე პიუსის (238-244); სამი ცალი ფილიპე უფროსის, არაბის (244-249); ერთი ცალი ტრაიანე დეციუსის (249-251) და ერთიც ჰოსტილიანესი (251). როგორც ჩანს მონეტები ოთხი იმპერატორის უწყვეტი მმართველობის დროსაა მოჭრილი. ყველაზე გვიანდელი ჰოსტილიანეს მონეტაა 251 წლის. სავარაუდოდ, სამარხი N3 250-იან წლებში უნდა იყოს გამართული (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 59).

სამარხი N6 ბერსუმა პიტიახშის სამარხის გვერდითვე აღმოჩნდა თუმცა, დაახლოებით, 1 მეტრით უფრო ღრმად, რაც (ინვენტართან ერთად) გვაფიქრებინებს, რომ უფრო ადრეული სამარხია. ეს იყო მთლიან ქვაში ამოკვეთილი სამარხი ყუთი, ზემოდან გადახურული მთლიანი ქვის ფილით, ჰერმეტულად დახურული. ძვლები ძალზე ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, პოზის გარკვევა რთულია, თუმცა, მიცვალებული თავით დასავლეთით ესვენა. სამარხეული ინვენტარი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მდიდრულია: ოქროს მდიდრული ყელსაკიდი, დიადემა, ორი წყვილი სამაჯური, წყვილი სამკლაური და საწვივე რგოლი; სამი წყვილი საყურე;

[3] ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებიანი პინაკები ჩვენთვის ცნობილია ბორიდან, არაგვისპირიდან და ზღუდერიდან.
[4] მსგავსია არაგვისპირის N9 სამარხის პინაკის.

ცხრა ბეჭედი; მედალიონი; სამი საავგაროზე; ას სამოცამდე საკიდი; დიდი რაოდენობით პირადი მოხმარების ნივთებისა და ტანსაცმლის აქსესუარები; მძივები; ოქროს ხუთი და ვერცხლის თექვსმეტი მონეტა; ვერცხლის სარეცლის ფეხის გარსაკრავები; ვერცხლის ჭურჭელი; სასანთლე; ლაგამი; ბალთები; რკინის დანა; მინის ჭურჭლის ნამტვრევები; ბრინჯაოს ნივთები; ქვის ლამბაქი; ფეხსაცმლის ლანჩები და სხვა ძვირფასი ნივთები (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 63-82).

ვერცხლის ჭურჭელი შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი: 1. მაღალი ხარისხის ვერცხლის პინაკი ცენტრალურ მედალიონში ტიხე-ფორტუნას მაღალ რელიეფური (ცვილის მოდელზე დამზადებული) ფიგურით, ხელში სიუხვის ყანწით (ტაბ. 6: სურ. 3); 2. სადაკალთებიანი პინაკი ცენტრალურ მედალიონში დარჩილული წვეროსანი მამაკაცის მკერდმოშიშვებული, მოსასხამიანი ვერცხლის ბიუსტით (ცვილის მოდელზე მიღებული). მამაკაცს ხუჭუჭა, მეტ-ნაკლებად მოკლე თმა აქვს (ტაბ. 6: სურ. 4)[5]; 3. ვერცხლის პატერა ვერძის თავის სკულპტურიანი ყურის დაბოლოებით.[6] ზედაპირზე ფარშევანგების და ვაზის ფოთლის ორნამენტებით; 4-5. კვერცხისებური მოყვანილობის ტანის ორი ანალოგიური სურა, რომლებსაც თავის დროზე ფეხი და ყური უნდა ჰქონოდათ, თუმცა სამარხში ჩატანებისას უკვე აღარ (ტაბ. 6: სურ. 5) (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 74-78).

უნდა აღინიშნოს, რომ სამარხში ჩატანებული ოქროს ბეჭდები ძირითადად ძვირსფასთვლიანი გემებითაა შემკული და ზოგიერთ მათგანზე წარმოდგენილია პორტრეტული გამოსახულებები ან/და წარწერები. მაგალითად, ერთ ბეჭედზე ნეგატიურად ამოკვეთილია ბერძნული წარწერა, სახელი „ზევახი“. ეს ზევახის საბეჭდავი ბეჭედი უნდა იყოს. სახელი ზევახი ამ ბეჭედზე მესამედ იხსენიება. ერთხელ სამარხ N1-ში ასპარუგის სარტყლის ბალთის გემაზე, მეორედ კი არმაზის ბილინგვაში („მე [ვარ] სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ზევახისა, ფარსმან მეფისა...“). აქედან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამარხი N6

[5] აღნიშნულ პინაკს, ტიხე-ფორტუნას პინაკთან ერთად სოციალური ატრობუციის თავში განვიხილავთ.
[6] აღსანიშნავია, რომ პატერები ძირითადად ბრინჯაოსგან მზადდებოდა და საქართველოშიც ძირითადად ბრინჯაოს პატერებია აღმოჩენილი (სამთავრო, ბაგინეთი, კლდეეთი, დედოფლის გორა). ვერცხლის პატერა მხოლოდ არმაზისხევში და კლდეეთში ფიქსირდება.

ისტორიული პირის ზევახის ოჯახის წევრის, დიდი ალბათობით ქალის, განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს (ნივთებიდან და საკმაულიდან გამომდინარე).

სამარხში აღმოჩენილი მონეტები წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: ხუთი რომაული აურეუსი: ნერონის (54-68); გალბასი (68-69); ადრიანესი (117-138); ანტონინე პიუსისა (138-161); კომოდისა (180-192). თექვსმეტი ვერცხლის მონეტა: გოტარზეს (40-51) ცხრა დრაქმა; ავგუსტუსის დინარი; გოტარზეს დრაქმებისა და ავგუსტუსის დინარების ნატეხები (ექვსი ცალი). ნუმიზმატიკური მასალით N6 სამარხი ახ.წ. II საუკუნის მიწურულითაა დათარიღებული (სამარხის terminus post quem ახ.წ. 180 წლით, კომოდის აურეუსით უნდა განისაზღვროს) (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 73-74).

სამარხი N7 ორფერდა სახურავიანი ქვის სარკოფაგია, რომელშიც დაკრძალული იყო ერთი ადამიანი. მიცვალებული სავარაუდოდ მარჯვენა გვერდზე ესვენა, მოკრონჩხული, თავით დასავლეთით. სამარხეულ ინვენტარში გამოირჩევა: ოქროს სამკაულები (დიადემა, სამჯურები, საყურეები, საკიდები, ვარდულები, კილიტები); ოქროს ყელსაბამი (ძალზე რთული და მაღალმხატვრული ნივთი ძვირფასი ქვებით შემკული, ვერძისთავიანი მინიატურული ყუთით, რომელშიც ბავშვის კბილების ნაშთები აღმოჩნდა და სანელსაცხებლე მინიატურული ჭურჭლით); ძვირფასთვლიანი კამეოებიანი ოქროს ექვსი ბეჭედი და შვიდი მონეტა; ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი; ქვის ნივთები და მძივები (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 82-97).

ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: 1. პინაკი გარედან შიგნით ამოღარული ვაზის ფოთლებისა და მტევნების ორნამენტებით (ტაბ. 6: სურ. 6). 2-3. ვერცხლის ანალოგიური სურები კვერცხისებური მოყვანილობის ტანით, მაღალ ქუსლზე, სამკომპონენტიანი ყურით (ტაბ. 6: სურ. 7). ამ სურებს ბორის, კლდეეთის, ნიჩბისის სამთავროს ვერცხლისა და ბრინჯაოს სურებისგან ის განასხვავებს, რომ პირზე მისივე ფორმას მორგებული სარქველები აქვს მიმაგრებული, რომელიც ყურთან მოძრავ მექანიზმზეა დამაგრებული და

პორტატულ სარქველს წარმოადგენს (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 95-97).

სამარხში აღმოჩენილი მონეტებია: შვიდი აურეუსი: ორი ცალი ნერონის (54-58); თითო ცალი ანტონინე პიუსის (138-161), ფაუსტინა უფროსისა (138-141) და ფაუსტინა უმცროსის (161-175) და ორი ცალიც მარკუს ავრელიუსის (161-180). სამარხი N7 II საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს, ისევე როგორც სამარხი N6 (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 97).

სამარხი N9 წარმოადგენს ქვის ფილებით შედგენილ ქვაყუთს, რომელშიც შვიდი-რვა წლის მოზარდი იყო დაკრძალული. ბავშვი მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთით დაუსვენებიათ. მისთვის ჩატანებული ინვენტარი მცირერიცხოვანი, თუმცა მდიდრულია და გვაფიქრებინებს, რომ ბავშვი ერისთავთა ოჯახის წევრია. ინვენტარი წარმოდგენილია: ოქროს სამაჯურებით, საყურეებითა და საშუბლე გვირგვინით; საავგაროზე საკიდებით; ოქროს ერთი და ვერცხლის ოთხი მონეტით; მინის შვიდი ჭურჭლით; მოჭიქული თიხის ჭურჭლითა და ვერცხლის ცალყურა ქილისებური კათხით.

ვერცხლის ჭურჭლის ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა და ტანი მთლიანად ტალღისებური, ჩაღარული კანელურებითაა დაფარული (ტაბ. 6: სურ. 8). მუცელზე მირჩილულია ბრტყელი ოვალის მოყვანილობის ყური (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 98-102).

სამარხში აღმოჩენილი მონეტებია: ფაუსტინა უფროსის აურეუსი (138-141); და ოთხი ავგუსტუსის დინარი. სამარხი N9 ახ.წ II საუკუნის შუა ხანებით ან მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 102).

2. ბაგინეთი. კლდეკარის სარკოფაგი (ტაბ. 7). 1946 წელს, ბაგინეთში, დედაციხის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა ორფერდსახურავიანი ქვის სარკოფაგი. აღმოჩენის ადგილი, ისევე როგორც სამარხეული ინვენტარი, ხაზს უსვამს, რომ განსვენებული აშკარად, სამეფო ოჯახის წარმომადგენელია. სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ 7-8 წლის ბავშვის კბილები. სარკოფაგი მდიდრულ ინვენტარს შეიცავდა: სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (ოთხი ცალი); ვერცხლის სარკეები;

ოქროს ყელსაბამები; ოქროს სამაჯურები; ოქროს თვლიანი ბეჭდები; ოქროს ბალთები, დუგმები, კილიტები და ხვიები; ქსოვილის ნაშთები; მინის სანელსაცხებლე; ვერცხლის ჭურჭელი და მონეტები. ნუმიზმატიკური მასალა შემდეგნაირია: რომაული დინარები ავგუსტუსის, ტრაიანესი (98-117), ადრიანესი (117-138), ფაუსტინა უფროსის (141); ხოლო აურეუსები იმპერატორ ვესპასიანესი (69-79), ტიტესი (79-81) და ადრიანესი (117-138) (აფაქიძე გ. , 1973, გვ. 59-65).

სარკოფაგის მასალის ჭურჭელი მაღალმხატვრული ღირებულებისაა და რომაული ტორევტიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. კოლექცია შემდეგნაირია: 1. პინაკი ცენტრალურ მედალიონში მოოქროვილი წვეროსანი მარკუს ავრელიუსის ბიუსტით (ტაბ. 7-ა); 2. ჯამი ძირზე გარედან პუნსონით დატანილი არმაზული წარწერით (ტაბ. 7-ე); 3. დიდი ზომის ცალყურა, ქილისებური მუცელგაბერილი ჭურჭელი; 4. ვერცხლის დაბალქუსლიანი ფიალა, შიდაპირი დაფარულია ვაზის მტევნებისა და ფოთლების რელიეფური ფიგურებით (მსგავსი არმაზისხევისა) (ტაბ. 7-გ); 5. ცილინდრულტანიანი ორყურა თასი, გარე ზედაპირი შემკული გრეხილი სამკაულებით, ფარებისა და ბახუსის ლენტებიიანი კვერთხების მონაცვლეობით. ძირზე გარედან პუნსონით დატანილია არმაზული წარწერა; 6. ვერცხლის ნახევარსფერული, დაბალქუსლიანი, ორმაგკედლიანი ჯამი, ზედაპირზე რელიეფური რიტუალური დიონისური და ნადირობის სცენებით. ძირზე გარედან ამოკაწრული არმაზული წარწერით (ტაბ. 7-დ); 7. პატარა და ბრტყელი ლამბაქი. მისი პირი შემკულია ღუზის, თევზების, ზღვის ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. გარედან ძირზე არმაზული წარწერაა დატანილი (ტაბ. 7-ვ); 8. ვერცხლის პატარა ჯამი, დაბალი პირფართო, ორმაგკედლიანი, ქუსლიანი. გარეთა მხრიდან მხარზე დაფარულია ხშირი რელიეფური ღარებით, პირი შემკულია სტილიზებული მცენარეული სამკაულით, ძირზე მკრთალი ნაკაწრი ხაზებია (წარწერა?); 9. დაბალქუსლიანი, პირფართო პინაკი, რომლის ზედაპირი გლუვია და შემკულია მხოლოდ მედალიონი და ბრტყლად გადაშლილი ნაპირები (თევზების, მედუზების, ნიჟარების, წყლის ფრინველების გამოსახულებით). ძირზე გაურკვეველი წარწერაა (ტაბ. 7-ბ). 10. ვერცხლის ჩამჩა ნახევარსფერული, რგოლით დამთავრებული მავთულის ტარით (ტაბ. 7-ზ); 11. ჩამჩა, წინას მსგავსი ოღონდ

მომცრო; 12. კოვზი ფოთლისებრი პირით, იხვის თავის სტილიზებული ტარის დაბოლოებით, ტარის ქვედა მხარეს არმაზული წარწერით (ტაბ. 7-ზ) (აფაქიძე გ. , 1973, გვ. 59-61).

აღნიშნული ნივთები ძირითადად, ახ.წ I-II საუკუნეების ნაწარმია და პარალელები ეძებნება რომის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვადასხვა ტორევტიკულ ნიმუშებთან. ამასთანავე, ეს ნივთები პარალელებს პოულობს არმაზისხევის, სამთავროს, ზღუდერის ბორის, კლდეეთისა და სხვა სამარხეულ კომპლექსებთან. განსხვავებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აქ წარმოდგენილი ნივთები უმეტესწილად რომაული იმპორტია. ბაგინეთის მასალაში განსაკუთრებით საინტერესოა მარკუს ავრელიუსის ბიუსტით შემკული ვერცხლის ფიალა, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის პირდაპირი სამხილია და რომელზეც სოციალური ატრიბუციის თავში გავამახვილებთ ყურადღებას.

სამარხის ქვედა თარიღს, 141 წელს, გვაძლევს ფაუსტინა უფროსის ვერცხლის დინარი, ხოლო ზედა ზღვარი შესაძლოა II ს-ის მეორე ნახევრიდან ახ.წ III საუკუნის I ნახევრით განისაზღვროს (აფაქიძე გ. , 1973, გვ. 65).

3. სამთავრო. აკლდამა 905 (ტაბ. 8: სურ. 1). 1985 წელს, მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე, გამოვლინდა მდიდრული აკლდამა N905. აკლდამა ნაგები იყო ქვიშაქვის ფილაქვებით, ჰქონდა ორფერდა სახურავი. სამარხში ორი მიცვალებული აღმოჩნდა. ხელფეხმოკეცილი, ერთამენთის პირისპირ დასვენებული 25-30 წლის ქალი და 45-50 წლის ინდივიდი (სავარაუდოდ ქალი) (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 8-9).

აკლდამაში ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს რკინის, მინისა და სხვა მასალისგან დამზადებული სულ ოცდათორმეტი დასახელების ნივთი აღმოჩნდა: ბრინჯაოს პატერა და საღვინე; ნაირი სახებიით დაფარული ვერცხლის კოლოფი; ვერცხლის სარკე დიონისეს და არიადნეს გამოსახულებით; ვერცხლის ცამეტი ერთეული ჭურჭელი; ვერცხლის ხუთი აბზინდა; რკინის ლამპარი და ლურსმანი; ბრინჯაოს სამი ზარაკი და ორი მძივი; ოქროს ხუთი მასიური ბეჭედი; ორი წყვილი საყურე მარგალიტებით; ყელსაბამი ძეწკვი; სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები (პასტის, ტალკის, მინის, ქარვის, გიშრის და სხვ.); კილიტები; აქატის ორი ამფორისკი

სანელსაცხებლე; აქატის ლამბაქი; ქალცედონის და ქვის საბეჭდავები; ოქროს სამი და ვერცხლის ოცდათერთმეტი მონეტა (აფაქიძე & ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 9).

ვერცხლის ჭურჭელი შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი: 1. მრგვალი ფრიალო და გადაშლილი ლანგარი პირზე შიგნიდან რელიეფურ წერტილებიანი სარტყელით. ძირზე, ქუსლის გასწვრივ, შიგნიდან წერტილოვან პართულ წარწერაში უფლისწული სახელად ტირიდატი იხსენიება.[7] ჭურჭელს განვიხილავთ სოციალური ატრიბუციის თავში (ტაბ. 8: სურ. 1-ა); 2. წაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობის მოოქროვილი პატარა ზომის ლანგარი. ნაპირები და კუთხეები ყვავილის ფოთლისებური დეტალებითაა გაფორმებული, ხოლო პალმეტებით შემკული სახელურები ამძვრალია (ტაბ. 8: სურ. 1-დ). ძირზე ქუსლის გასწვრივ ერთსიტყვიანი ბერძნული წარწერაა(?) ამოკაწრული; 3. ძლიერ დაზიანებული სინი, რომელსაც ფორმით პარალელები არ მოეძებნება საქართველოს სხვა გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე; 4. სურა ოვალური ტანით, ბრტყელნისკარტიანი, სამტუჩა, ორწილადი ფიგურული ყურით (ტაბ. 8: სურ. 1-ბ); 5. ზემოთ აღწერილი სურის ანალოგიური. ჩანს სამარხში წყვილი სურა იყო, რომლებიც მსგავსია ასპარუგ ერისთავის სამარხში აღმოჩენილი სურებისა. 6. პინაკი გარედან შიგნით რელიეფურად ამობურცული მცენარეული და ოთხი კვერცხისმაგვარი ბურცობებით (ტაბ. 8: სურ. 1-გ). ძირი გარედან გაშლილი ყვავილის სახეებითაა შემკული; 7. მეორე ანალოგიური პინაკი, უფრო მეტად დაზიანებული; 8. ომფალოსიანი პინაკი, დაქანებული ღრმა კალთებით. შიდაპირი დაფარულია ტალღისებური ირიბი გოფრირებული ხაზებით. ომფალოსის ცენტრში გაშლილი ხუთფურცლოვანი ყვავილია ამოკვეთილი; 9. მომცრო, ღრმა ჯამი, ძირზე გამოსახულია ვარდული, პირთან ამოღარული სარტყელი, კედლები სადა; 10. ვერცხლის ჯამი ზემოაღწერილის ანალოგიური; 11. მაღალქუსლიანი და ორყურა თასი, ძირი ჩადგმულია ქუსლში. ყურები სამნაწილიანია, გედის თავის გამოსახულებიანი და ორნამენტირებული[8] (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ის რომაული იმპორტი, რომელიც სამარხში გვიან აღმოჩნდა); 12. ოვალური კოვზი, გედის თავ-ყელის დაბოლოებიანი ტარით; 13. კოვზი მრგვალი ჯამით, წაწვეტებული გრძელი ტარით.

[7] აღნიშნული ლანგარის მსგავსია ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილი ლანგარი, რომელსაც ამკობს ბერძნული წერტილოვანი წარწერა.

[8] მსგავსი ყურები აღმოჩენილია ბაგინეთში, ციხისძირში და ურეკში.

ორივე კოვზი დამახასიათებელია რომაულ ტორევტიკისთვის (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 13-20).[9]

გარდა ვრცხლის ჭურჭლისა, სამარხში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი გლიპტიკური და ნიმუზმატიკური მასალა, რომლებიც დათარიღებაში გვეხმარება. მონეტები: ტრაიანეს დინარი (98-117 წწ) მოჭრილი კაპადოკიის კესარიაში; ავგუსტუსის დინარი, მოჭრილი ძვ.წ. 2 - ახ.წ 11 წელს გალიის ზარაფხანაში; კიდევ თოთხმეტი ცალი ავგუსტუსის დინარ; გოტარზეს (41-51 წწ) დრაქმა თხუთმეტი ცალი; ნერონის (54-68 წწ) ორი ცალი აურეუსი, მოჭრილი 64-68 წწ. რომის ზარაფხანაში; ადრიანეს აურეუსი, მოჭრილი 125-128 წწ. რომის ზარაფხანაში (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 20-21). გლიპტიკა: ოქროს ბეჭედი მამაკაცის პორტრეტიანი კამეოთი, მსგავსი არმაზისხევის სამაროვნის ბეჭდების; ოქროს ბეჭედი ბავშვის გამოსახულებიანი ამეთვისტოს კამეოთი; ოქროს ბეჭედი ქალის გამოსახულების კამეოთი (შესაძლოა საქმე გვქონდეს რეალურ პორტრეტებთან); ინტალიო ათენას გამოსახულებით, ქალღმერთ ჰიგიას პორტრეტიანი ინტალიო.

ა. აფაქიძე და ვ. ნიკალაიშვილი სამთავროს N905 აკლდამას ახ.წ II საუკუნის მეორე ნახევრითა და III საუკუნის დასაწყისით ან შუა წლებით ათარიღებენ, სამარხში წარმოდგენილი მონეტებისა და ნივთების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ფაქტია, რომ განსასვენებული იბერიის სამეფო ოჯახის, სამეფო სახლის წარჩინებული პირები იყვნენ (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 41).

სამთავრო. სამარხი N212 **(ტაბ. 8: სურ. 2)**. სამთავროს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე შესწავლილ სამარხებს შორის, ვერცხლის ჭურჭელი ასევე აღმოჩნდა სამარხ N212-ში (1940 წელს). აღნიშნულ სამარხში გამოვლინდა ვერცხლის თასი, ვერცხლის თეფში და ორი კოვზი (ერთი ოვალური ირმის ჩლიქის დაბოლოებით, ხოლო მეორე მრგვალი წვრილი ტარით) (Иващенко, 1980, გვ. 108, ტაბ. 323-325). კოვზებს უახლესი პარალელები ეძებნებათ ახ.წ. I საუკუნის ნაწარმთან (Поповић, 1994, გვ. 264-265).

[9] ანალოგები აღმოჩენილია სამთვროში, ბაგინეთში, ურბნისში, ბორში, ზღუდერში, სარგვეშში, ურეკში. თარიღი ახ.წ I-III სს.

სამარხში აღმოჩნდა 16 ცალი ვერცხლის მონეტა, თუმცა მონეტების განსაზღვრის საკითხი ნაშრომში განვრცობილი არ არის (Иващенко, 1980, გვ. 92, 123, ცხრილი 21).

4. მცხეთა. სვეტიცხოველი (ტაბ. 9). 1879 წელს, სვეტიცხოვლის გალავნის მიწის სამუშაოებისას აღმოჩნდა ვერცხლის ჭურჭლის სახოვანი ყურები და მინის ჭურჭლის ნატეხები. ნივთები, რომლებიც სავარაუდოდ სამარხის ინვენტარს წარმოადგენდა, 1902 წელს კავკასიის მუზეუმისთვის გადაუციათ. ის თავდაპირველად ს. მაკალათიამ შეისწავლა, მოგვიანებით კი ა. ამირანაშვილმა და კ. მაჩაბელმა. ვერცხლის ყურზე გამოსახულია კვარცხლბეკზე მდგომი ჭაბუკი, თავზე ქუდით, მოსასხამით, ჯოხზე მიყრდნობილი. მისგან ორივე მხარეს, ხვეულ წრეში, როზეტებია გამოსახული. კვარცხლბეკის ერთ მხარეს მოცემულია ტახის თავი, მეორე მხარეს კი უცნობი ნივთი. ყურის ბოლოებში დატანილია გედის თავის ფიგურები. ს. მაკალათია კომპოზიციას ღვთაება მითრას უკავშირებს, ხოლო, ა. ამირანაშვილი და კ. მაჩაბელი მელეაგროსს (მაკალათია, 1927, გვ. 190-191; Мачабели, 1976, გვ. 56-57). კ. მაჩაბელს აღნიშნული ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები ახ.წ. II-III საუკუნეებით აქვს დათარიღებული და რომაულ იმპორტად მიაჩნია (Мачабели, 1976, გვ. 57-58).

5. ავჭალა (ტაბ. 10). 1923-1924 წლებში, ზემო ავჭალაში, ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობისას არხის გაჭრის დროს რამდენიმე ქვის ალკდამა[10] აღმოჩნდა. აკლდამების მდიდრული სამარხეული ინვენტარი გაიძარცვა და მათი მხოლოდ ნაწილბრივ შეგროვება მოხერხდა, რომელიც 1924 წელს ეროვნულ მუზეუმს გადაეცა. აღმოჩენების შესახებ პირველი ცნობები ს. მაკალათიას ეკუთვნის (მაკალათია, 1928, გვ. 173-177). მისი ინფორმაციით, სამარხი N1 დიდქრონი ქვებთ ნაგები აკლდამა იყო, რომელშიც აღმოჩნდა გოტარზეს (ახ.წ. 41-51) ვერცხლის დრაქმა, გიშრის, მინის, სარდიონისა და ქარვის მძივები, ოქროს თვლიანი ბეჭედი (აქატის ქვაზე ამოკვეთილი თასზე მჯომი ორი ფრინველი), ოქროს საყურე და ფირფიტები, ვერცხლის სამაჯური და ქამრის ბალთები, ბრინჯაოს ფიბულები და

[10] 'აკლდამა' - ამ ტერმინითაა მოხსენიებული ქვაყუთები ძეგლის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაბამისად, ჩვენც ამ ტერმინს ვიყენებთ.

რგოლები, რკინის ქარქაშიანი ხმალი, ვერცხლის თასი და თიხის ხელადა (მაკალათია, 1928, გვ. 174-176). სამარხი მან ახ.წ. I საუკუნით დაათარიღა (მაკალათია, 1928, გვ. 174).

სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის მცირე ზომის თასი ძალზე დაზიანებულია (ტაბ. 10). მას დამრეცი კედლები და სწორი ძირი აქვს. ნივთის სახელდახელოდ გაწმენდის შემდეგ, ზედაპირზე გამოიკვეთა სხვადასხვა სიუჟეტის ფრაგმენტები. თასზე წარმოდგენილი ორნამენტის შესახებ ინფორმაცია 1979 წელს გ. ნემსაძემ გამოაქვეყნა (ნემსაძე, 1979, გვ. 55-63). თასის კედლებზე ორი სიუჟეტი განირჩევა, რომლებიც ძალზე დაზიანებულია. პირველი სიუჟეტი ცეცხლის საკურთხევლის ორივე მხარეს მდგარი ცხენებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე სიუჟეტის დარჩენილ ფრაგმენტებზე - ასევე ურთიერთსაპირისპიროდ მდგარი ორი გრიფონის ფიგურა, რომელთა შუაში არსებული ნივთის ამოცნობა შეუძლებელია. გ. ნემსაძე სიუჟეტს სიცოცხლის ხის მოტივს უკავშირებს და პარალელს ავლებს სასანური ხელოვნების მსგავს სიუჟეტებთან - ცეცხლის საკურთხეველთან, რომელიც სასანური მონეტების რევერსზეა წარმოდგენილი (ნემსაძე, 1979, გვ. 55-63). ავტორი ხედავს მსგავსებას ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებიან პინაკებთან, რომლებიც არმაზისხევში, ზღუდერში, არაგვისპირსა და ბორშია აღმოჩენილი და მიიჩნევს, რომ ეს სიუჟეტები ერთ თემატიკას უკავშირდება. ნივთის თარიღისა და კულტურული ატრიბუციის საკითხი ნაშრომში ბუნდოვანია. ავტორი აღნიშნავს კომპლექსის ს. მაკალათიასეულ დათარიღებას (ახ.წ. I ს), ხოლო ნივთის წარმომავლობის საკითხს ღიად ტოვებს.

ვფიქრობ, ავჭალის ვერცხლის თასი იმ უნიკალური ნივთების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ადგილობრივად, იბერიაში მზადდებოდა და ცხენისა და ცეცხლის საკურთხევლის სიუჟეტებიანი სერიული[11] კომპოზიციებით იმკობოდა. დეკორატიული სიუჟეტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნივთი,

[11] სიტყვა სერიულს ვიყენებთ იმ გარემოების გათვალიწინებით, რომ პინაკებზე გამოსახული ცხენისა და საკურთხევლის სიუჟეტები განსხვავებულია. ერთგან ცხენი შემართული დგას საკურთხევლის წინაშე, რომელზეც ცეცხლი გიზგიზებს, მეორეგან ცხენს ტორი აქვს აწეული, ხოლო მესამეგან საკურთხეველი აყირავებულია.

სავარაუდოდ, ახ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრის ან შუახანების უნდა განეკუთვნებოდეს.

6. თბილისი (ს.ეულის ქუჩა) (ტაბ. 11). 1998 წელს, სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმმა შეისყიდა სამარხეული ინვენტარის კოლექცია, რომელიც დღევანდელი ს. ეულის ქუჩის მიმდებარედ სამშენებლო სამუშაოების დროს იქნა შემთხვევით აღმოჩენილი. ნივთები ადგილობრივმა შეაგროვა. მისივე ცნობით, ისინი სამშენებლო სამუშაოებისას გამოვლენილი და დაზიანებული ოთხი სხვადასხვა სამარხიდან აკრიფა (ტაბ. 11: სურ.1). კოლექცია შეიცავს ვერცხლის, ბრინჯაოსა და თიხის ნივთებს: ლომისა და გლადიატორის შერკინების ამსახველი ბრინჯაოს ქანდაკება; ბრინჯაოს პატერა; ორი ვერცხლის ჯამი და ერთი კოვზი; ვერცხლის ბალთები; სამაჯურები და მონეტები. (Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, pp. 441-448).

დაზიანებული ოთხი სამარხი პირობითად დაინომრა (სამარხი A, B, C და D). მათგან სამი გვერდიგვერდ, ხოლო ერთი 180 მეტრის მოშორებით მდებარეობდა. აღნიშნულის საფუძველზე, მ. აბრამიშვილი ვარაუდობს, რომ აქ ადგილი უნდა გვქონდეს რომაული ხანის ვრცელ სამაროვანთან (Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, pp. 441-442). სამწუხაროდ, დაკარგულია ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუ რომელ სამარხში რა ნივთები და რა კონტექსტში იყო წარმოდგენილი. კოლექციაში შემავალი ნივთების მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სამარხები ახ.წ. I საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით ან ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით დათარიღდა (Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, p. 442).

ვერცხლის ჭურჭელი სამი ნიმუშითაა წარმოდგენილი: ორი ჯამი და ერთი კოვზი. ისინი ორ სამარხში (A და D) აღმოჩნდა.

სამარხი A. ჯამებიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა A სამარხში. ჭურჭლის ზედაპირი რელიეფურია და დაფარულია ცენტრიდან პირისკენ მიმართული კანელურებით, რომელიც სართო ჯამში ჭურჭელს ვარდულის მოყვანილობას სძენს (ტაბ. 11: სურ. 4). ცენტრალურ მედალიონში გრავირებით გამოყვანილია სამფოთლა მცენარეული მოტივი, რომლის ცალკეული დეტალები შევსებულია პუნსონის ტექნიკით

დატანილი წერტილებით. მედალიონის მოჩარჩოებაც მიღებულია რელიეფურ წრეზე გრავირებითა და პუნსონით მიღებული გეომეტირული დეკორით (Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, p. fig. 2.2). ჯამთან ერთად სამარხში აღმოჩნდა გლადიატორისა და ლომის ბრინჯაოს ფიგურა, ბრინჯაოს პატერა და ვერცხლის დრაქმა არტაბან II-ს (10-38) ან გოტარზეს II-სა (40-51) (Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, p. 442). სამარხი, სავარაუდოდ, ახ.წ. I საუკუნის მიწურულით ან II საუკუნის დასაწყისით თარიღდება. დათარიღება მკვეთრად განსაზღვრა გლადიატორის ბრინჯაოს ქანდაკების სტილისტურმა ანალიზმა (აბრამიშვილი, 2021; Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, p. 242).

სამარხი D. ამ სამარხში აღმოჩნდა ვერხლის ერთი ჯამი, ვერცხლის კოვზი, ვერცხლის რგოლები და ბალთა, რკინის საფხეკი და იგივე ტიპის მონეტა როგორც A სამარხში. კოვზი დაიზნაებულია, თუმცა შემორჩენილია ოვალური ჯამის ნაწილი და დაწახნაგებული, ბოლოსკენ წამახვილებული ღერო (ტაბ. 11: სურ. 3). ვერცხლის ჯამი მთლიანად სადაა, აქვს უქუსლო ძირი და ოდნავ შესქელებული პირი (ტაბ. 11: სურ. 2). პირზე გარეთ მხრიდან პუნსონის ტექნიკით დატანილია არმაზული წარწერა, რომელიც ასე იშიფრება '*mmy zy byld'.* პალეგორაფიული ნიშნებით წარწერა ახ.წ I საუკუნის შუა ხანებითაა დათარიღებული (Abramishvili, Bolkvadze, Gagoshidze, Nemsadze, & Kadagishvili, 2008, pp. 242, fig. 2.1; 2.3). ჯამი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს აღაიანის N10 სამარხში აღმოჩენილ სადაზედაპირიან და უქუსლო ჯამთან. ორივე ნიმუში თავისი ფორმით ერთგვარად მოგვაგონებს პართული ტორევტიკის მსგავს ნიმუშებს და არ არის გამორიცხული, საქმე პართულ იმპორტთან გვქონდეს (Pfrommer, 1993, pp. 146, 227, no.20). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი კოვზიც აღაიანის სამაროვნის ძვ.წ. I- ახ.წ. I საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილ კოვზებს ემსგავსება, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს სამარხების მიკუთვნებას ახ.წ. I საუკუნისათვის.

7. ახალი ჟინვალი (ტაბ. 12). ჟინვალში, იქ სადაც დღეს წყალსაცავი მდებარეობს, სოფ. ქვემო არანისის მიმდებარედ, ე.წ. ზანდუკელაანთ ნავენახარის ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის სამაროვანი იქნა შესწავლილი. ადგილზე

გათხრები ჩატარდა რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით 1971-1973 წლებში (რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 43-44; რამიშვილი რ. , 1983, გვ. 81-82). ახლი ჟინვალის სამაროვანზე ძირითადად ორმოსამარხებია წარმოდგენილი. დაკრძალვის წესში შეიმჩნევა ქრისტიანული პოზა და დამხრობა, თუმცა, გვხვდება წარმართული რიტუალისთვის დამახასიათებელი პოზა და ნიშნებიც, მათ შორის ცხოველთა საგზლად ჩატანება (სამარხი NN 5, 20). დამხრობა როგორც დასავლეთითაა, ისე ჩრდილოეთით. ღარიბულინვენტარიან ორმოსამარხებთან ერთად სამაროვანზე გამოვლინდა მდიდრული ინვენტარის შემცველი რამდენიმე სამარხი. რ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ მდიდართა სამარხებში შეინიშნება გაშოტილ პოზაში, ზურგზე დაკრძალვა, ხოლო საშუალო ფენისა და ღარიბთა სამარხებში დომინანტურია მოკრუნჩხული პოზა (რამიშვილი რ. , 1983, გვ. 112-113). განვიხილავთ ვერცხლის ჭურჭლის შემცველ სამარხეულ კომპლექსებს.

სამარხი N1 წარმოადგენდა ორმოსამარხს გვერდზე, მოკრუნჩხულ პოზაში, მწოლიარე ქალისა და მის გვერდზე ჩვილი ბავშვის ჩონჩხით, რომელსაც თავი ვერცხლის პინაკზე ედო. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი; მინის ორი ჭურჭელი; ოქროს საყურეები და ბეჭდები; ვერცხლის გემიანი ბეჭდები (ერთზე ბინომი ცეცხლით); დიდი რაოდენობით მძივები; რომაული ვერცხლის აურეუსი და პართიის მეფე გოტარზეს დრაქმა (ახ.წ. 40-51) (რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 46; რამიშვილი რ. , 1983, გვ. 82-86).

ვერცხლის პინაკი ძალზე დაზიანებულია, მისი აღდგენა შეუძლებელია. ქუსლის შუაში აქვს წერტილი (სახელოსნო დაზგაზე მუშაობის შედეგი), შიგნიდან კი ორი წყვილი კონცენტრული ნაჭდევი (რამიშვილი რ. , 1983, გვ. 84).

სამარხი N5 თავით დასავლეთით ორიენტირებულ, ზურგზე გაშოტილ მამაკაცს ეკუთვნის, რომელსაც თავი ვერცხლის პინაკზე ესვენა (ტაბ. 12: სურ. 1). რ. რამიშვილის მოსაზრებით, მამაკაცი იბერიის ელიტის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რომელიც სავარაუდოდ ქრისტიანობის მიმდევარი ყოფილა. იგი ამ ვარაუდს გამოთქვამს დაკრძალვის პოზითა და ვერცხლის გემიან ბეჭედზე დაყრდნობით, რომელზეც მამაკაცია გამოსახული, მის ფეხებთან კი ჯვრის ფიგურა გაირჩევა (რამიშვილი რ. , 1983, გვ. 93). სამარხი მდიდრული ინვენტარითაა

წარმოდგენილი, თუმცა, მასში არ გვხვდება იარაღ-საჭურველი: ორი წყვილი სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავები (მსგავსი არმაზისხევის N3 და N6 სამარხების სარეცელთა ფეხის გარსაკრავებისა და ასევე, ბორისა და ზღუდერის ცალების); ვერცხლის სამი გემიანი ბეჭედი; ოქროს წყვილი საყურე; ვერცხლის აბზინდები; მინის ხუთი ჭურჭელი; თიხის ჭურჭელი; დიდძალი რაოდენობის მძივები; ვერცხლის ოთხი მონეტა, რომელთაგან ორი ცალი გოტარზეს დრაქმაა, ხოლო ორი - ავგუსტუსის დინარი; და იულია (დომნა) ავგუსტას (193-211) ოქროს აურეუსი (რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 46; რამიშვილი რ. , 1983, გვ. 86-95).

მაღალქუსლიანი ვერცხლის პინაკი კარგადაა შემონახული. ზედაპირი დაფარულია ტალღისებური ნაჭდევების ორი რიგით, რომელთა შორის ლოკოკინას მსგავსი რვა ნაჭდევია დატანილი (ტაბ. 12: სურ. 2). თასის ძირზე, ქვედა მხრიდან პუნსონის ტექნიკით გამოყვანილია ექვსნიშნიანი არამეული (არმაზული) წარწერაა, რომლის გაშიფვრა გ. წერეთელმა და მ. წოწელიამ სცადეს. დაზიანების გამო ვერ ხერხდება ზუსტი წაკითხვა, თუმცა ორივე მათგანი გამორიცხავს, წარწერით წონის აღნიშვნას, მათი ვარაუდით აქ საკუთარი სახელი უნდა იკითხებოდეს (t-p-t-s), რომელსაც ირანულ ონომასტიკონში შესატყვისი არ აქვს (რამიშვილი რ. , 1983, გვ. 87-88, სურ. 2-3, ტაბ. III-2, XXXV 2-3).

რ. რამიშვილი აღნიშნულ სამარხეულ კომპლექსს ამსგავსებს ზღუდერის, არმაზისხევისა და ერწოს მდიდრულ სამარხებს და ათარიღებს ახ.წ III საუკუნის მეორე ნახევრით (რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 47; რამიშვილი რ. , 1983, გვ. 114; რამიშვილი რ. , 2018, გვ. 97-102). მამაკაცის სამარხში ჩატანებული იყო ცხენიც. ამ მხრივ, მეხუთე სამარხი ემსგავსება კლდეეთის N6 სამარხს, ასევე ბორისა და მცხეთის აღმოჩენებსაც.

8. არაგვისპირი (ტაბ. 13). 1974-1977 წლებში, დუშეთის რაიონის სოფელ არგავისპირთან, გვიანანტიკური ხანის სამაროვანი იქნა შესწავლილი. ოთხმოცდათოთხმეტი სამარხიდან ოთხმოცდაოთხი ორმოსამარხი იყო, სამი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი, ოთხი ადრექრისტიანული ხანის ქვისსამარხი, ხოლო ერთი დერგსამარხი (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 86). ქვემოთ მხოლოდ ვერცხლის ჭურჭლის შემცველ სამარხებს განიხილავთ.

სამარხი N10 წარმოადგენდა ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისკენ დაკრძალული ახალგაზრდა მამაკაცის სამარხს, რომელსაც ფეხი სიცოცხლეშივე ჰქონია მოკვეთილი და რომელიც, მეტ-ნაკლებად, მდიდრულად დაუკრძალავთ. მამაკაცს თავქვეშ ვერცხლის პინაკი ჰქონდა ამოდებული, ხოლო სამარხის სხვადასხვა ნაწილში მიმოფანტული იყო მინისა და სხვადასხვა ძვირფასი ქვების მძივები, ნიჟარა და მინის 'საცრემლე' (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 87-88, ტაბ. CV, სურ.1,2).

ვერცხლის პინაკს აქვს სქელი ქუსლი და რელიეფური ორნამენტირებული კალთები. ფსკერზე ცენტრალურ მედალიონში წარმოდგენილია ტახტზე მდგომარე ფრთაგაშლილი არწივი, მარჯვნივ თავმიბრუნებული, ნისკარტში გვირგვინით. გამოსახულება ამოკაწრული და მოოქროვილია (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 87-88). პინაკი ემსგავსება არმაზისხევისა და ზღუდერის სამარხებში აღმოჩენილ ნიმუშებს. აღნიშნული ნივთი რომაული პროვინციული წარმომავლობის უნდა იყოს. რ. რამიშვილი, მას, ისევე როგორც ზღუდერის და არმაზისხევის მსგავს პინაკებს, III საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 154).

სამარხი N13 განსაკუთრებით გამოირჩევა. აქ ინდივიდუალი ზურგზე გაშოტილი დაუკრძალავთ, თავით დასავლეთისკენ და მდიდრული ძღვენი ჩაუტანებიათ: ოქროს ყელსაბამი, საყურეები, სამაჯური და ბეჭდები (ერთზე დიონისეს გემით, მეორეზე მამაკაცის შუბიანი და ფარიანი ფიგურით); ოქროს აბზინდები, კილიტები და ფირფიტები; ვერცხლის ჭურჭელი; მინის ჭურჭელი და მონეტები: ვალერიანეს აურეუსი (253-260 წწ); ვალერიანეს აურესუსის მინაბაძი; ავგუსტუსის აურეუსის მინაბაძი (ძვ.წ 27 - ახ.წ 14); ოთხი ცალი დრაქმა გოტარზესი ან არტაბანის (?); ოთხი ავგუსტუსის დინარის ადგილობრივი მინაბაძი (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 91; Рамишвили, 1977, გვ. 114-122).

ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: პინაკი, რომლის ცენტრალურ მედალიონში მოოქროვილი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებაა; ნადირობის სცენებით შემკული წყვილი სურა; მცირე ზომის თეფში (ტაბ. 13: სურ. 1-3).

ვერცხლის პინაკი თავის ქალის ქვეშ იყო ამოდებული, სურები კი მიცვალებულის თავის არეში ელაგა. ერთ სურაზე წარმოდგენილია ცხენზე ამხედრებული მონადირე ძაღლის თანხლებით, ტახებზე ნადირობისას, ხოლო მეორეზე - იგივე მონადირე (?) უკვე ირმებზე ნადირობისას (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 88, ტაბ. CVIII, სურ.1 ტაბ. CXII 1-2, ტაბ. CX, CXI, სურ 1,2; Рамишвили, 1983, გვ. 2-11). სურებზე გამოსახული კომპოზიცია მოგვაგონებს სასანური ნადირობის სცენებს და მას ანალოგები არ მოეძებნება, თუმცა ისინი ცალსახად ადგილობრივი ნაწარმია. ვერცხლის თეფშის ფსკერის შუაში წრიულ-წერტილოვან ნაჭდევებს შორის გამოსახულია ვარდული.

ნივთების პარალელებითა და აქ აღმოჩენილი მონეტებით რ. რამიშვილი აღნიშნულ სამარხს III საუკუნის 60-70 იანი წლებით ათარიღებს (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 148).

9. მაგრანეთი (ტაბ. 14). 1966-1967 წლებში, სოფელ მაგრანეთში, ქუშანაანთ გორის სამაროვანზე, გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხები და მასთან მდებარე ნამოსახლარი. ქვემოთ ვერცხლის ჭურჭლის შემცველ მდიდრულ სამარხს განვიხილავთ.

N1 სამარხი წარმოადგენდა ორმოსამარხს, რომლის შუა ნაწილში, მიწაში ჩადგმული ხის დასაკრძალავი კამერა იყო გამართული. ხის კონსტრუქცია კრამიტით ყოფილა გადახურული (ტაბ. 14: სურ. 1). სამარხში ერთი ინდივიდი, სავარაუდოდ, მამაკაცი ესვენა, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ძვლები ძალზე ცუდად იყო შემონახული (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 30-31). სამარხეულ ინვენტარი მდიდრულია. აქ გვხვდება: ვერცხლის ჭურჭელი; სამკაული; მინის ჭურჭელი და მონეტები: ალექსანდრე სევერუსის (222-235); კომოდუსის (177-192); კარუსის (282-283). სამარხში აღმოჩენილ ერთ-ერთ გემაზე გამოსახულია ათენა, ხოლო მეორეზე დატანილია ადრე ქრისტიანული მონოგრამა, რომელიც შესაძლოა იკითხებოდეს „JESUS XRISTOS PALMA EMERITA.“ აღსანიშნავია, რომ ეს მონოგრამა მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ქრისტიანული არტეფაქტი ქართლის სამეფოდან (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 36; რამიშვილი რ. , 2018, გვ. 80-84).

ქუშაანაანთ გორის N1 სამარხში აღმოჩენილი ტორევტიკის ნიმუშები წარმოდგენილია ნუშისებური ბურცობებიანი ვერცხლის ჯამით, რომლის ცენტრალურ მედალიონში მონოგრამაა დატანილი და წყვილი სადაზედაპირიანი სურით (ტაბ. 14: სურ. 2-3). სურების ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა, აქვს წვრილი ყელი, ნისკარტიანი ტუჩი, მაღალი ფეხი და სამნაწილიანი ყური (რამიშვილი რ. , 2018, გვ. 82, 146-147). ვერცხლის ჯამს, მასზე წარმოდგენილი მონოგრამის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომის სოციალური ატრიბუციის თავში განვიხილავთ.

მაგრანეთის N1 სამარხი, მონეტებისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით ან IV საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 73; რამიშვილი რ. , 2018, გვ. 147-148).

10. ხოვლე (ტაბ. 15). 2004 წელს, სოფელ ხოვლეში, მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომელიც გაძარცვული და განაწილებული იქნა მაცხოვრებელთა შორის. არქეოლოგებმა და ადგილობრივი მუზეუმის თანამშრომლებმა მოახერხეს ნივთების შეგროვება, თუმცა ვ. შატბერაშვილს მიაჩნია, რომ სამარხეული ინვენტარის სურათი არასრულია. მდიდრულ სამარხში, სავარუდოდ, ერთი ინდივიდი, 25-30 წლის ქალი იყო დაკრძალული (შატბერაშვილი, 2007, გვ. 87-88; Shatberashvili, 2024, pp. 175-176). დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი მსგავსია გვიანანტიკური ხანის იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებისა ქვეყნის სხვადასხვა ლოკაციებიდან (ტაბ. 15: სურ. 1). მიცვალებულისთის ჩატანებული ნივთები რომის, პართიისა და სასანიდების იმპერიებთან ახლო კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობებზე მეტყველებს. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია: ვერცხლის ჭურჭელი; თეთრი მინის სურები შემკული რომაული ღვთაებების გამოსახულებებით; სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები; ბრინჯაოს სარკე და სახელურები; რკინის ჭრაქი; ძვირფასი ლითონის სამკაული; ვერცხლის, ოქროსა და ძვლის ნივთები და მონეტები: პართიის მეფის გოტარზეს II-ის დრაქმა (40-51), იმპერატორ ავგუსტუსის ორი დინარი (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) და ელაგაბალუსის (211-217) აურეუსი (Shatberashvili, 2024, pp. 175-190; შატბერაშვილი, 2007, გვ. 87-96).

სამარხში ვერცხლის ჭურჭლის სამი ერთეული აღმოჩნდა: ნუშისებური ბურცობებიანი პინაკი, რომელიც მაგრანეთში აღმოჩენილი ზემოთხსენებული ჯამის თითქმის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ მის ცენტრალურ მედალიონში არ გვხვდება მონოგრამა (ტაბ. 15: სურ. 2); ლანგარი, რომელზეც გარედან შიგნით ჭედვით(?) მიღებულია ერთმანეთზე გადადებული ორი ვაზის ფოთლის გამოსახულება (დიდი ალბათობით რომაული იმპორტი) (ტაბ. 15: სურ. 3); და ვერცხლის თეფშის ფრაგმენტები ცენტრში ვარდულის ფიგურით (Shatberashvili, 2024, pp. 176-177; შატბერაშვილი, 2007, გვ. 90).

სამარხში აღმოჩენილი მონეტების, მასალის მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი მეთოდის საფუძველზე, ხოვლეს მდიდრული სამარხი ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებითაა დათარიღებული (Shatberashvili, 2024, p. 181)

ხოვლეს ზესურის ველის მდიდრული სამარხი. ხოვლეს შემოგარენში, მისგან სამხრეთით, ე.წ. ზესურის ველზე, 1976 წელს, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა და დაზიანდა სამარხები. ტერიტორია არქეოლოგთა მიერ იქნა შესწავლილი და დადგინდა, რომ აქ ვრცელი სამაროვანი მდებარეობს, ხოლო სამარხების ქრონოლოგიური ჩარჩოები ბრინჯაოს ხანიდან შუასუაკუნეების ჩათვლით განისაზღვრება (Цкитишвили, და სხვ., 1976, გვ. 122-123).

ექსპედიციის მიერ შესწავლილი გვიანანტიკური ხანის ოთხი სამარხიდან, სამი ქვაყუთს წარმოადგენდა, ხოლო ერთი ნაგები იყო თიხის ფილებით. თიხის ფილებით ნაგები სამარხი დაზიანებული იყო. მასში ორი მიცვალებული ზურგზე გაშოტილი, გვერდიგვერდ ესვენა. მიცვალებულისთვის მდიდრული ინვენტარი ჩაუტანებიათ. მათგან ჩვენმდე მოღწეულია: ოქრო საყურე; ორი ვერცხლის ბეჭედი; მძივები; კერამიკული ჭურჭელი; ვერცხლის ცილინდრული მოყვანილობის პირგადაშლილი თასი (მსგავსი აღაიანის თასისა) (ტაბ. 15: სურ. 4); და მონეტები: ორი ცალი ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 -ახ.წ. 14) დინარი და ორი ცალი პართიის მეფის, გოტარზეს დრაქმა (Цкитишвили, და სხვ., 1976, გვ. 122-123). სამწუხაროდ, სამარხისა და მისი ინვენტარის, მათ შორის მონეტების, შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

არქეოლოგებმა ზესურის ველის სამარხი ახ.წ. II-III საუკუნეებით დაათარიღეს (Цкитишвили, და სხვ., 1976, გვ. 123).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეჯერება არ გვაძლევს საკმარის საფუძველს, რომ აღნიშნული, თიხის ფილებისგან შედგენილი სამარხი, და ზემოთ განხილული, 2004 წელს აღმოჩენილი ქვაყუთი, ერთი და იგივე სამაროვნის შემადგენლობაში განვიხილოთ, ან ისინი სხვადასხვა ძეგლებად მივიჩნიოთ. არ არის გამორიცხული, რომ ეს სამარხები ერთი ვრცელი სამაროვნის სხვადასხვა პერიოდის ან უბნის შემადგენელი ნაწილი იყოს. რამდენადაც ვიცით, ორივე მდიდრული სამარხი სოფლის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა. ვფიქრობ, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მიზანშეწონილია ორივე სამარხი ერთ არქეოლოგიურ კომპლექსად განვიხილოთ (შემდეგ თავებში წარმოდგენილ დიაგრამებსა და ცხრილებში ხოვლეს ორივე სამარხს ერთ ლოკაციად, ერთ ძეგლად განიხილავთ), ხოლო პრობლემის გადაჭრა სამომავლო კვლევებს დავუკავშიროთ.

11. აღაიანი (ტაბ. 16). სოფელ აღაიანში, რიყინების ველზე, 1974 წლიდან თავი იჩინა სხვადასვხა პერიოდის მდიდრულმა სამარხებმა. ადგილზე არქეოლოგიური გათხრები 1976-1978 წლებში ჩატარდა და შესწავლილ იქნა რამდენიმე უბანი (მირიანაშვილი, 1983, გვ. 4-18; ბოხოჩაძე, 1981, გვ. 6-9). უბნებზე გამოვლენილია სხვადასხვა აგებულების სამარხები (სულ 21). სამარხები წარმოდგენილია ჩვეულებრივი ორმოსამარხებით, თიხის სარკოფაგებით, ქვევრსამარხებით. განსხვავებულია დაკრძალვის პოზებიც (გაშოტილი, მოკრუნჩხული, ნახევრად მოკრუნჩხული). სამაროვნის თავისებურება ისაა, რომ მიუხედავად ქრონოლოგიური განსხვავებისა და დაკრძალვის პოზისა, ყველა მათგანი დამხრობილია ერთ მხარეს, სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ (ბოხოჩაძე, 1981, გვ. 24-26; მირიანაშვილი, 1983, გვ. 18).

რიყინების ველზე არაერთი მდიდრული სამარხი გამოვლინდა. ჩვენ განვიხილავთ იმ სამარხებს, რომლებშიც აღმოჩნდა ვერცხლის ჭურჭელი (სულ 9 ნიმუში).

ორმოსამარხი N2.[12] მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხში აღმოჩენილი ცხოველის ძვლები და მდიდრული ინვენტარი მოწმობს, რომ იგი პატივით დაუკრძალავთ. მიცვალებულს ფეხებთან ელაგა თიხის ჭურჭელი და რკინის სამფეხა შანდალი. ასევე ახლდა: ბრინჯაოს ჩამჩა; ხელებს შორის, იდაყვების არეში - ვერცხლის ორყურა თასი (ტაბ. 16: სურ. 2); თასსა და სარწყულს შორის იდო ვერცხლის ჩლიქისდაბოლოვებიანი კოვზი (ტაბ. 16: სურ. 3); გულმკერდის არეში ელაგა ვერცხლის კონუსური ღილები; ძვლის კვერთხისთავი; ხოლო კისრისა და თავის არეში - უამრავი მძივ-სამკაული. სამარხში აღმოჩნდა ათი მონეტა, რომელთაგან სამი ცალი, ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-37), მიცვალებულს ხელში ეჭირა, ხოლო შვიდი მუცლისა და ფეხების არეში დაფიქსირდა. ამ შვიდი მონეტიდან ოთხი ცალი ასევე ოროდ II-ისაა, ორი ცალი ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 38-2), ხოლო ერთი - არტაბან IV-ის (ახ.წ. 80-81) (მირიანაშვილი, 1983, გვ. 21-24; ბოხოჩაძე, 1981, გვ. 22-23). აქ აუცილებლად უნდა აღინიშნროს, რომ როგორც ა. ბოხოჩაძე, ისე ნ. მირიანაშვილი არტაბან IV-ის მმართველობის წლებად ძვ.წ. 88-77 წლებს მიუთიტებენ. თუმცა, დღესდღეობით ცნობილია, რომ ძველად სამეცნიერო ლიტერატურაში არტაბან IV-ის სახელი შეცდომით იყო გააზრებული და სინამვილეში ეს არტაბან III-ა, პართიის მეფის, პაკორ II-ის ძმა, რომელიც ტახტს ახ.წ. 80-81 წლებში იკავებდა.

სამარხი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული (მირიანაშვილი, 1983, გვ. 24).

ორმოსამარხი N3 მიცვალებულის პოზისა და სქესის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულთან ერთად, აღმოჩნდა ვერცხლის ჩლიქისდაბოლოვებიანი კოვზი (ტაბ. 16: სურ. 3) (მსგავსი N2 სამარხის კოვზისა) და ორი მონეტა: ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 38-2) დრაქმა და ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) დინარი (მირიანაშვილი, 1983, გვ. 24).

სამარხი ახ.წ. I საუკუნის I ნახევრით თარიღდება (მირიანაშვილი, 1983, გვ. 24).

ორმოსამარხი N7-ში მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილი. თავის არეში ელაგა ბრინჯაოს სურა, ყურზე მიძერწილი

[12] სამარხი N2, ა. ბოხოჩაძის ნაშრომში აღწერილ 27-ე ორმოსამარხს შეესაბამება.

დიონისეს გამოსახულებით და ორი თიხის ხელადა; კისრის არეში - ოქროს საყურე და რკინის სასწორი; გლმკერდის არეში - ვერცხლის კოვზი, მინის სანელსაცხებლე და ოქროს ბეჭედი. სამარხში ასევე აღმოჩდნა მძივები და ოთხი მონეტა: ერთი ცალი ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-37) დრაქმა, ორი ცალი ავგუსტუსის დინარი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) და ერთი ცალი კალიგულას (ახ.წ. 37-41) კესარიული დრაქმა (მირიანაშვილი, 1983, გვ. 26-27).

ვერცხლის კოვზის ტარი დაწახნაგებულია და ბოლოვდება ცხოველის ჩლიქის გამოსახულებით. ტარის ჯამთან მიერთების ადგილას ზურგის მხარეს ერთმანეთში ჩამჯდარი ორი მახვილი კუთხეა ამოღარული.

სამარხი ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებით თარიღდება (მირიანაშვილი, 1983, გვ. 27).

ორმოსამარხი N9-ში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხულ მდგომარეობაში ესვენა. ჩანს, ის ისრისგან განგმირულა, რომელიც გულმკერდის არეში, ნეკნებს შორის აღმოჩნდა. მიცვალებული მდიდრული ინვენტარით დაუკრძალავთ, რომელთა შორის აღსანიშნავია: ოქროს კილიტები; ვერცხლის თასი (ტაბ. 16: სურ. 5); ოქროსა და ვერცხლის საკიდები; საყურეები; სამაჯურები; რკინის ბეჭედი და დანა; ტყავის ქისაში ჩალაგებული ცხრა მონეტა და ოქროს მონეტები. მონეტები წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: 1 ცალი ლისიმაქეს სტატერის ოქროს მინაბაძი (აღმოჩნდა მიცვალებულის პირში); ორი წინას ანალოგიური მონეტა (ეჭირა ხელში); ქისაში ჩაწყობილი 9 მონეტიდან ორი ცალი სომხეთის მეფეს ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-55) დიდრაქმაა, მოჭრილი კაპადოკიის ზარაფხანაში ძვ.წ. 83-69 წწ-ში; ერთი ცალი - მითრიდატე III-ის დრაქმა (ძვ.წ. 57-54), ექვსი ცალი რომის რესპუბლიკური დინარი, რომელთაგან ორი მოჭრილია ძვ.წ. 86 წელს რომის ზარაფხანაში, ერთი - ძვ.წ. 93-92 წწ-ში გალიის ზარაფხანაში, ხოლო სამი - ძვ.წ. 32-31 წლებში აღმოსავლეთის რომელიმე ზარაფხანაში (მირიანაშვილი, 1983, გვ. 27-28).

სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის თასს აქვს გადაშლილი პირი, დაწახნაგებული ქობა, გამოყვანილი ტანი და ოდნავ ამობურცული ძირი (ტაბ. 16: სურ. 5).

სამარხი, მასში არმოჩენილი ნუმიზმატიკური, გლიპტიკური და სხვა სამარხეული მასალის საფუძველზე, ძვ.წ. I საუკუნის II ნახევრითაა დათარიღებული (მირიანაშვილი, 1983, გვ. 30).

ორმოსამარხი N10 წარმოადგენს წყვილად სამარხს, სადაც ქალი და კაცი იყო დაკრძალული. მამაკაცი მარჯვენა გვერდზე ესვენა, თითქმის პირქვედამხობილი, ხოლო ქალი - მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნჩხული. ორივე მიცვალებული მდიდრულად იყო დაკრძალული. მათ პირში და ხელებში მონეტები ედოთ, ხოლო კაცისთვის ჩაუტანებიათ ორი ცხენიც. სამარხში აღმოჩნდა: დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის სამკაული; მძივები; კილიტები; ეგვიპტური სკრაბეები; ოქროს ვარდულიანი ფირფიტები; ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები და ბეჭდები, რომლებშიც დიონისესა სარდიონის ინტალიო და მინის თვალია ჩასმული. აქვე იყო მინის სანელსაცხებლეები და დიდი რაოდენობით მონეტები (მირიანაშვილი, 1983, გვ. 32).

მონეტები (სულ 25 ცალი) წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: ერთი ცალი ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი და ერთიც ფირფიტა; ერთი ცალი ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 38-2) ვერცხლის დრაქმა; რვა ცალი ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-37) დრაქმა; ათი ცალი ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 -ახ.წ. 14) დინარი; ერთი ცალი ფრაატ III-ის (ძვ.წ. 69-57) დრაქმა; ერთი ცალი ტიბერიუსის (ახ.წ. 14-37) დინარი და ორი ცალი სინათრუკის (ძვ.წ. 75-69) დრაქმა (მირიანაშვილი, 1983, გვ. 32).

ვერცხლის ფიალა დამზადებულია თხელი ფირფიტისგან და აქვს ფართო ოდნავ მოყრილი პირი, შესქელებული ქობა, მომრგვალებული კალთები და ამობურცული ძირი (ტაბ. 16: სურ. 6). ვერცხლის ფიალა ქალის თავის ქალაზე იყო დაფარებული (მირიანაშვილი, 1983, გვ. 30,32).

სამარხში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური და გლიპტიკური მასალა, ასევე სხვა სამარხეული ინვენტარი, მას ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის II ნახევრით ათარიღებს (მირიანაშვილი, 1983, გვ. 33).

სამარხი N16 წარმოადგენდა წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის თიხის სარკოფაგს, რომელსაც ზემოდან ასევე თიხის ოდნავ ამოზნექილი სახურავი ეხურა (ტაბ. 16: სურ. 1). სარკოფაგში მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილი. მიცვალებულს პირში ედო ლისიმაქეს ოქროს სტატერის მინაბაძი, ხოლო ხელში ეჭირა ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-37) ვერცხლის დრაქმა. გულზე ედო ვერცხლის თასი (ანალოგიური N9 სამარხის ვერცხლის თასისა), ხელზე

ვერცხლის სამაჯური ამკობდა, ხოლო ფეხებთან წითლად ანგობირებული ხელადა და რკინის გაურკვეველი ნივთი ედო. სამარხში აღმოჩნდა კიდევ ოთხი მონეტა: ერთი ცალი სინათრუკის (ძვ.წ. 75-69) დრაქმა და სამი ცალი რომის რესპუბლიკური დინარები, რომელთაგან ერთი მოჭრილია ძვ.წ. 87 წელს, მეორე - ძვ.წ. 60 წელს, ხოლო მესამე ძვ.წ. 29 წელს (მირიანაშვილი, 1983, გვ. 39).

სამარხი ძვ.წ. I საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს (მირიანაშვილი, 1983, გვ. 40). შესაძლოა, სამარხის თარიღი წელთაღრიცხვების მიჯნითაც განისაზღვროს.

ორმოსამარხი N17 მარჯვენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილ პოზაში დაკრძალული ზრდასრულის განსასვენებელს წარმოადგენდა. მიცვალებულის თავთან თიხის ჯამში იდო ვერცხლის კოვზი, ხოლო მის სიახლოვეს ვერცხლის თასი; გულმკერდის არეში - ოქროს საკიდები და ვერცხლის ღილები; წელის არეში - ბრინჯაოს ბალთა და ზარაკი; ზურგთან - შუბისპირი, ხოლო ხელზე ეკეთა ვერცხლის სამაჯური და ბრინჯაოს ბეჭედი. სამარხში ასევე აღმოჩნდა წყვილი თიხის ხელადა და დიდი რაოდენობით მონეტები: ჩვიდმეტი ცალი ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-37) დრაქმა, რომელთაგან თორმეტი ცალი პირის არეში აღმოჩნდა, ხოლო ხუთი ხელში; ერთი ცალი არტაბან II-ის (ძვ.წ. 88-77) დრაქმა და ერთიც ფრაატ III-ისა (ძვ.წ. 70-57) (მირიანაშვილი, 1983, გვ. 40).

ვერცხლის კოვზი თხელი ფირფიტისგანაა დამზადებული. ოვალური ფორმის ჯამზე მირჩილულია წახნაგოვანი ტარი, რომელიც ბოლოსკენ ვიწროვდება, მრგვალგანივკვეთიანი ხდება და ბოლოვდება იხვის თავის სტილიზებული გამოსახულებით.

ვერცხლის თასი ცილინდრული მოყვანილობისაა, რომლის პირიც ფართოვდება და გადაშლილია. პირს ქვემოთ შემოუყვება გრავირებული მცენარეული ორნამენტის სარტყელი (ტაბ. 16: სურ. 4). თასის ზედა ნაწილში მირჩილულია ოთხკუთხა ფირფიტა, რომელზეც დარჩილულია ყუნწი და მასში გაყრილი მოძრავი რგოლი. აღნიშნული ფორმის ჭურჭელი დამახასიათებელია გვიანელინისტური და ადრეიმპერიული ხანის ტორევტიკისათვის. მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ბორში, თაგილონში, კახეთსა და ხოვლეში და არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლოგიაზე დაყრნობით, მათი თარიღი ახ.წ. I-III საუკუნეებს

შორის მერყეობს. ნ. მირიანაშვილს მიაჩნია, რომ თასების ეს ფორმა ძვ.წ. I საუკუნიდან ყოფილა საქართველოში გავრცელებული და მის უადრეს არქეოლოგიურ დასტურად სწორედ N17 სამარხის აღმოჩენას მიიჩნევს.

სამარხი N17 ძვ.წ. I საუკუნის II ნახევრითაა დათარიღებული (მირიანაშვილი, 1983, გვ. 42)

აღაიანის რიყიანების ველის სამაროვანზე, ზემოთაღწერილ სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლის ცხრა ეგზემპლარი ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა. ვერცხლის ჭურჭელს პარალელები ეძებნებათ საქართველოს გვიანელინისტური და ადრერომაული ხანის ძეგლებთან თაგილონიდან, ბორიდან, ტახტიძირიდან და სხვა. სამაროვანზე გამოვლენილი ინვენტარი ნათლად მოწმობს, რომ აქ ერთ უბანზე მოსახლეობის დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები განისვენებდნენ, რისი დასტურიც ეს მდიდრული სამარხებია. მიცვალებულთათვის ცხენის ჩატანებაც, სწორედ, იმ კულტურულ ფენომენს ეხმაურება, რომელიც გვიანანტიკური ხანის იბერიის არაერთ ძეგლზეა დადასტურებული (მაგ. არაგვისპირის სამაროვანი).

ის ფაქტი, რომ სამარხებში აღმოჩენილი მონეტების აბსოლიტური უმრავლესობა პართული დრაქმებია, ხოლო მხოლოდ რამდნიმე ეგზემპლარია წარმოდგენილი გვიანრესპუბლიკური ხანისა და ადრეიმპერიული რომის ნუმიზმატიკური ძეგლებიდან, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეების მიჯნაზე იბერიის სამეფოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდა როგორც პართიის იმპერიასთან, ასევე რეგიონში ახალგამოჩენილ რომთანაც. აღაიანის სამაროვანი იმ მნიშვნელოვან ძეგლებს განეკუთვნება, რომლებიც წელთაღრიცხვების მიჯნის იბერიის სამეფოს კულტურულ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია.

12.ზღუდერი (ტაბ. 17). ქარელის რაიონში, სოფელ ზღუდერში, 1964-1965 წლებში, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ნემსაძის ხელმძღვანელობით, შეისწავლა გვიანანტიკური ხანის სამი მდიდრული სარკოფაგი.[13] ზღუდერის აღმოჩენები

[13] ზღუდერის სამარხების აღწერისას ჩვენ ვიყენებთ ტერმინს 'სარკოფაგი', ვინაიდან ძეგლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ეს ტერმინია გამოყენებული ხის დიდი ზომის კუბოს აღწერისას.

განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ მათი ქრონოლოგია, ფაქტიურად, ეჭვს არ იწვევს მათში აღმოჩენილი აურეუსებისა და სამარხეული მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ზღუდერის სამი მდიდრული სამარხი ახ.წ. 200-250 წლებით თარიღდება და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი 20-30 წლის შუალედით დაკრძალული, ერთი მდიდრული საგვარეულოს, ოჯახის წევრების (სხვადასხვა თაობის), განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 14, 22). ყველაზე ადრეულია სარკოფაგი N3, რომელიც ახ.წ 190-200 წლებს შორის უნდა იყოს გამართული. 30 წლის შემდეგ, დაახლოებით 228 წლისთვის ან ოდნავ მოგვიანებით, უნდა ჩაედგათ სარკოფაგი N1. ხოლო სარკოფაგი N2-ში ახ.წ 240 წლიდან მალევე უნდა დაეკრძალათ წარჩინებული პირი (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 13-14; ლიჩელი, 2018, გვ. 105).

სამივე სარკოფაგი დიდი რაოდენობით მონეტებს შეიცავდა, რომელთა საფუძველეც განისაზღვრა სამარხების თარიღი. უნდა აღინიშნოს, რომ რომაული და პართული მონეტების თანაარსებობის პარალელურად, სამარხებში არ ფიქსირდება არცერთი სასანური მონეტა და სასანური წარმომავლობის არტეფაქტი (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 13).

სარკოფაგი N1 (ტაბ. 17: სურ. 1)**.** სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა, რომელიც მდიდრული ინვენტარით დაუკრძალავთ: ოქროს ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, რომელზეც ბერძნული წარწერებით აღნიშნული იყო მასზე გამოსახული რომაული ყაიდის მამაკაცისა (კაბრიას-ი) და ქალის (მატრონა) სახელები; ოქროს ბეჭედი არწივის ინტალიოთი; ოქროს მილაკები; სამაჯურები; რკინის სანათური; მინის სანელსაცხებლე; მინის თასი და ლანგარი (ბერძნული წარწერით); ვერცხლის ჭურჭელი და მონეტები: კარაკალას (211-217 წწ) აურეუსი (ხუთი ცალი); კომოდუსის (180-192) აურეუსი (ერთი ცალი); ალექსანდრე სევერუსის (222-235) აურეუსი (ერთი ცალი); გოტარზეს II-ის (40-51) დრაქმა (ხუთი ცალი) და ავუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) დინარი (ოთხი ცალი) (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 7-8; 30-43; ნემსაძე, 1969, გვ. 45-47).

ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: 1. მოოქროვილი ლანგრის დაზიანებული ფრაგმენტები, აკანთის ფოთლებისა და დაფნის გვირგვინის

მოჩარჩოებაში გამოსახული არწივით, რომელსაც კლანჭებით ელვა უჭირავს (ტაბ. 17: სურ. 2); 2. კიდეებში და ცენტრში გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ძლიერ დაზიანებული ლანგარი, რომელსაც ძირზე ქვემოდან დატანილი აქვს ბერძნული წარწერა. შემორჩენილია წარწერის მხოლოდ ერთი სიტყვა "E]XAPICAMH[N" – „მე ვუბოძებ საჩუქრად" (ტაბ. 17: სურ. 5). ლანგარი და წარწერა მსგავსია ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგრისა და მას ნაშრომის სოციალური ატრიბუციის თავში განვიხილავთ; 3. ცალყურა სურა ზედაპირზე ტალღისებური გოფრირებული ხაზებით (ტაბ. 17: სურ. 6). (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 32-37).

ვერცხლის სამივე ჭურჭელი სტილისტური ანალიზისა და პარალელების მოძიების საფუძველზე ახ.წ II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

სარკოფაგი N1-ის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს გვაძლევს ალექსანდრე სევერუსის ახ.წ. 228 წელს მოჭრილი აურეუსი.

სარკოფაგი N2-ში ორი მიცვალებული ესვენა. ერთი ჩონჩხი მიხვეტილი იყო კუთხეში, მეორე კი ზურგზე გაშოტილი ესვენა, თავით დასავლეთით. თავი ვერცხლის პინაკზე ედო, რომელზეც ცხენი და საკურთხეველია გამოსახული. სამარხეული ინვენტარი შემდეგნაირია: ოქროს საყურეები და სამაჯურები; სამკაულის ნაწილები და ბეჭდები; თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს საცეცხლური გირჩით და ვერცხლის ორი ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ გემიან ბეჭედზე გამოსახულია ხნიერი წვეროსანი მამაკაცი და ახლავს ბერძნული წარწერა. წარწერისა და პორტრეტის ინტერპრეტაციაში აზრთა სხვადასხვაობაა დ. ბრაუნსა და ქ. ჯავახიშვილს შორის. ქ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ გემა იმპორტულია და გამოსახავს ფილოსოფოსს. დ. ბრაუნდი კი ფიქრობს, რომ მამაკაცს შუბლთან თავსამკაული ამკობდა (ამოტეხილია) და ის იბერიული ელიტის წარჩინებული, თანამდებობის პირია. მისეული წარწერის წაკითხვაა „გელოსის" და მიიჩნევს, რომ ეს ამ ადამიანის სახელია (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 44-61). სამარხში აღმოჩნდა შემდეგი მონეტები: გორდიანეს (238-244) ერთი ცალი აურეუსი და ერთიც ალექსანდრე სევერუსის (222-235) აურეუსი (ნემსაძე, 1969, გვ. 47-50).

ვერცხლის ჭურჭელი ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი: ლანგარი (ან დიდი ზომის ჯამი) ტალღოვანი ორნამენტებიანი ზედაპირით, ცენტრალურ მედალიონში ძაღლისა და ტახის მოოქროვილი გამოსახულებით (ტაბ. 17: სურ. 3); 2. ლანგარი (ან დიდი ზომის ჯამი) კალთებზე ანალოგიური, ტალღოვანი გოფრირებული ორნამენტით, როგორც ეს ტახისა და ძაღლის გამოსახულებიან ლანგარზეა, თუმცა, ცენტრალურ მედალიონში ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებაა დატანილი (ტაბ. 17: სურ. 4). პარალელელებს პოულობს არმაზისხევის, ბორის, არაგვისპირის და ზღუდერის კიდევ ერთ თასთან, რომელზეც ასევე ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციაა დატანილი (მაჩაბელი, 1983, გვ. 104; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 44-61, 98; Мачабели, 1976, გვ. 80-88, ტაბ. 28-33).

სამარხში აღმოჩნდა გორდიან III-ის აურესუსი, მოჭრილი ახ.წ 240 წელს, რომელიც სამარხის ქვედა ზღვარს გვაძლევს.

სარკოფაგი N3-ში ასევე ორი მიცვალებული ესვენა, თუმცა, ერთდროულად დაკრძალული. ერთის ხელი მეორესთვის მხარზეა გადახვეული (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 7-8). სამარხის ინვენტარი ძალზე მდიდრულია: ოქროს ძვირფასი თვლებით შემკული სამკაული (სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები ინტალიოებით); ოქროს კილიტები; ოქროს ყელსაბამი ონიქსის კამეოთი, რომელზეც დელფინი და ზღვის ქალ-ღვთაებაა გამოსახული; მინის ჭურჭელი; ვერცხლის ლურსმანი და სარჩული; ბალთა; რკინის დანა; ვერცხლის ბიუსტი და სარეცლის ფეხების გარსაკრავები; ბრინჯაოს სურა და პატერა, რომლებიც ახ.წ. I საუკუნის იტალიკური ნაწარმი უნდა იყოს (ემსგავსება ბორის პატერასა და სურას); მონეტები (სულ 38 ცალი): ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 -ახ.წ. 14) დინარი (28 ცალი); ფაუსტინა უმცროსის(?) დინარი (1 ცალი); გოტარზეს II-ის დრაქმა (5 ცალი); ოთხი ცალი რომაული აურესი, რომელთაგან თითო ცალი ეკუთვნით დომიციანეს (81-96), ფაუსტინა უფროსის (138-140), ანტონინუს პიუსს (141-176) და კომოდუსს (180-192) (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 62-91; ნემსაძე, 1969, გვ. 50-53).

ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია შემდეგი ცალებით: 1. ახ.წ. I ს-ის კოვზი ბურთულიანი დაბოლოებით, ტარზე ამოკაწრული ბერძნული და არმაზული ასოებით, რომლებიც მფლობელის სახელის შემოკლებული ვერსია უნდა იყოს (ტაბ.

17: სურ. 7).; 2. კოვზი ჩლიქისებური დაბოლოებით. ასევე ახ.წ I ს-ის ნაწარმი (მსგავსია ბორის კოვზის); 3. მცირე ზომის ორყურა თასი, დაბალი კედლებით და დაბალი ძირით. ძირზე ამოკაწრულია წონის აღმნიშვნელი ასოები, ხოლო პუნსონის ტექნიკით დატანილია სახელი ეუფრატეს (Euphrates), რომელიც მფლობელის სახელი უნდა იყოს (ტაბ. 17: სურ. 7). შესაბამისად, სამარხს ეუფრატეს და მის პარტნიორს მიაკუთვნებენ. აღნიშნული თასი ახ.წ. I ს-ის ნაწარმი უნდა იყოს და მსგავსია ბორში აღმოჩენილი თასისა; 4. ვერცხლის ლანგარი სადა ზედაპირით, ძირზე ამოკაწრული არმაზული წარწერით 'ტრპტ', რაც ბერძნული სახელი ატროპატესის შემოკლებული ფორმაა; 5. პინაკი, დაბალი სარყტყლისებური ქუსლით, ამოკაწრული არმაზული წარწერით, რომელიც განხილულია როგორც „ჩემი ლანგარი"; 6. პინაკი, დაბალი მრგვალი ძირით და ცენტრში ამოღარული კონცენტრული წრეებით (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 74-81).

სამარხში აღმოჩნდა კომოდუსის აურეუსი 190 წელს მოჭრილი და სამარხის უადრეს თარიღად სწორედ ეს წელი განისაზღვრა. აქვე იყო 77-78 წლებში მოჭრილი დომიციანეს მონეტა, ანტონინე პიუსისა (138-161) და ფაუსტინა უფროსის (138-140).

ზღუდერის სამი სარკოფაგის სამარხეული მასალის გარდა, არქეოლოგებს გადასცეს სამი ნივთი, რომლებიც გათხრებამდეა ნაპოვნი და ზუსტი ინფორმაცია, თუ რომელ სამარხს ეკუთვნოდა, არ გავქვს. ეს ნივთებია: ბრინჯაოს ხარის თავის სკულპტურა, რომელიც საცეცხლურს წარმოადგენს; ბრინჯაოს გრიფონის პატარა ქანდაკება, რომელიც გარკვეული ნივთის ნაწილი უნდა ყოფილიყო; კიდევ ერთი ვერცხლის ჯამის/პინაკის ფრაგმენტები, რომლის ცენტრში ცხენის ძალზე დაზიანებული ფიგურა იკითხება. სავარაუდოდ, ეს ნიმუშიც ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციანი ჯამების ანალოგიურია ზღუდერიდან, ბორიდან, არმაზისხევიდან და არაგვისპირიდან (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 92-98).

ზღუდერის აღმოჩენები ახ.წ. II საუკუნის მიწურულისა და III საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი ტორევტიკის ნიმუშებია, რომელთაგან ნაწილი რომაულ იმპორტს წარმოადგენს, ნაწილი კი უთუოდ იბერიის ვერცხლის სახელოსნოებშია დამზადებული. ზღუდერის მასალა საშუალებას გვაძლევს, შედარებითი მეთოდის

საფუძველზე დავათარიღოთ ტორევტიკის სხვა ნიმუშები ბუნდოვანი არქეოლოგიური კონტექსტით.

13. ცხინვალი (ტაბ. 18). სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ვერცხლის ჭურჭლის ორი შესანიშნავი ნიმუში, რომელიც ცხინვალიდან მომდინარეობს. დაწვრილებითი ცნობები ცხინვალის ამ აღმოჩენების არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ არ მოგვეპოვება, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის მიხედვით საქმე უნდა გვქონდეს სამარხეულ ინვენტართან. როგორც ფ. თავაძე აღნიშნავს, ვერცხლის ფიალა და სურა მოპოვებულია სამარხებში და დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. 18: სურ. 1-2). თუმცა, ნუმიზმატიკური კვლევების საფუძველზე (კვლევა ეკუთვნის ნუმიზმატ დ. კაპანაძეს), ირკვევა, რომ კომპლექსები ახ.წ III საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს (Капанадзе, 1957, გვ. 167). გვიანდელ თარიღზე მეტყველებს ვერცხლის ჭურჭლის მხატვრულ-სტილისტური ანალიზიც.

ცენტრში მოსევადებული ორნამენტით შემკული ვერცხლის ფიალისა და ტალღისებური ნაჭდევებით დაფარული, მაღალფეხიანი სურის შესახებ ინფორმაცია გვხვდება ფ. თავაძის მეტალურგიულ კვლევაში, მ. ჩართოლანის ეთნოგრაფიულ ნარკვევში და კ. მაჩაბელის ნაშრომში (თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 24, სურ. 21-22; ჩართოლანი, 1962, გვ. 150-151, ტაბ.10; Мачабели, 1976, გვ. 53-56, 76-77, ტაბ. 11). ცხინვალში აღმოჩენილი ორივე ჭურჭელი შესრულების მაღალი დონითა და მხატვრული დამუშავებით გამოირჩევა. კ. მაჩაბელს მიაჩნია, რომ ფიალის კანელურებით შემკული ზედაპირი და ცენტრალურ მედალიონში მოთავსებული ვარსკვლავისებური ორნამენტი დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ახ.წ III-IV საუკუნეების სასანური ხელოვნებისათვის, ისე რომაული ტორევტიკისთვის, რის გამოც რთულია, ჭურჭლის ზუსტი წარმომავლობის განსზაღვრა (Мачабели, 1976, გვ. 54-55). მისგან განსხვავებით, ადგილობრივ ნაწარმად მიაჩნია ფიალა ფ. თავაძეს (თავაძე, მესხია, ბარქაია, 1954, გვ. 24).

ვფიქრობ, ცხინვალის ფიალა, რომელიც ცენტრალური ვარსკვლავისებური ორნამენტით კვაშხიეთისა და ურეკის ჭურჭლის დეკორს ემსგავსება, უფრო მეტად რომის იმპერიიდან მომდინარე მასალად უნდა გავიაზროთ. თუმცა, ვერ

გამოვრიცხავთ მათი ადგილობრივად დამზადების შესაძლებლობას აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენისა და სინთეზის შედეგადაც. მითუმეტეს, რომ ტალღისებური ნაჭდევებით ის ემსგავსება ადგილობრივ ნაწარმს. ცხინვალის ვერცხლის სურა (სიმაღლე - 23 სმ, დ-11 სმ) დამზადების ტექნიკის, ფორმებისა და ორნამენტების მიხედვით მსგავსია ახ.წ. II-III საუკუნის იბერიული სურებისა და მისი ადგილობრივი წარმოება ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებში ეწვს არ უდნა იწვევდეს.

14. ურბნისი (ტაბ. 19). 1956 წელს, ურბნისის ვრცელი ნაქალაქარის შესწავლისას, XX-2 უბანზე, კულტურულ ფენაში, აღმოჩნდა ვერცხლის კოვზი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ოვალური მოყვანილობის ჯამი და წვრილი ღერო, რომელიც ბოლოში ბურთულით ბოლოვდება (ჭილაშვილი, 1964, გვ. 58, სურ. 29). ლ. ჭილაშვილი აღნიშნულ კულტურულ ფენას ახ.წ. I-III საუკუნეებით ათარიღებს და კოვზს ბორისა და ბაგინეთის აღმოჩენებს ამსგავსებს (ჭილაშვილი, 1964, გვ. 55-59).

უნდა აღინიშნოს, რომ ურბნისის ნაქალაქარი ჩვენ მიერ განხილულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც ვერცხლის ჭურჭელი აღმოჩენილია ნამოსახლარის კულტურულ ფენაში.

15. ბორი (ტაბ. 20). 1902 წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბორში, (შორაპნიდან 5-6კმ) ადგილობრივმა მიწათმოქმედმა მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოაჩინა ვერცხლის ჯამი, ცენტრალურ მედალიონზე ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით. ამ აღმოჩენამ საფუძველი დაუდო მიწის შემდგომ სამუშაოებს 1903 და 1907-1908 წლებში, რომელიც მან თვითნებურად გააგრძელა. გამომდინარე იქიდან, რომ მიწის სამუშაოების მიზანი მხოლოდ ძვირფასი ნივთების მოპოვება იყო, მათი არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია დაკარგულია. ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციის საფუძველზე, სავარაუდოა, რომ ბორში ორმოსამარხები იყო წარმოდგენილი (ბრაგვაძე, 2021, გვ. 97; Придикъ, 1914, გვ. 4-5). 1909 წელს ი. სმირნოვის თაოსნობით გადაწყდა სოფელ ბორში აღმოჩენილი ძვირფასი ნივთების შეგროვება და დოკუმენტირება. ნივთები მოგვიანებით იქნა ერმიტაჟში გადატანილი (Придикъ, 1914, გვ. 3). გაირკვა, რომ ადგილობრივი მოსახლის მიერ ეს ნივთები მოპოვებული

იყო დიდ პერიმეტრზე, სხვადასხვა ადგილობრივ მცხოვრებთა კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებში. შესაბამისად, ბორის განძში შემავალი ნივთები, შესაძლოა, წარმოადგენდეს დიდ ფართობზე გადაჭიმული სამაროვნის სხვადასხვა პერიოდის სამარხების ინვენტარს. სამარხთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ნუმიზმატიკური მასალით თავდაპირველად ძვ.წ I - ახ.წ. II საუკუნეებით განისაზღვრა (Придикъ, 1914, გვ. 4, 19; კვირკვაია და ბუაძე, 2024, გვ. 105-109). თუმცა, ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარი ცალსახად მესამე საუკუნის ნაწარმადაა მიჩნეული (ბრაგვაძე, 2021, გვ. 96-97).

ბორში აღმოჩენილ მონეტებში (სულ ოცდაოთხი ცალი) წარმოდგენილია: ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი (ძვ.წ. I ს.); პართული დრაქმები (ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 37-2), გოტარზეს (ახ.წ. 40-51); რომაული დინარები და აურეუსები: ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) 12 ვერცხლის დინარი, კალიგულას (ახ.წ. 37-41) ვერცხლის დინარი, ტრაიანეს (98 – 117) ვერცხლის დინარი, დედოფალ ფაუსტინე უმცროსისა (161-175) და სეპტიმუს სევერუსის მეუღლის, დედოფალ იულია დომნას (ახ.წ 193-211) დინარები (Придикъ, 1914, გვ. 4-5).

ბორის განძში გვხვდება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები: ოქროს სამაჯურები და საყურეები; ძვირფასთვლიანი საბეჭდავი ბეჭდები; ოქროს მძივები, ფირფიტები და სხვა (ოქროს სამკაულების რაოდენობა 100-ს აღემატება); ვერცხლის თოთხმეტი ერთეული ჭურჭელი; ექვსი ცალი სარეცლის ფეხის გარსაკრავი; ექვსი ვერცხლის ფირფიტა და ვერცხლის ნივთის ფრაგმენტები (ვერცხლის ოვალური ფირფიტა, არწივის თავისებური სახელურით, სხვადასხვა ფორმის ვერცხლის ფირფიტები). განძში ასევე გვხვდება ცხენის აღკაზმულობის ნაწილები, რგოლები, შესაკრავები, ვერცხლის ბეჭედი სერდოლიკით და სხვა (Придикъ, 1914, გვ. 5-9).

ვერცხლის ჭურჭელი შემდეგი ცალებითაა წარმოდგენილი (ტაბ. 20: სურ. 1): 1. ქუსლიანი თასი ცენტრალურ მედალიონში ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით (ტაბ. 20: სურ. 2) (N15084). თასის ძირზე პუნსონით დატანილი წარწერა აღმოსავლური იერის მატარებელია, ხოლო ამოკაწვრით შესრულებული წარწერა ლათინურია და პომპეის გრაფიტებს მოგვაგონებს (Придикъ 1914: 9). წარწერა ასე იკითხება - „ბუზმიჰრ, კეთილი პიტიახში.“ აღნიშნულ პინაკზე და წარწერაზე ვრცლად მეხუთე თავში ვისაუბრებთ; 2. უქუსლო თასი (N15090); 3. თასი

დაზიანებული ძირით (N17220); 4. თასი თხელი ძირით (N17219); 5. დაბალი ორყურა თასი ვაზის ფოთლების ორნამენტით, რომლის ძირი დაკარგულია (N16086). 6. უყურო ვერცხლის კანელურებიანი სურა (N16091) 7. სადაზედაპირიანი თასი/კათხა (N17217); 8. მცირე ზომის სადაზედაპირიანი თასი (N17218); 9. ფოთლის მოყვანილობის ვერცხლის თეფში (N16336); 10. რომაული ტიპის კოვზი ბურთულიანი ბოლოთი (N17210); 11. რომაული ტიპის კოვზი, ჩლიქის დაბოლოებით (N16088); 12. კიდევ ერთი კოვზი (N16087); 13) საწვნე, რგოლით დაბოლოებული(N17211); 14. საწვნე (N16089). გარდა ჭურჭლისა, გვხვდება სხვადასხვა სახის ვერცხლის ნივთების ფრაგმენტებიც.

განძში ასევე წარმოდგენილია ბრინჯაოს შვიდი სურა, სხვადასხვა მითოლოგიური არსებების ფიგურებით შემკული სახელურებით, მგლისა და ცხვრის ფიგურებიანი დიდი ზომის ბრინჯაოს ქოთნები/ქვაბები (ოთხი ცალი), ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთები და სამკაული, მწვანე მინის ხუთი სანელსაცხებლე, ძვლის ნივთები, თიხის ქოთნები და სხვა (Придикъ, 1914, გვ. 9-18).

ბორის 'განძის' დათარიღებაში გვეხმარება გასულ საუკუნეში, საქართველოს სხვადასხვა რაიონში აღმოჩენილი მსგავსი არტეფაქტები, ნუმიზმატიკური მასალა და პალეოგრაფიული ანალიზები. მასალა ახ.წ. I საუკუნის მიწურულიდან - III საუკუნის მეორე ნახევრამდე პერიოდში ექცევა. აღსანიშნავია, რომ ბუზმიჭრ პიტიახშის ვერცხლის ლანგარი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით, უხალოეს პარალელებს პოულობს ზღუდერის, არმაზისხევისა და არაგვისპირის ანალოგიურ პინაკებთან, რომლებიც ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებით თარიღდება.

ბორის მდიდრული სამარხები, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე, ახ.წ. I-III საუკუნეებს განეკუთვნება. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია, რომ ბორში სხვადასხვა პერიოდის სამარხებია წარმოდგენილი და ზოგიერთი მათგანი ახ.წ. I-II საუკუნეებს განეკუთვნება, ზოგი კი III საუკუნეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბორში, გასულ საუკუნეში სხვადასხვა წლებში აღმოჩენილი ნივთების ნაწილი (გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა) დღეს დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ქუთაისის სახელმწიფო

ისტორიულ მუზეუმშიც. აღნიშნული მასალა ასევე ექცევა ახ.წ. I-III საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, თუმცა ერმიტაჟში დაცულ ნიმუშებთან შედარებით ბევრად მოკრძალებულია (კვირკვაია და ბუაძე, 2024, გვ. 105-111; კვირკვაია, დავლიანიძე, ჩხარტიშვილი, 2016, გვ. 31-55; აფაქიძე ა., 1944, გვ. 441-548)

16. სარგვეში (ტაბ. 21). 1917 წელს, სოფელ სარგვეშთან ახლოს მდებარე ბორცვზე აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის მდიდრული არქეოლოგიური მასალა. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, რომ ძვლის მასალა არ გამოვლენილა. ვერცხლის თასი ხვნის დროს შემთხვევით აღმოჩნდა, ხოლო სხვა ნივთები არქეოლოგიური გათხრებისას (Tchubinaschwili, 1925, გვ. 83-86). იქიდან გამომდინარე, რომ გათხრები აწარმოეს ადგილობრივებმა ძვირფასეულობის მოპოვების მიზნით, დაკარგულია ინფორმაცია არქეოლოგიური კონტექსტის, სამარხის ტიპისა და დაკრალვის წესის შესახებ. სარგვეშის აღმოჩენა, მდიდრული სამარხ(ებ)ის ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს.

შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების კოლექცია შეიცავს: ვერცხლის თასს სასანიდი მეფის ბაჰრამ II-ისა და მისი ცოლ-შვილის პორტრეტებით შემკულს (ნივთს ნაშრომის სოციალური ატრიბუციის ქვეთავში დაწვრილებით განვიხილავთ); რომაული წარმომავლობის ვერცხლის კოვზს (წაწვეტებული ტარი, კვერცხისებური ჯამი); რკინის მახვილს; რკინის სატევარს; ისრის წვერს; მძივებს; ოქროს გვერგვს; სამაჯურებს; ბეჭდებს; ბრინჯაოს ნივთებს (ტაბ. 21: სურ. 1-2) (ფუთურიძე, 1959, გვ. 61; Tchubinaschwili, 1925, გვ. 83-86).

კომპლექსი ვერცხლის სასანური თასის მიხდვით ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება.

17. კლდეეთი (ტაბ. 22). ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში, 1941 წელს პირველად გამოჩნდა ძვირფასი სამარხების ინვენტარი, რომელიც ადგილობრივებმა აღმოაჩინეს და მიითვისეს. ადგილზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა და გაითხარა კიდევ რამდენიმე მდიდრული სამარხი. სამწუხაროდ, ადგილობრივების მიერ ძვირფასი ნივთების მოძიება-მიტაცების გამო, ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუ რომელ სამარხში რა ნივთები იყო წარმოდგენილი, დაიკარგა. გ. ლომთათიძის ინფორმაციით, კლდეეთის სამაროვანზე ორმოსამარხების ტიპის

სამარხები უნდა ყოფილიყო, რომლებზეც ზემოდან ქვის ლოდების გროვა იყო მოთავსებული. ის კლდეეთის სამარხებს თაგილონისა და ბორის მდიდრულ კომპლექსებს ადარებს. ლომთათიძის დაკვირვებით, დაკრძალვა ყველა სამარხში ინჰუმაციურია. მიცვალებული გვედზე მწოლიარე პოზაში, თავით დასავლეთით ყოფილა ორიენტირებული. ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდება სამარხში ცხოველთა (ხარი, ცხენი, ძაღლი) ჩატანება (ლომთათიძე, 1957, გვ. 161-169).

კლდეეთის გაძარცვული სამარხების ინვენტარი წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთებით. აქ გვხვდება: იარაღ-საჭურველი; რკინის სამეურნეო ხელსაწყო-იარაღები; ცხენის აღკაზმულობის დეტალები; ჭურჭელი; სამკაული; პირადი მოხმარებისა და საკულტო დანიშნულების ნივთები; ნუმიზმატიკური მასალა და სხვა (ლომთათიძე, 1957, გვ. 3-9). განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს მოთვალული აგრაფი, რომლის სარდიონის გემაზეც წვეროსანი მამაკაცის პორტრეტია გამოსახული. სამეცნიერო ლიეტრატურაში მიჩნეულია, რომ ეს პორტრეტი ადგილობრივ დიდებულს, მმართველი ზედაფენის წარმომადგენელს გამოსახავს (ლომთათიძე, 1957, გვ. 28-30).

გაძარცვული სამარხეული ინვენტარი, ისევე როგორც არქეოლოგების მიერ შესწვალილი ექვსამდე სამარხის მასალა, ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან არტეფაქტებს შეიცავს.

გაძარცვული სამარხების ვერცხლის ჭურჭელი წარმოდგენილია ხუთი ნიმუშით: 1. პინაკი (N8-51: 2), წვერკვეთილი კონუსის მოყვანილობის, ბრტყელძირა, სადაზედაპირიანი (ტაბ. 22) (დაზიანებულია და ჰგავს მეოთხე სამარხის პინაკს (ქვემოთ). მსგავსია ახ.წ II ს-ით დათარიღებული ბორის ორი პინაკისა, და ორი არმაზისხევის აპარუგ ერისთავის სამარხის ჭურჭლისა; 2. პინაკის ან ლანგრის ძლიერ დაზიანებული ქუსლი, რის გამოც ვერ ხერხდება ჭურჭლის რაობის დადგენა; 3. პინაკის ან ლანგრის ნამტვრევები, რომელიც შესაძლოა ეკუთვნოდეს ზემოთ აღწერილი პინაკის ქუსლს, ან შესაძლოა სხვა ჭურჭელს წარმოადგენდეს. ექვს ნატეხზე გაირჩევა რელიეფური გეომეტრიული ფორმები, ასევე თმის, წვერის, ტანისამოსის და ადამიანის სახის ნაწილი. აღნიშნული დეტალები პინაკის ცენტრალური მედალიონის ფრაგმენტებს უნდა წარმოდგენდეს. როგორც ჩანს,

პინაკზე ხუჭუჭა თმა-წვერიანი მამაკაცი ყოფილა გამოსახული (ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა, 1957, გვ. 21, სურ. 4). აღნიშნული პორტრეტის იდენტიფიკაცია დღემდე არ განხორციელებულა. ნაშრომის სოციალური ატრიბუციის ქვეთავში მოცემული პორტრეტის იდენტიფიცირების პირველი მცდელობა; 4. პაწია ფინჯნისმაგვარი ნივთი, ძირისკენ შევიწროებული, ზარაკის მოყვანილობის რელიეფურ ზედაპირიანი. რელიეფები თითქოს თევზისმაგვარი ფიგურებია; 5. ანალოგიური პაწია ფინჯნისმაგვარი ნივთი, მსგავსი ორნამენტით, ბრტყელი ძირით. ლომთათიძის მოსაზრებით ეს ორივე ნივთი დიდი ჭურჭლის ნაწილებს წარმოდგენდნენ, ან ანალოგიური ფორმისა და ფუნქციის მცირე ზომის სასმისებს. ლომთათიძე ამ ნივთებს ამსგავსებს ბანძის ქვევრ-სამარხში (ახ.წ II ს.) აღმოჩენილ ვერცხლის ანტიკური ყაიდის სასმისებს და თაგილონის ნახევრად კვერცხისებურ, კანლეურებიან სასმისებს/თასებს (ლომთათიძე, 1957, გვ. 22-23).

გარდა გაძარცვული და დარბეული სამარხებისა, ექსპედიციამ გათხარა დაახლოებით ექვსი სამარხი, რომელთაგან **N4 სამარხში** ორი მიცვალებული ესვენა, ერთდროულად დაკრძალული, გვერდზე მწოლიარე, ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. სამარხში წარმოდგენილი იყო დიდი რაოდენობით რკინის იარაღი, შუბისპირები, ისრისპირები, დანები, ცხენის აღკაზმულობის დეტალები, ბრინჯაოს აბზინდები, ვერცხლის სამკაული, მინის ჭრუჭელი და ვერცხლის პინაკი. პინაკს ქუსლი არ აქვს, სადაზედაპირიანია. ამავე სამარხში აღმოჩნდა კოლხური სტატერები, ნერვას ვერცხლის მონეტა (ახ.წ 96-98 წწ), ნერვას კესარიული დიდრაქმა (ახ.წ 96-98), ადრიანეს დიდრაქმა (ახ.წ 117-138), ავგუსტუსის დინარი (ძვ.წ 27 -ახ.წ 14), გოტარზეს (ახ.წ 40-51) სამი მონეტა (ლომთათიძე, 1957, გვ. 137-154).

კლდეეთის სამაროვნის დათარიღება ძირითადად სამარხეულ ინვენტარს და განსაკუთრებით, მონეტებს ეყრდნობა, რომელთა ჯამური რაოდენობა ორმოცდათოთხმეტია (ლომთათიძე, 1957, გვ. 169). აქედან ოცდათხუთმეტი მონეტა გაძარცვულ-დარბეული სამარხებიდნაა მოგროვებული და სამწუხაროდ დაკარგულია ინფორმაცია, თუ რომელ ნივთებთან ერთად იქნა ისინი აღმოჩენილი. ამ მონეტებიდან ცამეტი რომაული დინარია, სამი სხვადასხვა რომაელი იმპერატორის კესარიული დიდრაქმა (ნერვას, ანტონინე პიუსის, მარკუს

ავრელიუსის), სამი პართიის მეფის გოტარზეს დრაქმა, ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ადგილობრივი ოქროს მინაბაძები. ექსპედიციის გათხრილ სამარხებში (N2 და N4) მოპოვებული მონეტები თითქმის იგივე შემადგენლობისაა და ჯამში თვრამეტი ცალია (აქედან კესარიული დიდრაქმები ნერვასი და ადრიანესი). გ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ავგუსტუსის მონეტებისა და გოტარზეს დრაქმების ადგილობრივი მინაბაძების დამზადების გამო, ძალზე რთულია განსაზღვროს სამარხის თარიღი მათზე დაყრდნობით, რადგან ისინი ახ.წ I-III საუკუნეების მანძილზე სულ გვხვდება (ლომთათიძე, 1957, გვ. 169-170).

სამაროვნის დათარიღებაში მნიშვნელოვანია კესარიული დიდრაქმები: ნერვასი (96-98), ადრიანესი (117-138), ანტონინე პიუსისა (138-161) და მარკუს ავრელიუსის (161-180). აღნიშნული მონეტები კლდეეთის სამაროვანს ახ.წ. II საუკუნის შუახანებითა და მეორე ნახევრით უნდა ათარიღებდეს (ლომთათიძე, 1957, გვ. 171).

გ. ლომთათიძე კლდეეთის მდიდრული სამარხეული ინვენტარს ბორისა და არმაზისხევის კომპლექსებს ამსგავსებს, თუმცა თვლის, რომ კლდეეთის ნივთები მათ ხარისხით ჩამოუვარდება (ლომთათიძე, 1957, გვ. 183). ავტორი ასევე მსგავსებას ხედავს კლდეეთის სამარხეულ ინვენტარსა და ჩრდილო კავკასიურ, ყირიმულ, სარმატულ სამარხეულ ძეგლებს შორის (ლომთათიძე, 1957, გვ. 189).

18. მოდინახე (ტაბ. 23). საჩხერის ჩრდ-ით, მოდინახეს ციხის მიდმებარედ, არაერთი პერიოდის არქეოლოგიური ძეგლია მიკვლეული, რაც ამ ადგილის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. მოდინახეს არქეოლოგიურ ძეგლებს შორის აღსანიშნავია ციხის სამხრეთ ფერდობზე მდებარე გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. გვიანანტიკური ხანის სამარხები წარმოდგენილია როგორც ოვალური, ისე მართკუთხედი ფორმის ორმოსამარხებით, რომლებიც შემოზღუდულია მშრალი წყობის ქვის კედლებით (ნადირაძე, 1975, გვ. 43). სულ ორმოცამდე შესწავლილ სამარხში დიდი რაოდენობით ვერცხლის, ოქროსა და ბრინჯაოს საყოფაცხოვრებო ნივთი, იარაღი, სამკაული, ტანსაცმელთან დაკავშირებული აქსესუარები, მძივები, მონეტები, კერამიკა და სხვა სახის მასალა გამოვლინდა. ვერცხლის ჭურჭელი, სულ რვა ერთეული (შვიდი თასი და ერთი სურა) აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე სამარხში (სამარხები NN 6, 8, 9, 29, 30, 3, 36), რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

სამარხი N6 ქვებით ამოყვანილი კედლებიანი ინჰუმაციური ორმოსამარხია. მიცვალებული მამაკაცი ესვენა ზურგზე გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, რომელსაც თავი ვერცხლის ფიალაში ჰქონდა ჩასვენებული. ჩატანებული ჰქონდა რკინის სატევარი, ვერცხლის ბეჭედი და მონეტა (კონსტანტინე დიდის (306-337 წწ) ოქროს მონეტა, სუბერატი). ვერცხლის თხელკედლიანი თასის ძირზე, ცენტრში, თეგით გამოყვანილია ექვსფოთლიანი ვარდული, რომელსაც გარშემო მსხვილი და მომცრო ბურთულები შემოსდევს (ნადირაძე, 1975, გვ. 47; ბრაგვაძე და ჩიგოგიძე, 2002, გვ. 93-94).

სამარხი N8-ში მსგავსი დაკრძალვის წესი ფიქსირდება. გარდაცვლილ მამაკაცს თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ვერცხლის ფიალა. სამარხში აღმოჩნდა რკინის შუბისპირი, რკინის ორი სატევარი და ერთი დანა, დანის ძვლის ტარი, ისრისპირები (სამწახნაგა), ოქროს ბეჭედი, დამტვრეული თიხის ჭურჭელი. თხელკედლიანი ვერცხლის თასის ძირზე ცენტრში თეგითაა გამოყვანილი ექვსფოთლიანი ვარდული, გარშემო ბურთულების მწკრივით. კედლებზე 5სმ დიამეტრის ხუთი ბურთულაა (ნადირაძე, 1975, გვ. 49-50; ბრაგვაძე და ჩიგოგიძე, 2002, გვ. 94).

სამარხი N9 ასევე ქვის კედლებიანი ორმოსამარხია. მიცვალებული გულაღმა, მოხრილი ფეხებით, ერთი გაშვებული ხელით, მეორე გულზე დაკრეფილით იყო დასვენებული. სამარხის ინვენტარს შორის იყო: ბრინჯაოს წინწილები; ოქროს გემიანი ბეჭედი (გემაზე გამოსახულია არწივი პირში გვირგვინით, ფეხით პალმის ტოტით); ვერცხლის თასი აბზინდით; მძივები; კონსტანციუს II-ის (337-361წწ) მონეტა (სუბერატი) და სხვ. ვერცხლის თასი თხელი ფირფიტისაა. კედლებზე ცენტრიდან თეგით არის ამოყვანილი ტოლმკლავა კანელურებით შესრულებული ჯვარი. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია რვაფოთლიანი ვარდული, ფოთლის წვერებზე თითო მცირე ზომის ბურთულით (ნადირაძე, 1975, გვ. 51; ბრაგვაძე და ჩიგოგიძე, 2002, გვ. 94-95).

სამარხი N29-ში მიცვალებული იწვა გაშოტილი თავით დასავლეთით და თავქვეშ ამოდებული ვერცხლის ფიალით. სამარხში გვხვდება ოქროს საყურეები, გაურკვეველი დანიშნულების ვერცხლის ნივთი, ოქროს ბეჭედი, თიხის ჭურჭელი და რკინის დანა. ვერცხლის თასი ნაკლულია. ნაკეთებია თხელი ფირფიტისგან, პირი

ოდნავ პროფილირებულია (ნადირაძე, 1975, გვ. 55; ბრაგვაძე და ჩიგოგიძე, 2002, გვ. 97).

სამარხი N36-ის დაკრძალვის წესი მსგავსია სხვა სამარხებისა. თავი ჩასვენებული ჰქონდა ვერცხლის თასში. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა ვერცხლის სურა. აქვე აღმოჩნდა ოქროს ორი მონეტა (კონსტანტინე დიდის ოქროს სოლიდი (306-337 წწ) მოჭრილი ქ. სისციაში და კონსტანციუს II-ის ოქროს მონეტა (337-361 წწ) მოჭრილია ანტიოქიის ზარაფხანაში) (ნადირაძე, 1975, გვ. 72; ბრაგვაძე და ჩიგოგიძე, 2002, გვ. 97-98). მონეტების მახლობლად იდო სარდიონის თვლიანი ოქროს ბეჭედი (თხის გამოსახულება), ოქროს ბალთები, ოქროთი გაწყობილი სატევარი და რკინის დანა. მიცვალებულის ფეხებთან ეწყო სამი ვერცხლის კოჭსაფარი და რკინის სამწახნაგა ისარის პირი. აქვე იყოს კერამიკული ჭურჭელიც.

ვერცხლის თხელკედლიანი თასის მთელი ფართობი შიგნიდან პუნსონითაა დაწინწკლული ისე, რომ გარე ზედაპირზე წინწკლები ამობურცულია. წინწკლები ქმნიან კონცენტრულ წრეხაზებს. ვერცხლის სურას მსხლისებური ფორმა აქვს, საშუალო სიამღლის ყელით, გადაშლილი პირით. ყელზე შემოსდევს თეგით ამოყვანილი ლილვი. სურას პირდაპირი პარალელლები გვიანანტიკური ხანის ტორევტიკულ ნაწარმში არ ეძებნება. ის ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს (ნადირაძე, 1975, გვ. 56-57, 71; ბრაგვაძე და ჩიგოგიძე, 2002, გვ. 98).

კიდევ ერთი მსგავსი ვერცხლის ფიალაა აღმოჩენილი **N30 სამარხში,** რომელიც მსგავსია N29 სამარხში აღმოჩენილი ფიალისა. ერთი ვერცხლის ფიალა იყო **N33 სამარხში,** ის შედარებით მცირე ზომისაა, ძირზე გამოსახული აქვს ფურცლოვანი ვარდული და ტოლმკლავა ჯვრის ფორმის ყვავილის ფოთლები, რომელიც თასის მთელ ზედაპირზე ვრცელდება (ნადირაძე, 1975, გვ. 69-70).

ჯ. ნადირაძის დაკვირვებით, თასები სუფრის ჭურჭელს წარმოადგენენ და სპეციალური სადგარები ჰქონდათ (წრიული მავთულის რგოლი), შემდეგ კი ისინი სამარხში ჩაუტანებიათ. ის აღნიშნულ თასებს პარალელებს უძებნის ბორისა და ბაგინეთის მასალებში (ნადირაძე, 1975, გვ. 70). ავტორის დაკვირვებით თასები არ წარმოადგენს ისეთივე მაღალმხატვრული ნაწარმს, როგორც არმაზისხევისა და ბაგინეთის სამარხეული მასალაა. შესაბამისად, ის მოდინახეზე აღმოჩენილ ფიალებს

ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს. საინტერესოა გარემოება, რომ თასები ძირითადად მამაკაცების სამარხებშია დადასტურებული და ამოდებულია მიცვალებულის თავქვეშ. ჩანს, ვერცხლის თასები დაკრძალვის რიტუალთან იყო დაკავშირებული. მსგავსი რიტუალი დამოწმებულია ზღუდერისა და ჟინვალის გვიანანტიკურ სამაროვანზე (ნადირაძე, 1975, გვ. 70; რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 46; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 7; რამიშვილი რ., 2018, გვ. 88).

მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ყველა მონეტა მოჭრილია 306-361 წლებში, რაც სამაროვნის აბსოლიტურ თარიღზე მიუთითებს - ახ.წ. IV საუკუნის შუახანები ან მეორე ნახევარი. ჯ. ნადირაძეს მიაჩნდა, რომ სამარხები ეკუთვნის მძიმედ შეიარაღებული საშუალო ფენის არისტოკრატიას, რომელთა საქმიანობა ერისთავთა სამსახური და მათთვის ლაშქრობა უნდა ყოფილიყო (ნადირაძე, 1975, გვ. 74). ზ. ბრაგვაძეს კი მიაჩნდა რომ მოდინახეზე დაკრძალკული წარჩინებული პირები გარკვეული საგამგებლო ერთეულის წარმომადგენლები იყვნენ (ბრაგვაძე, 2021, გვ. 54).

19. კვაშხიეთი (ტაბ. 24). 1953 წელს, სოფელ კვაშხიეთში (რაჭა) გ. გობეჯიშვილის მიერ შესწავლილ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფიალა.[14] სამარხი და მისი ინვნეტარი არქეოლოგის მიერ ახ.წ. III საუკუნით იქნა დათრიღებული (ჩართოლანი, 1962, გვ. 151, სურ. 11). ვერცხლის თასის ფსკერი მოსევადებულია თეთრსა და მოოქრულ ფონზე (ტაბ. 24). კვაშხიეთის ფიალის არქეოლოგიური კონტექსტი და სხვა ინფორმაცია გამოქვეყნებული არ არის. ფიალა შესწავლილი აქვთ მ. ჩართოლანსა და კ. მაჩაბელს (ჩართოლანი, 1962, გვ. 139-154; Мачабели, 1976, გვ. 53-56).

20. გომი (რაჭა) (ტაბ. 25). 1930 წელს, ქუთაისის მუზეუმს გადასცეს ზემო რაჭის სოფელ გომის მთავარანგელოზის ეკლესიისთვის შეწირული ძვირფასი ნივთების ჯგუფი, რომელთა შორის იყო ვერცხლის რიტონი. სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ ცნობები მხოლოდ ბოლო ოცწლეულში გახდა ცნობილი. ვერცხლის რიტონთან ერთად კოლექციაში იყო სპილენძის ჯამი, ბრინჯაოს ბალთა, ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები და ბეჭედი, მინის სამკაულის

[14] არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ.

ფრაგმენტები და მძივები. გ. გამყრელიძეს, მიაჩნია, რომ ეს ნივთები, რომლებიც ემსგავსება გვიანანტიკური ხანის სამარხეულ ინვენტარს, სოფელ ღებთან მდებარე ბრილის მრავალფენიანი სამაროვნის მასალა უნდა იყოს, რომელიც ადგილობრივებს მოუპოვებიათ (Gamkrelidze, 2009, p. 206).

ვერცხლის რიტონი გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტორევტიკული კოლექციის განსაკუთრებული ნიმუშია, ვინაიდან მას ფორმითა და ორნამენტით პარალელები არ მოეძებნება. რიტონის ზედაპირი შემკულია დაბალ რელიეფში ჭედვით მიღებული რთული დეკორით. ჭურჭლის ზედა ნაწილში, კანელურებიანი ფრიზის ქვემოთ წარმოდგენილია ოთხი მეომარი მამაკაცის ფიგურა, რომლებიც ორ წყვილში ერთმანეთს ებრძვიან. მუზარადებითა და აბჯრით შემოსილი წვეროსანი მეომრები შუბებით, მახვილით, მშვილდისრითა და ფარებით არიან შეირაღებულნი. მოემრების ქვემოთ ირმისა და მგლის ფიგურებია გამოსახული, რომელთა შუაში სიცოცხლის ხეა აღმართული (ტაბ. 25). რიტონის ქვედა ნაწილი დაკარგულია (Gamkrelidze, 2009, pp. 206-209). რიტონზე გამოსახული საბრძოლო სცენის იკონოგრაფიული და სტილიზსტური ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ადგილობრივებისა (იბერიის მთის მოსახლეების) და ჩრდილო კავკასიელების (ალანები, სარმატები) ორთაბრძოლაა წარმოდგენილი (Gamkrelidze, 2009, pp. 209).

გომის რიტონი დამზადების ტექნოლოგიით, ვერცხლის შემადგენლობითა (კვაისას საბადოებისთვის დამახასიათებელი ვერცხლის შემადგენლობა) და მასზე გამოსახული სიუჟეტების მიხედვით, ადგილობრივ ნაწრმად არის მიჩნეული (Gamkrelidze, 2009, pp. 209-210). გ. გამყრელიძე ნივთს ადგილობრივი დიდებულისთვის შეწირულ ძღვენად განიხილავს, ნივთის ცალკეულ დეკორატიულ სახეებს პარალელს უძებნის თაგილონის, ბანძას, ხაიშისა და ციხისძირის მასალებს შორის და მის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს გვიან-ელინისტური - გვიანანტიკური ხანით განსაზღვრავს (Gamkrelidze, 2009, pp. 209-210).

ვფიქრობთ, გომის რიტონი ძვ.წ. I საუკუნის მიწურულიდან ახ.წ. I-II საუკუნეების ჩათვლით პერიოდის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც იბერიის სამეფოს ვერცხლის საწარმოშია დამზადებული. თარიღის შემოთავაზების საფუძველს

გვაძლევს ნივთის დამზადების ტექნოლოგიისა და მასზე გამოსახული რელიეფური კომპოზიციის კვლევა. თუ გომის რიტონს შევადარებთ ახ.წ. III საუკუნით დათარიღებულ არაგვისპირის იბერიულ სურებს, სადაც ასევე მშვილდისრით შეიარაღებული ადგილობრივი მხედარია გამოსახული, დავინახავთ რელიეფური კომპოზიციის ევოლუციისა და განვითარების ადრეულ და გვიანდელ ეტაპს იბერიულ ვერცხლმჭედელობაში.[15] გომის რიტონის რელიეფური კომპოზიცია არაგვისპირის სურებთან შედარებით უფრო სტატიკური და სქემატური სტილითაა შესრულებული, რაც მის ადრეულობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, ჭურჭლის ეს ფორმა - რიტონი - დამახასიათებელია ადრეული ტორევტიკისთვის (აქემენიდური, პართული), ხოლო ახ.წ. II საუკუნის ბოლოდან რიტონები თითქმის ქრება ხმარებიდან.

21. ჭერმისხევი (ტაბ. 26). საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასანური ვერცხლის ჭურჭლის მცირე კოლექციიდან ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია ჭერმისხევში აღმოჩენილი ვერცხლის ჯამი. ჯამი 1990-იან წლებში ადგილობრივმა მოსახლემ იპოვა მდინარე ჭერმისხევთან, რომელიც ადრე შუასაუკუნეების ქალაქის, ჭერემის გვერდზე ჩამოედინება. აღმოჩენა, სავარაუდოდ, ქალაქ ჭერემში ან მის სიახლოვეს მდებარე სამაროვანზე არსებული მდიდრული სამარხის ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მდინარეს ჩამოურეცხავს. სასანური ვერცხლის ჯამი შესწავლილი აქვთ ლევან ჭილაშვილს, გიორგი და იულონ გაგოშიძეებს (Chilashvili, 1999, p. 201; ჭილაშვილი, 2004, გვ. 143; გაგოშიძე, ი., და გაგოშიძე, 2014, გვ. 341-350).

ეს არის ნახევარსფერული მოყვანილობის, მცირე ზომის, მოოქროვილი ვერცხლის ჯამი, რომლის ზედაპირი მთლიანად დაფარულია რელიეფური ვაზის ყლორტების, მტევნებისა და მათ შორის გამოსახული ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურებით (ტაბ. 26): ორი მამაკაცი ხელში კალათებით; ორი ტახის თავი; ხუთი ფრინველი; სამი მელია და კურდღლი; ხოლო ცენტრში ტახის თავი. თასის შიდა მხარე სადაა, მხოლოდ ცენტრში გვხვდება ორმაგ წრეში ჩახაზულ

[15] აღნიშნულ არტეფაქტსა და კვლევაზე ინფორმაცია წარმოდგენილია ნაშრომში „Two silver jugs with hunting scenes from Caucasian Iberia", რომელიც ნაშრომის მომზადების ეტაპზე დაბეჭდვის მოლოდინშია.

ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც მოოქროვილია (გაგოშიძე, ი., და გაგოშიძე, გ., 2014, გვ. 343-344; Harper, 2007, p. 27). იოლონ და გიორგი გაგოშიძეების მოსაზრებით ქრისტიანული ჯვრის გამოსახულება VI-VII საუკუნეების სასანურ ტორევტიკაში გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ამ პერიოდში სასანური ირანი ქრისტიანობის მიმართ ლოიალური განწყობილებით გამოირჩევა.[16]

ჭერმისხევის ვერცხლის ჯამი ლ. ჭილაშვილმა IV-V საუკუნეების ნაწარმად მიიჩნია, ხოლო გიორგი და იულონ გაგოშიძეებმა VI-VII საუკუნეებით დაათარიღეს (ჭილაშვილი, 2004, გვ. 143; გაგოშიძე, ი., და გაგოშიძე, გ., 2014, გვ. 342-344). თასი გვიანსასანური ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს და პარალელებს პოულობს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული გვიანანსასანური ტორევტიკის მსგავს ნიმუშებთან. შესაბამისად, თასის თარიღი პარალელებისა და ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებების შესწავლის საფუძველზე, VI საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭერმისხევის ვერცხლის ჯამი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასანური ტორევტიკის ნიმუშებს შორის ერთ-ერთ ეგზემპლარს, რომელიც გვიან სასანურ ხანას განეკუთვნება (VI-VII სს). ჯამი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იბერია-ირანის ურთიერთობების კვლევაში ადრეშუასაუკუნეების ეტაპზე. გვიანსასანური ტორევტიკის კიდევ ერთი ნიმუში, სპილენძის სასანური სურა, სვანეთის ტაძრის ეთნოგრაფიულ საგანძურშია დაცული, თუმცა როდის და რა გზით მოხვდა ეს ჭურჭელი სვანეთში ჩვენთვის უცნობია (მაჩაბელი, 1979, გვ. 165-173).

როგორც ვხედავთ, იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსებისა და საკუთრივ ტორევტიკული მასალის

[16] სასანიდი მეფე ხოსრო II აღმოსავლეთ რომის იმპერიის პრინცესაზე, სარწმუნოებით ქრისტიან მარიამზე იყო დაქორწინებული, ხოლო მეორე მეუღლე შირინი, ასევე ქრისტიანი იყო და ირანში თავისი სარწმუნოების ფართო პროპაგანდასაც ეწეოდა (Daryaee, 2013, p. 34; გაგოშიძე & გაგოშიძე, 2014, გვ. 343; Луконин, 1987, გვ. 180-181). ხოსრო II ასევე ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ქრისტიანობის მიმართ, რის გამოც ის ზოროასტრიზმის მიმდევართა მხრიდან მუდმივ გაკიცხვასა და გმობას ისმახურებდა. ხოსრო II-ის მმართველობის დროს, ირანის ვასალ ქვეყნებში იბერიაში, სომხეთსა და ალბანეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა.

რაოდენობა ბევრად აღემატება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენულ სურათს. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ახ.წ. I-IV საუკუნეებში კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილ სხვადასხვა ეთნიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით, იბერიის ცენტრალიზებული სამეფო ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეზე იმყოფებოდა, ფართოდ გაშლილი სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობებით. ამ საკითხის კვლევა ნაშრომის შემდეგ თავებში იქნება გავცობილი.

2.3. არქეოლოგიური კომპლექსები კოლხეთიდან

ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ვერცხლის ჭურჭელი აღმოჩენილია ბიჭვინთაში, სოფლებში აჩმადრა, შუბარა, ბანძა, თაგილონი და ხაიში, ციხისძირში, ურეკში, გონიოში (ოქროს ფიალა) და ხელვაჩაურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ქვემოთ განხილულია ვერცხლის ჭურჭლის შემცველი თითოეული არქეოლოგიური კომპლექსი და მათში წარმოდგენილი ტორევტიკული მასალა. გამომდინარე საკვლევი მასალის მოცულობიდან, შემოთავაზებულია კომპლექსების ზოგადი აღწერა და ის ძირითადი ნიუანსები, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია.

1. აჩმარდა (ტაბ. 27). აფხაზეთში, სოფელ აჩმარდაში, 2005 წელს აღმოჩნდა მდიდრული სამარხი. სამარხი N5 წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთით ორიენტირებულ ორმოსამარხს, რომელშიც მიცვალებული ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში ესვენა. სამარხეული მასალა მდიდრულია და შეიცავს ვერცხლისა და ოქროს სამკაულს, მძივებს, ვერცხლის სარკისა და რკინის კვერთხისთავს, რკინის დანას, თიხისა და მინის ჭურჭელს, თიხის საწაფებსა და შეწირული ცხოველის ძვლებს (ვინოგრადოვ, 2013, გვ. 61-62). სამარხში, მიცვალებულის მენჯის სიახლოვეს, მოთავსებული იყო ვერცხლის კათხისებური მოყვანილობის ჭურჭელი[17] (სავარაუდოდ ამძვრალი რყალისებური ყურით) ბერძნული პუნსონური წარწერით

[17] ჭურჭელს ვამსგავსებ არმაზისხევის N9 სამარხში და ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილი მსგავსი მოყვანილობის ფორმის ჭურჭლებს, რომლებსაც მუცელზე მრგვალი ყური აქვთ მირჩილული.

"მე, მეფე პაკურმა, ცხვრებს [ჩემსას] მივეცი." წარწერა ახ.წ I- IV საუკუნეების დიაპაზონით თარიღდება, ხოლო თასის ეს ფორმა II-IV საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. ა. ვინოგრადოვი პალეოგრაფიული ანალიზითა და ისტორიული მიმოხილვის საფუძველზე გვთავაზობს მეფეთა იდენტიფიცირების რამდენიმე ვარიანტს - იბერიის მეფე ბაკურთაგან რომელიმე, პართიის ან არმენიის მეფე პაკორი. თასზე არსებული სახელის ლაზთა მეფე ბაკურთან იდენტიფიცირების თაობაზე მოსაზრება ეკუთვნით თ. დუნდუასა და კ. ჩიქობავას (დუნდუა და ჩიქობავა, 2013, გვ. 3-8). ნივთს და მასზე დატანილ წარწერას მეოთხე თავში, სოციალური ატრიბუციის ქვეთავში განვიხილავთ.

სამარხი, ცალსახად, მმართველი ფენის წარმომადგენელს ეკუთვნის და არ არის გამორიცხული, განსვენებული უშუალოდ პაკორუს მეფის საჩუქრის ადრესატი იყოს.

2. ბიჭვინთა/პიტიუნტი (ტაბ. 28). 1961 წელს, ბიჭვინთის გვიანანტიკური ხანის პიტიუნტის სამაროვნის მახლობლად, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით ვერცხლის რამდენიმე ჭურჭელი (თასი და ორი კოვზი) და მონეტა იქნა აღმოჩენილი. ნითები, რომლებიც დღეს სოხუმის მუზეუმშია დაცული ინტერპრეტირებულია როგორც განძი. სამწუხაროდ, აღმოჩენის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. ბიჭვინთის განძში შემავალი ვერცხლის დიონისური სცენებით შემკული თასის ფოტომასალა დიდი პიტიუნტის მესამე ტომში გამოქვეყნდა (აფაქიძე ა. , 1978, გვ. სურ. 257). ვერცხლის თასი, ფორმისა და დიონისური სცენებით შემკული დეკორის მიხედვით, ახ.წ II-III საუკუნეების რომაული ნაწარმია, რომელსაც პარალელები იტალიაში, მილანსა და ფლორენციაში დაცულ თასებთან ეძებნება (Strong, 1966, pp. 164, fig.35b). განძის დანარჩენ ნივთებზე ინფორმაცია უცნობია. ჩვენს ხელთ არსებულ ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ინტერნეტ მასალა, რომლის მიხედვითაც ვერცხლის თასთან და ორ კოვზთან ერთად მონეტაც აღმოჩნდა, რომელზეც შესაძლებელია იმპერატორ დეციუსის (249-251) სახელის ამოკითხვა.[18] თუ აღნიშნული ინფორმაცია სანდოა, შეგვიძლია განძის (ან შესაძლო სამარხის) თარიღად III საუკუნის შუა ხანები მივიჩნიოთ.

[18] http://www.irrsochi.ru/sochi/60.html

3. შუბარა (ტაბ. 29). 2019-2020 წლებში, ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოხუმის მუზეუმს გადაეცა განძმაძიებელთა მიერ მოპოვებული რელიეფური ნადირობის სცენებით შემკული ვერცხლის თეფში. აღნიშნულ არტეფაქტზე სხვა ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ გამოქვეყნებულა. ერთი შეხედვით ნათელია, რომ ჭურჭელზე წარმოდგენილია ცნობილი სასანური ნადირობის სცენა, სადაც ცხენზე ამხედრებული შაჰისა და ლომის ორთაბრძოლის მომენტია აღბეჭდილი. ჭურჭელი სასანური ირანის ტორევტიკულ ნაწარმს მიეკუთვნება, თუმცა შაჰის იდენტიფიცირებასა და ნივთის ქრონოლოგიაზე გადაჭრით საუბარი რთულია. ზოგი მკვლევარის ვარაუდით ეს V-VI საუკუნეების ნაწარმია, ზოგი კი უფრო ადრეულად მიიჩნევს და პორტრეტში რომელიმე ბაჰრამის (ბაჰრამ II, მისი შვილი ბაჰრამ III ან ბაჰრამ IV-ის) გამოსახულებას ხედავენ. პორტრეტული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ნივთზე, რომელიმე ბაჰრამთაგანია წარმოდგენილი და ნივთი III-IV საუკუნეებს განეკუთვნება. აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ ცნობები ჯერჯერობით უცნობია, შესაბამისად, რთულია გადაჭრით ამ ეტაპზე რაიმეს თქმა.

4. ბანძა (ტაბ. 30). 1923 წელს, ნოქალაქევის რაიონში, სოფელ ბანძაში, მდინარე აბაშის პირას აღმოჩნდა ძველი სამარხი, რომლის შესახებ ცნობები ს. მკალათიას ეკუთვნის (მაკალათია, 1928, გვ. 161-188). ბანძას მდიდრული სამარხი წარმოადგენდა ქვევრსამარხს, რომელიც მიწაში გვერდულად იყო ჩადგმული და შეიცავდა ოსტეოლოგიურ მასალასაც. სამარხეული ინვენტარი შემდეგნაირია: რკინის იარაღები, ვერცხლის ჭურჭელი და ქამრის რგოლები, თიხის ჭურჭელი და ანტონინე პიუსის (138-161) დინარი (მაკალათია, 1928, გვ. 182-186). მაკალათიას გადმოცემით, აღნიშნული მონეტა მოჭრილია ანტონინუს პიუსის მიერ რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილისთვის (მაკალათია, 1928, გვ. 185). სამარხში ჩატანებულ ვერცხლის სასმისს, მომრგვალებული ძირი და კანელურებიანი ტანი აქვს (მაკალათია, 1928, გვ. 184). სამარხი, სავარაუდოდ, II საუკუნის მეორე ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს.

5. თაგილონი (ტაბ. 31). 1930 წელს, მდინარე ენგურას მარჯვენა ნაპირზე, სოფელ თაგილონის მახლობლად, სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები. ნივთები აღმოჩენისთანავე დაიკარგა, თუმცა მოგვიანებით მათი ნაწილობრივ შეგროვება მოხერხდა (მხოლოდ ერთი პირისგან) და გადატანილ იქნა ზუგდიდის მუზეუმში. სამწუხაროდ ნივთების სამი მეოთხედი დაიკარგა (Амиранашвили, 1935, გვ. 9).

აღმოჩენის ადგილი განძმაძიებელთა მიერ იმდენად განადგურდა, რომ არქელოგიური კონტექსტის დადგენა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსტეოლოგიური მასალა არ დაფიქსირებულა, სავარუდოა, რომ საქმე გვაქვს მდიდრულ სამარხეულ ინვენტართან (Амиранашвили, 1935, გვ. 10).

კოლექცია ძალზე მდიდარია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთებით: მახვილის ვადის ოქროს გარსაკრავები, ოქროს გავარსიანი მძივები, ირმის სარიტუალო ოქროს ქანდაკების თავი, მუზარადისა და აბჯრის ნაწილები, ცხენის აღკაზმულობის ფრაგმენტები, ვერცხლის ჭურჭელი და სხვა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თაგილონის განძის ოქროს ნივთები და აბჯრის ნაწილები პარალელლებს პოულობს ჩრდ. კავკასიისა და ყუბანისპირეთის სარმატული სამარხების ნაწარმთან (გაგოშიძე, 1979, გვ. 558).

თაგილონის განძის მინიმუმ თოთხმეტი ერთეული ვერცხლის ჭურჭელია ჩვენამდე მოღწეული. 1. თასი/კათხა, პირისკენ ოდნავ გადაშლილი, ბოლოსკენ შევიწროებული ცილინდრული ტანით, მოგვიანებით უფუნქციოდ მირჩილული ლომის თავიანი სახელურის იმიტაციით; 2. თასი მომრგვალებული ძირით. სავარაუდოდ, წარმოადგენს რელიეფური ორნამენტებით შემკული ორყურა, ფეხიანი თასის შიდა ნაწილს - სარჩულს; 3. ნახევარი ოვალის მოყვანილობის თასი, რომლის ზედაპირი დაფარულია რელიეფური კანელურებით; 4. ზემოთაღნიშნული კანელურებიანი თასის მსგავსი ჭურჭლის თხუთმეტი ფრაგმენტი; 5. მაღალფეხიანი თასის დაზიანებული ფრაგმენტი, რომლის ერთ მხარეს ქვედა ნაწილში შეიმჩნევა რელიეფური მცენარეული ორნამენტები; 6. ლანგარი/თეფში ზედაპირზე ამოღარული კონცენტრული წრით, უკანა მხარეს შუაში რელიეფური როზეტით; 7. თეფშის შვიდი ფრაგმენტი, რომელთა კიდეებზე რელიფეური ორნამენტებია

შემორჩენილი; 8. ვერცხლის ჭურჭლის ძირი; 9. კიდევ ერთი ჭურჭლის ძირი; 10. ჭურჭლის შემორჩენილი რგოლები, რომლის შუაში სავარაუდოდ ემბლემა ან ორნამენტირებული ცენტრალური მედალიონი იყო მოთავსებული; 11. მაღალფეხიანი ჭურჭლის ფეხი, რომელზეც ხვეული რელიეფური ორნამენტია დატანილი; 12. ჭურჭლის ფეხი; 13. თასის სამკომპონენტიანი ყურის ზედა ნაწილები, ანალოგიური ორი ბრტყელი ფირფიტა; 14. თასის სამკომპონენტიანი ყურის ზედა ნაწილები, ანალოგიური ორი ბრტყელი ფირფიტა; 15. თასის სამკომპონენტიანი ყურების ფრაგმენტები, რკალები და მასზე მირჩილული ყურის ქვედა ელემენტი. სავარაუდოდ წარმოადგენს ზემოთ აღწერილი ყურების (13-14) ნაწილს. 16. ჭურჭლის სახელური რგოლი, რომელიც მსგავსია ბაგინეთში აღმოჩენილი ქილისებური კათხის ყურის; 17. თასის ორნამენტირებული ყურის ფრაგმენტი; 18. ჭურჭლის მუცლის/გვერდის ფრაგმენტები; 19. ჭურჭლის თხელი ფურცლის ფრაგმენტები (3ც); თასის რელიეფურ ორნამენტიანი გვერდის ფრაგმენტები, გამოსახულია ლოტუსის ყვავილი; 20. რელიეფურ ორნამენტიანი თასის გვერდის ფრაგმენტი (Амиранашвили, 1935, გვ. 23-29).

ვერცხლის ჭურჭლის ეს კოლექცია, რომელიც ძირითადად თასებითა და კათხებითაა წარმოდგენილი, რომაული პროვინციული ნაწარმია და პარალელებს პოულობს ჰილდეშეიმისა და ბოსკორეალის განძებში შემავალ ჭურჭლებთან. თუ ვივარაუდებთ, რომ ვერცხლის თასის ორი ფეხი ცალკე ჭურჭლებს წარმოაგდენდა, მაშინ შესაძლოა სულ თექვსმეტი ჭურჭელი იყოს კომპლექსში.

თაგილონის განძში შემავალი ჭურჭელი ადრეიმპერიული პერიოდის ნაწარმია, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტური კულტურისა და ტორევტიკისთვის დამახასიათებელ მრავალ დეტალს ატარებს. ნივთები ახ.წ I-II საუკუნეებს განეკუთვნება.

6. ხაიშის განძი (ტაბ. 32). 1948 წელს, სოფელ ხაიშთან (სვანეთი), მიწის სამუშაოების დროს ლოდის ქვეშ აღმოჩნდა ძვირფასი ნივთები. ადგილზე არ იყო წარმოდგენილი ძვლოვანი მასალა, რის გამოც აღმოჩენა განძად იქნა ინტერპრეტირებული (ჯავახიშვილი ა. , 1958, გვ. 150; Odisheli, 2014, p. 190). ხაიშის განძს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახ.წ. I საუკუნის კოლხეთისა და მისი

მოსახლეობის კულტურისა და ისტორიის შესასწავლად. ის არქეოლოგიური მონაპოვრის იმ უმცირეს კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის კოლხეთის მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობისა და კოლხეთის მთიან რეგიონში რომაული კულტურის ინფილტრაციის შესახებ. ხაიშის განძი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის, სავარაუდოდ, სხვადასხვა პერიოდის ძვირფას ნივთებს შეიცავს, რომელთაგან უადრესი (ძვ.წ. VI ს) ორფერდა კოშკურა ნაგებობის ოქროს საკიდი უნდა იყოს.

ხაიშის განძში ყველაზე გვიანდელი ვერცხლის ჭურჭელია. ჩვენთვის საინტერესო მასალიდან, სამივე წარმოადგენს ვერცხლის თასს, რომელთაგან ორი ძალზე დაზიანებულია, მესამე კი მეტნაკლებად სრულადაა შემორჩენილი (ტაბ. 32). სამივე თასი მსგავსი ფორმის უნდა ყოფილიყო - ორყურა დაბალ ფეხზე შემდგარი ოვოიდური ფორმის, რომელთა ზედაპირი რელიეფური მცენარეული ორნამენტებითაა შემკული. აღნიშნული სტილი ე.წ. ელინისტურ-რომაული ჭურჭლისა, ძალზე დამახასიათებელია ადრე იმპერიული პერიოდის რომაული ტორევტიკისთვის (Мачабели, 1976, გვ. 27; Odisheli, 2014, p. 191). ახ.წ. I საუკუნის ამ ჯგუფის თასები აღმოჩენილია რომის იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიებზე, მათ შორის პომპეისა და ჰერკულანუმში (Odisheli, 2014, p. 191). მსგავსი სტილისა და პერიოდის თასები გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბორისა და თაგილონის განძებშიც (Мачабели, 1976, გვ. 27-28).

ხაიშის ეს იტალიკური ნაწარმი რომაულ იმპორტს წარმოადგენს, რომელიც კოლხეთის ტერიტორიაზე ახ.წ I საუკუნეში უნდა მოხვედრილიყო.

7. ციხისძირი (ტაბ. 33). ციხისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძი 1907 წლიდან დაცულია ერმიტაჟში. XIX საუკუნის მიწურულს აღმოჩენილი ძვირფასი ნივთების კოლექცია, სამეცნიერო ლიტერატურაში 'ციხისძირის განძის' სახელითაა დამკვიდრებული, თუმცა, ის გაძარცვული ძვირფასი სამარხების ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს. ციხისძირის განძის შესახებ პირველ ინფორმაციად შეიძლება მივიჩნიოთ 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, გაზეთ 'ივერიაში' გამოქვეყნებული ცნობა, რომლის მიხედვითაც თურქმა ჯარისკაცებმა ციხისძირში სანგრების გათხრის დროს ძვირფასი ნივთების შემცველ სამარხებს

მიაკვლიეს და გაძარცვეს (ინაიშვილი, 1993, გვ. 5). სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ციხისძირის არქეოლოგიურ ძეგლებს ნინო ხოშტარიამ (ხოშტარია, 1962).

ციხისძირის განძი მკვლევართა მიერ ახ.წ II საუკუნითაა დათარიღებული. თარიღი ძირითადად დამყარებულია იმერატორ ლუციუს ვერუსის (161-169) გემაზე (ინაიშვილი, 1993, გვ. 10).

ჩვენთვის საინტერესოა განძში შემავალი ვერცხლის ჭურჭელი: 1. ლანგარი ცენტრალურ მედალიონში ტიხე ფორტუნას რელიეფური ფიგურით, მისგან მარცხნივ კი საკურთხევლის გამოსახულებით. კ. მაჩაბელი თასს ახ.წ II-III სს. მიჯნის ნაწარმად მიიჩნევს (ტაბ. 33: სურ. 2-3); 2. ვერცხლის თასის მოოქროვილი ფრაგმენტები, ცხოველის (ჯიხვი, ანტილოპა?) რქისა და მცენარეული დეტალებით; 3. ჩამჩის ტარი, რომელზეც დატანილია მამაკაცის რელიეფური გამოსახულება მარჯვენა პროფილში, ფრიგიული ქუდით, აღმოსავლური ყაიდის ტანისამოსით, ხელში გრძელტარიანი იარაღით (ტაბ. 33: სურ. 3) (რომბისებურპირიანი შუბი?) (ინაიშვილი, 1993, გვ. 33-35; Мачабели, 1976, გვ. 39).

ციხისძირის განძში ოცდახუთი ცალი ვერცხლისა და სპილენძის მონეტა აღმოჩნდა, რომელთა შესახებ ინფორმაცია უცნობარ გამოქვეყნებულა (ინაიშვილი, 1993, გვ. 40).

ციხისძირის განძისა და სხვა არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ნ. ინაიშვილი მიიჩნევს, რომ ამ ტერიტორიაზე ახ.წ III საუკუნიდან არსებობდა რომაული სტრატეგიული პუნქტი, რომლის გვერდით ახ.წ. IV საუკუნიდან წარმოიქმნება მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლება. ვერცხლისა და ბრინჯაოს რომაული წარმომავლობის ჭურჭელი მოწმობს, რომ II საუკუნის მეორე ნახევრიდან და III საუკუნეში, ციხისძირის მაცხოვრებელთ აღმოსავლეთ რომის პროვინციებთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები აკავშირებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმულია მოსაზრება ახ.წ. II-III საუკუნეებში ციხისძირის ტერიტორიის იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში ყოფნაზე. ამ საკითხს ნაშრომის მეხუთე თავში განვავრცობთ.

8. ურეკი (ტაბ. 34). ურეკის განძის ნაწილი 1942 წელს აღმოჩნდა, ხოლო 1948 წელს პირველი აღმოჩენის სიახლოვეს (150მ-ში) კიდევ რამდენიმე ნივთი, მათ შორის

ვერცხლის ჭურჭელი გამოვლინდა (ფუთურიძე, 1959, გვ. 64). ურეკის განძის 1942 წლის არქეოლოგიური კონტექსტი ბურუსითაა მოცული. შემონახული ცნობების საფუძველზე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადგილი გვაქვს მდიდრული სამარხების ინვენტართან. თვითმხილველთა აღწერით, აქ ვერტიკალურად ჩადგმული ამფორაც იქნა აღმოჩენილი, რომელიც შესაძლოა დასაკრძალავი კრემაციის ურნას წარმოადგენდეს (აფაქიძე ა. , 1947, გვ. 110-111).

1948 წელს ნივთები ბულდოზერით პატარა ბორცვის მოჭრის დროს აღმოჩნდა, ზედაპირიდან 2 მეტრის სიღრმეში ვერცხლის ლანგრის ქვეშ (ფუთურიძე, 1959, გვ. 64; Хоштариа, 1955, გვ. 52-54). ამ კომპლექსში შედის: ოქროს სამკაული (კილიტები, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სამაჯურები, ალმადინის თვლებით მოოჭვილი ქამრის ბალთა, სარდიონის თვლების შემკული ბალთები); მინის სანელსაცხებლეები; ადრიანეს ვერცხლის კესარიული დიდრაქმა; და ვერცხლის ჭურჭელი: 1. ვერცხლის მოოქროვილი ლანგარი ცენტრში პუნსონის/რეპუსის ტექნიკით გამოსახული რვაქიმიანი ვარსკვლავით, კიდეებზე ორ-ორი წყვილადი გამჭოლი ნახვრეტებით; 2. დამტვრეული ვერცხლის თასი. 3. ვერცხლის კოვზი, თხის ჩლიქისებური დაბოლოებით, პარალელები ეძებნება სარგვეშის კოვზთან, ბორის კოვზთან და ქერჩში აღმოჩენილ ცალთან (Хоштариа, 1955, გვ. 52-56; 59; ფუთურიძე, 1959, გვ. 64).

ურეკის განძი მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს გვიანანტიკური ხანის კოლხეთის შავიზღვისპერითისი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. განძის მრავალფეროვანი მასალა პარალელებს პოულობს არმაზისხევისა და სამთავროს ნივთებს შორის, ხოლო სამკაულის ერთი ჯგუფი ადგილობრივი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს უნდა წარმოადგენდნენ (აფაქიძე ა. , 1947, გვ. 108). ურეკის განძი, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა პერიოდის სამარხთა ინვენტარს წარმოადგენდეს, მიგვანიშნებს, რომ კოლხეთის ეს ნაწილი გარკვეულ კავშირშია იბერიის სამეფოსთან და მისთვის დამახასიათებელ კულტურასთან.

აღსანიშნავია, რომ 1948 წელს აღმოჩენილი კომპლექსის შემადგენლობაში ადრიანეს დიდრაქმა აღმოჩნდა, ხოლო სხვადასხვა წლებში, ამ მიდამოებში მოპოვებული იქნა კლავდიუს ტაციტუსის (268-270) აურეუსი და სეპტიმუს სევერუსის (193-211) დინარიც. ურეკის არქეოლოგიური კომპლექსი, მონეტებზე

დაყრდნობით, ახ.წ. III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული (ფუთურიძე, 1959, გვ. 63-64).

ვფიქრობ, ურეკის კომპლექსის ის ნაწილი, რომელიც ვერცხლის ჭურჭელს, პოლიქრომიულ ბალთებსა და ადრიანეს დიდრაქმას შეიცავს, ახ.წ. ახ.წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს.

9. გონიო (ტაბ. 35). გონიოს არქეოლოგიური კონპლექსი ამ ნაშრომში განხილული ტორევტიკული მასალის კომპლექსებიდან ერთადერთია, რომელშიც ვერცხლის ჭურჭელი არ გვხვდება. თუმცა, განძში წარმოდგენილი ოქროს ფიალა, რომელიც გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტორევტიკის ერთადერთი ოქროს ჭურჭელია, ჩვენ საკვლევი თემატიკისთვის რელევანტურია, რადგან ნივთი ძალზე ემსგავსება ვერცხლის ადგილობრივად მიჩნეულ სინქრონულ ნაწარმს.

გონიოს განძი 1974 წელს აღმოჩნდა იმ ქედზე, რომელიც გონიოს ციხეს სამხრეთიდან დასცქერის. ნივთები (სამოცამდე ერთეული), რომლებიც ლითონის ჭურჭელში იყო ჩალაგებული მოზრდილი ლოდის ქვეშ გზის სამშენებლო სამუშოების დროს გამოვლიდნა. აღმოჩენა განძადაა გააზრებული, ვინაიდან არქეოლოგიური კონტექსტი გადამალული ნივთების შთაბეჭდილებას ტოვებს (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 10). განძში მეტწილად ოქროს ნივთებია წარმოდგენილი: ოქროს ჭაბუკის ქანდაკება ხელში ფიალით; ოქროს კანელურებიანი ფიალა; ოქროს სამაჯურები; ოქროს გარსაკრავი ცხოველთა ბრძოლის ინსკრუსტირებული სცენით; ჰელიოსის ოქროს საკიდი; ოქროს ბალთები გაფორმებული ფრინველების, ცხოველებისა და ცხენოსანი ფიგურებითა და ძვირფასი ქვებით, შემკული ცვარას ტექნიკით, ღილები, გარსაკრავები, ფირფიტები, საკიდები, შტანდარტის თავი და სხვა (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 11-18).

გონიოს ოქროს ბალთებისა და სამკაულის ნაწილი, მცირედი განსხვავებებით, თუმცა მსგავსია კლდეეთის, ურეკისა და არმაზისხევის სამარხებში აღმოჩენილი მასალისა (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 19-22). უახლოეს მსგავსებას გონიოს ბალთები ამჟღავნებს გონიოს სიახლოვეს, ხელვაჩაურში, ადგილ

კაპანდიბში აღმოჩენილი ოქროს ბალთებთან (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015, გვ. 54-59).

გონიოს ოქროს ფიალა ემსგავსება ბანძაში, კლდეეთსა და თაგილონში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელს, რომელთა ზედაპირი მსგავსი კანელურებითაა დაფარული. რელიეფური კანელურები კოლხური კულტურის თვითმყოფადი ელემენტია, რომელიც მასიურად გვხვდება წინარე პერიოდის კოლხურ ნაწარმშიც (ლორთქიფანიძე ო. , 2002, გვ. 171-173; გიგოლიშვილი, 2005, გვ. 57-64; Licheli, 2007, pp. 55-66). მიგვაჩნია, რომ გონიოს ფიალის ადგილობრივი წარმოება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

გონიოს განძის თარიღად ახ.წ. I-II საუკუნეები მოიაზრება (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015, გვ. 63-89; ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 26-27).

10. ხელვაჩაური (კაპანდიბი) (ტაბ. 36). ხელვაჩაურში, ადგილ კაპანდიბში, გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელის შესანიშნავი ნიმუშებია აღმოჩენილი. მასალა, რომელიც ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული, პირველად 2015 წელს მუზეუმის საგანძურის კატალოგში გამოქვეყნდა (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015, გვ. 53-62). სამწუხაროდ, ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კონტექსტის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოგვეპოვება. არსებული ინფორმაციით, ვერცხლის ჭურჭელი წარმოადგენს შემთხვევით აღმოჩენას, რომელიც დღეს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული. ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ტორევტიკის ამ ნიმუშებთან ერთად სხვა მასალა არ აღმოჩენილა (ან დაიკარგა), თუმცა სავარაუდოდ საქმე უნდა გვქონდეს სამარხეულ ინვენტართან.[19]

ტორევტიკული მასალა წარმოდგენილია ვერცხლის კანთაროსითა და ფეხიანი თასით. ორივე ნივთი დაზიანებულია, თუმცა, მათი ფორმების აღდგენა მარტივად ხერხდება. სადაზედაპირიანი, მკვეთრად დაქანებულკალთებიანი კანთაროსის ზეაწეული ორი ყურიდან შემორჩენილია ერთი, რომელის ქვედა მხარე მცენარეული

[19] დიდ მადლობას ვუხდი ბატონ კახა ქამადაძეს და ქალბატონ თამარ შალიკაძეს აღნიშნული ინფორმაციის გაზიარებისთვის.

ორნამენტით ბოლოვდება (ტაბ. 36: სურ. 1). ასევე შემორჩენილია კანთაროსის ქუსლი. რაც შეეხება თასს. ეს ორყურა თასი ნახევარსფერული კორპუსითაა წარმოდგენილი, რომლის ზედაპირი სადაა, თუმცა, პირთან დაუყვება ცრუგავარსით შემოზღუდული წერტილოვანი მეანდრის რელიეფური ზოლი (ტაბ. 36. სურ. 2). თასის მაღალი ფეხი დაკარგულია. შემორჩენილია ორნამენტირებული ქუსლი. ჭურჭელს ორი ყური ამკობდა, რომელთა ზედა ნაწილი, ბრტყელი ფირფიტებია შემორჩენილი. ფირფიტები ფრინველთა სტილიზებული გამოსახულებებითაა შემკული (კახიძე, შალიკაძე, & ფარტენაძე, 2015, გვ. 60-62).

ორივე ნივთი ახ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული (კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე, 2015, გვ. 53-62). ვერცხლის ჭურჭელი, დიდი ალბათობით, რომაულ იმპორტს წარმოადგენს. ერთი შეხედვით ისინი მოგვაგონებენ გვიანელინისტური-ადრე რომაული ხანის ტორევტიკის ნიმუშებს.

თავი III

ვერცხლის ჭურჭელი - აღმოჩენის პირობები და კომპლექსების ქრონოლოგია

საქართველო გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ასობით ეგზემპლარი არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე მომდინარეობს, საქართველოში აღმოჩენილი ტორევტიკის ნიმუშების უმრავლესობა არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული. აქედან გამომდინარე, საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ტორევტიკული მასალის ქრონოლოგიის, განვითარების ეტაპების, როლის, მნიშვნელობისა და სხვა დარგობრივი ნიაუნსების კვლევაში.

გვიანანტიკური ხანის ტორევტიკის ნიმუშები საქართველოდან, ძირითადად, XX საუკუნეში იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი. ცალკეული ერთეულები კი ბოლო ოცწლეულის მანძილზე შეემატა კოლექციას. მასალის დიდი ნაწილი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდშია დაცული, ხოლო ცალკეული კომპლექსები ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მუზეუმშია განთავსებული (მაგ. სოხუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის მუზეუმები). XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი ციხისძირისა და ბორის განძის უმნიშვნელოვანესი კოლექცია გასული საუკუნიდანვე ერმიტაჟშია დაცული.

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი კოლექცია სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით რამდენიმე კატეგორიად და ქვეკატეგორიად შეიძლება დაიყოს. მასალა შეიძლება დაჯგუფდეს ქრონოლოგიის, კულტურული ატრიბუციის, მათი ფორმის, ორნამენტისა და ფუნქციის მიხედვით. ასევე მათზე დატანილი წარწერებისა და ორნამენტის საფუძველზე. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის მიზანი ტორევტიკული მასალის არა მხატვრულ-

სტილისტური ანალიზი, არამედ მათი შესწავლაა არქეოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში, მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში საჭიროა ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური ძეგლების რაოდენობრივ-ხარისხობრივი ანალიზი. აღნიშნული კუთხით განხორციელებული კვლევა დაგვეხმარება უკეთ გავადევნოთ თვალი თუ სად, როდის, რა გარემოაბაში და რა ინტენსივობით ვრცელდებოდა ტორევტიკული მასალა იბერიასა და კოლხეთში. ვის ეკუთვნოდა, ვინ მოიხმარდა და რისთვის გამოიყენებოდა არქეოლოგიური მასალის ეს ჯგუფი გვიანანტიკური ხანის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, რელიგიურ წეს-ჩვეულებებში და დიპლომატიურ ურთიერთობებში.

3.1. ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კომპლექსების აღმოჩენის პირობები

წინა თავში განხილული არქეოლოგიური კომპლექსების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი იბერიიდან და კოლხეთიდან, მეტწილად, სამარხეული ძეგლებიდან მომდინარეობს. ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ვერცხლის ჭურჭლის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა დადასტურებული ურბნისის ნაქალაქარზე, ხოლო ცალკეული ნიმუშები შემთხვევით აღმოჩენად ან განძებადაა ინტერპრეტირებული, ვინაიდან მათი არქეოლოგიური კონტექსტი ბუნდოვანია, მოპოვებულია განძის მაძიებელთა მიერ და/ან არ შეიცავს ოსტეოლოგიურ მასალას. მიუხედავად ამისა, სხვა სამარხეულ კომპელქსებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე, დიდია ალბათობა, რომ ზოგიერთი შემთხვევითი მონაპოვარის შემთხვევაშიც, საქმე გვქონდეს სამარხების/სამაროვნის მასალასთან.

სამარხეული კომპლექსების ერთი ნაწილი არქეოლოგიური გათხრებითაა შესწავლილი, ხოლო მეორე ნაწილი გასული საუკუნის დასაწყისში ფართოდ გაშლილი სამშენებლო საქმიანობისა თუ მიწის სამუშაოების დროს უსისტემოდ იქნა აღმოჩენილი და გათხრილი. მართალია, განძმაძიებელთა მიერ მოპოვებული ტორევტიკული მასალა მოგვიანებით მუზეუმებში იქნა გადატანილი, თუმცა, ზოგჯერ დაკარგულია ის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, თუ რომელ სამარხში რა

ნივთი იყო წარმოდგენილი, როგორი იყო დაკრძალვის წესი, სამარხის ტიპი და ა.შ. დაზიანებული და გაძარცვული სამარხების შემთხვევაში დაკარგული უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია არქეოლოგიური კონტექსტის თაობაზე, გარკვეულ პრობლემებს ქმნის ნივთების ქრონოლოგიისა და სამარხთა სოციალური ატრიბუციის საკითხის კვლევაშიც.

სამეცნიერო ლიტერატურასა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი მუზეუმის ფონდებში მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი სამარხეული ძეგლებია: არმაზისხევის პიტიახშთა სამარხები; ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი; სამთავროს N905 აკლდამა და N212 სამარხი; ხოვლეს თიხის ფილებიანი აკლდამა და ქვაყუთი; არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, მაგრანეთის ქუშაანანთ გორის, აღაიანის, ზღუდერის, კლდეეთის, მოდინახესა და აჩმარდას სამაროვნები და ბანძას ქვევრსამარხი.

სამუშაოების დროს დაზიანებული ან/და გაძარცვული სამარხეული კომპლექსებია: მცხეთაში სვეტიცხოვლის გალავნის რეაბილიტაციის აღმოჩენა; ზემო ავჭალის აკლდამა N1; თბილისის ს. ეულის ქუჩის, ცხინვალის(?), სარგვეშის, კვაშხიეთის(?), ბიჭვინთის, შუბარას, თაგილონის, ბორის, ურეკის, ხელვაჩაურისა და ციხისძირის სამარხები ან/და სამაროვნები. შემთხვევითი აღმოჩენებია ჭერმისხევის თასი და გომის რიტონი, რომლებიც დიდი ალბათობით, ასევე გაძარცვული ან დაზიანებული სამარხებიდან მომდინარეობდეს.

გარდა სამარხეული ინვენტარისა, ტორევტიკული მასალა წარმოდგენილია ნამოსახლარის კულტურულ ფენაში (მხოლოდ ურბნისის ნაქალაქარზე) და განძების სახითაც. გონიოსა და ხაიშის აღმოჩენები ცალსახად განძებადაა გააზრებული, რადგან ორივე შემთხვევაში ნივთები გადამალული აღმოჩნდა დიდი ლოდის ქვეშ. გონიოს განძი ლითონის დიდ ჭურჭელში ჩალაგებული ოქროს ნივთების კომპლექსი იყო, ხოლო ხაიშის განძი ლოდის ქვეშ ჩამარხული სხვადასხვა პერიოდის ძვირფასი ნივთების კოლექცია. არცერთი აღმოჩენის სიახლოვეს სხვა სამარხების ან სამაროვნის კვალი არ გამოვლენილა.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია ვერცხლის (გონიოს შემთხვევაში - ოქროს) ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის პირობები.

ცხრილი 1. *ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების აღმოჩენის პირობები*

მეთოდო-ლოგიურად შესწავილი სამარხები	დაზიანებული ან/და გაძარცვული სამარხები	განძები	შემთხვევითი აღმოჩენა	ნამოსახლარის კულტურული ფენა
•არმაზისხევი •ბაგინეთი •სამთავრო •ახალი ჟინვალი •არაგვისპირი •მაგრანეთი •ხოვლე •აღაიანი •ზღუდერი •მოდინახე •კლდეეთი •აჩმარდა •ბანძა	•მცხეთა (სვეტიცხოველი) •ავჭალა •თბილისი (ს. ეულის ქ.) •ცხინვალი •სარგვეში •ბორი •კვაშხიეთი •შუბარა •ბიჭვინთა (პიტიუნტი) •ურეკი •ციხისძირი •თაგილონი •ხელვაჩაური	•გონიო •ხაიში	•გომი •ჭერმისხევი	•ურბნისი

დიაგრამა 2. *ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების აღმოჩენის პირობები (პროცენტული დიაგრამა)*



ურბნისის, ხაიშისა და გონიოს კომპლექსების გარდა, თითქმის ყველა არქეოლოგიური ძეგლის მასალა გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სამარხეულ ინვენტართან. წინა თავში აღწერილი კომპლექსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვერცხლის ჭურჭელთან ერთად თითქმის ყოველთვისაა წარმოდგენილი ნუმიზმატიკური მასალა (უმეტესად რომაული აურეუსები, დინარები და აგრეთვე, პართული დრაქმები), ძვირფასი ლითონის სამკაული, გლიპტიკური ძეგლები, იარაღი ან/და ტანსაცმელთან დაკავშირებული აქსესუარები. მსგავსი მასალა საქართველოს გვიანანტიკური ხანის სამაროვნების ერთ-ერთი პირველი და მთავარი ატრიბუტია. გაძარცვული, დაზიანებული ან შემთხვევით მოპოვებული ტორევტიკული მასალა და მასთან ერთად აღმოჩენილი სხვა ნივთები ციხისძირის, თაგილონის, ურეკის, ბორის, სარგვეშისა და სხვა მსგავსი ძეგლებიდან, იმდენად ემსგავსება არქეოლოგიურად შესწავლილი სამაროვნების (მაგ. არმაზისხევის, ჟინვალის, ზღუდერის, სამთავროს და სხვ.) სამარხეულ ინვენტარს, რომ გასული საუკუნიდანვე ფართოდაა გაზიარებული მოსაზრება აღნიშნული კომპლექსების სამარხეულ ძეგლებად ინტერპრეტაციის შესახებ.

უსისტემოდ გათხრილი და დაზიანებული არქეოლოგიური კომპლექსებისგან განსხვავებით, ის სამარხეული ძეგლები (არმაზისხევი, ბაგინეთი, სამთავრო, არაგვისპირი, ჟინვალი, მაგრანეთი, ზღუდერი, და სხვ.), რომლებიც არქეოლოგიური გათხრებითაა შესწავლილი, უფრო მყარი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, ასეთ შემთხვევაში ბევრად მარტივია სამარხის ტიპის, თარიღის, კულტურული და სოციალური ატრიბუციის, დაკრძალვის რიტუალის, ცალკეული ნივთების სამარხში მოხვედრის თარიღის განსაზღვრა.

სამარხეული კომპლექსების შესწავლისას შევეცადეთ, თვალი გაგვედევნებინა ამა თუ იმ სამაროვნებზე წარმოდგენილი სამარხის ტიპებისა და დაკრძალვის წესის დინამიკისათვისაც. აღნიშნული კვლევა ერთგვარად ნაკლულია იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად არ გავქვს ინფორმაცია არქეოლოგიური კონტექსტის თაობაზე (მაგ. ცხრილი 1-ის და დიაგრამა 2-ის მიხედვით ვხედავთ, რომ თითქმის თანაბარია არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი და ნაძარცვი ან დაზიანებული სამარხეული ძეგლების რაოდენობა). მიუხედავად მსგავსი ნიუანსებისა, შევეცდები,

არსებული ინფორმაციის შეჯერებითა და შედარებით, წარმოგიდგინოთ გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის ვერცხლის ჭურჭლის შემცველი სამარხების ტიპები და მათში დადასტურებული დაკრძალვის წესი.

ცხრილი 2. ვერცხლის ჭურჭლის შემცველი სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესი (განხილულია კონკრეტული სამარხები და არა მთლიანად სამაროვნის მახასიათებლები)

N	ძეგლი	სამარხის ტიპი	დაკრძალვის წესი[20]
1	**არმაზისხევი**	ქვაყუთები, ქვის სარკოფაგები	ინჰუმაციური; მოკრუნჩხული; თავით დას-ით. ინდივიდუალური ან წყვილადი.
2	**ბაგინეთი**	ქვის სარკოფაგი	ინჰუმაციური (შემორჩ. კბილები); ინდივიდუალური.
3	**სამთავრო**	ქვაყუთები, ქვის აკლდამა (N905)	ინჰუმაციური;მოკრუნჩხული; თავით აღმ-ით. ინდივიდუალური და წყვილადი.
4	**მცხეთა (სვეტიცხოველი)**	ქვის აკლდამა (სავარაუდოდ)	-
5	**ავჭალა**	ქვაყუთი (ქვის აკლდამა)[21]	-
6	**თბილისი (საბურთ)**	ორმოსამარხები	ინჰუმაციური (ინფორმაცია დაკარგულია).
7	**არაგვისპირი**	ორმოსამარხები	ინჰუმაციური; ზურგზე გაშოტილი; თავით დას-ით. ინდივიდუალური და წყვილადი.
8	**ახალი ჟინვალი**	ორმოსამარხები	ინჰუმაციური; მოკრუნჩხული ან ზურგზე გაშოტილი; თავით დას-ით. ინდივიდუალური და წყვილადი.
9	**მაგრანეთი**	ორმოსამარხი, რომელშიც განთავსებული იყო ხის დასაკრძალავი კამერა.	ინჰუმაციური; ზურგზე გაშოტილი; თავით სამხ-დას-ით. ინდივიდუალური.
10	**აღაიანი**	ორმოსამარხები თიხის სარკოფაგი	ინჰუმაციური; მოკრუნჩხული; თავით სამხ-დას-ით. ინდივიდუალური და წყვილადი.
11	**ხოვლე**	ქვაყუთი (2004 წ. აღმოჩენა) თიხის ფილებით ნაგები სამარხი ყუთი (1976 წ აღმოჩენა)	ინჰუმაციური (დაზიანებული); ინდივიდუალური. ინჰუმაციური, წყვილადი.

[20] ცხრილში მოცემულია მხოლოდ იმ სამარხების დაკრძალვის წესის აღწერა, რომლებშიც ვერცხლის ჭურჭელი აღმოჩნდა და არა სრულიად სამაროვნისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესი.

[21] ტერმინს 'აკლდამა' ვიყენებთ იქიდან გამომდინარე, რომ ძეგლის შესახებ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში (მაკალათია 1928) სამარხის აღწერისას სწორედ ეს ტერმინია გამოყენებული. თუმცა, სამარხის ეს ტიპი შეესაბამება დიდრონი ქვის ფილებით აგებულ ქვაყუთებს.

12	**ცხინვალი**	-	-
13	**ზღუდერი**	ორმოში ჩადგმული ხის სარკოფაგები[22]	ინჰუმაციური,მოკრუნჩხული ან ზურგზე გაშოტილი; თავით დას-ით. ინდივიდუალური და წყვილადი.
14	**სარგვეში**	-	-
15	**ბორი**	ორმოსამარხები (?)	-
16	**კლდეეთი**	ორმოსამარხები (ზოგი ქვაყრილიანი)	ინჰუმაციური; ხელფეხმოკეცილი, ინდივიდუალური და წყვილადი.
17	**კვაშხიეთი[23]**	-	-
18	**მოდინახე**	ქვებით ამოშენებული ორმოსამარხები	ინჰუმაციური, ზუგზე გაშოტილი, თავით დას-ით. ინდივიდუალური.[24]
19	**გომი**	-	-
20	**ჭერემი**	-	-
21	**ურბნისი**	კულტურული ფენა	-
22	**ბიჭვინთა**	- (სავარაუდოდ ორმოსამარხი)	-
23	**აჩმარდა**	ორმოსამარხი	ინჰუმაციური; ზურგზე გაშოტილი; თავით სამხ-დას-ით, ინდივიდუალური.
24	**შუბარა**	-	-
25	**ბანძა**	ქვევრსამარხი	ინჰუმაციური ან მეორადი დაკრძალვა (აღმოჩენილია ძვლები). ინდივიდუალური.
25	**თაგილონი**	- (სავარაუდოდ ორმოსამარხები)	-
27	**ციხისძირი**	- (სავარაუდოდ ორმოსამარხები)	-
28	**ურეკი**	- (სავარაუდოდ ორმოსამარხები)	-
29	**გონიო**	განძი	ლოდის ქვეშ,ლითონის ჭურჭელში
30	**ხელვაჩაური (კაპანდიბი)**	- (სავარაუდოდ ორმოსამარხი)	-
31	**ხაიში**	განძი	ლოდის ქვეშ

[22] ტერმინს 'სარკოფაგი' ვიყენებთ იქიდან გამომდინარე, რომ ძეგლის შესახებ არსებულ პუბლიკაციებში (ნემსაძე 1969; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე: 2009) სამარხები სარკოფაგებადაა ინტერპრეტირებული. თუმცა, უფრო მართებულად მიგვაჩნია სამარხის ამ ტიპის გააზრება, როგორც დიდი ზომის ხის კუბო.

[23] კვაშხიეთის მდიდრული სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ვერცხლის თასი, გამოქვეყნებული არ არის.

[24] მოდინახეს სამაროვანზეფიქსირდება მოკრუნჩხულ, გვერდზე მწოლიარე პოზაში მიცვალებულის დაკრძალვაც, თუმცა ვერცხლის ჭურჭლის შემცველ სამარხებში ზურგზე გაშოტილი პოზა დომინირებს.

სამარხთა ტიპები. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ვერცხლის ჭურჭლის შემცველი სამარხები იბერია-კოლხეთის წარჩინებულთა სამარხების სრული რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილია, გარკვეული დასკვნების შემოთავაზება მხოლოდ ამ კომპლექსებზე დაყრნობითაც შეგვიძლია.[25] წინა თავში განხილული ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იბერიისა და კოლხეთის სხვადასხვა რეგიონში სამარხთა ტიპებსა და დაკრძალვის წესში გარკვეული მსგავსებები და განსხვავებები აღინიშნება. სამარხთა ტიპების მრავალფეროვნება როგორც რეგიონული და ეთნიკური განსხვავებულობით, ისე რელიგიური წეს-ჩვეულებებით, ადგილობრივი ადათ-წესებით, ქრონოლოგიური კუთვნილებითა და ცალკეული სოციალური და კულტურული ნიუანსებით უნდა აიხსნას. სამარხთა განსხვავებულ ტიპს, სავარაუდოდ, განსაზღვრავდა იმ სამოსახლოს ხასიათიც, რომელთანაც იგი არსებობდა. ასე მაგალითად, ურბანულ ცენტრებთან (მცხეთა და მისი შემოგარენი) დაფიქსირებულია ერთი პერიოდის, თუმცა განსხვავებული ტიპის სამარხები (ქვაყუთები, აკლდამები, ქვის სარკოფაგები, კრამიტსამარხები, ქვევრსამარხები, ორმოსამარხები), მაშინ როდესაც შედარებით პროვინციალური ტიპის დასახლებებთან (ჟინვალი, ცხინვალი, ქუშანაანთ გორი და სხვ.) ძირითადად ერთი ტიპის სამარხები (ორმოსამარხები) იყო წარმოდგენილი. ურბანული ცენტრების სამაროვნებზე სამარხთა ტიპების მრავალფეროვნება არა მხოლოდ სოციალური განსხვავებულობით, არამედ ეთნიკური და რელიგიური სიჭრელითაც უნდა აიხსნას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა სამშენებლო მასალისგან შედგენილი სამარხები ანტიკურ ხანაში დიდ თანხებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რის გამოც მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენა, მეტწილად ორმოსამარხებს სჯერდებოდა. ამიტომაც, სამარხის ეს ტიპი უფრო გავრცელებული ჩანს.

ჩვენ მიერ განხილული სამარხეული ძეგლების უმეტესობა ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი, თუმცა, საკუთრივ ორმოსამარხებს შორისაც შეინიშნება განსხვავებები. მაგალითად, ჟინვალში, აღაიანში, არაგვისპირში, ბორში, მაგრანეთსა

[25] იბერიასა და კოლხეთში ჩვენ მიერ განხილულ თუ სხვა სინქრონულ სამაროვნებზე, შესწავლილია არაერთი სამარხი, რომელშიც წარმოდგენილია დიდგვაროვანთა განსასვენებელისთვის დამახასიათებელი სამარხეული ინვენტარი, თუმცა არ გვხვდება ვერცხლის ჭურჭელი. მაგალითად, არმაზისხევის, სამთავროს, სვეტიცხოვლისა და სხვა ძეგლების მდიდრული სამარხები

(ზოგიერთი სამარხი) და აჩმარდაში გვხვდება ჩვეულებრივი, მიწაში ჩაჭრილი ოვალური ან მართკუთხა ფორმის ორმოსამარხები. მიწაში ჩადგმული ხის სარკოფაგები (კუბოები) ან კრამიტით გადახურული ხის დასაკრძალავი კამერა (ერთი შემთხვევა) ფიქსირდება ზღუდერში და მაგრანეთის ქუშანაანთ გორის სამაროვანზე. მიწაში ქვით ამოყვანილი კედლებით წარმოდგენილი ორმოსამარხებია შესწავლილი მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე, ხოლო კლდეეთში - ქვაყრილიანი ორმოსამარხები. სავარაუდოდ, ორმოსამარხებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი თაგილონის, შუბარას, სარგვეშის, ციხისძირის, ხელვაჩაურის, ურეკისა და სხვა ლოკაციების დაზიანებული ან/და გაძარცვული კომპლექსებიც.

წარჩინებულთა სამარხებში ცალკე და გამორჩეულ ჯგუფს ქმნის ქვის დიდრონი ფილებით შედგენილი ქვაყუთები, საგანგებოდ გათლილი ქვებით ამოშენებული აკლდამები ან მონოლით ქვაში ამოკვეთილი სარკოფაგები. ამ ტიპის ძეგლები დადასტურებულია მხოლოდ მცხეთაში, ავჭალასა და ხოვლეში. აქედან, ქვაში ამოკვეთილი სარკოფაგები გვხვდება მხოლოდ არმაზისხევსა და ბაგინეთში. ქვის საგანგებოდ გათლილი დიდრონი ფილებით (ზოგჯერ მეორადი გამოყენების) შედგენილი ქვაყუთები და აკლდამები იყო გამართული არმაზისხევისა და სამთავროს სამაროვანზე. ავჭალისა და ხოვლეს მდიდრული სამარხებიც ქვის მასიური გათლილი ფილებით იყო შეკრული და გადახურული. აქვე უნდა აღინიშნოს მცხეთის რკინიგზის სადგურთან მდებარე, დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით გამორჩეული, კრამიტით გადახურული ქვის აკლდამა (მავზოლეუმი), რომელიც, სამწუხაროდ, ადრევე გაუძარცვავთ. მიუხედავად გაძარცვისა, დარჩენილი მასალის მიხედვით ეს აკლდამა სამეფო რანგის განსასვენებლადაა მიჩნეული და ახ.წ. I საუკუნის მიწურულით თარიღდება; ასევე აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ქვის მდიდრული ბანურსახურავიანი აკლდამა N14, რომელიც ვერცხლის ჭურჭელს არ შეიცავდა, თუმცა, ინსიგნია ბეჭდების წარწერებისა (დედოფალი ულპია) და სხვა გლიპტიკური და ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, დედოფალ ულპიას განსასვენებელს წარმოადგენდა (ლომთათიძე და ციციშვილი, 1951, გვ. 641-648; აფაქიძე, ყიფიანი, ნიკოლაიშვილი,

მანჯგალაძე, კაპანაძე, 2003, გვ. 83-123; მშვილდაძე, 2017, გვ. 53-61; დიღმელაშვილი, 2022, გვ. 216-229).

ხოვლეს აღმოჩენებამდე (2004 წელი), ვერცხლის ჭურჭლის შემცველი ქვის ფილებით აგებული მდიდრული აკლდამები და ქვის სარკოფაგები მცხეთისა და მისი შემოგარენის გარდა არსად ფიქსირდებოდა.[26] შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი მოსაზრებაც იყო გამოთქმული, რომ ქვისგან გამოთლილი ან აგებული სამარხები, რომელიც თავის მხრივ მაღალ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მხოლოდ მცხეთაში მჯდომი მმართველი წრის განსასვენებელს წარმოადგენდა. სამარხების სოციალური ატრიბუციის საკითხს შემდეგ თავში შევეხებით და ამ საკითხსაც იქ განვავრცობთ.

სხვადასხვაგვარი ორმოსამარხების, ქვის სარკოფაგებისა და ქვის აკლდამების გარდა, ვერცხლის ჭურჭელი აღმოჩენა დადასტურებულია თიხის სარკოფაგში, თიხის ფილებით შედგენილ სამარხსა და ქვევრსამარხშიც. თიხის სწორკუთხა მოყვანილობის სარკოფაგი აღაიანში იქნა შესწავლილი, ხოლო კერამიკული ფილებით შედგენილი სამარხი ყუთი 1976 წელს, ხოვლეს შემოგარენში აღმოჩნდა. ქვევრსამარხი, რომელშიც მიცვალებულისთვის ვერცხლის ჭურჭელი ჩაუტანებიათ, დღემდე დაფიქსირებულია მხოლოდ სოფელ ბანძაში.

სამარხების ტიპების სოციალური კუთვნილების პრობლემატიკაზე ვრცლად ნაშრომის შემდეგ თავში ვიმსჯელებთ, ხოლო ამჯერად დაკრძალვის წესსა და ტრადიციებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

დაკრძალვის წესი. გვიანანტიკურ ხანაში იბერია-კოლხეთის დიდგვაროვანთა სამარხებისთვის, მეტწილად, ინჰუმაციური დაკრძალვაა დამახასიათებელი, თუმცა, ვხვდებით მეორადი დაკრძალვის რიტუალსაც. მეორადი დაკრძალვა ფიქსირდება არმაზისხევის N3, ბერსუმა პიტიახშის სამარხში, სადაც მიცვალებულის ძვლები ვერცხლის ლნაგარზე იყო დალაგებული. ს. მაკალათიას მიაჩნდა, რომ ბანძას ქვევრსამარხშიც მეორადი დაკრძალვის წესთან უნდა გვქონდეს საქმე (მაკალათია, 1928, გვ. 184-185). მისი მოსაზრება ძირითადად ეყრდნობა ქვევრის პირის მცირე

[26] ავჭალის ქვის სარკოფაგებს მცხეთის შემოგარენში განვიხილავთ.

დიამეტრსა და ფაქტს, რომ ჭურჭელი მთლიანი სახით ყოფილა მიწაში გვერდულად ჩადგმული.

ჩვენ მიერ განხილულ სამარხებში გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი დაკრძალვა. წყვილადი დაკრძალვა დადასტურებულია არმაზისხევის, სამთავროს, არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, ზღუდერის, აღაიანის, მოდინახესა და სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე. წყვილადი სამარხის შემთხვევაში, ფიქსირდება მიცვალებულთა დაკრძალვა ზოგჯერ ერთდროულად, ზოგჯერ კი გარკვეული დროის სხვაობით (ასეთ დროს პირველი მიცვალებულის ძვლები გადაადგილებული და სახეცვლილია). წყვილად სამარხებში დასტურდება მიცვალებულთა განსხვავებული პოზებიც (მაგ. მოდინახეს სამაროვანზე - მოკრუნჩხული, გვერდზე მწოლიარე და ზურგზე გაშოტილი მიცვალებულები ერთ სამარხში). ამასთანავე, ზოგიერთ შეთხვევაში, ორი ზრდასრული (ზღუდერი, კლდეეთი, სამთავრო, აღაიანი, ხოვლეს თიხის აკლდამა), ზოგჯერ კი ზრდასრული და ბავშვია (არმაზისხევი, არაგვისპირი, ახალი ჟინვალი, აღაიანი) ერთად დაკრძალული.

მიცვალებულის პოზა და დამხრობა მეტ-ნაკლებად მსგავსია, თუმცა, ვარირებს რეგიონებისა და ქრონოლოგიის მიხედვით. ზოგ შემთხვევაში, ცუდად შემონახული ოსტეოლოგიური მასალისა თუ ნაძარცვი სამარხების გამო, აღნიშნული ინფორმაცია დაკარგულია ან შეუძლებელია სურათის აღდგენა. იმ კომპლექსებში, სადაც სურათი, მეტ-ნაკლებად, კარგადაა შემორჩენილი, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება. ასეთ შემთხვევებში ძირითადად ფიქსირდება თავით დასავლეთით, სამხრეთით ან სამხრეთ-დასავლეთით ორიენტირებული სამარხები, თუმცა, გვხვდება თავით აღმოსავლეთით დამხრობაც (სამთავროს 905-ე აკლდამა). III საუკუნის მიწურულისა და IV საუკუნის სამარხებში (მოდინახე, მაგრანეთი, აჩმარდა) დომინირებს ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალვა, მაშინ როდესაც ძვ.წ. I - ახ.წ. II-III საუკუნეების სამარხებში დომინირებს ემბრიონის პოზა, თუმცა, III საუკუნის ზოგიერთ სამარხშიც დასტურდება ზურგზე გაშოტილი მდგომარეობაც (აღაიანი, სამთავრო, არმაზისხევი, არაგვისპირი, ხოვლე, ახალი ჟინვალი, ზღუდერი).

ვერცხლის ჭურჭლის დანიშნულება დაკრძალვის რიტუალში. იქნება ეს არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი, თუ დაზიანებული სამარხები, ერთი რამ ცხადია - სამარხებში ძვირფასი ნივთებისა და მათ შორის, ვერცხლის ჭურჭლის, ჩატანება გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის მოსახლეობის რელიგიური წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენებისა და კულტურის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგება. სწორედ ამ კულტურულმა ფენომენმა განაპირობა ის, რომ სამარხეული მასალის სახით ჩვენამდე ასეთი დიდი რაოდენობით მოაღწია ვერცხლისა და ოქროსგან დამზადებულმა შესანიშნავმა არტეფაქტებმა.

სამარხებში ძვირფასი ლითონის ჭურჭლის ჩატანება საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების კულტურისთვის უძველესი ხანიდან ყოფილა დამახასიათებელი. ძვირფასი ლითონის ჭურჭელს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი როლი ეკავა დაკრძალვის წესში, განსაკუთრებით კი, სოციალური იერარქიის ზედა საფეხურის წარმომადგენელთათვის. ამის დასტურია შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის თასები. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ძვრიფასი ლითონის ჭურჭელი გარკვეული პერიოდით ქრება სამარხეული კომპლექსებიდან და ადრეანტიკურ ხანაში კვლავ იჩენს თავს.

ანტიკურ ხანაში, კოლხეთისა და იბერიის პრივილეგირებულ საზოგადოებაში ვერცხლის ნივთები უკვე ძვ.წ. VI საუკუნიდან ხდება პოპულარული. ამ ხანის წარჩინებული პირების სამარხებში დიდი რაოდენობთ არის აღმოჩენილი ვერცხლის სამკაული და უტილიტარული დანიშნულების უაღრესად მაღალი ოსტატობით დამზადებული ნივთები. ამისი მაგალითია ვანში გამოვლენილი სამარხები NN 22 და 24 (Kacharava & Kvirkvelia, 2009, pp. 237-317); ასევე, გრაკლიან გორაზე მიკვლეული N19.1 სამარხი (ლიჩელი, 2021, გვ. 15-17). ვერცხლის ჭურჭლის იმპორტული ნიმუშები ანტიკური საბერძნეთიდან და აქემენიდური ირანიდან, ისევე როგორც მათი გავლენით დამზადებული ადგილობრივი ნიმუშები, დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის იბერია-კოლხეთის წარჩინებულთა სამარხებში (მათიაშვილი, 1977, გვ. 101-114; ლორთქიფანიძე ო., 1983, გვ. 89-91; ლორთქიფანიძე ო., 1986, გვ. 86-87; გაგოშიძე, 2012, გვ. 20-47; 2020, გვ. 70, 87, 91; Gagoshidze, 1996, pp. 125-136).

უამრავი დასახელების სხვა ძვირფას ნივთთან ერთად, მიცვალებულისთვის ვერცხლის ჭურჭლის ჩატანება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება გვიანანტიკურ ხანაში. ამისი ნათელი დასტური წინა თავში განხილული სამარხეული კომპლექსებია. გარდა ვერცხლის ჭურჭლისა, სამარხებში ასევე გვხვდება ამ ლითონისგან დამზადებული ნატიფი დეკორატიული ნივთებიც, მაგალითად, ვერცხლის კოლოფები, სარკეები და სარეცლის ფეხის გარსაკრავებიც, რომლებიც დადასტურებულია ბაგინეთის, სამთავროს, არაგვისპირის, ზღუდერის, ხოვლესა და ბორის მდიდრულ სამარხებში.

არქეოლოგიური კონტექსტის სრულყოფლი შესწავლა მნიშვნელოვანია ვერცხლის ჭურჭლის როლისა და მნიშვნელობის კვლევაში როგორც გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის წარჩინებულთა ყოფა-ცხოვრებაში, ისე რწმენა-წარმოდგენებსა და დაკრძალვის რიტუალში. სამარხეული კომპლექსების მეთოდოლოგიურმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ვერცხლეულს პრაქტიკული თუ საგამოფენო/საჩვენებელი (რომელიც მფლობელის სიმდიდრის ინდიკატორად ითვლებოდა გვიანანტიკურ ხანაში) ფუნქციის გარდა, ქვეყნის მმართველთა და დიდგვაროვანთა დაკრძალვის რიტუალშიც განსაზღვრული როლი ენიჭებოდა (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 206).

ამ მხრივ აღსანიშნავია სამარხებში ვერცხლის სურების წყვილად ჩატანების ტრადიცია. წყვილად ჩატანებული სურები დაფიქსირებულია არმაზისხევის სამაროვანზე, სადაც თითო წყვილი სურა სამ სამარხში (სამარხები NN 1, 6, 7) აღმოჩნდა (სულ ექვსი ცალი). თითო წყვილი აღმოჩნდა სამთავროს N905 აკლდამაში, მაგრანეთის ქუშანაანთ გორის სამაროვნის N1 სამარხში და არაგვისპირის N13 სამარხში (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 75-94). სურების თითო ეგზემპლარი მომდინარეობს ზღუდერის, ბორის, ცხინვალისა და მოდინახეს კომპლექსებიდან (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 81-83). სავარაუდოა, რომ ბორის, ზღუდერისა და ცხინვალის კომპლექსებშიც თავდაპირველად წყვილი სურა იყო სამარხში წარმოდგენილი, თუმცა, იმის გამო რომ სამარხეული კომპლექსები დაზიანებული ან/და გაძარცვულია, ჩვენამდე მხოლოდ თითო ნიმუშმა მოაღწია. რაც შეეხება მოდინახეს, აქ, პირველი საუკუნის მეორე ნახევრის, ანუ ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი

ხანის სამარხში, დანამდვილებით ერთი ცალი სურა იყო ჩადგმული (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 84).

სამარხებში სურები, ძირითადად, მიცვალებულის თავის სიახლოვეს იყო განთავსებული. ცალკეულ შემთხვევაში ფიქსირდება მათი სამარხის კედელზე, კაუჭზე ჩამოკიდება (სამთავროს N905 აკლდამა) ან მათი ჩადგმა სამარხის იატაკის ფილაში საგანგებოდ ამოკვეთილ ფოსოებში (არმაზისხევის სამარხი N7). ეს გვაფიქრებინებს, რომ სამარხებში სითხით (სავარაუდოდ ღვინით?) სავსე ვერცხლის სურები ვერტიკალურ მდგომარეობაში თავსდებოდა (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 87). სურების შემცველ სამარხებში ყოველთვის გვხვდება, სულ მცირე, ერთი ცალი ვერცხლის პინაკი/ფიალა, რაც გვაფიქრებინებს, რომ დაკრძალვამდე სურებისა და ფიალების გამოყენებით მიცვალებულის სულთა მოსახსენიებელი რიტუალი ტარდებოდა, შემდეგ კი მათ სამარხში ათავსებდნენ (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 87; ჩოლოგაური, 2025). გვიანანტიკურ ხანაში იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებში სურების რიტუალურ დანიშნულებაზე მეტყველებს არა მხოლოდ ვერცხლის, არამედ მინის, ბრინჯაოსა და თიხის სურების ჩატანებაც, თანაც ხშირად წყვილის სახით (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 87). აქვე ხაზი უნდა გავუსვათ გარემოებას, რომ სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის სურები იმდენად მცირე ზომისაა, რომ სათუოა მათი ყოველდღიურად, სუფრის ჭურჭლად გამოყენება. სურების ზომა და ცალკეულ შემთხვევებში, მათი დელიკატური ფაქტურა და დეკორატიული შემკობა (განსაკუთრებით არაგვისპირის დეკორატიული ცალებისა) გვაფიქრებინებს, რომ სამარხში ჩატანებამდე ისინი საჩვენებელი, სადღესასწაულო ან/და სარიტუალო დანიშნულების (რელიგიური მსახურებების დროს, ოფიციალური მიღებებსა და ნადიმებზე) ჭურჭლებად გამოიყენებოდა (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 87).

იბერიის წარჩინებულთა სამარხებში სურების ჩატანების ტრადიციაზე ყურადღება გაამახვილეს კ. მაჩაბელმა და რ. რამიშვილმა. კ. მაჩაბელი აღნიშნულ ტრადიციას პარალელებს უძებნის რომაულ სამყაროსა და სასანურ ირანში, ხოლო რ. რამიშვილი მას იბერიულ კულტურულ ფენომენად მიიჩნევს (Мачабели, 1976, გვ. 78; რამიშვილი რ., 2018, გვ. 151). გვიანანტიკური ხანის იბერიის დიდგვარვანთა სამარხებში სურების ჩატანების ტრადიციასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ ეს

კულტურული ფენომენი, უთუოდ, ადგილობრივი ტრადიციების ნაკარნახევია, ვინაიდან მას ზუსტი ანალოგები არ მოეძებნება. რაც შეეხება ნაწარმის მსგავსებას რომაულ და ირანულ ტორევტიკასთან, ეს მომენტი ამ ორ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებით უნდა აიხსნას (ჩოლოგაური, 2024ბ, გვ. 86-87).

როდესაც საუბარია სამარხეულ კომპლექსებში ვერცხლის ჭურჭლის ფუნქციაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი კულტურულ-რელიგიური ფონემენი - მიცვალებულის თავის დასვენება ვერცხლის ფიალებზე/ჯამებზე. აღნიშნული ტრადიცია დადასტურებულია იბერიის სამეფოს იმ რამდენიმე სამაროვანზე, რომელიც არქეოლოგიური გათხრებითაა შესწავლილი. ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულის თავის ვერცხლის ჯამებზე დასვენება შესაძლოა სხვა ძეგლებზეც არსებულიყო, თუმცა, არქეოლოგიური კონტექსტის დაზიანებამ ამ ინფორმაციის გაქრობა გამოიწვია. ვერცხლის ჯამებსა და ფიალებში თავის ჩასვენება დადასტურებულია არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, ზღუდერისა და მოდინახეს სამაროვნებზე (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 205; რამიშვილი რ., 2018, გვ. 88; ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 7; ნადირაძე, 1975, გვ. 70). აღნიშნულ სამაროვნებზე ეს ტრადიცია, ძირითადად, მამაკაცების სამარხებში გვხვდება. ერთ შემთხვევაში ფიქსირდება ქალისა და ბავშვის სამარხში, თუმცა ვერცხლის ფიალა მხოლოდ ბავშვის თავის ქალის ქვეშ იყო ამოდებული (რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 46). საინტერესო შემთხვევაა დაფიქსირებული აღაიანის სამაროვანზე, ძვ.წ. I საუკუნის მიწურულის სამარხში, რომელშიც ქალი და მამაკაცი დაუკრძალავთ. ამ სამარხში ვერცხლის ფიალა ქალის თავის ქალაზე იყო დაფარებული, რაც ასევე გარკვეულ რიტუალზე უნდა მიგვანიშნებდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდინახეს სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ჯამები, სამარხებში ყოველთვის ამ ფუნქციის (თავქვეშ ამოდება) მატარებელია (გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც ვერცხლის პინაკი მიცვალებულის მუცლის არესთან აღმოჩნდა) და სამარხში სხვა ვერცხლის ჭურჭელი არ გვხვდება (გარდა N36 სამარხისა სადაც ერთი ვერცხლის სურაც იყო ჩადგმული). ამასთანავე, მოდინახეს ჯამებს არ მოეძებნებათ ზუსტი ანალოგები, არ აქვთ ბრტყელი ძირი და მათი

პრაქტიკული დანიშნულებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება (მიუხედავად იმისა, რომ ჯ. ნადირაძეს ისინი სუფრის ჭურჭლებად მიაჩნდა და ფიქრობდა რომ მათ ცალკე სადგამები უდნა ჰქონოდათ (ნადირაძე, 1975, გვ. 70)). თითქოს იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ჯამები კონკრეტულად დაკრძალვის რიტუალისთვის დაუმზადებიათ ადგილობრივად.

სამარხეულ კომპლექსებში ვერცხლის ჭურჭლის კიდევ ერთ დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს არმაზისხევის N3 (ბერსუმა პიტიახშის) სამარხი. აქ მიცვალებულის ძვლები ვერცხლის დიდ ლანგარზე იყო დალაგებული, რის საფუძველზეც გააზრებულია მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის ტრადიცია (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 46-47).

როგორც ვხედავთ, ვერცხლის ჭურჭლის შემცველი სამარხეული კომპლექსების ანალიზი იმ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველია, რომელიც გვეხმარება, პასუხები გავცეთ გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის მოსახლეობის სოციალური ყოფისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესახებ არსებულ უამრავ კითხვას, რომელთა შესახებ ინფორმაცია წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება.

3.2. არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლოგია

ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კომპელქსების კვლევაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მათი დათარიღება. უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობის ქრონოლოგიური ჩარჩოები განსაზღვრულია უშუალოდ სამარხეული მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზით, მათი შედარებითი მეთოდითა და კომპლექსებში წარმოდგენილი ნუმიზმატიკური მასალით. სამწუხაროდ, არცერთი ზემოთაღწერილი ძეგლის თარიღი არ ეყრნობა აბსოლიტური დათარიღების თანამედროვე მეთოდებს (რადიოკარბონული, არქეომაგნიტური, თერმო-ლუმინესცენციური და სხვა), რაც მათ ქრონოლოგიასთან მიმართებაში არაერთ კითხვისნიშანსა და დისკუსიას აჩენს. სამარხთა აბსოლიტური დათარიღების

არარსებობა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მასალის უმრავლესობა გასულ საუკუნეში იქნა აღმოჩენილი, მაშინ, როდესაც წვდომა დათარიღების ლაბორატორიულ მეთოდებზე ქართულ არქეოლოგიას არ გააჩნდა. უფრო მეტიც, თანამედროვე არქეოლოგიური აღმოჩენები დღემდე მსგავსი პრობლემის წინაშე დგას, რის გამოც აბსოლიტური თარიღები (C14) არ მოგვეპოვება არც ბოლო ოცწლეულში გამოვლენილი არქეოლოგიური კომპლექსების შემთხვევაში.

უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის დასაწყისსა და პირველ ნახევარში შესწავლილი ცალკეული ძეგლების თავდაპირველი თარიღები შემდგომი პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენებით, სამეცნიერო სიახლეებითა და კვლევის თანამედროვე მეთოდებით შეიცვალა ან კიდევ უფრო განმტკიცდა. ასე მაგალითად, ბორის, ციხისძირისა და ავჭალის აღმოჩენების თავდაპირველი ქრონოლგიის ცვლილება მკვეთრად განსაზღვრა არმაზისხევის, არაგვისპირის, ჟინვალისა და სხვა მეთოდოლოგიურად შესწავლილმა არქეოლოგიურმა კომპლექსებმა.

როგორც აღვნიშნეთ, სამარხეული ძეგლების ქრონოლოგია ნუმიზმატიკური მასალითა და ინვენტარის შედარებითი ანალიზის საფუძველზეა განსაზღვრული, რაც, თავისთავად, გარკვეულ გამოწვევებთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ მონეტები არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამათარიღებელი წყაროა, ისინი ყოველთვის ვერ გვთავაზობენ მყარ თარიღებს, ვინაიდან არ ვიცით, თუ რამდენი ხნით იყო ცირკულაციაში ესა თუ ის მონეტა და როდის მოხვდა ის სამარხში. მონეტებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ მყარი *terminus post quem* - სამარხის გამართვის ყველაზე ადრეული თარიღი, ანუ ქვედა ზღვარი, რომელიც კონკრეტული მონეტის მოჭრის წლით განისაზღვრება. იგივეს ვერ ვიტყვით სამარხის ზედა ზღვარის შემთხვევაში, რადგან შესაძლოა ესა თუ ის მონეტა მოჭრიდან ორი-სამი საუკუნის შემდეგ იყოს სამარხში მოხვედრილი. გარდა ამისა, იბერია-კოლხეთის სხვადასხვა სამარხეული კომპლექსებში ხშირია ძვ.წ. I საუკუნისა და ახ.წ. II-III საუკუნეების მონეტების თანაარსებობა ერთ სამარხში (მაგალითად, არმაზისხევის N1, N6 და N9 სამარხები; ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი და სამთავროს 905-ე აკლდამა; ახალი ჟინვალის N5 და არაგვისპირის N13 სამარხები; ხოვლეს აკლდამა; ზღუდერის N1 და N3 სარკოფაგები; კლდეეთის N2 და N4

სამარხები. დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ მოცემულ მე-3 ცხრილში), რაც მონეტებით დათარიღებას კიდევ უფრო არასანდოდ წარმოგვიჩენს. ასევე ხშირია რომაული დინარებისა და აურეუსების ადგილობრივი მინაბაძების აღმოჩენებიც, რაც თავის მხრივ ართულებს ძეგლის დათარიღებას, რადგან საკუთრივ მინაბაძების წარმოების პერიოდის განსაზღვრაც პრობლემატური საკითხია (დუნდუა, გ., და დუნდუა, თ., 2006, გვ. 129; შეროზია, 2015, გვ. 45).

შეიძლება ითქვას, რომ II თავში აღწერილი კომპლექსების დათარიღებაში, განსაკუთრებულ როლს ასრულებს რომაული აურეუსები, ვინაიდან, ისინი უფრო ხანმოკლე ცირკულაციით გამოირჩევნიან და მათი სამარხში მალევე მოხვედრის ალბათობა უფრო მაღალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იბერიასა და კოლხეთში რომეული აურეუსები, მეტწილად, აღმოჩენილია იმ არქეოლოგიურ კომპლექსებში, რომელიც ვერცხლის ჭურჭელსაც შეიცავს. თუ თვალს გავადევნებთ რომაული აურეუსების გავრცელების ტოპოგრაფიას იბერიასა და კოლხეთში, დავინახავთ, რომ ის თითქმის თანხვედრაშია ვერცხლის ჭურჭლის არქეოლოგიური კომპლექსების ტოპოგრაფიულ სურათთან.

ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია ვერცხლის ჭურჭლის შემცველი თითოეული არქეოლოგიური კომპლექსის ნუმიზმატიკური მასალა. მონაცემები ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციას. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ეტაპზე ვერ განხორციელდა ნუმიზმატიკური მასალის მოკვლევა შესაბამის ფონდებში, ხოლო ზოგიერთ ძეგლზე აღმოჩენილი მონეტების შესახებ სრული ინფორმაცია სამეცნიერო ნაშრომებში არასრულადაა წარმოდგენილი, ცხრილის ცალკეულ მონაკვეთებში ინფორმაცია ნაკულია.

ცხრილი 3. ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების ნუმიზმატიკური მასალა

N	არქეოლოგიური კომპლექსი	კომპლექსში აღმოჩენილი მონეტები	*terminus post quem* მონეტ. მიხ.	ვერცხლის ჭურჭელი
1	**ავჭალა**	• დრაქმა (1ც) - გოტარზეს II (41-51)	ახ.წ. I ს. II ნახ.	თასი ცხენის და გრიფ. სიუჟეტით.
2	**არაგვისპირი**			
	- სამარხი 10	-		ჯამი მოოქრ. არწივით
	- სამარხი N13	• აურეუსი (1ც) - ვალერიანე (253-260) • აურეუსი (1ც) - ვალერიანეს (253-260) ადგილობრივი მინაბაძი • აურეუსი (1ც) - ავგუსტუსი (ძვ.წ 27 - ახ.წ. 14) ადგილობრვივი მინაბაძი • დრაქმა (4ც) - გოტარზეს II (41-51) ან არტაბანი ? (რომელი გადავამოწმო) • დინარი (4ც) - ავგუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) ადგილობრივი მინაბაძი	ახ.წ. III ს მეორე ნახევარი (260-270 იანი წწ)	ორი სურა ნადირობის სცენებით; პინაკი ცხენისა და საკ. სიუჟეტით; თეფში ვარდულით.
3	**არმაზისხევი**			
	- სამარხი N1	• დინარი (1ც) - ავგუსტუსის (ძვ.ე. 27 - ახ.წ. 14) • აურეუსი (1ც) - ტიტუსი (ახ.წ. 79-81) • აურეუსი (1ც) - ტრაიანე (98-117) • აურეუსი (4ც) - ადრიანე (117-138	II ს. შუა ხანები	ანტინოეს პინაკი; <მსგავსი სადა; კონუსური პინაკი, 2 ორყურა ჯამი, ორი სურა.
	- სამარხი N2	• აურეუსი (2ც) - სეპტიმუს სევერუსი (193-211) • აურეუსი (1ც) - ფილიპე უმცროსი (247-249) • აურეუსი (1ც) - ვალერიანე (253-260)	III საუკუნის მეორე ნახევარი	პაპაკ პიტიახშის ლანგარი
	- სამარხი N3	• აურეუსი (2ც) - გორდიანე III (238-244) • აურეუსი (3ც) - ფილიპე არაბი /უფროსი (244-249) • აურეუსი (1ც) - დეციუსი (249-251) • აურეუსი (1ც) - ჰოსტილიანე (251)	III ს. შუა ხანები (250-იანი წწ.)	ბერსუმა პიტიახშის ლანგარი; 2ც პინაკი ცხენისა და საკ. სიუჟეტით; პინაკი ორბით.
	- სამარხი N6	• აურეუსი (1ც) - ნერონი (54-68) • აურეუსი (1ც) - გალბა (68-69) • აურეუსი (1ც) - ადრიანე (117-138) • აურეუსი (1ც) - ანტონინე პიუსი (138-161) • აურეუსი (1ც) - კომოდუსი (180-192)	II საუკუნის მიწურული (190-იანი წწ)	ადრიანეს და ტიხეს პინაკები; პატერა; ორი სურა.

	- *სამარხი N7*	• აურეუსი (2ц) - ნერონი (54-58) • აურეუსი (1ц) - ანტონინე პიუსი (138-61) • აურეუსი (1ц) - ფაუსტინა უფროსი (138-141) • აურეუსი (2ц) - მარკუს ავრელიუსი (161-180)	II საუკუნის მიწურული	ვაზის ფოთლებიანი ჯამი; ორი სურა
	- *სამარხი N9*	• აურეუსი (1ц) - ფაუსტინა უფროსი (138-141) • დინარი (4ц) - ავგუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14)	II ს. შუა ხანები	ცალყურა ტალღ, ჭდეებიანი კათხა
4	**აღაიანი**			
	- *ორმოსამარხი N2*	• დრაქმა (7ц) - ოროდ II (ძვ.წ. 57-37) • დრაქმა (2ц) - ფრაატ IV (ძვ.წ. 38-2) • დრაქმა (1ц) - არტაბან IV (ახ.წ. 80-81)	ახ.წ. I საუკუნის მიწურული	ორყურა თასი; კოვზი ტარის ჩლიქ. დაბოლოებით.
	- *ორმოსამარხი N3*	• დრაქმა (1ц) - ფრაატ IV (ძვ.წ. 38-2) • დინარი (1ц) - ავგუსტუსი ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14)	ახ.წ. I საუკუნის I ნახევარი	კოვზი ტარის ჩლიქის დაბოლოებით.
	- *ორმოსამარხი N7*	• დრაქმა (1ц) - ოროდ II (ძვ.წ. 57-37) • დინარი (2ц) - ავგუსტუსი ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) • კესარიული დიდრაქმა (1ц) - კალიგულა (ახ.წ. 37-41)	ახ.წ. I საუკუნის შუა ხანები	კოვზი ჩლიქის დაბოლოებით და ‘>>’ ნაჭდევით.
	- *ორმოსამარხი N9*	• ლისიმაქეს ოქროს სტატერი (მინაბაძი) (3ц) • დიდრაქმა (2ц) - ტიგრან II (ძვ.წ 95-55), მოჭრილი კაპადოკიაში 83-69 წწ-ში • დრაქმა (1ц) - მითრიდატე III (ძვ.წ 57-54) • დინარი (6ц) - რომის რესპუბლიკის. ორი მოჭრილია ძვ.წ 86 წ რომში; ერთი ძვ.წ 93-92 წწ-ში გალიაში, სამი - ძვ.წ 32-31 წწ-ში აღმოსავლეთის რომელიმე ზარაფხანაში	ძვ.წ. I საუკუნის II ნახევარი	წაკვეთილი კონუსის ფორმის თასი.
	- *ორმოსამარხი N10*	• ოქროს სტატერი (3ц) - ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (მინაბაძი) • დრაქმა (1ц) - ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 38-2) • დრაქმა (8ц) - ოროდ II (ძვ.წ. 57-37) • დინარი (10ц) - ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 -ახ.წ. 14) • დრაქმა (1ц) - ფრაატ III (ძვ.წ. 69-57) • დინარი (1ц) - ტიბერიუსი (ახ.წ. 14-37)	ახ.წ. I საუკუნის II ნახევარი	პირმოყრილი ჯამი სადაზედაპირი ანი (მსგავსი თბ. ს. ეულის ქ. ჯამისა).

		• დრაქმა (1ც) - სინათრუკის (ძვ.წ. 75-69)		
	- *სამარხი N16*	• ოქროს სტატერი (1ც) - ლისიმაქეს სტატერი (მინაბაძი) • დრაქმა (1ც) - ოროდ II (ძვ.წ. 57-37) • დრაქმა (1ც) - სინათრუკის (ძვ.წ. 75-69) • დინარი (3ც) - რომის რესპუბლიკური დინარი. ერთი მოჭრილი ძვ.წ. 87 წ-ს, ერთი - ძვ.წ 60 წელს, ერთიც- ძვ.წ 29 წელს	ძვ.წ. I საუკუნის მიწურული	წაკვეთილი კონუსის ფორმის თასი (მსგავსი N9 სამარხის თასის).
	- *სამარხი N17*	• დრაქმა (17ც) - ოროდ II (ძვ.წ. 57-37) • დრაქმა (1 ც) - არტაბან II (ძვ.წ. 88-77) • დრაქმა (1ც) - ფრაატ III (ძვ.წ. 70-57)	ძვ.წ. I საუკუნის II ნახევარი	ცილინდრული თასი, პირთან მცენ. ორნამენტით, მირჩ.რგოლით.
5	**აჩმარდა**	-		თასი, პაკორის წარწერით.
6	**ახალი ჟინვალი**			
	- *სამარხი N1*	• აურეუსი (1ც) - ? (ინფორმაცია არასრულია) • დრაქმა (1ც) - გოტარზეს II (41-51)		პინაკი (დაზიანებული)
	- *სამარხი N5*	• აურეუსი (1ც) - იულია დომნა ავგუსტა (193-211) • დინარი (2ც) - ავგუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) • დრაქმა (2ც) - გოტარზეს II (41-51)	III ს-ის შუა ხანები	ტალღ. ნაჭდევებიანი თასი (მსგავსი ცხენიანი პინაკებისა).
7	**ბაგინეთი** *(ცლდეკარის სარკოფაგი)*	• აურეუსი (?ც) - ვესპასიანე (69-79) • აურეუსი (?ც) - ტიტუსი (79-81) • აურეუსი (?ც) - ადრიანე (117-138) • დინარი (?ც) - ავგუსტუსი • დინარი (?ც) - ტრაიანე (98-117) • დინარი (?ც) - ადრიანე (117-138) • დინარი (?ც) - ფაუსტინა უფროსი (138-141)	II ს. მეორე ნახევარი	მარკ ავრელიუსის პინაკი; თეფში და ჯამები მც. და ზღვ. ორნ-ით; ცალყ. ქილა, 2 დიონის. თასი; კოვზები; ჩამჩები.
8	**ბანძა** *ქვევრსამარხი*	• დინარი - ანტონიუს პიუსი (138-161)	ახ.წ. II საუკუნის II ნახევარი	კანელურებიანი, მრგვალძ. სასმისი
9	**ბიჭვინთა**	• აურეუსი (?) - დეციუსი (249-251) (დასაზუსტებელი ინფორმაცია)	III ს-ის შუა ხანები	თასი დიონისური სც-ით. 2 კოვზი

10	**ბორი**	სულ 24 მონეტა[27] • ოქროს მონეტა (?ც) - ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი (ძვ.წ. I ს.), • დრაქმები (?ც)- ფრაატ IV (ძვ.წ. 37-2), • დრაქმები (?ც)- გოტარზეს (ახ.წ. 40-51), • დინარი (12ც) - ავგუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) • დინარი (1ც) - კალიგულა (ახ.წ. 37-41) • დინარი (1ც) - ტრაიანე (98 – 117) • დინარი (1ც) - დედოფალ ფაუსტინე უმცროსისა (161-175) • დინარები (?ც) - იულია დომნას (ახ.წ 193-211)	ახ.წ. III ს-ის შუა ხანები	ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარი ცხ-სა და საკურთხ-ის კომპ. თასები, კოვზები, ჯამები, 1 სურა
11	**გომი**	-		რიტონი
12	**გონიო**	-		ოქროს კანელ-იანი ჯამი.
13	**ზღუდერი**			
	- *სარკოფაგი N1*	• დინარი (4ც) - ავუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) • დრაქმა (5ც) - გოტარზეს II (40-51) • აურეუსი (1ც) – ალექსანდრე სევერუსი (222-235). მოჭრილი 228 წელს. • აურეუსი (5ც) - კარაკალა (211-217 წწ) • აურეუსი (1ც) - კომოდუსი (180-192)	III ს-ის 30-იანი წწ.	ვერცხლის ლანგარი არწივის ფიგ-ით. ლანგარიწ არწერით 'ვუბოძებ', ცალყურა სურა.
	- *სარკოფაგი N2*	• აურეუსი (1ც) - გორდიან III (238-244). მოჭრილი 240 წელს. • აურეუსი (1ც) - ალექსანდრე სევერუსი (222-235)	III ს-ის 40-იანი წწ.	პინაკი ცხენისა და საკ. სიუჟეტით; მსგავსი პინაკი ტახით და ძაღლით.
	- *სარკოფაგი N3*	• დინარი (28ც) - ავუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) • დინარი (1ც) - ფაუსტინა უფროსის (138-140) • დრაქმა (5ც) - გოტარზეს II (40-51) • აურეუსი (1ც)- კომოდუსი (177-192). მოჭრილი 190 წელს • აურეუსი (1ც) - დომიციანესი (81-96)	II ს-ის 90-იანი წწ.	2 პინაკი; სადა ლანგარი; ორყურა თასი, ორი კოვზი.

[27] გამომდინარე იქიდან, რომ ბორის განძის მასალა ერმიტაჟშია და ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი, ასევე მისი თანამედროვე კვლევები არ მოგვეპოვება, მონაცემები ეყრდნობა 1914 წლის ნაშრომს და ილუტსრაციებს. ანალოგიესი სიტუაციაა ციხისძირის განძის შემთხვევაშიც.

		• აურეუსი (1ც) - ფაუსტინა უფროსის (138-140) • აურეუსი (1ც) - ანტონინე პიუსის (126-161)		
14	**თაგილონი**	არ არის ინფორმაცია		თასები, თეფშ, ლანგრ; და ა.შ
	თბილისი *(ს. ეულის ქუჩა)*			
15	- *სამარხი A*	• დრაქმა (1ც) - არტაბან II (10-38) ან გოტარზეს II (41-51)	ახ.წ. I ს-ის შუა ხანები	ვარდულიანი ჯამი
	- *სამარხი D*	• დრაქმა (1ც) - არტაბან II (10-38) ან გოტარზეს II (41-51)	ახ.წ. I ს-ის შუა ხანები	სადა ჯამი; კოვზი
16	**კვაშხიეთი**	არ არის ინფორმაცია		ჯამი სევადით.
17	**კლდეეთი**			
	- *გაძარცვული სამარხებიდან*	სულ 35 მონეტა: • ოქროს კოლხური სტატერები (13ც)- ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები • დრაქმა (6ც) - გოტარზეს II (40-51) • დინარი (13ც) - რომაული (დავაზუსტო) • კესარიული დიდრაქმა (1ც) - ნერვა (96-98) • კესარიული დიდრაქმა (1ც) - ანტონიუს პიუსი (138-161) • კესარიული დიდრაქმა (1ც) - მარკუს ავრელიუსი (161-160)	ახ.წ. II საუკუნის II ნახევარი	მარკ. ავრელიუს პინაკი; პაწია სასმისები. პინაკი
	- *ექსპედიციის შესწავლილი სამარხი N4*	• ოქროს კოლხური სტატერი (1ც) - ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები • დრაქმა (3ც) - გოტარზეს II (40-51) • დინარი (3ც) -ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ 14) • კესარიული დიდრაქმა (2ც) - ნერვა (96-98) • კესარიული დიდრაქმა (2ც) - ადრიანე (117-138)	ახ.წ. II საუკუნის II შუა ხანები	უქუსლო პინაკი
18	**მაგრანეთი**			
	- *სამარხი N1*	• აურეუსი (1ც) - ალექსანდრე სევერუსი (222-235) • აურეუსი (1ც) - კომოდუსის (180-192) მინაბაძი • აურეუსი (1ც) - კარუსი (282-283)	ახ.წ. III საუკუნის მიწურული	ორი სურა და ჯამი მონოგრამით.
19	**მოდინახე**			

	- სამარხი N6	• ოქროს სუბერატი (1ც) - კონსტანტინე დიდი (306-337)	ახ.წ. IV საუკუნის შუა ხანები	ჯამი
	- სამარხი N8	-		ჯამი
	- სამარხი N9	• ოქროს სუბერატი (1ც) - კონსტანციუს II (337-361)	ახ.წ. IV საუკუნის შუა ხანები	ჯამი
	- სამარხი N29, 30, 33	-		ჯამები
	- სამარხი N36	• ოქროს სოლიდი (1 ც) - კონსტანტინე დიდი (306-337). მოჭრილი ქ. სისციაში • ოქროს სოლიდი (1ც) - კონსტანციუს II (337-361). მოჭრილი ანტიოქიაში	ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი	ჯამი და სურა
20	**მცხეთა** *(სვეტიცხოველი)*	-		თასის ორნ. ყურები
21	**სამთავრო**			
	- აკლდამა N905	• აურეუსი (2ც) - ნერონი (54-68) მოწრილი 64-68 წწ-ში რომში • აურეუსი (1 ც) - ადრიანე (117-138) მოჭრილი 125-128 წწ. რომში • დინარი (1ც) - ტრაიანე (98-117) მოჭრილი კაპადოკიის კესარიაში • დინარი (1ც) - ავგუსტუსი (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14) მოჭრილი გალიაში ძვ.წ. 2-ახ.წ. 11წწ • დინარი (14ც) - ავგუსტუსი (ძვ.წ 27-ახ.წ. 14) • დრაქმა (15 ც) - გოტარზეს II (41-51)	ახ.წ. II ს-ის შუა ხანები	ტირიდატიის ლანგარი; მრგვალი და ოთხკ. ლანგარი; ორი სურა; ორი ფეხიანი თასი; ჯამები ნუშის. ბურცობით; ომფალოსიანი ჯამი და სხვ.
	- სამარხი N212	სულ 16 მონეტა (ვერცხლის) - დეტალები დასაზუსტებელია ნუმიზმატიკის ფონდში. • დრაქმა (?ც) - არტაბან II (?) (12-41) • ???		თასი; თეფში; ორი კოვზი.
22	**სარგვეში**	-		ბაჰრამ II-ის თასი
23	**ურეკი**	• დიდრაქმა (1ც) - ადრიანე (117-138). კაპადოკის კესარიისთვის მოჭრილი	ახ.წ. II ს-ის შუა ხანები	მოოქრ. ლანგარი; თასი, კოვზი, პატერა?
24	**შუბარა**	-		სასანური თეფში ნად. სცენით
25	**ციხისძირი**	25 ცალი მონეტა - ინფორმაცია უცნობია		ტიხეს ლანგ; თასი; ყურის ფრაგმენტი.
26	**ცხინვალი**	-		ჯამი სევადით; სურა

27	**ჭერმისხევი**	-		სასანური ჯამი ვაზის ორნ.
28	**ხაიში**	-		სამი მც. ორნ. თასი
29	**ხელვაჩაური (კაპანდიბი)**	-		თასი და კანთაროსი
30	**ხოვლე**			
	- ქვაყუთი (2004წ)	• აურეუსი (1ც) -ელაგაბალუსი (211-217) • დრაქმა (1ც) - გოტარზეს II (40-51) • დინარი (2ც) - ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14)	ახ.წ. III ს-ის შუა ხანები	ლანგარი ვაზის ფოთლ-ით; ჯამი ნუშის ბურც-ით; თეფში.
	- თიხის ფილებიანი სამარხი (1976 წ)	• დინარი (2ც) - ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) • დრაქმა (2ც) - გოტარზეს II (40-51)	ახ.წ. I ს. (მასალის მიხედვით II- III სს)	ვერცხლის ცილინდრული თასი.

გარდა ნუმიზმატიკური მასალისა, სამარხეული კომპლექსების თარიღი ზოგჯერ, უშუალოდ, ვერცხლის ჭურჭლის კონკრეტული ნიმუშებითაა განსაზღვრული. განსაკუთრებით კი იმ ცალებით, რომლებიც ისტორიულ პირთა პორტრეტებსა ან/და წარწერებს შეიცავს. მაგალითად, სარგვეშის არქეოლოგიური კომპლექსი დათარიღებულია ბაჰრამ II-ისა და მისი ცოლ-შვილის პორტრეტებით შემკული ვერცხლის კილიკით (თასით); არმაზისხევის N2 სამარხი - მასში აღმოჩენილი სასანიდი დიდებულის, პაპაკ პიტიახშის ლანგრით; ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის თარიღის განსაზღვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მარკუს ავრელიუსის პორტრეტიანმა ვერცხლის პინაკმა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტორევტიკული მასალაც არ გამოდგება ზუსტ დამათარიღებელ წყაროდ, ვინაიდან ხშირია ძველი ნივთის მოხვედრა ბევრად გვიანდელ სამარხში. ამისი მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ზღუდერის N3 სარკოფაგში აღმოჩენილი ახ.წ. I საუკუნის ვერცხლის ორყურა თასი, ან ბერსუმა პიტიახშისა და ფლავიუს დადესის ლანგარი, თუდ ავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეს ლანგარი ახ.წ. I საუკუნისაა.[28] მსგავს შემთხვევასთან შესაძლოა გვქონდეს ადგილი აჩმარდას აღმოჩენებთანაც, სადაც III-IV საუკუნეების მიჯნის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის

[28] ამ პრობლემაზე ვრცლად ვისაუბრებთ შემდეგ თავში.

ჭურჭელზე, სავარაუდოდ, II საუკუნეში მოღვაწე ლაზთა მეფე პაკორის სახელია დატანილი.

კიდევ უფრო სათუოა არქეოლოგიური კომპლექსის დათარიღება ვერცხლის ჭურჭლის ცალკეული ერთეულების მხატვრულ-სტილიტური ანალიზისა და მათი შედარებითი მეთოდის საფუძველზე. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ რომის სხვადასხვა პროვინციებში დამზადებული ტორევტიკული მასალა იბერია-კოლხეთში შეიძლება გვიან მოხვედრილიყო, ან დიდი ხნის განმავლობაში დარჩენილიყო ხმარებაში სამარხში განთავსებამდე. ამის დასტური კი ის არქეოლოგიური ძეგლებია, სადაც ახ.წ. I საუკუნის ტორევტიკული ნიმუშები ზოგჯერ II-III საუკუნეების კომპლექსებში გვხვდება (მაგალითად, ბორის, ზღუდერის, სამთავროს 905-ე აკლდამისა და ბაგინეთის არქეოლოგიური კომპლექსები). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რომის იმპერიის მიღმა აღმოჩენილი ტორევტიკის ნიმუშები და სხვა ძვირფასი ნივთები, რომლებიც საიმპერატორო ძღვენს წარმოადგენდა, ადრესატებისთვის იმდენად პრივილეგირებულ საჩუქრებად გაიაზრებოდა, რომ ისინი ხმარებაში დიდხანს რჩებოდა და ზოგჯერ თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. ამის დასტურად მიჩნეულია ქერჩში აღმოჩენილი იმპერატორთა პორტრეტებით შემკულ ჯამებზე (Imperial *largitio*) საკიდი რგოლების დამაგრება, რაც მფლობელებისთვის მათ მნიშვნელობასა და შემდგომ დეკორატიულ გამოყენებაზე მიანიშნებს (Guggisberg, 2013, p. 205); ასევე, საიმპერატორო მონეტების გულსაკიდებად გამოყენება მათზე მოგვიანებით მირჩილული საკიდი რგოლის მეშვეობით (Guggisberg, 2013, p. 205). მონეტების გულსაკიდებად გამოყენება ჩვენშიცაა დაფიქსირებული. მაგალითად, დედოფალ ულპიას სამარხიდან (სვეტიცხოვლის N14 აკლდამა), დედოფალ ფაუსტინასა და მისი ქალიშვილის ლუცილას მონეტა-საკიდები, არმაზისხევის N2 სამარხში აღმოჩენილი მედალიონად გამოყენებული სეპტიმუს სევერუსის აურეუსი და სხვა (აფაქიძე, ყიფიანი, ნიკოლაიშვილი, მანჯგალაძე, კაპანაძე, 2003, გვ. 83, 90, ტაბ. X; შეროზია, 2025, გვ. 130-139).

მიუხედავად ქრონოლგიასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, ვერცხლის ჭურჭლის შემცველი თითოეული არქეოლოგიური კომპლექსის თარიღი სამეცნიერო

ლიტერატურაში ფართოდაა გაზიარებული. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც საკუთრივ ტორევტიკული ნიმუშებისა და მათთან ერთად სამარხეული ძეგლების დათარიღებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

სადოქტორო კვლევის ფარგლებში, ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლგიური ჩარჩოების განსასაზღვრად ვეყრდნობით ნუმიზმატიკურ მასალას, სამარხეული ინვენტარის მხატვრულ-სტილისტურ, შედარებით ანალიზსა და სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულ თარიღებს. მონაცემები იხილეთ ცხრილის სახით:

ცხრილი 4. *ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლოგია*

N	ძეგლი	თარიღი
1	გომი	ძვ.წ. I - ახ.წ. I-II სს.
2	აღაიანი	ძვ.წ. I – ახ.წ. I სს
3	გონიო	ახ.წ. I – II სს.
4	ხელვაჩაური	ახ.წ. I – II სს.
5	ხაიში	ახ.წ. I – II სს.
6	თაგილონი	ახ.წ. I – II სს.
7	თბილისი	ახ.წ. I მეორე ნახევარი – II ს. დასაწყისი
8	ბანძა	ახ.წ. II ს.
9	სამთავროს 905-ე აკლდამა სამთავროს სამარხი N212	ახ.წ. II ს ახ.წ. II – III სს.
10	ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი	ახ.წ. II ს-ის ბოლო - III საუკუნის პირველი ნახევარი.
11	არმაზისხევი	ახ.წ. II ს-ის შუახანები - ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი
12	მცხეთა (სვეტიცხოველი)	ახ.წ. II – III სს.
13	ავჭალა	ახ.წ. II – III სს.
14	ციხისძირი	ახ.წ. II – III სს.
15	კლდეეთი	ახ.წ. II ს. ან ახ.წ. II-III სს.
16	ბორი	ახ.წ I-III სს.
17	ზღუდერი	ახ.წ. II ს-ის ბოლო - III საუკუნის I ნახევარი.
18	ხოვლე (2004 წლის აკლდამა) ხოვლე (1976 წლის სამარხი)	ახ.წ. III ს შუა ხანები ახ.წ. II – III ს.
19	ცხინვალი	ახ.წ. III ს.
20	ურბნისი	ახ.წ. III ს (?)
21	სარგვეში	ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი.
22	ახალი ჟინვალი	ახ.წ. III ს II ნახევარი.
23	არაგვისპირი	ახ.წ. III ს II ნახევარი.

24	კვაშხიეთი	ახ.წ. III ს.
25	მაგრანეთი	ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი - IV ს-ის დასაწყისი
26	ურეკი	ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი - IV ს-ის დასაწყისი
27	ბიჭვინთა	ახ.წ III – IV სს.
28	აჩმარდა	ახ.წ. III- IV სს.
29	შუბარა	ახ.წ. III-V სს.
30	მოდინახე	ახ.წ. IV ს შუა ხანები და მეორე ნახევარი
31	ჭერმისხევი	ახ.წ. VI-VII სს

დღემდე გამოვლენილი ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური ძეგლები ძვ.წ. I - ახ.წ. VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება. უადრესი, ძვ.წ. I საუკუნის, ნიმუშები მომდინარეობს აღაიანიდან და სოფელ გომიდან (ზემო რაჭა). აღაიანის ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც ძვ.წ I - ახ.წ. I საუკუნეებს განეკუთვნება, გვიანელინისტური და ადრეიმპერიული პერიოდის ტორევტიკის შესანიშნავი ნიმუშებია, რომელიც ჩვენთან იმპორტის სახით უნდა იყოს მოხვედრილი ელინიზირებული აღმოსავლეთის სხვადასხვა ცენტრებიდან. გომის ვერცხლის რიტონი, რომელიც, დიდი ალბათობით, ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს და სავარაუდოდ ძვ.წ. I - ახ.წ. I-II საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განკუთვნება, შთაბეჭდილებას გვიქმნის ადგილობრივი ვერცხლმჭედელობის[29] განვითარების მაღალ დონეზე იბერიაში რომაული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშების გამოჩენამდე. ახ.წ. I საუკუნეში და II საუკუნის დასაწყისში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძვირფასი ლითონის ჭურჭლის ადგილობრივად დამზადების მაღალ დონეზე უნდა მეტყველებდეს ბანძასა და თაგილონის I-II საუკუნეების არქეოლოგიური კომპლექსების ვერცხლის კონუსური ფორმის კანელურებიანი სასმისები. ჭურჭლის

[29] ტერმინი 'ვერცხლმჭედელობა' ქართულ ენასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად გამოყენებადი ტერმინია. ვერცხლის ოსტატებისა და ვერცხლის ნაკეთობების წარმოების აღსანიშნად გამოიყენება ფართო ტერმინი 'ოქომჭედელი' და 'ოქრომჭედლობა', ასევე 'ლითონმქანდაკებლობა'. განსხვავებული მდგომარეობაა უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, ინგლისურად ვერცხლის წარმოების აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი 'silversmith', მაშინ, როდესაც ოქრომჭედლობის შესატყვისია 'goldsmith'. ანტიკური ხანის ტორევტიკის, საკუთხივ ვერცხლის ჭურჭლის კვლევებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში დამკვიდრებული ტერმინია 'silversmith', რომლის ქართული შესატყვისი 'ვერცხმლჭედელობაა'. ამ ნაშრომში, ანტიკური ხანის ვერცხლის ნაკეთობათა დამზადებისა და ვერცხლის ოსტატების შესაწტყვისად გამოყენებულია ტერმინები 'ვერცხლმჭედელობა' და 'ვერცხლისმჭედლები'. ვფიქრობ, საქართველოს, როგორც ვერცხლის მოპოვებისა და წარმოების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანის, სამეცნიერო ენაში ტერმინი 'ვერცხმლჭედელობის' გამოყენება და დამკვიდრება მიზანშეწონილია და ხაზს უსვამს ამ ლითონის მნიშვნელობას ქვეყნის წარსულ და თანამედროვე კულტურაში.

ეს ფორმა და ორნამენტი, რომელიც გარკვეულწილად გონიოს ოქროს ფიალასაც ემსგავსება, ძველი კოლხური ოქრომჭედლობისა და მეთუნეობის ტრადიციების გაგრძელება და გამოძახილი შეიძლება იყოს (ლორთქიფანიძე ო. , 2002, გვ. 171-173; გიგოლიშვილი, 2005, გვ. 57-64; Licheli, 2007, pp. 55-66). რელიეფურ კანელურიებიანი, თუმცა, მინიატურული ჭურჭლის(?) ნიმუშები აღმოჩნდა კლდეეთის სამაროვანზეც. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჭურჭლის ეს ფორმა გვიანელინისტური ხანის დასავლური ტორევტიკისთვისაა დამახასიათებელი (Strong, 1966, pp. 107-108, fig. 24). საფიქრებელია, რომ ჩვენში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭელი ადგილობრივ ვერცხლმჭედელობაში არსებული დასავლური ტორევტიკის გავლენისა და ადგილობრივი ტრადიციების სინთეზის გამოვლინებაა.

როგორც ჩანს, ადრეიმპერიული პერიოდის (ახ.წ. I საუკუნისა და II საუკუნის I ნახევრის) რომაული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე, პირველად კოლხეთში ჩნდება. ამისი დასტური ხელვაჩაურის (კაპანდიბი), თაგილონისა და ხაიშის აღმოჩენებია. ამავე პერიოდის რომაული ნაწარმის ცალკეული ნიმუშები გვხვდება იბერიაშიც, ბორისა და ზღუდერის არქეოლოგიურ კომპლექსებშიც. მართალია, აღაიანის ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებით დათარიღებული ვერცხლის ჭურჭელი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გონიოს, ხელვაჩაურისა და ხაიშის აღმოჩენებს, თუმცა მათი გააზრება ცალსახა რომაულ იმპორტად სათუოდ მიგვაჩნია. ალბათ უფრო მართებულია, ამ ჭურჭლის იმპორტი როგორც ქართლში რომაელთა გამოჩენას დავუკავშიროთ, ისე გვიანელინისტურ ხანაში ელინიზირებული აღმოსავლეთთან (სელევკიდები, პონტოს სამეფო, პართია) არსებულ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

კოლხეთსა და იბერიაში ვერცხლის ჭურჭლის წარმოება, იმპორტი და მათი სამარხებში ჩატანების წესი ტრადიციული ხდება ახ.წ II საუკუნის შუახანებიდან, ხოლო პიკს, III საუკუნეში აღწევს. არქეოლოგიური ძეგლების უმრავლესობა იბერიიდან და კოლხეთიდან, სწორედ, II-III საუკუნეებზე მოდის.

ახ.წ IV საუკუნიდან ტორევტიკული მასალა სამარხეულ კომპლექსებში საგრძნობლად მცირდება, ზოგიერთ ძეგლზე კი, საერთოდ ქრება. IV საუკუნის დასაწყისის, ქრისტიანობამდელი ვერცხლის ჭურჭელი მხოლოდ იმ კომპლექსებშია

წარმოდგენილი, რომელთა თარიღი III-IV საუკუნეების მიჯნაზე მერყეობს და შესაძლოა IV საუკუნის პირველ მეოთხედსაც მოიცავდეს (მაგრანეთის ქუშაანანთ გორის, აჩმარდას არქეოლოგიური კომპლექსები (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 73; ვინოგრადოვ, 2013, გვ. 60-66). ახ.წ. IV საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში ვერცხლის ჭურჭელი სამარხებში მხოლოდ მოდინახეს სამაროვანზეა დაფიქსირებული. IV საუკუნეს შესაძლოა მიეკუთვნებოდეს სოფელ შუბარაში აღმოჩენილი სასანური თეფში სამეფო ნადირობის სცენით. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი კვლევა ჯერ არ გამოქვეყნებულა, პორტრეტული მახასიათებლებით, ის შესაძლოა, ბაჰრამ IV-ის პორტრეტს წარმოადგენდეს.

IV საუკუნის მეორე ნახევრიდან VI საუკუნის მიწურულამდე ერთგვარი ლაკუნა შეინიშნება და ვერცხლის ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიიდან სრულიად ქრება. ეს ქრისტონობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით, საზოგადოებაში მიმდინარე ძირეული სოციალური ძვრებით ან სხვა რელიგიური, კულტურული თუ პოლიტიკური ნიუანსებით შეიძლება აიხსნას, რაზეც ნაშრომის V თავში ვისაუბრებთ. VI-VII საუკუნეების მიჯნის სასანური ვერცხლის ჯამი ჭერმისხევიდან და ამავე პერიოდის სასანური სპილენძის სურა სვანეთის ლაგურკას ქრისტიანული ტაძრის საგანძურიდან (რომელიც არ ვიცით რა გზებით ან როდისაა საქართველოში მოხვედრილი და არ განვიხილავთ კვლევის ფარგლებში), ის იშვიათი ნიმუშებია, რომლებიც განვითარებული შუასაუკუნეების ქრისტიანული ვერცხლის ჭურჭლის გაჩენამდე ერთგვარად ავსებს ტორევტიკული კოლექციის ამ სიცარიელეს.

თავი IV

ვერცხლის ჭურჭლის კულტურული და სოციალური ატრიბუცია

საკვლევი მასალის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ იბერიასა და კოლხეთში ვერცხლის ჭურჭლის 158 (ას ორმოცდათვრამეტი) ერთეული ქვეყნის მასშტაბით 31 (ოცდათერთმეტ) არქეოლოგიურ ძეგლზეა წარმოდგენილი. აქედან, 126 (ას ოცდაექვსი) ერთეული ჭურჭელი აღმოჩნდა იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე 21 (ოცდაერთ) არქეოლოგიურ ძეგლზე, ხოლო 32 (ოცდათორმეტი) ერთეული - კოლხეთის 10 არქეოლოგიური კომპლექსის შემადგენლობაშია წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა მოიცავს ყველა იმ ეგზემპლარს, რომელთა შესახებაც მოხერხდა ინფორმაციის მოძიება სამეცნიერო ლიტერატურასა და სამეცნიერო ფონდებში. რაოდენობა შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს, რადგან შესაძლოა, ჩვენი კვლევის მიღმა დარჩენილიყო ამ დრომდე გამოუქვეყნებელი მასალა.

დიაგრამა 3. *ვერცხლის ჭურჭლის ჯამური რაოდენობა რეგიონების მიხედვით*



დიაგრამა 4. ვერცხლის ჭურჭლის რაოდენობა რეგიონების მიხედვით.



დიაგრამა 5. ვერცხლის ჭურჭლის რაოდენობრა არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით



4.1. კულტურული ატრიბუცია

კულტურული ატრიბუციის მიხედვით, ვერცხლის ჭურჭელი, როგორც კოლხური ისე იბერიული კომპლექსებიდან, იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. რომაული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები (რომისა და მისი პროვინციების ნაწარმი); 2. პართული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები; 3. სასანური ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები; 4. ადგილობრივი ნაწარმი, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფს მოიცავს: ა) რომაული ტორევტიკის გავლენით შექმნილი ნაწარმი; ბ) აქემენიდურ-პართულ-სასანური ტორევტიკის გავლენით შექმნილი ნაწარმი გ) ჭურჭელი, რომელიც აერთიანებს იბერიული, ირანული, რომაული და ალანო-სარმატული კულტურების სხვადასხვა ელემენტებს.[30] გარდა ზემოთაღნიშნული ოთხი ძირითადი ჯგუფისა, კიდევ ერთ, დამატებით ჯგუფში სახელწოდებით - 'გაურკვეველია', ვაერთიანებთ ყველა იმ ჭურჭელს, რომლის წარმომავლობის დადგენაც ვერ ხერხდება მათი ძლიერ დაზიანების ან მათზე სათანადო ინფორმაციისა და პარალელების არარსებობის გამო.

ცხრილი 5. *ვერცხლის ჭურჭლის ცალკეული ერთეულების გადანაწილება არქეოლოგიურ ძეგლებზე მათი კულტურული ატრიბუციის მიხედვით*

N	ძეგლი	სულ	რომაული	პართული	სასანური	ადგილობრივი	გაურკვეველია
1	**ავჭალა**	**1**	-	-	-	1	-
2	**არაგვისპირი**	**5**	1	-	-	4	-
3	**არმაზისხევი**	**21**	10	-	1	8	2
4	**აღაიანი**	**9**	6 [31]	1	-	-	2
5	**აჩმარდა**	**1**	-	-	-	-	1

[30] უნდა აღინიშნოს, რომ აქემენიდური ტორევტიკის გავლენით, ქართლში ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნიდან იწარმოებოდა აქემენიდურის ვერცხლის ფიალების მსგავსი ჭურჭელი კერამიკაში (ლიჩელი, 2018, გვ. 40; Gagoshidze, 1996, p. 127)

[31] აღაიანის ჭურჭელი დამატებით კვლევებს საჭიროებს მათი კულტურული ატრიბუციის დასაზუსტებლად. რომაულ ჯგუფში გაერთიანებული ცალკეული კოვზები და თასები, ერთი შეხედვით დასავლური, გვიან ელინისტური - ადრერომაული ხანის ტორევტიკული მასალის იერის მატარებელია. თუმცა, შესაძლოა, ისნი ელინიზირებული აღმოსავლეთის საწარმო ცენტრებიდანაც მომდინარეობდეს.

6	**ახალი ჟინვალი**	**2**	-	-	-	1	1
7	**ბაგინეთი**	**12**	10	-	-	-	2
8	**ბანძა**	**1**	-	-	-	1	-
9	**ბიჭვინთა**	**3**	3	-	-	-	-
10	**ბორი**[32]	**14**	10	-	-	2	2
11	**გომი**	**1**	-	-	-	1	-
12	**გონიო**	**1**	-	-	-	1	-
13	**ზღუდერი**	**12**	5	-	-	4	3
14	**თაგილონი**	**14**	12	-	-	2	-
15	**თბილისი (ს. ეულის ქ.)**	**3**	-	1	-	-	2
16	**კვაშხიეთი**	**1**	1	-	-	-	-
17	**კლდეეთი**	**6**	2	-	-	2	2
18	**მაგრანეთი**	**3**	-	-	-	3	-
19	**მოდინახე**	**8**	-	-	-	8	-
20	**მცხეთა (სვეტიცხოველი)**	**1**	1	-	-	-	-
21	**სამთავრო (N905,N212)**	**17**	8	1	-	4	4
22	**სარგვეში**	**2**	1	-	1	-	-
23	**ურბნისი**	**1**	1	-	-	-	-
24	**ურეკი**	**3**	3	-	-	-	-
25	**შუბარა**	**1**	-	-	1	-	-
26	**ციხისძირი**	**3**	3	-	-	-	-
27	**ცხინვალი**	**2**	1	-	-	1	-
28	**ჭერმისხევი**	**1**	-	-	1	-	-
29	**ხაიში**	**3**	3	-	-	-	-
30	**ხელვაჩაური**	**2**	2	-	-	-	-
31	**ხოვლე**	**4**	1	-	-	1	2
	ჯამი	***158***	***84***	***3***	***4***	***44***	***23***

[32] გამომდინარე იქიდან, რომ ბორის განძის მასალა ერმიტაჟშია და ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი, ასევე მისი თანამედროვე კვლევები არ მოგვეპოვება, მონაცემები ეყრდნობა 1914 წლის ნაშრომს და ილუტსრაციებს. ანალოგიური სიტუაციაა ციხისძირის განძის შემთხვევაშიც.

დიაგრამა 6. *საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის პრაოდენობრივი დიაგრამა კულტურული ატრიბუციის მიხედვით.*



დიაგრამა 7. *საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის პროცენტული დიაგრამა კულტურული ატრიბუციის მიხედვით.*



როგორც ვხედავთ (იხ. ცხრილები: 7-9), საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციაში ყველაზე დიდი რაოდენობით, 84 ერთეულით (53%), წარმოდგენილია რომაული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები. რომაული ნაწარმი ქვეყნის მასშტაბით 20 არქეოლოგიურ ძეგლზე გამოვლინდა, რომელიც ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსების 65%-ს შეადგენს. რომაული იმპორტი იმპერიის სხვადასხვა პროვინციების ნაწარმია, რომელიც იბერია-კოლხეთის ტერიტორიაზე პირველად ძვ.წ. I საუკუნეში უნდა გამოჩენილიყო. უადრესი რომაული ნიმუშები კოლხეთიდან, გვხვდება ხაიშის, თაგილონისა და ხელვაჩაურის არქეოლოგიურ ძეგლებზე. უადრესი რომაული ნაწარმი იბერიიდან მომდინარეობს აღაიანის სამაროვნიდან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღაიანის ნაწარმი დამატებით კვლევას საჭიროებს, ვინაიდან, შესაძლოა, ზოგიერთი რომაული იერსახის ნაწარმი ელინიზირებული აღმოსავლეთის საწარმო

ცენტრებიდანაც მომდინარეობდეს. რომაული ნაწარმის რაოდენობრივი დომინირება მიგვანიშნებს იბერია-კოლხეთის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე რომის იმპერიასთან ახ.წ. I-III საუკუნეებში. აღნიშნულ საკითხს ნაშრომის შემდეგ თავში განვიხილავთ.

რომაული ნაწარმისგან განსხვავებით ჩვენს კოლექციაში ძალზე მცირე რაოდენობითაა (2%) სასანური ტორევტიკის ნიმუშები. საქართველოს ტერიტორიაზე ირანიდან იმპორტირებული ვერცხლის ჭურჭელი სულ ოთხი ნიმუშითაა წარმოდგენილი, რომლებიც ოთხ სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩნდა: არმაზისხევში, სარგვეშში, შუბარასა და ჭერმისხევში. უადრესი ნიმუშები ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, ხოლო გვიანდელი - ახ.წ. VI-VII საუკუნეების ვერცხლის ჯამია ჭერმისხევიდან. სასანური ტორევტიკის კიდევ ერთი შესანიშნავი ეგზემპლარია დაცული სოხუმის მუზეუმში, რომელიც დღევანდელი კრასნოდარის მხარეში, კრასნაია პოლიანაში იქნა აღმოჩენილი. სვანეთის ქრისტიანული ტაძრის საგანძურში დაცულ სპილენძის სურას ამ ნაშრომში არ განვიხილავთ (ვინაიდან არ ვიცით როდის და რა გზითაა ის მოხვედრილი საქართველოში და ამასთანავე, არ წარმოადგენს ოქროს ან ვერცხლის ნაწარმს), თუმცა, საქართველოში დაცული სასანური ტორევტიკული ნაწარმის მომავალი კვლევებისას ეს ნიმუში აუცილებლად გასათვალისწინებელია.

კიდევ უფრო მცირეა (თითქმის 2%) პართული ვერცხლის ჭურჭლის ნიმუშები. პართულ ნაწარმად მივიჩნევთ სამთავროს 905-ე აკლდამაში აღმოჩენილ ტირიდატის ლანგარს, რომელიც წარწერის მიხედვით გააზრებულია, როგორც პართიის პრინცის, ტირიდატის, ძღვენი იბერიის მეფისთვის. პართული წარმომავლობის შესაძლოა იყოს თბილისის (ს.ეულის ქ.) ახ.წ. I-II საუკუნეების სამარხეული კომპლექსისა და აღაიანის N10 სამარხში აღმოჩენილი ანალოგიური სადაზედაპირიანი ჯამები, რომელთა ფორმა და იერი ძალზე ემსგავსება ელინიზირებული აღმოსავლეთის ვერცხლის ჭურჭელს (Pfrommer, 1993, pp. 146-147, 227, No. 20-21).

რომაული იმპორტის შემდეგ, რიცხობრივად, მეორე ადგილზეა ადგილობრივი - იბერიული და კოლხური ნაწარმი. ადგილობრივი ნაწარმი ტორევტიკის ნიმუშების საერთო რაოდენობის 28%-ს შეადგენს და სულ 44 ერთეულითაა წარმოდგენილი.

ჯგუფში ვაერთიანებთ ჭურჭლის იმ ეგზემპლარებს, რომლებსაც იბერია-კოლხეთის მიღმა არ მოეძებნებათ პარალელები და მხატვრულ-სტილისტური, თუ შედარებითი მეთოდის, საფუძველზე, ცალსახად, ადგილობრივ ნაწარმადაა გასააზრებელი. ასეთი ნიმუშებია, მაგალითად, იბერიული ვერცხლის სურები, რომელიც სულ 16 ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (არმაზისხევიდან, სამთავროდან, არაგვისპირიდან, მაგრანეთიდან, ბორიდან, ცხინვალიდან და მოდინახედან); ვერცხლის ჯამები მაღალი წრიული ქუსლით, ტალღისებური ნაჭდევებით დაფარული კალთებითა და ცენტრალურ მედალიონში გრავირებული ცხენისა და საკურთხევლის ან/და ცხოველთა გამოსახულებებით (არმაზისხევიდან, ახალი ჟინვალიდან, ზღუდერიდან, ბორიდან); რელიეფური კანელურებით შემკული კათხისებური, მრგვალძირიანი (ბანძადან, თაგილონიდან, კლდეეთიდან) და მრგვალყურიანი ქილისებური სასმისი (არმაზისხევიდან); ჯამები, რომელთა ზედაპირი შემკულია წინარე ხანის, აქემენიდური კულტურისთვის დამახასიათებელი ნუშისებური ბურცობებით (მაგრანეთიდან, ხოვლედან, სამთავროდან).

ადგილობრივი ნაწარმის რაოდენობა და მისი შეფარდება იმპორტთან საფუძველს გვაძლევს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, თუ განვითარების რაოდენ მაღალ საფეხურზე იყო ვერცხლმჭედელობა გვიანანტიკური ხანის იბერიასა და კოლხეთში. ასევე, ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი ვერცხლის სახელოსნოები ქმნიდნენ თანამედროვე მოდისა და ტენდენციების შესაბამის მაღალმხატვრულ ნაწარმს, რომელზე მოთხოვნაც წარჩინებული ფენის მხრიდან ინტენსიური უნდა ყოფილიყო.

საკვლევი მასალის 23 ეგზემპლარი, რომელიც სრული რაოდენობის 15%-ს შეადგენს, იმ ჯგუფში ერთიანდება, რომელთა ზუსტი კულტურული ატრიბუციის განსაზღვრა ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზების გამო. მიზეზი ჭურჭლის ფრაგმენტულობა, მათი დაზიანების ხარისხი და იმ კვლევების დეფიციტია, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია მათი წარმომავლობის განსაზღვრა (მაგ. ნედლეულის ქიმიური შემადგენლობის კვლევები, დეტალური მხატვრულ სტილისტური ანალიზი და სხვა). ამ ჯგუფში შემავალი ჭურჭლის სათანადო შევსწავლა მომავალში, საფუძველს მოგვცემს, დავაზუსტოთ მათი წარმომავლობა და

შესაბამისად, გადავანაწილოთ კულტურული ატრიბუციის მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ჯგუფში.

როგორც ვხედავთ, საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციაში დომინირებს რომაული იმპორტი, რაც რომთან არსებულ მჭიდრო ურთიერთობებით უდნა აიხსნას. რომაული იმპორტის შემოდინების პარალელურად იქმნებოდა დიდი რაოდენობით ადგილობრივი ნაწარმი, რაც იმის მანიშნებელია, რომ კულტურული და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარი იბერიის სამეფოს წარჩინებული ფენის მხრიდან ფუფუნების ნივთებზე მოთხოვნა მაღალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართლს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები აკავშირებდათ არშაკიდებისა და, მოგვიანებით, სასანიდების იმპერიასთან, ამ ორი კულტურის ტორევტიკული ნაწარმი ჩვენთან მხოლოდ ერთეულების სახითაა მოხვედრილი. ეს შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ახ.წ. I-III საუკუნეებში იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური ასპირაცია უფრო მეტად რომის იმპერიასთან დაახლოება იყო, რაც წერილობით წყაროებსა და მატერიალურ კულტურაშიც ნათლად აისახა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის სამომავლო კვლევების აუცილებლობა, რომელიც თანამედროვე კვლევის მეთოდებსა და ლაბორატორიულ ანალიზებე იქნება დაფუძნებული. ამ მხრივ ჩვენ შევძლებთ, ნათელი მოვფინოთ გარუკვეველი წარმომავლობის მქონე ტორევტიკული ნაწარმის ნიმუშებს და უფრო დასაბუთებული პასუხები გავცეთ კითხვებს მათი კულტურული ატრიბუციის შესახებ.

4.2. სოციალური ატრიბუცია

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის კვლევაში უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მასალის სოციალური ატრიბუცია. კითხვაზე, თუ ვის ეკუთვნოდა სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭელი, პასუხი თითქოს მარტივია, ვინაიდან მდიდრული სამარხები, რომლებიც თავის მხრივ, თითქმის ყოველთვის შეიცავს ტორევტიკულ მასალას, ასოცირებულია მმართველი ზედაფენისა და წარჩინებულთა განსასვენებელთან. თუმცა,

საინტერესოა, კონკრეტულად რა თანამდებობის პირებთან გვაქვს საქმე და რა გზებით მოხვდა მათ სამარხებში ისტორიულ პირთა პორტრეტებითა და სახელებით შემკული ვერცხლის ჭურჭელი; რომიდან და ირანიდან გამოგზავნილი ძღვენი ადრესატთა (იბერიის მეფეები, პიტიახშები) სამარხებშია ჩატანებული, თუ მათი მხრიდან ქვეშევრდომებისთვის განაწილებული ძღვენის შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 205).

ვერცხლის ჭურჭლის სოციალური ატრიბუციის კვლევა უკვე გასული საუკუნიდან გახდა აქტუალური. ისტორიულ პირთა პორტრეტებითა და მათი სახელობითი წარწერებით შემკული ჭურჭელი იბერია-კოლხეთის სოციო-პოლიტიკური ისტორიის ცალკეული აპექსტების კვლევის კონტექსტში, არაერთ ნაშრომშია წარმოდგენილი (აფაქიძე ა. , 1963; რამიშვილი რ. , 2018; ბრაგვაძე, 2021; Gamkrelidze, 2014; Braund, 1994). ცალკეული ნაშრომებია მიძღვნილი ერთეული ჭურჭლის პორტრეტული გამოსახულებისა და წარწერების კვლებისადმი (გაგოშიძე და მარგიშვილი, 2013; დუნდუა & ჩიქობავა, 2013; წოწელია, 1979; Braund, 1993; Tchubinaschwili, 1925). მიუხედავად ამისა, მასალის ეს ჯგუფი ერთიან კონტექსტში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. წინამდებარე თავში შემოთავაზებულია ამ კუთხით განხორციელებული კვლევის შედეგები.

ვიდრე უშუალოდ ვერცხლის ჭურჭლის ცალკეული ნიმუშების ანალიზს შემოგთავაზებთ, საჭიროა სოციალური ატრიბუციის კვლევაში მათი არქეოლოგიური კონტექსტის როლი წარმოვაჩინოთ. ამ მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია სამარხეული კომპლექსები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გააზრებულია, რომ ტორევტიკისა და სხვა ძვირფასი ნივთების (სამკაული, გლიპტიკური, ნუმიზმატიკური ძეგლები, სარეცლის ფეხები, იარაღი და სხვ.) შემცველი მდიდრული სამარხები, უთუოდ, მოსახლეობის მმართველი ზედაფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ: პიტიახშებს, ერისთავებს, სამეფო ოჯახის წევრებს, დაწინაურებულ სამხედრო მოხელეებს (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 40; აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 8-9; რამიშვილი, და სხვ., 1972, გვ. 46; ჩოლოგაური 2024ა, გვ. 205-208; Shatberashvili, 2024, p. 176;). თუმცა, საკუთრივ რა თანამდებობის, რა სოციალური

სტატუსის მქონე პირთა განსასვენებლებთან გვაქვს საქმე, ამ საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. აღნიშნული საკითხი პრობლემატურია და მისი კვლევა თითქმის საუკუნეს ითვლის. პრობლემის გარშემო არსებული მოსაზრებები ათწლეულების მანძილზე განიცდიდა ცვლილებებს და ახლებურ ინტერპრეტაციას. სამარხების კუთვნილების პრობლემატიკის სირთულიდან გამომდინარე, შევეცდებით ამ თემას მხოლოდ მოკლედ და თანაც, იმ კუთხით ჩავუღრმავდეთ, რაც ჩვენი კვლევისთვის რელევანტურია, წინააღმდეგ შემთხვევაში დისკუსია საკვლევი თემიდან ძალზე შორს წაგვიყვანს.

„გასულ საუკუნის დასაწყისში მოპოვებულმა ბორის განძმა, რომელიც შეიცავდა ვერცხლის ლანგარს 'ბუზმიჰრ პიტიახშის' წარწერით, საფუძველი დაუდო მოსაზრებას, რომ აქ პიტიახშთა სამარხები მდებარეობდა. თუმცა, დარღვეული და დაკარგული არქეოლოგიური კონტექსტის გამო ამის დადგენა დღემდე ვერ ხერხდება. სამი ათეული წლის შემდეგ არმაზისხევის სამაროვნის აღმოჩენებმა ცხადი გახადა, რომ მცხეთის ამ ნაწილში იბერიის პიტიახშთა და სამეფო ოჯახის წევრთა სამარხებია წარმოდგენილი. ამის ნათელი დასტური არა მხოლოდ ტორევტიკულ და გლიპტიკურ მასალაზე შემორჩენილი ისტორიულ პირთა პორტრეტები და წარწერებია (ბერსუმა პიტიახში, ასპარუგ პიტიახში, პაპაკ პიტიახში, მეფე ფლავიუს დადესი), არამედ თავად სამარხის ტიპი, დაკრძალვის რიტუალი და სხვა სამარხეული ინვენტარი, რომელთა შორის აღსანიშნავია ინსიგნიები (დიადემა, სატევარი, ინსიგნია ქამარი, საპიტიახშო ბეჭედი) (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 184-207). სამეფო ოჯახის წევრის განსასვენებლადაა გააზრებული ბაგინეთის (იბერიის მეფეთა რეზიდენციის) კლდეკარის სარკოფაგიც, რომელშიც სხვა მდიდრულ მასალასთან ერთად რომის იმპერატორის, მარკუს ავრელიუსის პორტრეტიანი ვერცხლის პინაკი აღმოჩნდა (აფაქიძე გ. , 1973, გვ. 59-65; ნიკოლაიშვილი, 2011). სამთავროს 905-ე აკლდამაც უშუალოდ სამეფო ოჯახის წევრებს ეკუთვნოდათ, ვინაიდან აქ აღმოჩენილ ერთ-ერთ ვერცხლის ლანგარზე უფლისწული ტირიდატის სახელი იკითხება და პართიის მეფისგან იბერიის მმართველისადმი გაგზავნილ დიპლომატიურ ძღვენად

მოიაზრება (აფაქიძე და ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 5-80; დიღმელაშვილი, 2022, გვ. 216-229)“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 206-207).

„იბერიის სამეფოს დედაქალაქში (ბაგინეთი, არმაზისხევი, სამთავრო) ქვაყუთებით, ქვის სარკოფაგებითა და აკლდამებით წარმოდგენილი მდიდრული სამარხების მიკუთვნება იბერიის პიტიახშთა და სამეფო ოჯახის წევრთათვის, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს. თუმცა, რა შეიძლება ითქვას ვერცხლის ჭურჭლის შემცველ მდიდრულ სამარხებზე (ორმოსამარხებზე, ქვევრსამარხზე, ხის სარკოფაგებზე), რომლებიც საქართველოს მასშტაბით კიდევ არაერთ რაიონშია აღმოჩენილი, მაგრამ არ წამოადგენს ქვაყუთებს. ამასთანავე, ისინი შეიცავენ მცხეთის მმართველთა სამარხების მსგავს სამარხეულ ინვენტარსა და ცალკეულ შემთხვევებში, წარწერებით შემკულ ტორევტიკულ და გლიპტიკურ მასალას. ასეთი ძეგლებია: ბორის, ზღუდერის, სარგვეშის, არაგვისპირის, მაგრანეთის, ჟინვალის, ხოვლეს, მოდინახეს სამაროვნები და სხვა სინქრონული, წინა თავში განხილული, კომპლექსები“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 206-207).

მცხეთის გარდა, სარკოფაგებში დიდებულთა დაკრძალვა არქეოლოგიურად დადასტურებულია მხოლოდ ავჭალაში, ზღუდერში, ურბნისსა და ხოვლეში. თუმცა, ზღუდერში სარკოფაგები ხისგან, ხოლო ურბნისში თიხისგანაა დამზადებული (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 5-9). ურბნისის თიხის სარკოფაგებს ნაშრომში არ განვიხილავთ, რადგან, მიუხედავად მათი კუთვნილებისა პრივილეგური წრისათვის, მათში ვერცხლის ჭურჭელი არ აღმოჩენილა. ვერცხლის ჭურჭლის შემცველი მხოლოდ ზემო ავჭალისა და ხოვლეს 2004 წელს აღმოჩენილი სამარხებია, ნაგები ქვის დიდრონი, გათლილი ფილებით. ავჭალის ქვაყუთებს (ან აკლდამებს, როგორც მათ ს. მაკალათია უწოდებდა) გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, ჩვენ მცხეთის შემოგარენს მივაკუთვნებთ, ხოლო ხოვლეს შემთხვევაში, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქმე გვაქვს რეგიონული ერთეულის დიდგვაროვანთა განსასვენებელთან. ვახტანგ შატბერაშვილის მიხედვით, ხოვლეს ქვის აკლდამა ადგილობრივი დიდგვაროვანი ქალის განსასვენებელს წარმოადგენდა, თუმცა, საკუთრივ რა სოციალური სტატუსი უნდა ჰქონდათ ხოვლეს დიდგვაროვნებს ამ პერიოდში, ამ ეტაპზე უცნობია (Shatberashvili, 2024,

p. 181). მართლაც, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ გაჟღერებულა აზრი, თუ რა წოდების პირთა განსასვენებელთან უნდა გვქონდეს საქმე ხოვლეს ამ მდიდრულ აკლდამაში. პიტიახშთან, ერისთავთან, ერისთავის ოჯახის წევრთან, თუ?.. ეს საკითხი დამატებით ისტორიულ მოკვლევას საჭიროებს.

მცხეთის, ავჭალისა და ხოვლეს გარდა ქვის სარკოფაგები და აკლდამები დღემდე არსად ფიქსირდება. კრამიტით გადახურული ხის დასაკრძალი კამერა იყო ჩადგმული მაგრანეთის ქუშანაანთ გორის ორმოსამარხში N1 (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 30-31). ბორის უმნიშვნელოვანესი მასალა განძის მაძიებელთა მიერ უკონტექსტოდაა გათხრილი, თუმცა, ყოველგვარი მონაცემის საფუძველზე, აქ ორმოსამარხები იყო წარმოდგენილი (ბრაგვაძე, 2021, გვ. 97; Придикъ, 1914, გვ. 4-5). ძირითადად ორმოსამარხები იყო დამახასიათებელი არაგვისპირისა და ახალი ჟინვალის სამაროვნებისთვის. ასევე მოდინახეს, კლდეეთის, სარგვეშის, აღაიანის, ურეკის, ციხისძირის და სხვა ვერცხლის ჭურჭელის შემცველი კომპლექსებისთვის (ლომთათიძე, 1957; ნადირაძე, 1975; ბოხოჩაძე, 1981; რამიშვილი რ., 2018, გვ. 86, 193; Tchubinaschwili, 1925, 83-86; Хоштариа, 1955, 52-54).

„სამარხების ტიპის განსხვავებულობის საფუძველზე, ზურაბ ბრაგვაძეს მიაჩნდა, რომ მიუხედავად სამარხეული ინვენტარის მსგავსებისა, მცხეთის გარეთ აღმოჩენილი არცერთი მდიდრული განსასვენებელი არ ეკუთვნოდა პიტიახშის წოდების პირს, არამედ, ადგილობრივი საერისთავოს, საგამგებლოს მმართველებს ან დაწინაურებული ფენის წარმომადგენლებს, რომლებისთვისაც სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი მცხეთაში მჯდომ ქართლის მეფეს ან/და პიტიახშს უბოძებია (ბრაგვაძე, 2021, გვ. 93-98). განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა რამინ რამიშვილს, რომელიც მიიჩნევდა, რომ მაგრანეთის, არაგვისპირის, ჟინვალის, ბორის, ზღუდერის და სხვა მდიდრული სამარხები, არმაზისხევის სამარხთა მსგავსად, პიტიახშთა რანგის წარმომადგენლების კუთვნილება უნდა ყოფილიყო, ხოლო სამარხთა განსხვავებული ტიპი (ორმოსამარხები, ხის სარკოფაგები) სოციალური, ეთნიკური და რელიგიური მომენტებით აქვს ახსნილი (რამიშვილი რ., 2018, გვ. 132-135, 193-195). მას მიაჩნდა, რომ განსვენებულის სოციალურ სტატუსს არა სამარხის ტიპი, არამედ მასში ჩატანებული ინსიგნიები განსაზღვრავდა და ასეთებად

მიიჩნევს სხვადასხვა ნივთებს (სარეცლის ფეხები, ინსიგნია ქამრები და ბეჭდები, სამკლაური). სოციალური სტატუსის განმსაზღვრელად მიაჩნდა რამინ რამიშვილს სამარხში ცხენის ჩატანებაც (რამიშვილი რ., 2018, გვ. 193-194)“ (ჩოლოგაური, 2024ა, გვ. 207).

ზღუდერის მდიდრული სარკოფაგები და მათში გამოვლენილი გლიპტიკური და ტორევტიკული მასალა (განსაკუთრებით კი ბერსუმა პიტიახშის ლანგრის მაგვარი ჭურჭელი მსგავსი წარწერით ‘ვუბოძებ’) მკვლევარებს აძლევს საშუალებას, აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის (იქნებ საპიტიახშოს?) არსებობა ივარაუდონ, რომელიც ადგილობრივი დიდგვაროვანი მოხელის მიერ იმართებოდა. აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა, მეორე სარკოფაგში აღმოჩენილ გემაზე დატანილი პორტრეტი თავსაბურავით, მართლაც, იბერიელ პიტიახშს გამოსახავდეს (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 18). არქეოლოგი ჯ. ნადირაძე მოდინახეს ორმოსამარხებს მძიმედ შეიარაღებული საშუალო ფენის არისტოკრატიას მიაკუთვნებდა, რომელთა საქმიანობა ერისთავთა სამსახური და მათთვის ლაშქრობა უნდა ყოფილიყო (ნადირაძე, 1975, გვ. 74). ზ. ბრაგვაძე ფიქრობდა, რომ მოდინახეს სამაროვანზე დაკრძალული წარჩინებული პირები გარკვეული საგამგეო ერთეულის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რაზეც მიგვანიშნებენ 36-ე და 66-ე სამარხებში დასასტურებული ოქროთი შემკული რკინის სატევარი და ოქროს დიადემა (მმართველ პირთა უმთავრესი ინსიგნიები) (ბრაგვაძე, 2021, გვ. 54). წარჩინებული მეომრის განსასვენებლად მიიჩნია ბანძას ქვევრამარხი ს. მაკალათიამ, ხოლო თაგილონისა და კლდეეთის აღმოჩენებიც, აქ წარმოდგენილი იარაღ-საჭურველის გამო თავიდანვე ადგილობრივ დიდგვაროვანთა და ამავდროულად, წარჩინებულ მეომართა სამარხებად იქნა ინტერპრეტირებული (მაკალათია, 1928, გვ. 182-184; ლომთათიძე, 1957, გვ. 3-9; Амиранашвили, 1935, გვ. 71).

როგორც ვხედავთ, სამარხთა კულტურული ატრიბუციისა და განსვენებულთა სოციალური სტატუსის განსაზღვრა ძალზე საკამათოა. ამიტომაც, ამ პრობლემის შესწვალაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვერცხლის ჭურჭლის იმ ცალებს, რომლებზეც კონკრეტულ პირთა სახელები იხსენიება (ჩოლოგაური, 2024ა,

გვ. 208). ქვემოთ შევეცდებით, მოკლედ განვიხილოთ ვერცხლის ჭურჭლის ეს ცალკეული ნიმუშები და ყურადღება გავამახვილოთ იმ ნიუანსებზე, რომელიც მასალის სოციალური ატრიბუციის დადგენაში გვეხმარება.

პაპაკ პიტიახშის ლანგარი (ტაბ. 5: სურ. 4). ვერცხლის ლანგარი, რომელიც არმაზისხევის N2 სამარხში აღმოჩნდა, სასანური ტორევტიკის ერთ-ერთ უადრეს და გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს. ლანგარი შემკულია ცენტრალური მედალიონის გარშემო განთავსებული, რელიეფური ფოსოების ოთხი კონცენტრული რიგით და საკუთრივ მედალიონში წარმოდგენილი, სტილიზებული აკანთოსის ფოთლებზე მოთავსებული მამაკაცის ბიუსტით. მარჯვენა პროფილში მოცემული მამაკაცის თავსაბურავისა და ტანსაცმელის სტილის მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს სასანიდი დიდგვაროვნის, სახელმწიფო მოხელის პორტრეტთან. ლანგრის პირზე, გარედან, დატანილია პუნსონის ტექნიკით გამოყვანილი შუა სპარსულ ენაზე შესრულებული წარწერა, რომელიც ნაწილობრივ დაზიანებულია. წარწერა სხვადასხვა მეცნიერების მიერ განსხვავებულადაა წაკითხული. გ. წერეთლისეული წაკითხვა შემდეგნაირია: *"... პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ღვთაებრივ (პაპაკის?) ძისა"* შემდეგ მეორდება სიტყვა პიტიახში და იხსენიება ქვეყანა - *'(g)-wrgn'* – (წერეთლის ვერსიით, სავარაუდოდ, იბერია) ბოლოს კი წონა - '53 დრაქმა' (წერეთელი გ., 1948, გვ. 9; აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 45-46; აფაქიძე ა., 1963, გვ. 141-142; Церетели Г. , 1948, გვ. 55;). წერეთლისეული ვერსიით, თასზე არდაშირ I-ია გამოსახული და ნივთი III საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. შ. ამირანაშვილისეული წაკითხვა ასეთია: *"პაპაკ პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ღვთაებრივი პაპაკის ძისა გურზან ქვეყნის პიტიახშს არზამეს უძღვნის"*(ამირანაშვილი, 1958, გვ. 89-90; აფაქიძე ა. , 1963, გვ. 144). მისი ვერსიით, ლანგარი ეკუთვნის არდაშირ I-ის პიტიახშს პაპაკს, რომელმაც ნივთი იბერიაში გამოგზავნა. ამირანაშვილი ჭურჭელს ასევე III საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს.

ქართველი მეცნიერებისგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ვ. ლუკონინმა. წარწერის მისეული ინტერპრეტაცია ასეთია „Папака, Питиахша, сына Арташира, сына... Арташира, питиахша (собственность), Драхм серебряных - 253 Драхмы" – „პაპაკ

პიტიახში, შვილი არდაშირისა, შვილი ... არდაშირ პიტიახშისა, ვერცხლის დრაქმა - 253 დრაქმა“ (Луконин, 1961, გვ. 60-61). ლუკონინს მიაჩნდა, რომ ლანგარზე გამოსახული პაპაკ პიტიახში არის ნარსეს პაიკულის წარწერაში მოხსენიებული პაპაკი. შესაბამისად, მან თასი 290-იანი წლებით დაათარიღა. ლუკონინის მიხედვით, წარწერაში საერთოდ არ იხსენიება ქვეყნის სახელი და წერეთლისეული წაკითხვა ‘(g)-wrgn’ სინამდვილეში არის ‘ZWZN’, ვერცხლის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც ჭურჭლის წონას უკავშირდება. წარწერის ლუკონინისეულ ვერსიას და პაპაკის მისეულ იდენტიფიცირებას იზიარებს ამერიკელი მკვლევარი პრუდენს ჰარპერიც (Harper & Meyers, 1981, p. 29). ნარსეს პაიკულის წარწერაში (293 წ) მოხსენიებულ პაპაკს ხედავენ ლანგარის წარწერაში იულონ გაგოშიძე და კიტი მაჩაბელიც (Мачабели, 1976, გვ. 108).[33] დევიდ ბრაუნდი ლანგარზე არდაშირ I-ის პორტრეტს ხედავს, რომელსაც ლანგარი იბერიელი პაპაკ პიტიახშისთვის გაუგზავნია (რომელიც N2 სამარხში ყოფილა დაკრძალული) (Braund, 1994, p. 206). ზ. ბრაგვაძე კი იზიარებდა ამირანაშვილისეულ წაკითხვას წარწერაში არზამეს პიტიახშის მოხსენიების შესახებ და მიაჩნდა, რომ ლანგარი სასანიდმა პაპაკ პიტიახშმა უძღვნა არზამეს პიტიახშს, რომელიც N2 სამარხში იყო დაკრძალული (ბრაგვაძე, 2021, გვ. 101-102).

არმაზისხევის ლანგარზე დატანილი წარწერის წაკითხვის მისეული მოსაზრება აქვს ბ. ჰენინგს - „*p'pky bthsy BRH 'rthstr bthsy BRH* (?) *shpwhry bthsy*“ - Papak the bitaxs, the son of Artaxsa#r the bitaxs, the son of Sahpuhr the bitaxs, რომელიც ქართულად ასე იქნება: „პაპაკ პიტიახში, შვილი არდაშირ პიტიახშისა, შვილი შაპურ პიტიახშისა“ (Henning, 1961, pp. 353-356). მიუხედავად განსხვავებული წაკითხვისა, ჰენინგს, ისევე როგორც ლუკონინს, არმაზისხევის პინაკი განხილული აქვს, როგორც ნარსეს პაიკულის წარწერაში მოხსენიებული პაპაკ პიტიახშის კუთვნილება და ჭურჭელს 290-იანი წლებით ათარიღებს. ჰენინგი უარყოფს წარწერაში ქვეყნის სავარაუდო დასახელების გაშიფვრის ვერსიასაც. მისი მიხედვით, შუა სპარსულ ტექსტებში პიტიახშის სახელთან ერთად არასოდეს იხსენიება იმ ქვეყანის სახელი, რომელსაც ის მართავს. ამასთანავე წერეთლისეული (g)-wrgn’ ახლოსაც კი არ დგას იბერიის სამეფოს შესატყვის სახელწოდებასთან (*wlwc'n*) შუა სპარსულ ენაში. ამასთანავე, ის

[33] იულონ გაგოშიძის პერსონალური კომენტარი.

ბოლო ასოებს კითხულობს როგორც *tg(l)wn*, რომელიც სპარსულად უნდა ჟღერდეს როგორც 'იწონის'. ამ სიტყვას კი მოყვება ვერცხლის აღმნიშვნელი სიტყვა და წონის ერთეული, რომელიც მისი წაკითხვით 213 დრაქმია (Henning, 1961, p. 355).

როგორც ვხედავთ, არმაზისხევის ლანგარზე დატანილი პორტრეტისა და წარწერის ინტერპრეტაციაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ასევე აზრთა სხვადასხვაობაა საკუთრივ სამარხის ატრიბუციის საკითხშიც - თვით პიტიახში განისვენებდა აქ? თუ პიტიახშის მეუღლე ან ქალიშვილი?! დანამდვილებით ქალის განსასვენებელთან გვაქვს საქმე? ამ კითხვებზე პასუხების გაცემას ამ ნაშრომის ფარგლებში ვერ შევძლებთ, ვინაიდან მსჯელობა შორს წაგვიყვანს. მიუხედავად იმისა, თუ რა სოციალური სტატუსის მატარებელი იყო N2 სამარხში დაკრძალული პირი (იყო ის პიტიახში თუ მისი ოჯახის წევრი), მიგვაჩნია, რომ ლანგარი უშუალოდ სასანიდი დიდებულის, პაპაკ პიტიახშის (მოხსენიებულის პაიკულის 293 წლის წარწერაში) ძღვენის სახით აღმოჩნდა მცხეთის მმართველთა წრეში და შემდგომ მათ სამარხშიც.

არმაზისხევის N2 სამარხი და აქ აღმოჩენილი ვერცხლის პინაკი სხვა სამარხეულ ინვენტართან მიმართებაში საინტერესო სურათს გვიხატავს. სამარხში აღმოჩენილი ათენა პალადას გამოსახულებით შემკული ბეჭედი და იმპერატორების, სეპტიმუს სევერუსის (193-211), ფილიპე II-ისა (247-249) და ვალერიანის (253-260) მონეტები, იბერიაში რომაული კულტურის გავლენაზე მიგვანიშნებენ. თუმცა, მიცვალებულისთვის ირანიდან გამოგზავნილი უაღრესად მნიშვნელოვანი დიპლომატიური საჩუქარიც ჩაუტანებიათ. რომაული და ირანული ნივთების ეს სინთეზი ადგილობრივი დიდგვაროვნის სამარხში, ცალსახად მიგვანიშნებს, რომ იბერიის მმართველი ფენის წარმომადგენლები ერთდროულად იღებდნენ და ფლობდნენ ფუფუნების ნივთებს როგორც რომიდან, ისე ირანიდან.

სარგვეშის თასი (ტაბ. 21: სურ. 2). სარგვეშის თასი (კილიკი) ადრესასანური ტორევტიკის ერთ-ერთი უადრესი და გამორჩეული ნიმუშია, რომლის ფორმაც უახლოეს მსგავსებას ადრეიმპერიული რომის ვერცხლის ჭურჭელთან პოულობს. ფორმისგან განსხვავებით, თასის შემკულობა, ცალსახად, სასანური ირანის ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. დეკორი წარმოდგენილია მცენარეულ და

ზოომორფულ მოტივებს შორის ჩართული ოთხი წრიული მედალიონითა და მათზე დატანილი პორტრეტებით. პორტრეტებიდან ორი (იდენტური) გამოსახავს სასანიდ მეფეს ბაჰრამ II-ს (ახ.წ. 276-293), მესამე - მის ცოლს შაპუნდუხტარს, ხოლო მეოთხე - მათ ვაჟს, ბაჰრამ საკან შაჰს (Harper & Meyers, 1981, p. 11). ოთხივე პორტრეტის სტილი და იკონოგრაფია შესრულებულია სასანური ირანის ხელოვნებაში დამკვიდრებული სტანდარტების მიხედვით. თითოეული ბიუსტის ქვეშ გამოსახულია აკანთოსის ფოთლების ბაზა, ხოლო ჩაცმულობა, შემკულობა, პორტრეტის ორიენტაცია, სამეფო ინსიგნიების გამოსახვა - მკაცრად კანონიზირებულია. დღეისათვის, სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, სარგვეშის თასი დამზადებულია ბაჰრამ II-ის მეფობის დროს და წარმოადგენს პორტრეტებიანი მედალიონით შემკული სასანური ვერცხლის ჭურჭლის ერთადერთ ნიმუშს, რომელზეც მეფის ვინაობის ამოცნობა შესაძლებელია მისი სამეფო გვირგვინით. გარდა ამისა, სარგვეშის თასი გააზრებულია, როგორც ერთადერთი ვერცხლის ჭურჭლის ნიმუში, რომელზეც სასანიდი მეფე გამოსახულია მედალიონში ბიუსტის სახით, და როგორც უადრესი ვერცხლის ჭურჭლის ეგზემპლარი, რომელიც სასანიდ მეფეს გამოსახავს (Harper, 2008, p. 78; Harper & Meyers, 1981, p. 24).

სარგვეშის თასი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების კვლევაში. პირველ რიგში, საინტერესოა მისი აღმოჩენის ადგილი, სარგვეში (ისტორიული არგვეთი), რომლის პოლიტიკური კუთვნილების საკითხიც მეორე თავში განვიხილეთ. სარგვეშის თასს ლაზიკის სამეფოს უკავშირებს დ. ბრაუნდი და ფიქრობს, რომ ეს სასანური იმპორტი, ისევე როგორც სოხუმის მუზეუმში დაცული კრასნაია პოლიანას ვერცხლის თეფში, შემკული სასანიდი მეფის ნადირობის სცენითა და მასზე მოხსენიებული ბაჰრამის სახელით, სასანიდი მეფეების დიპლომატიური საჩუქრები იყო კოლხეთის ტრიტორიაზე მცხოვრები დიდგვაროვნებისთვის. მისივე მოსაზრებით ეს ორი აღმოჩენა მიუთითებს, რომ III საუკუნეში სასანიდების ინტერესები არა მხოლოდ იბერიას, არამედ ლაზიკასაც ეხებოდა (Braund, 1994, p. 243).

ახ.წ. I-III საუკუნეებში არგვეთის პოლიტიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით ნაშრომის მეორე თავში შემოთავაზებული ვრცელი დისკუსიის საფუძველზე, ვფიქრობ, რომ ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრის სასანური ვერცხლის თასი, რომელიც აღმოჩენილია სარგვეშში, იბერიის სამეფოს კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ვფიქრობ, ეს ნივთი უშუალოდ ბაჰრამ II-ის გამოგზავნილი ძღვენია იბერიის მეფისათვის დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ირანი ახლადაპყრობილი იბერიის სამეფოსთან სამოკავშირეო ურთიერთობის შენარჩუნებისთვის აქტიურად მიმართავს დიპლომატიურ სვლებს. ნივთის აღმოჩენა ისტორიული არგვეთის ტერიტორიაზე, ჩემი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ ეს ქართლის სამეფო კარიდან გაგზავნილი ძღვენია კოლხეთის მოსაზღვრე, არგვეთელი მმართველისთვის (ერისთავისთვის?).

სასანური ვერცხლის თეფში შუბარადან (ტაბ. 29)**.** სოხუმის მუზეუმში დაცულია რამდენიმე წლის წინ სოფელ შუბარაში შემთხვევით აღმოჩენილი ვერცხლის თეფში, რომელიც თავდაპირველად შავ ბაზარზე გამოჩნდა, მოგვიანებით კი მუზეუმს გადაეცა.[34] შუბარას ვერცხლის თეფშზე გამოსახულია სასანური სამეფო ნადირობის რელიეფური სცენა. სამეფო ინსიგნიებითა და სამოსელით შემკული ცხენოსანი მეფე წარმოდგენილია ლომზე ნადირობისას. ნივთი დაზიანებულია, თუმცა, მისი ორიგინალობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ნივთის შესახებ კვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ გამოქვეყნებულა. პორტრეტული მახასიათებლებიდან გამომდინარე შესაძლოა საქმე გვქონდეს რომელიმე ბაჰრამის (ბაჰრამ II ან ბაჰრამ IV-ის პორტრეტთან), თუმცა ეს მხოლოდ შემოთავაზებული მოსაზრებაა.

აფხაზეთის ტერიტორიიდან მომდინარე ამ სასანური ვერცხლის თეფშის კვლევის კონკტექსტში, მნიშვნელოვანია სოხუმის მუზეუმში დაცული კიდევ ერთი ნიმუში. კრასნოდარის მხარეში, კრასნაია პოლიანაში, გასულ საუკუნეში აღმოჩენილი ვერცხლის თეფში შემკული ასევე ნადირობის კომპოზიციით, სავარაუდოდ, სასანიდ პრინცს ბაჰრამ II-ს გამოსახავს (გამეფებამდე) და ახ.წ. III

[34] აღნიშნული ნივთის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში გავრცელდა და ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა სამეცნიერო ლიტერატურაში. https://abkhazworld.com/aw/current-affairs/1775-a-random-find-the-collection-of-the-abkhazian-museum-has-been-replenished-with-new-artifacts ; https://dzen.ru/a/Y91YqcGQQSNYVOeg

საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება (Harper & Meyers, 1981, pp. 50-52). აღნიშნული ჭურჭელი, განხილულია, როგორც ნადირობის სცენებით შემკული ვერცხლის თეფშების ჯგუფის ერთ-ერთი უადრესი ნიმუში.

აღსანიშნავია, რომ სამეფო ნადირობის კომპოზიციებით შემკული თეფშები, ძირითადად, განკუთვნილი იყო დიპლომატიური მიზნებისთვის და ირანის კარიდან მის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების მმართველებთან იგზავნებოდა (Canepa, 2009, გვ. 158). აქედან გამომდინარე, მსგავსი ნიმუშები სწორედ იმპერიის პერიფერიებიდან ან მისი საზღვრების მიღმა ტერიტორიებიდან მომდინარეობს. ამ კონტექსტში, საინტერესოა, თუ საიდან აღმოჩნდა ეს ორი ნივთი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, რომელიც ახ.წ. III-IV საუკუნეებში ირანის პირდაპირ დაქვემდებარებაში არ შედიოდა. უფრო მეტიც, დიდი ალბათობით, ამ პერიოდში ეს ტერიტორიები ლაზიკის სამეფოს მორჩილებაში იყო მოქცეული, ხოლო ლაზიკა რომი-ირანის კონფლიქტის ფარგლებში VI საუკუნის შუახანებამდე არასდროს მოქცეულა ირანის კონტროლის ქვეშ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრასნაია პოლიანას ვერცხლის თეფში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სასანური ირანის პოლიტკური ინტერესების ამსახველია და ეს უშუალო დიპლომატიური ძღვენი უნდა იყოს ირანიდან (Braund, 1994, p. 243). ვფიქრობ, უფრო მართებულია ვარაუდი, რომ აღნიშნული ნივთები ირანის სამეფო კარიდან დიპლომატიური ძღვენის სახითაა მოხვედრილი ცენტრალური კავკასიაში (იბერიის, ლაზიკის ან არმენიის სამეფოებში), საიდანაც ის მოგვიანებით აღმოჩნდა აფხაზეთისა და კრასნოდარის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მეფეების მხრიდან საჩუქრების განაწილების დროს ან ნაძარცვის/ნავაჭრის სახით. ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ვერცხლის ჭურჭლის საჩუქრად გაგზავნა კოლხეთიდან ან იბერიიდან, დღევანდელი აფხაზეთისა და მაიკოპის ტერიტორიაზე, სხვა აღმოჩენებითაც დასტურდება, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

პაკორუსის თასი (ტაბ. 27)**.** წარწერით შემკული კიდევ ერთი ვერცხლის ჭურჭლის ნიმუში აღმოჩნდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ აჩმარდაში, 2005 წელს. ეს ჭურჭელი და მასზე დატანილი წარწერა მნიშვნელოვანი წყაროა ამ ტერიტორიებზე

მოსახლე ხალხისა და მათი პოლიტიკური დაქვემდებარების პრობლემის კვლევაში. სოხუმის მუზეუმში დაცული, ვერცხლის კათხისებური ჭურჭელი, რომელიც ახ.წ. III-IV საუკუნის სამარხში აღმოჩნდა, დიპლომატიური ძღვენია, რომელიც მეფე პაკორუსს თავისი ქვეშევრდომებისთვის გაუგზავნია. ამის შესახებ მასზე მოთავსებული ბერძნული წარწერა გვამცნობს - „მე, მეფე პაკორუსმა (პაკურმა), ცხვრებს [ჩემსას] მივეცი." წარწერაში მოხსენიებული მეფე პაკორუსი (პაკური/ბაკური) იდენტიფიცირებულია, როგორც წერილობით წყაროებში მოხსენიებული ლაზთა მეფე პაკორი, რომელიც რომის იმპერატორის მიერ იყო გამეფებული და ლაზიკას ახ.წ. II საუკუნეში მართავდა (დუნდუა და ჩიქობავა, 2013, გვ. 3-8; ფიფია და დუნდუა, 2023, გვ. 170-177). თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომ შესაძლოა აქ იბერიის მეფე ბაკურთაგან რომელიმე, ან სომხეთისა და პართიის მეფე პაკორთაგან რომელიმე იგულისხმებოდეს (ვინოგრადოვ, 2013, გვ. 62-65). თუ წარწერაში დანამდვილებით მოხსენიებულია ლაზთა მეფე პაკორი, გამოდის, რომ მას ძღვენი გაუგზავნია მის დაქვემდებარებაში მყოფი ხალხის, სანიგების მმართველისთვის, რომლებიც დღევანდელი აჩმარდას მიდამოებში სახლობდნენ (ფიფია და დუნდუა, 2023, გვ. 173).

ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ვერცხლის თასი მაიკოპიდან, შემკობილი მსგავსი შინაარსის ბერძნული წარწერით „მეფე პაკორისგან". თასი ახ.წ. II-III საუკუნეების ნაწარმს წარმოადგენს და აჩმარდას ვერცხლის სასმისთან ერთად იმ ჯგუფში ექცევა, რომელიც მეფე პარკორუსს/პაკორს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთისა და ყუბანისპირეთში მცხოვრები ქვეშევრდომებისათვის გაუგზავნია (ჩოლოგაური, 2016, გვ. 46-48). აქვე თავს იჩენს მეორე ნიუანსი, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ გუთების თავდასხმებსა და ძარცვას ეხმიანება კოლხეთის შავიზღვისპირეთში (პიტიუნტსა დ აფაზისში) III საუკუნეში: იქნებ ეს ნივთები ამ თავდასხმების დროსაა ნადავლის სახით მოხვედრილი უფრო ჩრდილოეთით?

ვერცხლის ჭურჭლის ეს ნიმუშები მნიშვნელოვანი წყაროა იმ მოსაზრების დასაბუთებაში, რომ ტორევტიკის ნიმუშები ხშირად მეფეთა მხრიდან მის ქვეშევრდომებთან და მისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ხალხების მმართველებთან იგზავნებოდა.

ბერსუმა პიტიახშის ლანგარი (ტაბ. 5: სურ. 5)**.** არმაზისხევის N3 სამარხში (ე.წ. ბერსუმა პიტიახშის სამარხში) აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარსა და მასზე მოთავსებულ წარწერს არაერთი კვლევა მიეძღვნა. მასიურ ლანგარზე, რომლის კიდეები და ცენტრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული, უკანა მხირდან, ძირზე, დატანილია წარწერა -„მე ფლავიუს დადეს, ვუძღვნი ამას [ლანგარს] ბერსოუმას პიტიახშს.“ აზრთა სხვადასხვაობაა როგორც უშუალოდ ნივთის თარიღზე, ისე წარწერაში მოხსენიებული ფლავიუს დადესისა და ბერსუმა პიტიახშის ვინაობაზე და მათი მოღვაწეობის პერიოდზე (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 53; აფაქიძე ა., 1963, გვ. 146-147; Braund, 1993, pp. 46-50; Dundua, 2002, pp. 57-62; Балахванцев, 2005; Coert & Schmitt, 2019).

მონეტების მიხედვით, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით მოღვაწე სამი იმპერატორის ზეობისაა (გორდიან III (238-244), ფილიპე არაბი (244-249) და დეციუსი (249-251), სამარხი ახ.წ. III საუკუნის 50-იანი წლებითაა დათარიღებული (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 50-52, 59). ამავე თარიღს ამყარებს სამარხში აღმოჩენილი სამკაულის ანალიზი და კიდევ ორი ცალი ვერცხლის ჯამი, ცენტრში ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით, რომლებსაც პარალელი ეძებნებათ ბორის, ზღუდერისა და არაგვისპირის კომპლექსებში (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 46-59; მაჩაბელი, 1983, გვ. 104; Мачабели, 1976, გვ. 80-88). სამარხში ძვლები ვერცხლის ლანგარზე ელაგა, რის საფუძველზეც დასასტურებულია მეორადი დაკრძალვის წესი (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 47-48).

მიუხედავად სამარხის დამაჯერებელი ატრიბუციისა III საუკუნის შუა ხანებისთვის, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები, საკუთრივ, წარწერიანი ვერცხლის ლანგრის კუთვნილებისა და მისი თარიღის შესახებ. მაგალითად, იულონ გაგოშიძე, ლანგარს და წარწერაში მოხსენიებული პირებს ახ.წ. I საუკუნეს აკუთვნებს. ფლავიუს დადესისა და ბერსუმა პიტიახშის იდენტიფიცირების საკითხს მან, სოსო მარგიშვილის თანაავტორობით, მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა, რომელშიც საკითხი შესწავლილია ისტორიულ ჭრილში და მსჯელობა მოიცავს არაერთ არგუმენტს დამოწმებულს წერილობითი,

არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული, პალეოგრაფიული, ნუმიზმატიკური და ტორევტიკული წყაროებით (გაგოშიძე და მარგიშვილი, 2013, გვ. 14-59).[35] ავტორთა მოსაზრებით, წარწერაში მოხსენიებული მეფე ფლავიუს დადი და ახ.წ. I საუკუნის 70-80-იან წლებში მოღვაწე იბერიის მეფე მითრიდატე II, რომელიც პიტიახშ შარაგასის წარწერაშიც იხსენიება, ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. მათ მიაჩნიათ, რომ მითრიდატე II-მ, სავარაუდოდ ვესპასიანეს მმართველობის დროს, მიიღო იმპერატორისგან ეს რომაული სახელი (Flavius) და იწოდა ფლავიუს დადედ (დად-ი მითრიდატე-ს შემოკლებული ვარიანტი) (გაგოშიძე და მარგიშვილი, 2013, გვ. 46).

ვფიქრობ, ავტორთა მოსაზრება, ფლავიუს დადესის იდენტიფიკაციის შესახებ, საკმაოდ დამაჯერებელია. I საუკუნეში, ფლავიუსების დროს იბერიაში მოღვაწე მითრიდატე, ნამდვილად ლოგიკური შესატყვისი ჩანს ამ პერიოდის ისტორიულ კონტექსტში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ I საუკუნეში რომსა და იბერიას შორის დიპლომატიური კონტაქტები წერილობით წყაროებსა და ეპიგრაფიკულ მასალაშიცაა ასახული (მაგ. ვესპასიანეს მცხეთის ბერძნული წარწერა).[36] თუმცა, აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება უშუალოდ ჭურჭლის თარიღი. ლანგარს უახლესი პარალელლები ახ.წ III საუკუნის იტალიკურ ნაწარმთან ეძებნება. მაგალითად, ლანგარი პრინცესა ჰასლებენის ახ.წ. III საუკუნის II ნახევრის სამარხიდან და ვენაში, Musée des Beaux-Arts-ში დაცული მსგავსი ლანგარი და სხვა (Zahn, 1933, Pls: 26-30; Gaffron, Hans-Hoyer, & Mielsch, 1997, pp. 79-80, fig. 9; Baratte & Painter, 1989, pp. 213-214, fig. 170; Baratte, Depassiot, Helly, Langlet, & Bot-Helly, 1990, pp. 47-50;). მხატვრულ-სტილისტური ანალიზით, ჭურჭელი უთუოდ მესამე საუკუნის ნაწარმია. ამავე პერიოდით აქვს დათარიღებული ლანგარი კიტი მაჩაბელს (Мачабели, 1976, გვ. 41).

განსხვავებული მოსაზრებით, ფლავიუს დადესი და ბერსუმა პიტიახში IV საუკუნეში მოღვაწე პირებად არიან მიჩნეულნი, რომლებმაც ძღვენი ფლავიუსების

[35] უნდა აღინიშნოს, რომ იულონ გაგოშიძისა და სოსო მარგიშვილის თანაავტორობით, ეს სტატია 1988 წელს შეიქმნა, თუმცა მისი გამოქვეყნება მხოლოდ 2013 წელს მოხერხდა. მიუხედავად ბოლო ათწლეულებში განხორციელებული კვლევებისა, ავტორთა სტატია იმ უცვლელი სახით დაიბეჭდა, როგორც ის 1988 წელს იყო.

[36] დაწვრილებითი ცნობები იბერია-რომის კონტაქტებზე განხილულია ნაშრომის შემდეგ თავში.

დინასტიის იმპერატორისგან, კონსტანტინე დიდისგან (306-337) მიიღეს გაქრისტიანების პარალელურად (Coert & Schmitt, 2019, pp. 347-390). ამავე კონტექსტშია განხილული მსგავსი წარწერიანი (თუმცა დაზიანებული) ლანგარი ზღუდერიდან. ვფიქრობ, არმაზისხევისა და ზღუდერის სამარხების თითქმის ერთი საუკუნით გადათარიღება, არამართებულია. ორივე სამარხის თარიღად III საუკუნის შუა ხანები საკმაოდ დამაჯერებლადაა შემოთავაზებული ნუმიზმატიკური მასალით, სამარხეული მასალის მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი მეთოდის საფუძველზე. გარდა ამისა, IV საუკუნის შუა ხანებში, გაქრისტიანების პარალელურად, დიდგვაროვანთა სამარხებში აღარ ფიქსირდება ის დიდძალი სიმდიდრე და ტორევტიკული მასალა, რაც არმაზისხევისა N3 და ზღუდერის N1 სამარხებშია წარმოდგენილი.

ვფიქრობ, არმაზისხევის, ისევე როგორც ზღუდერის ლანგარი, არა რომის იმპერატორთა ძღვენია იბერიელი დიდებულებისთვის, არამედ ახ.წ. III საუკუნეების შუა ხანებში მოღვაწე, სხვა წერილობითი წყაროებით უცნობი, იბერიელი მეფის საჩუქარი თავისი ქვეშევრომებისთვის. ფლავიუს დადესს და ბერსუმა პიტიახშს 250-იან წლებში მოღვაწე ისტორიულ პირებად მიიჩნევს ფრანგი მკლევარი ნიკოლას პროდომიც (Preud'homme, 2024, p. 125-131).

ზღუდერის ლანგარი (ტაბ. 17: სურ. 5)**.** ზღუდერის N1 სარკოფაგში აღმოჩენილი, ძლიერ დაზიანებული, ვერცხლის ლანგარი ემსგავსება ზემოთ აღწერილ ბერსუმა პიტიახშის ლანგარს როგორც ორნამენტით, ისე მასზე დატანილი წარწერის ფრაგმენტის შინაარსით. შემორჩენილია გეომეტრიული ორნამენტებით შემკული კიდეები და ცენტრის ფრაგმენტი. ძირზე, გარედან, დატანილია ბერძნული წარწერა, რომლის მხოლოდ ერთი სიტყვაა შემორჩენილი "E]XAPICAMH[N" – 'მე ვუბოძებ საჩუქრად'. სტილისტური მახასიათებლებით, ზღუდერის ლანგარიც, მსგავსად არმაზისხევის ცალისა, ახ.წ. III საუკუნის ნაწარმია. სხვა სამარხეული ინვენტარითა და ნუმიზმატიკური მასალით (კომოდუსის (180-192), კარაკალას (211-217) და ალექსანდრე სევერუსის 228 წელს მოჭრილი აურეუსებით), სარკოფაგი N1 III საუკუნის შუა ხანებითაა დათარიღებული (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 14; ნემსაძე, 1969, გვ. 47).

სამწუხაროდ, ნივთის ძლიერი დაზიანების გამო ვერ ვიგებთ, თუ ვინ და ვის მიუძღვნა ეს ნივთი. თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზღუდერის ეს ლანგარიც ბერსუმა პიტიახშის ლანგრის მსგავსად, მეფისაგან პიტიახშისადმი მირთმეული ძღვენია (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, & ნემსაძე, 2009, გვ. 34). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიგვაჩნია, რომ ზღუდერის აღნიშნული ლანგარი, ბერსუმა პიტიახშის ლანგრის მსგავსად, III საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე იბერიელი მეფის მიერ მისი რეგიონული ქვეშევდომისთვის გაგზავნილი ძღვენია.

გარდა ზემოთ აღნიშნული ლანგარისა, ზღუდერში საკუთარი სახელის შემცველი ბერძნული და არმაზული წარწერები დატანილია ვერცხლის ორყურა თასზე (‘ეუფრატეს’), პინაკზე (‘ტრპტს’ - ატროპატეს), კიდევ ერთ პინაკზე (‘ჩემი ლანგარი’), კოვზზე (ბერძნულად და არმაზულად სამი ასო - ‘ΧΗΔ- ხ3დ’ - სავარაუდოდ საკუთარი სახელის შემოკლებული ვერსია) (ყაუხჩიშვილი თ., 2000, გვ. 268; ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023, გვ. 315-317). საკუთარი სახელებია ამოტვიფრული გლიპტიკურ ძეგლებზეც.

როგორც ზღუდერის მაგალითზე ვხედავთ, ტორევტიკის ნიმუშებზე მფლობელის სახელის ამოტვიფრა გავრცელებული პრაქტიკა ყოფილა გვიანანტიკური ხანის იბერიის საზოგადოებაში. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ზღუდერის სარკოფაგების ტორევტიკული, გლიპტიკური და ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება ზღუდერში საპიტიახშო ცენტრის არსებობის თაობაზე (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009, გვ. 18). მიუხედავად იმისა, რომ ზღუდერის დიდგვაროვანთა ზუსტი წოდების განსაზღვრა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას - ზღუდერის სარკოფაგები, უთუოდ ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულის მმართველებს უნდა ეკუთვნოდეთ, რისი ერთ-ერთი მყარი დასაბუთებაც, სწორედ ბერსუმა პიტიახშის ლანგრის ანალოგიური წარწერიანი ჭურჭელია N1 სარკოფაგიდან.

ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარი (ტაბ. 20: სურ. 2)**.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვიანანტიკური ხანის იბერიაში, პიტიახშის ინსტიტუტის არსებობა პირველად ბორში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლის საფუძველზე დადგინდა. ქუსლიანი ლანგარი ცენტრალურ მედალიონში ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით,

უმნიშვნელოვანესი ტორევტიკული ნიმუშია. თასს ძირზე აქვს წარწერა, რომელიც ნაწილობრივ ამოკაწვრით, ნაწილობრივ კი პუნსონის ტექნიკითაა შესრულებული. ორივე წარწერა არმაზული დამწერლობითაა შესრულებული და წაკითხულია სხვადასხვა მკლევართა მიერ (ა. ბორისოვის, შ. ამირანაშვილის, გ. წერეთლის, N. Preud'homme-ის მიერ). ძირითადი წარწერა ასე იკითხება - „ბუზმიჰრ, კეთილი პიტიახში." აზრთა სხვადასხვაობაა წარწერის დათარიღების საკითხში. შ. ამირანაშვილი თასსა და წარწერას ახ.წ I საუკუნით ათარიღებდა; ა. ბორისოვი თასს IV საუკუნეს განაკუთვნებდა, ხოლო გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ბორის წარწერა არმაზის ბილინგვაზე, ანუ ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარზე, უფრო გვიანდელია და III საუკუნეს ემხრობოდა; ამავე პერიოდით ათარიღებს წარწერას და ლანგარს ნიკოლას პროდომიც (ამირანაშვილი, 1944, გვ. 118; Борисов, 1947, p. 10; Церетели Г. , 1948, p. 93; Preud'homme, 2022, pp. 25-27).

ვერცხლის ლანგრის მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და შედარებითი მეთოდის საფუძველზე, დღესდღეობით ეჭვს არ იწვევს, რომ ის ახ.წ III საუკუნის შუა ხანების იბერიული ნაწარმია. შესაბამისად, მის წარწერაში მოხსენიებული ბუზმიჰრ პიტიახშიც ამ პერიოდის ისტორიულ ფიგურად უნდა ჩაითვალოს. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია იმასთან დაკავშირებით, უშუალოდ ბორში მოღვაწეობდა ბუზმიჰრი და მის სამარხში აღმოჩნდა ეს, საკუთარი სახელით შემკული, ლანგარი, თუ მცხეთაში მოღვაწე ბუზმიჰრ პიტიახშის მიერ ბორში მცხოვრები დიდებულისთვის გაგზავნილი საჩუქარია. ბუნდოვანია, თუ ვინ და როდის დაიტანა საკუთარი სახელის წარწერა ჭურჭელზე. ზ. ბრაგვაძეს მიაჩნდა, რომ ბუზმიჰრი არგვეთელი პიტიახში იყო, ვინაიდან ამ სახელის ისტორიული ფიგურა მცხეთის პიტიახშთა სახლში ცნობილი არ არის, თუმცა, დასძენდა, რომ ლანგარი უშუალოდ მის სამარხში არ უნდა ყოფილიყო ჩატანებული (ბრაგვაძე, 2021, გვ. 104-105).

ბუზმიჰრის, როგორც არგვეთელი პიტიახშის იდენტიფიკაციას ვიზიარებთ და ამ მოსაზრების გამყარებას ორი ძირითადი არგუმენტით შევეცდებით: 1. იბერიისა და კოლხეთის ტორევტიკულ კოლექციაში დადასტურებულია საჩუქრად გაგზავნილი ჭურჭლის შესაბამისი წარწერით - „ვუძღვნი", „ვუგზავნი" - შემკობის პრაქტიკა. ამის

მაგალითებია, ბერსუმა პიტიახშის ლანგარი, ზღუდერის ლანგარი და პაკორუს მეფის თასები/სასმისები. ასევე გავრცელებული პრაქტიკა უნდა ყოფილიყო ჭურჭლის შემკობა მფლობელთა სახელებით, რისი მაგალითებიც წარმოდგენილია ზემოთაღწერილ ზღუდერის კოლექციაში, ასევე ბაგინეთის, არმაზისხევისა და ჟინვალის კოლექციებშიც. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ წარწერა - „ბუზმიჰრ კეთილი პიტიახში“ - არგვეთელი პიტიახშის საკუთრების აღმნიშვნელი იყოს. 2. იბერია-კოლხეთში განაწილებული, დიპლომატიური ძღვენის კატეგორიაში, ძირითადად, წარმოდგენილია რომიდან და ირანიდან იმპორტირებული, მაღალი ხარისხის ნაწარმი. მაგალითად: სარგვეშის თასი, ტირიდატის ლანგარი, მარკუს ავრელიუსის პინაკი კლდეეთიდან, ზღუდერის ლანგარი, შუბარას თეფში. ბორის ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარი, ცალსახად, იბერიული ნაწარმია, რომელსაც პარალელები ზღუდერის, არაგვისპირისა და არმაზისხევის წარჩინებულთა სამარხებში ეძებნებათ.

სამწუხაროდ, დაზიანებული არქეოლოგიური კონტექსტის გამო რთულია ამ საკითხზე კონკრეტული დასკვნების შემოთავაზება. ამასთანავე, ქართლში პიტიახშის ინსტიტუტის არსებობაზე მსჯელობა ჩვენი საკვლევი თემატიკიდან შორს წაგვიყვანს.

ტირიდატის ლანგარი (ტაბ. 8: სურ. 1-ა)**.** სამთავროს 905-ე აკლდამაში აღმოჩენილი ვერცხლის მრგვალი, მასიური, ლანგრის სოციალური ატრიბუციის დადგენაა შესაძლებელი მასზე დატანილი წარწერის მიხედვით. ლანგრის კიდეები მორთულია მოოქრვილი რელიეფური მცენარეული მოტივით, რომელიც შიდა მხარეს რელიეფური წერტილებით შექმნილი სარტყელით ბოლოვდება. ორნამენტი არ არის დამახასიათებელი რომაული ტორევტიკისათვის და გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ის უფრო აღმოსავლური ნაწარმია. ლანგრის ძირზე, ქუსლის გასწვრივ, წერტილოვანი პართული წარწერაა ამოკვეთილი, რომელსაც სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად კითხულობს: 1. „ტირიდატი კავატას ძე პიტიახში“ (მ. წოწელია); 2. „ტირიდატ პრინცის საკუთრება“ (ვ. ლივშიცი); 3. ტირიდატი უფლისწული (ან სეფეწული) თვით მისი საკუთარია“ (კ. წერეთელი) (აფაქიძე & ნიკოლაიშვილი, 1996, გვ. 13). მოგვიანებით კ. წერეთელმა წარწერის წაკითხვის

საბოლოო ვარიანტი ასე შემოგვთავაზა - „პრინცი ტირიდატი, (ეს ლანგარი) მისი საკუთარია," ან „არის ტირიდატის საკუთარი (ლანგარი)" (Церетели К. , 1990, გვ. 437). წაკითხვის სხვანაირი ვერსია აქვს ფრანგ მკვლევარს ნიკოლას პროდომს, რომელიც მას ასე კითხულობს - "Tiridatēs, son (of) the house, his soul (or: his life, his person)" (Preud'homme, 2022, pp. 22-23).

წერეთელმა ლანგარზე მოთავსებული წარწერა დაუკავშირა პართიის პრინც ტირიდატს, ფრაატ VI-ს შთამომავალს, რომელიც იმპერატორ ტიბერიუსის დახმარებით ახ.წ. 36 წელს აჯანყების მეშვეობით სამეფო ტახტზე ავიდა. ამ ისტორიულ მოვლენებში ქართლის მეფე მითრიდატე I ტირიდატის მოკავშირედ გვევლინება, რის გამოც გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ამ მოკავშირეობის აღმნიშვნელი, ახ.წ. I ს-ის ძღვენი უნდა იყოს ეს ვერცხლის ლანგარი პართიის პრინცისაგან იბერიის მეფისადმი (წერეთელი კ. , 1987, გვ. 155-178). ლანგარი სამეფო საჩუქრად აქვს მიჩნეული არქეოლოგ ქ. დიღმელაშვილსაც, მისი მოსაზრებით უშუალოდ 905-ე აკლდამაც სამეფო ოჯახის წევრთა განსასვენებელი უნდა იყოს (დიღმელაშვილი, 2022, გვ. 217-219).

მარკუს ავრელიუსის პინაკი (ტაბ. 7: სურ. 1-ა)**.** ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილი, მარკუს ავრელიუსის პორტრეტით შემკული, პინაკი რომაული ტორევტიკის იმ უიშვიათეს ეგზემპლარებს მიეკუთვნება, რომლებზეც იმპერატორთა პორტრეტებია დატანილი. ვერცხლის ჭურჭლის ამ ჯგუფს *Imperial Largitio*-ს ტერმინით მოვიხსენიებთ და მისი უადრესი ცნობილი ეგზემპლარები ახ.წ. IV საუკუნეს განეკუთვნება. ბაგინეთის ვერცხლის პინაკი, შესაძლოა იყოს უადრესი გამოსახულება რომის იმპერატორისა ვერცხლის ჭურჭელზე.

ცენტრალურ მედალიონში მოთავსებული მოოქროვილი იმპერატორის ბიუსტი და საკუთრივ ვერცხლის პინაკი ვერცხლმჭედელობის მაღალმხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც, სავარაუდოდ, იმპერატორის დაქვემდებარებაში მყოფი, იტალიკურ ვერცხლის სახელოსნოშია დამზადებული. მსგავსი ნიმუშები იმპერატორთა მხრიდან დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნებისა და პროვინციების მმართველებთან გასაგზავნად იყო განკუთვნილი. როგორც ჩანს, სწორედ ამ

გზებითაა მოხვედრილი იბერიის სამეფოს დედაქალაქში რომაული ტორევტიკის ეს ნიმუში.

კლდეკარის სარკოფაგი, უთუოდ სამეფო ოჯახის წევრის განსასვენებლადაა მიჩნეული. ამის კიდევ ერთი დასტურია ამავე სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის კოვზი, რომელზეც ამოტვიფრული უნდა იყოს სიტყვა „მეფისა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის ტორევტიკული მასალის უმრავლესობა მაღალი ხარისხის რომაულ იმპორტს წარმოადგენს. ამას გარდა, ყველაზე მდიდრულად შემკული სარეცლის ფეხის გარსაკრავებიც აქაა დადასტურებული (არწივის გამოსახულებით). ვფიქრობთ, სარკოფაგის სოციალური ატრიბუცია ეჭვს არ იწვევს - ისინი სამეფო ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა.

მარკუს ავრელიუსის(?) პინაკი კლდეეთიდან. 1940-იან წლებში შესწვალილი კლდეეთის სამაროვნის მასალაში წარმოდგენილია ვერცხლის ძალზედ დაზიანებული პინაკის ფრაგმენტები. ფრაგმენტები მომდინარეობს ექსპედიციამდე დაზიანებული სამარხების მასალის კოლექციიდან. შემორჩენილია მხოლოდ პინაკის წრიული, დაბალი ქუსლი და ორნამენტირებული ცენტრალური მედალიონის რამდენიმე ნატეხი. გ. ლომთათიძის ნაშრომში, ‘კლდეეთის სამაროვანი’ მოცემულია შემორჩენილი ფრაგმენტების აღწერილობა და გრაფიკული ჩანახატი. ცენტრალურ მედალიონში წვეროსანი მამაკაცის პორტრეტი უნდა ყოფილიყო გამოსახული, რომლის სახის, მხოლოდ, ცალკეული ნაწილიღაა შემორჩენილი.

აღნიშნულმა ჩანახატმა, ისევე როგორც ჭურჭლის ფრაგმენტების აღწერილობამ, პორტრეტის იდენტიფიკაციის მცდელობისკენ მიბიძგა. კლდეეთის პინაკზე მოცემული პორტრეტის იდენტიფიკაციის მცდელობას ამ დრომდე ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ეს ნაშრომი ამ მოსაზრების გაჟღერების პირველი შემთხვევაა.[37]

სადოქტორო კვლევის ფარგლებში საშუალება მომეცა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ძვირფასი ლითონების ფონდში მომენახულებინა აღნიშნული მასალა.[38]

---

[37] კლდეეთის პინაკის კვლევის შესახებ მოხსენება წავიკითხე ვარძიის ახალგაზრდა არქეოლოგთა XVI საერთაშორისო კონფერენციაზე. კვლევა სტატიის სახით დამუშავების პროცესშია და სავარაუდოდ, უახლოეს თვეებში გამოქვეყნდება. ამავე სტატიაში იქნება წარმოდგენილი ფოტომასალა და გრაფიკული ჩანახატები.

[38] დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციასა და ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორს, ბატონ მინდია ჯალაბაძეს, აღნიშნულ მასალაზე წვდომის

მიუხედავად იმისა, რომ პორტრეტული გამოსახულების ძალზე ფრაგმენტული ნაწილია შემორჩენილი, სახის ზედა ნაწილის, შუბლის, ცხვირის, თვალ-წარბისა და თმა-წვერის ფრაგმენტების შედარებითი ანალიზი მაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ისტორიული პირის პორტრეტთან. ჩემი დაკვირვებით, კლდეეთის პინაკის პორტრეტი უახლოეს მსგავსებას პოულობს ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში აღმოჩენილ მარკუს ავრელიუსის პორტრეტთან. მსგავსება შეინიშნება, როგორც ხუჭუჭა თმა-წვერში, ისე თვალ-წარბისა და ცხვირის მოყვანილობაში. პორტრეტი ასევე ემსგავსება მარკუს ავრელიუსის სახეს, გამოსახულს მის მონეტებზე მსგავსია ცენტრალური მედალიონის მოჩარჩოებაც, რომელიც წვრილი, მძივისებური მოტივითაა წარმოდგენილი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კლდეეთის მედალიონი მოოქროვილი არ ყოფილა.

კლდეეთის პინაკის პორტრეტის იდენტიფიკაციას, როგორც მარკუს ავრელიუსი, ან ანტონინების დინასტიის რომელიმე წარმომადგენელი (ლუციურს ვერუსი? ანტონინუს პიუსი?) ამყარებს სამაროვნის ზოგადი თარიღით - II საუკუნე და დაზიანებული სამარხების კოლექციაში შემავალი მარკუს ავრელიუსისა და ანტონინე პიუსის კესარიული დიდრაქმებიც (ლომთათიძე, 1957, გვ. 169-170).

თუ საქმე მართლაც მარკუს ავრელიუსის პორტრეტთან გვაქვს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნივთიც, ისევე როგორც ბაგინეთის სარკოფაგის პინაკი, ქართლის სამეფოში ერთსა და იმავე დროს არის მოხვედრილი იმ დიპლომატიური ურთიერთობების კონტექსტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომსა და იებრიას შორის ახ.წ. II საუკუნეში. ამავე ჭირლში უნდა განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი სამი ვერცხლის პინაკი არმაზისხევის N1 და N6 სამარხებიდან.

ადრიანესა(?), ანტონოესა და ტიხე-ფორტუნას პორტრეტიანი პინაკები (ტაბ. 5: სურ.1; ტაბ. 6: სურ. 3-4). არმაზისხევის N1 სამარხში (ასპარუგ პიტიახშის სამარხში) აღმოჩენილია რომის იმპერატორის ადრიანეს ინტიმური მეგობრის, ანტინოეს, პორტრეტით შემკული ვერცხლის პინაკი, ხოლო N6 სამარხში (ასევე შესაძლოა პიტიახშის ან მისი ოჯახის წევრის განსასვენებელი) - კიდევ ორი, წვერიანი მამაკაცის

ნებართვისთვის. ასევე მადლობას ვუხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ეროვნულ მუზეუმთან გაწეული რეკომენდაციისა და შუამდგომლობისთვის.

ბიუსტითა და ტიხე-ფორტუნას რელიეფური გამოსახულებით შემკული პინაკები (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 33-34; 74-75. ტაბ. XLI, LXVIII-LXX). სამივე ნივთი მაღალმხატვრული ღირებულების, ახ.წ. II საუკუნის ნაწარმია, რომლებიც რომის იმპერიის ტერიტორიიდან მომდინარეობს.

N1 სამარხში აღმოჩენილ პინაკზე დატანილი პორტრეტის იდენტიფიცირება როგორც ანტინოე, ეჭვს არ იწვევს და მკვლევართა შორის ფართოდაა გაზიარებული. N6 სამარხიდან მომდინარე პინაკზე წარმოდგენილი წვეროსანი მამაკაცის ბიუსტი, შესრულებული მაღალ რელიეფში, თავიდანვე განხილული იყო, როგორც განზოგადებული პორტრეტი, ხოლო ნივთი, როგორც იტალიკური იმპორტი (აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე, 1955, გვ. 74-78). კ. მაჩაბელის უახლეს ნაშრომში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნივთი ადგილობრივი ნაწარმია, ხოლო პორტრეტი ადგილობრივი დიდებულების გამოსახვის ისეთივე სტილითაა შესრულებული, როგორც იბერიელი მმართველების გლიპტიკური პორტრეტები (Machabeli, atinati, 2023).[39]

პორტრეტული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია საქმე გვქონდეს იმპერატორ ადრიანეს პორტრეტთან. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი საჭიროებს უფრო ვრცელ მოკვლევას, ამ ვარაუდის გასამყარებლად რამდენიმე არგუმენტს მოვიყვან: 1. იმპერატორ ადრიანეს სხვადასხვა გამოსახულებებთან (მონეტები, ქანდაკებები) ვიზუალური მსგავსება. ადრიანეს ხშირად გამოისახებოდა წელ ზემოთ შიშველი, მხარზე მოგდებული წამოსასხამით, როგორც ეს ვერცხლის პინაკის პიუსტის შემთხვევაშია; 2. სამარხი N6 შეიცავდა რამდენიმე აურეუსს, მათ შორის ერთი - ადრიანესია; 3. N6 სამარხის თანადროულია N1 სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ადრიანეს ინტიმური მეგობრის, ანიტნოეს პორტრეტიანი ვერცხლის პინაკი; 4. ადრიანეს ისტორიკოსი გვაწვდის წერილობით ცნობებს, უშუალოდ ადრიანესა და ფარსმანს შორის დიპლომატიური ძღვენის მიმოცვლაზე (SHA, Hadrian, 17, 11). გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ, ადრიანესადმი მიძღვნილ გამოფენაზე, ინგლისში, ვინდოლანდას მუზეუმში წარმოდგენილი იყო თითქმის ანალოგიური ვერცხლის ჯამი, რომელზე

[39] https://atinati.com/news/6502ff8250a72600382d3189

წარმოდგენილი ხუჭუჭა მამაკაცის ტანშიშველი ბიუსტიც ადრიანედ იყო ინტერპრეტირებული.

ვფიქრობ, ახ.წ. II საუკუნის რომაული ტორევტიკის ეს შესანიშნავი ნიმუშები ჩვენთან, უთუოდ დიპლომატიური გზებით უნდა იყოს მოხვედრილი. ისინი ქართლის სამეფოს მმართველთათვის რომიდან გამოგზავნილი ძღვენია და შესაძლოა იმ წერილობითი წყაროს არქეოლოგიურ სამხილს წარმოადგენდეს, რომლის მიხედვითაც იმპერატორმა ადრიანემ ქართლის მეფე ფარსმანს დიდძალი საჩუქრები უძღვნა (Aelius Spartianus, Historia Augusta, I, 17).

მაგრანეთის ჯამი მონოგრამით (ტაბ. 14. სურ. 3)**.** აღსანიშნავია ვერცხლის ჭურჭლის კიდევ ერთი ნიმუში, რომელზე გამოსახული მონოგრამაც, შესაძლოა მისი სოციალური ატრიბუციის საკითხის კვლევაში დაგვეხმაროს. ეს არის სოფ. მაგრანეთის, ქუშაანაანთ გორის სამაროვნის, N1 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ჯამი (ზომიდან გამომდინარე შესაძლოა ლანგარიც ვუწოდოთ), ცენტრალურ მედალიონში დატანილი მონოგრამით (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 34; Chologauri, 2024, pp. 44-46). სავარაუდოა, რომ მონოგრამა, რომელიც დღემდე არ არის ზუსტად გაშიფრული, ირანულენოვან კულტურას უკავშირდება. თავად ჭურჭელი, რომლის ფორმა, ცალსახად, გვიანანტიკური ხანის ტორევტიკის ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი, შემკულია აქემენიდური ხელოვნების თვითმყოფადი ელემენტებით - ნუშისებური ბურცობებით. ნუშისებური ბურცობებით შემკული ვერცხლის ფიალები ადრეანტიკური და ელინისტური ხანის იბერიის ტერიტორიიდან მრავლადაა ცნობილი და ისინი ადგილობრივადაც მზადდებოდა (Gagoshidze, 1996, pp. 125-128). ჩანს, აქემენიდური ტრადიციები ადგილობრივმა ვერცხლის ოსტატებმა შეითვისეს და ორნამენტის ეს მოტივები იბერიულ ვერცხლმჭედელობაში საუკუნეების შემდეგაც განაგრძობდა არსებობას (ამის დასტურია ხოვლეს ანალოგიური ჯამი, ცხინვალის სურა, სამთავროს 905-ე აკლდამის ორი ჯამი).

ჯამის წარმომავლობასა და მის მონოგრამაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასვხაობაა. კიტი მაჩაბელი მას სასანურ ნაწარმად მიიჩნევს (Мачабели, 1976, გვ. 123-127). რ. რამიშვილს მონოგრამა ადგილობრივი, იბერიელი

დიდგვარივნების საგვარეულო ინსიგნიად აქვს განხილული და მიაჩნია, რომ ნივთზე სასანური სიმბოლო სწორედ მისი მფლობელების დაკვეთითაა გამოსახული (რამიშვილი რ. , 1979, გვ. 33). ჯამზე გამოსახული სიმბოლოს/მონოგრამის მსგავსი, თუმცა, არა ანალოგიური, სიმბოლოები წარმოდგენილია გვიანდელი პერიოდის სასანური ირანის გლიპტიკისა და ნუმიზმატიკის არაერთ ნიმუშზე (რამიშვილი ქ. , 1979, გვ. ტაბ. VIII). სასანურ კულტურის სხვადასხვა ნიმუშზე მსგავსი სიმბოლოები ხშირადაა წარმოდგენილი თავსაბურავებზე (ე.წ. კულაფზე) და გლიპტიკურ ძეგლებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მსგავსი სიმბოლოები პერსონათა იდენტიფიკაციის ან მათი თანამდებობის განმსაზღველია (Gyselen, 2016, p. 62; Lerner, 2006, p. 113; Gyselen, 2017, pp. 88-90).

მაგრანეთის მონოგრამას უახლოესი პარალელები ეძებნება ჩრდილოკავკასიაში, ალანო-სარმატულ კულტურაში გავრცელებულ ტამღებს შორის, რომლებიც საგვარეულო საკუთრების აღსანიშნად და სხვადასხვა დატვირთვით გამოიყენებოდა (Яценко, 2001, 3-10; Fig. 5-6). ვერცხლის ჭურჭლისა და ზოგჯერ საკუთრივ ჯამების ცენტრალური მედალიონის შემკობა მსგავსი ტამღებით, ალანო-სარმატულ კულტურაში გავრცელებული პრაქტიკა ყოფილა და მეტწილად I-III საუკუნეების წარინებულთა სამარხებშია დადასტურებული (Yatsenko, 2010, გვ. 135; 143; Воронятов, 2009, გვ. 93-92; Chologauri, 2024, pp. 51-56). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტამღებით შემკული ვერცხლის ჭურჭელი დაკრძალვის დროს, მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ რიტუალში გამოიყენებოდა და შემდეგ სამარხში თავსდებოდა (Воронятов, 2009, გვ. 83-92). არსებობს აზრი, რომ ტამღის დატანა ვერცხლის ჭურჭელზე უნდა უკავშირდებოდეს ჩრდილო კავკასიაში, ოსურ კულტურაში გავრცელებულ რწმენას ვერცხლის, როგორც წმინდა ლითონის შესახებ, რომელსაც შეეძლო ფიცის გამტეხთა საბედისწეროდ დასჯა (Яценко, 2001, გვ. 18). ტამღების გავრცელება ფართო გეოგრაფიულ არეალზე სხვადასხვა მიზეზებითაა ახსნილი, მათ შორის ლინგვისტური და ეთნიკური მომენტით. ასევე საყურადღებოა მოსაზრება, რომ ხშირად, ტამღების გავრცელება დინასტიურ ქორწინებითა და მეზობელ ხალხებთან სამოკავშირეო ურთიერთობებით იყო განპირობებული (Яценко, 2001, გვ. 21)

დანამადვილებით იმის თქმა, III საუკუნის მეორე ნახევარში, იბერიაში არსებულ მზარდ სასანურ გავლენას უნდა დავუკავშიროთ მაგრანეთის მონოგრამა, თუ ალანო-სარმატულ კულტურას, რთულია. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მაგრანეთის ტერიტორიაზე მოსახლე წარჩინებული პირისთვის ეს ტამღა/მონოგრამა ან საკუთრების აღმნიშვნელი იყო, ან მისი იდენტიფიკაციისა (თანამდებობის?). თუ ამ სიმბოლოს ალანო-სარმატულ ტამღად გავიაზრებთ, ჩანს, რომ მაგრანეთში მოსახლე იბერიელ წარჩინებულს გარკვეული ნათესაური ან სამოკავშირეო ურთიერთობები ჰქონდა ალამო-სარმატულ სამყაროსთან. საპირისპიროდ - თუ ამ სიმბოლოს სასანურ კონტექსტში გავიაზრებთ, შესაძლოა ადგილი გვქონდეს იბერიელი დიდებულის მიერ სასანური სიმბოლიკის გამოყენების ერთ-ერთ უადრეს შემთხვევასთან.

ტორევტიკული მასალის ცალკეული ნიმუშებისა და მათი არქეოლოგიური კომპელქსების კვლევა გვაფიქრებინებს, რომ გვიანანტიკური ხანის იბერიასა და კოლხეთში ვერცხლის ჭურჭელს, ძირითადად, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირები და წარჩინებული ფენის წარმომადგენლები ფლობდნენ.

ახ.წ. I-III საუკუნეებში, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაში, იბერიისა და კოლხეთის მმართველები, ისევე როგორც რეგიონული დიდგვაროვნები, ფეხს უწყობდნენ გარემომცველ იმპერიებში დამკვიდრებულ მოდურ ტენდენციებს. გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე ქვეყანაში მრავლად შემოედინებოდა ფუფუნების ნივთები. პარალელურად, პროდუქციაზე არსებული მაღალი მოთხოვნის შესაბამისად, ვხედავთ ვერცხლის ადგილობრივი წარმოების გაძლიერებას და ადგილობრივი მასალის მოზღვავებასაც.

მსგავსად რომაელთა, ადგილობრივი დიდგვაროვნებისთვისაც, ვერცხლის ჭურჭელი სოციალური სტატუსის, სიმდიდრისა და პრივილეგიების ინდიკატორი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, რომაულ კულტურაში გავრცელებული ტრადიციის მსგავსად, იბერიასა და კოლხეთშიც, ტორევტიკული მასალის დეკორატიული

ცალები არა მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულებით უნდა გამოეყენებინათ, არამედ მათ საგამოფენო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ.

ჩვენამდე მოღწეული ვერცხლის ჭურჭლის რაოდენობა და მათი გავრცელების ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის ზედა ფენის მოსახლეობა ამ ნაწარმის აქტიური მომხმარებელი იყო. პირველ რიგში, აღსანიშნავია ვერცხლის ჭურჭლის როლი ქვეყნის შიდა დიპლომატიურ ურთიერთობებში. სამეფო კარის მიღმა, სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი ის ტორევტიკული მასალა, რომელიც უთუოდ რომიდან და ირანის სამეფო კარიდან მომდინარეობს, თავდაპირველად მცხეთაში, იბერიის მეფეებისთვის უნდა ყოფილიყო გაგზავნილი, მოგვიანებით კი მათი მხრიდან რეგიონული მმართველებისთვის განაწილებული. როგორც ამ ქვეთავში განხილული ტორევტიკული მასალის საფუძველზე დავინახეთ, ვერცხლის ჭურჭელი იგზავნებოდა როგორც რომის იმპერატორთა და ირანის შაჰების მხრიდან, ისე იბერიისა და ლაზიკის სამეფო კარიდან მათ დაქვემდებარებაში მყოფი ხალხების მმართველებთან. აღნიშნული შემთხვევები ზოგჯერ დამოწმებულია ტორევტიკული ნიმუშებით, რომლებიც წარწერებითაა შემკული (მაგ. არმაზისხევისა და ზღუდერის ლანგრები, პაკორუს მეფის თასები), ზოგჯერ კი სამეფო პორტრეტებით.[40]

გარდა დიპლომატიური დანიშნულებისა, ვერცხლის ჭურელს იბერიელი და კოლხი დიდგვაროვნების ყოფა-ცოხვრებაში პრაქტიკული დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. ძვირფასი ლითონის ნაწარმის ღირებულებიდან და გვიანანტიკურ ხანაში დამკვიდრებულ პრაქტიკიდან გამომდინარე, მესაკუთრეები მათზე ხშირად, საკუთების წარწერებს დაიტანდნენ (მაგ. ბაგინეთის, ბორის, ზღუდერის, ჟინვალისა და არმაზისხევის ცალკეული ნიმუშები). წარჩინებული წრის წარმომადგენლებ, სავარაუდოდ, ვერცხლით გაწყობილ სუფრაზე ნადიმობდნენ, როგორც ეს რომისა და ირანის დიდებულთა კარზე ხდებოდა; ძვირფას ჭურჭელს მოიხმარდნენ რელიგიურ რიტუალებშიც, ხოლო საჭიროების დროს სამარხებში ატანდნენ თანმდევი დაკრძალვის რიტუალის ფრაგლებში. ცხადია მიმოქცევასა და ყოფა-ცხოვრებაში

[40] წარწერები სრულდებოდა ბერძნულ, არამეულ, შუასპარსულ და არმაზულ ენებზე, რომლებიც გვიანანტიკური ხანის იბერიასა და კოლხეთში ძირითად ენებად გამოიყენებოდა.

არსებული მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი აღმოჩნდებოდა სამარხებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ I- III საუკუნეების ტორევტიკული მასალის დიდი ნაწილი იბერიასა და კოლხეთში, IV საუკუნისა დ აშემდგომი პერიოდის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს შეეწირა.

თავი V

იბერია - კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობები და ვერცხლის ჭურჭელი (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს)

კავკასიის გეოფიზიკური მდებარეობა ერთ-ერთ მთავარ ფაქტორი იყო, და დღემდე რჩება, რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ფორმირებაში. ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო, უძველესი დროიდან განიცდიდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გავლენას, რაც ნათლად აისახა მატერიალურ კულტურაში. ანტიკური ხანის კოლხეთიდან და იბერიიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა წარმოაჩენს რეგიონში ბერძნული, ელინისტური, აქემენიდური, პართული, სასანური და ჩრდილო-კავკასიური კულტურების გავლენასა და ადგილობრივ კულტურებთან მათ სინთეზს.

გვიანანტიკური ხანა, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინია და ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან ახ.წ. IV საუკუნეების მეორე ნახევრამდე პერიოდს მოიცავს, მჭიდროდაა გადაჯაჭვული კავკასიაში რომის იმპერიის გამოჩენასთან და რეგიონში მიმდინარე რთულ გეოპოლიტიკურ პროცესებთან. ეს პერიოდი 'რომაული ხანის' სახელითაც მოიხსენება, რაც სწორედ იმ პოლიტიკური და კულტურული პროცესების გამოძახილია, რაც რომის აღმოსავლურმა ექსპანსიამ და რეგიონში რომაული კულტურის ინფილტრაციამ გამოიწვია.

ქართულ არქეოლოგიაში გვიანანტიკური ხანა პირობითად ორ პერიოდად იყოფა: ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეები - გვიანელინისტური ხანიდან რომაულ ხანაზე გარდამავალი ტრანზიტული პერიოდი და ახ.წ. II-IV საუკუნეები, როდესაც იბერიისა და კოლხეთის მატერიალურ კულტურაში მკვეთრადაა გამოხატული რომაული კულტურის გავლენა.

გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის ტრანზიტული ეტაპის (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.) ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, როგორებიცაა, აღაიანი, ნასტაგისი, დედოფლის გორა და დედოფლის მინდორი, ტახტიძირის სამაროვნები, სარკინე და

სხვა მრავალი - ასახავს იმ ცვლილელებს, რაც ქართლის მატერიალურ კულტურაში რომაული კულტურის ინფილტრაციამ გამოიწვია. კერძოდ, ფულად მიმოქცევაში პართული დრაქმებისა და ელინისტური ოქროს სტატერების მინაბაძების პარალელურად, ჩნდება რომაული ფული; რელიგიურ პანთეონში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ რომაული ღვთაებები; ფუფუნების ნივთებში თავს იჩენს ადრეიმპერიული ხანის რომაული ნაწარმი, მათ შორის ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც თავდაპირველად ადგილობრივ ნაწარმთან და პართულ იმპორტთან თანაარსებობდა, მოგვიანებით კი დომინირება მოიპოვა. ამავე პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები კოლხეთში, რომლებიც აქ არსებულ სოციო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე შეგვიქმნიან წარმოდგენას, შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, რაც კოლხეთში მიმდინარე რთული ეთნიკური და პოლიტიკური პროცესების გამოძახილია.

ახ.წ. II-IV საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე რომაული კულტურის გავლენა და იბერიის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანა უფრო ნათლადაა წარმოჩენილი. ამ ეპოქის ეტალონური ძეგლები, როგორებიცაა არმაზციხე-ბაგინეთი, არმაზისხევის, არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, მაგრანეთის, ზღუდერისა და კლდეეთის სამაროვნები და სხვა მრავალი, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აღმოსავლეთ საქართველოს ჩართულობაზე საერთაშორისო პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში როგორც რომთან, ისე არშაკიდებისა და მოგვიანებით, სასანურ იმპერიებთან. სინქრონული პერიოდის (II-IV სს.) არქეოლოგიური ძეგლები კოლხეთის შავიზღვისპირეთიდან, მაგალითად გონიო-აფსაროსი, ციხისძირი, ურეკი, პიტიუნტი და სხვა, ასევე თვალნათლივ მოწმობენ, რეგიონში რომაული კულტურის გავლენის მზარდ ტენდენციაზე.

იმისათვის, რომ იბერია-კოლხეთში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭელი რეგიონში მიმდინარე პროცესების მატერიალურ გამოხატულებად შევაფასოთ, აუცილებელია მოკლედ განვიხილოთ ამ პერიოდის პოლიტიკური მოვლენები რეგიონში და იბერია-კოლხეთის როლი ამ კონტექსტში.

5.1 პოლიტიკური ვითარება იბერიასა და კოლხეთში ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს-ში. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში კავკასიას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მითუმეტეს პონტოსთან, პართიისთან და მოგვიანებით, სასანურ ირანთან დაპირისპირების ფონზე. რეგიონში გაბატონება, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიონის გადასასვლელებზე კონტროლის დაწესება, რომის პოლიტიკური სტაბილურობისა და იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

ძვ.წ. I საუკუნიდან მოყოლებული კავკასია პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირებების ცენტრად იქცა, რომლის მთავარი მონაწილეები, გაძლიერებული პონტოსა და სომხეთის სამეფოები, ექსპანსიური რომის იმპერია და მისი მთავარი მეტოქე, არშაკიდები, იყვნენ. პონტოს მეფის, მითრიდატეს წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის ფარგლებში, რომაელთა ჯარი კავკასიაში ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. მითრიდატეს მოკავშირის, სომხეთის, დალაშქვრისა და მისი მეფის, ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-55), დამარცხების შემდეგ, პომპეუსის ჯარები ძვ.წ. 65 წელს იბერიაში შემოვიდნენ, ხოლო აქედან კოლხეთსა და ალბანეთში გადაინაცვლეს. იქიდან გამომდინარე, რომ პომპეუსის ლაშქრობა სადამსჯელო ხასიათს ატარებდა, სავარაუდოა, რომ იბერია ამ დროს სომხეთისა და პონტოს სამეფოებს უჭერდა მხარს. პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის მიზანი მხოლოდ სადამსჯელო ხასიათის არ უნდა ყოფილიყო. ცხადია, მას პირადი ამბიციური და იმპერიალისტური, სტრატეგიული და ეკონომიკური მიზნებიც ამოძრავებდა. კერძოდ: ახალი ქვეყნების მოქცევა რომის გავლენის სფეროში; სავაჭრო მაგისტრალებსა და შიდა გზებზე კონტროლის დაწესება; ახალი ბაზრების ათვისება; ჩრდილო კავკასიის სტრატეგიულ გადმოსასვლელებზე კონტროლის დაწესება და ა.შ. (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 35).

კავკასიაში რომაელთა გამოჩენის შემდეგ, კოლხეთი და იბერიის სამეფო ბერძენ-რომაელ ავტორებთან არაერთხელაა მოხსენიებული. შესაბამისად, არქეოლოგიურ

მასალასთან ერთად, ამ პერიოდის მოვლენების კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით წყაროებს.

იქიდან გამომდინარე, რომ გვიანანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის ისტორიული კონტექსტი, ისევე როგორც მათი ეთნიკური შემადგენლობა და სოციო-პოლიტიკური ასპექტები განსხვავებულია, ჩვენ ორივე რეგიონს ცალკე ქვეთავებად განვიხილავთ.

იბერია

სტრაბონი იბერიის აღწერისას სამხრეთის მხრიდან იბერიაში მისასვლელი გზის შესახებ დასძენს, რომ ამ გზით იბერიაში ჯერ პომპეუსი, შემდეგ კი კანიდიუსი შეიჭრა (Strabo, 11. 3. 5). ქართლში შემოსული პომპეუსი ძვ.წ. 65 წელს მცხეთას მიადგა, რის საპასუხოდაც იბერიის მეფე არტაგმა მდინარეზე გადებული ხიდი დაწვა და გაიქცა. წყაროების ცნობით, პომპეუსმა მტკვრის გამოღმა მთელი მხარე დაიპყრო, არმაზციხე აიღო და გაქცეულ არტაგს დაედევნა, რომელმაც დაზავება შესთავაზა და პომპეუსს ტყვებაად საკუთარი შვილები გაუგზავნა (Cass. Dio, 27, 1-2; Gagoshidze, 2008, p. 10). ამ მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს პომპეუსის წარწერაში იბერიის მეფის მოხსენიება იმ მეფეთა შორის, ვინც მან დაიმორჩილა (ბრაუნდი, 2014, გვ. 238).

პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ იბერიის სამეფო რომისადმი მორჩილებაში დიდხანს არ დარჩენილა, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო რომში დაწყებული შიდააშლილობითა და რომი-პართიის ურთიერთობების გამწვავებით (მელიქიშვილი, 1970, გვ. 507). ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში, რომი-პართიის კონფლიქტში იბერიის კურსი ბუნდოვანი ჩანს. დიონ კასიუსის ცნობით, ძვ.წ. 36 წელს რომაელები კანიდიუს კრასუსის მეთაურობით კვლავ შეიჭრნენ იბერიაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს იბერია რომის მორჩილებაში აღარ იყო (Cass. Dio, 49. 24. 1). აქვე უნდა გავიხსენოთ სტრაბონის ზემოთმოყვანილი ცნობა, რომ სამხრეთიდან იბერიაში ჯერ პომპეუსი, შემდეგ კი კანიდიუსი შეიჭრა (Strabo, 11. 3. 5). კანიდიუსის ლაშქრობამდე ანტირომაულ მხარეებად მოიხსენიებს იბერიასა და ალბანეთს მოვსეს ხორენაცი (Movses Khorenatsi, 2. 22; აბდალაძე, 1984, გვ. 119; მელიქიშვილი, 1970, გვ. 508). კრასუსის იბერიაში შეჭრა იმ მიზნით უნდა ყოფილიყო

გამოწვეული, რომ პართიასთან ბრძოლისთვის რომს კავკასიის სრული მორჩილება და, ამავდროულად, იბერია-ალბანეთის მეფეთა მოკავშირეობა სჭირდებოდა, რაც იმ დროს უკვე შერყეული იყო (ბრაგვაძე, 2021, გვ. 70). ამას ადასტურებს დიო კასიუსის ცნობაც, რომ კანიდიუსმა დამარცხებული იბერიის მეფე მოკავშირედ გაიხადა და ალბანეთში ისე შეიჭრა (Cass. Dio, 49. 24. 1; Gagoshidze, 2008, p. 12).

კანიდიუსის ლაშქრობის შემდეგ რომს იბერიაში აღარ გაულაშქრია. ამ დროიდან (ძვ.წ. I ს-ს 30-იანი წლებიდან) ივარაუდება რომსა და იბერიას შორის სამოკავშირეო ურთიერთობის დაწყება, რომელიც ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანი უნდა ყოფილიყო. შიდა დაპირისპირებებით დასუსტებულ რომს პართიასთან საბრძოლველად კავკასიაში მოკავშირე სჭირდებოდა, ხოლო იბერია, რომის იმპერიის სახით ძლიერი პარტნიორის ყოლაში არაერთ სარგებელს ხედავდა, მათ შორის - სომხეთთან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შანსსა და ეკონომიკურ კეთილდღეობას (Gagoshidze, 2008, pp. 12-13). გარდა პართიის წინააღმდეგ მოკავშირეობისა, რომს ქართლის მიმართ სხვა ინტერესებიც აკავშირებდა. კერძოდ, ჩრდილო კავკასიონის გადასასვლელები, რომლებსაც იბერიის მეფეები აკონტროლებდნენ და შეეძლოთ, საჭიროებისამებრ, გაეხსნათ გზა ჩრდილო მომთაბარე ტომებისთვის სამხრეთში სათარეშოდ. უფრო მეტიც, იბერიის მეეფებს ჩრდილო კავკასიელ ალანო-სარმატულ ტომებთან სამოკავშირეო ურთიერთობაც უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან, წყაროების მიხედვით, იბერიელთა ჯარში საჭირო დროს მოკავშირე ალანები და დაქირავებული სარმატიელებიც ფიგურირებდნენ (Strabo, 11. 3. 3.; Tacc. Ann, 6. 32-36; Josephus, Jewish Antiquities, 18. 97-98; Braund, 1994, p. 218; Gagoshidze, 2008, p. 18; Sauer, et al., 2020, pp. 978-979). არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩრდილო კავკასიელი მებრძოლები ქართლის მეფის დაქირავებულ ჯარშიც მსახურობდნენ (Gagoshidze, 2008, p. 20).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, რომთან სამოკავშირეო ურთიერთობაში მყოფ იბერიის მეფეებს ძვ.წ. I საუკუნის 30-იანი წლებიდან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება უნდა შეძლებოდათ, რამაც ქვეყნის სამომავლო გაძლიერება და აღმავლობა გამოიწვია (ბრაგვაძე, 2021, გვ. 71;

Gagoshidze, 2008, p. 12). მართლაც, ახ.წ. I საუკუნის დასაწყისში, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, აშკარაა იბერიის სამეფოს აღმავლობა. იბერიის გაძლიერებას ხელს უწყობდა საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა და იბერიის მეფეთა სტრატეგიული ნაბიჯები.

იბერია-რომის ალიანსი ნათლად აისახა ახ.წ. I საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიაში განვითარებულ მოვლენებში, სადაც სომხეთი რომი-პართიის დაპირისპირების მთავარ ასპარეზად იქცა. ტიბერიუსის მმართველობისას (ახ.წ. 14-38) რომმა სომხეთის სამეფო ტახტზე კონტროლი დაკარგა და ის პართიის მეფემ თავის ძეს, არშაკს გადასცა (Cass. Dio, 58. 26. 1-4). სომხეთზე კონტროლის დასაბრუნებლად, რომმა იბერიის მეფეს, მითრიდატეს, აღუთქვა, რომ პართიის დამარცხების შემთხვევაში, სომხეთში მის ძეს გაამეფებდნენ. რომისგან წაქეზებული იბერიელები სომხეთში შეიჭრნენ და არშაკი ტახტიდან ჩამოაგდეს, რის საპასუხოდაც პართიის მეფე არტაბანმა სომხეთში ლაშქარი გამოგზავნა ვაჟის, ოროდის მეთაურობით. ოროდის წინააღმდეგ იბერიელებმა მოიმხეს მოკავშირე ალბანელები და დაიქირავეს ჩრდილო კავკასიელი სარმატები. მათმა გაერთიანებულმა ლაშქარმა პართია სასტიკად დაამარცხა (Cass. Dio, 58. 26. 4; Tac. Ann. 6. 32. 3; გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 51-52; ბრაუნდი, 2014, გვ. 315; Gagoshidze, 2008, p. 14; Sauer, et al., 2020, pp. 978-979). ოროდის დამარცხების შემდეგ, იბერიის მეფის, მითრიდატეს ძე, სახელად ასევე მითრიდატე, სომხეთში გამეფდა, ხოლო მისი ძმა, ფარსმან I, ქართლში (Tac. Ann. 6. 36-7; ბრაუნდი, 2014, გვ. 315-316; Gagoshidze, 2008, p. 14).

სომხეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ იბერია როგორც პართიისთვის, ისე რომისთვის ანგარიშგასაწევ მეტოქედ გამოიკვეთა. ჩანს, იბერიელთა ამბიციები აშფოთებდა რომსაც. შესაძლოა, ამიტომაც გაიხმო კალიგულამ სომხეთში გამეფებული მითრიდატე და ციხეში გამომაწყვდია[41] (Sen. Dial, 9. 11. 12; Cass. Dio, 60. 8. 1; მელიქიშვილი, 1970, გვ. 512; ბრაუნდი, 2014, გვ. 316; Gagoshidze, 2008, p. 14).

მომდევნო წლებში მოვლენები უფრო კომპლექსური, ხოლო იბერიის მეფეთა მისწრაფებები სომხეთზე დაუფლებისთვის, უფრო აშკარა გახდა. იმპერატორ

[41] Taccitus. Annales, XI. 8. - ტაციტუსის ამ ნაწყვეტიდან ცხადი ხდება, რომ თავისივე ნაშრომის წინა თავებში მოთხრობილი ჰქონია კალიგულას მიერ მითრიდატეს დაპატიმრების შესახებ. ეს ნაწილი დაკარგულია.

კლავდიუსის მიერ ტყვეობიდან გათავისუფლებული მითრიდატეს აღდგენამ სომხეთის სამეფო ტახტზე, მისი ძმის, ქართლის მეფე ფარსმან I-ის, უკმაყოფილება გამოიწვია, რაც სომარ დაპირისპირებაში გადაიზარდა (Cass. Dio, 60. 8. 1; Tac. Ann. 11. 8. 2). ახ.წ. 51 წელს ფარსმანმა ამ დაპირისპირებაში ჩართო თავისი ძე, რადამისტი, რომლის მისწრაფება, დაეკავებინა მამის ტახტი, ფარსმანმა სომხეთისკენ და ბიძამისისკენ მიმართა (Tac. Ann. 12. 45; მელიქიშვილი, 1970, გვ. 513; ბრაუნდი, 2014, გვ. 317; Gagoshidze, 2008, p. 15). სომხეთში ჩასულმა რადამისტმა გარნის ციხესთან ბრძოლაში დაამარცხა და სიცოცხლეს გამოასალმა ბიძამისი მითრიდატე (Tacc. Ann. 12. 44-51; მელიქიშვილი, 1970, გვ. 514; ბრაუნდი, 2014, გვ. 317-319; Gagoshidze, 2008, p. 15). თუმცა, რადამისტმა სომხეთში გამეფება ვერ შეძლო, რადგან პართიის მეფე, ვოლოგესი (51-80) სომხეთში შეიჭრა, დაამარცხა იბერიელები და აქ თავისი ძმა, ტირიდატი გაამეფა. დამარცხებულმა რადამისტმა სომხეთის დაბრუნება ვერ შეძლო და ქართლში გაბრუნდა, სადაც ის მამამისმა, ფარსმანმა სიკვდილით დასაჯა (მელიქიშვილი, 1970, გვ. 515; ბრაუნდი, 2014, გვ. 320-321). მოვლენათა ამ რთული ციკლის შესახებ ცნობები დაცულია ტაციტუსთან, რომელიც ფიქრობდა, რომ შესაძლოა ფარსმანმა შვილი არა რომის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამო მოაკვლევინა, არამედ იმიტომ, რომ შვილის ტახტზე ასვლის ამბიციების თავად ეშინოდა (Tac. Ann. 13. 37. 3; მელიქიშვილი, 1970, გვ. 515; ბრაუნდი, 2014, გვ. 320; Gagoshidze, 2008, p. 13).

პართიის სომხეთში გაბატონებამ რომი და იბერია კვლავ დააახლოვა. ამის შემდეგ, რომი-პართიის დაპირისპირება სომხეთისთვის გარდამავალი უპირატესობებით მიმდინარეობდა. ნერონის დროს რომაელებმა სომხეთზე კონტროლი დაიბრუნეს, მათმა მოკავშირე იბერიელებმა კი, სომხეთის მოსაზღვრე დაკარგული ტერიტორიები. მოგვიანებით, რომსა და პართიას შორის დადებულმა ზავმა იბერიის მეფეთა პოზიციები შეარყია, ვინაიდან, სომხეთის ხელში ჩასაგდებად ის სათავისოდ ვეღარ იყენებდა იმპერიათა კონფლიქტს (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 51).

ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში რომი-იბერიის ურთიერთობების კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს ჩრდილო-კავკასიონის გადასასვლელები და მათზე

კონტროლის დამყარების მცდელობა. წერილობით წყაროებში ნახსენებია ნერონის კასპიის კარის კამპანიის გეგმები, თუმცა ძველ ავტორებსა და თანამედროვე მკვლევარებს შორის კამათის საგნად რჩება იყო ეს კამპანია მიმართული იბერიისკენ (დარიალის კარისკენ), თუ დერბენდისკენ (ალბანიისკენ). დიონ კასიუსი და ტაციტუსი ამ კამპანიაში კასპიის ვიწრობებსა და ალბანელებს მოიაზრებდნენ (Tac. Hist. 1. 6; Cass. Dio. 63. 8. 1). ნერონის თანამედროვე პლინიუსი კი, კასპიის კარს დარიალთან აიგივებდა და აღნიშნავდა, რომ ეს კარი, რომელსაც შეცდომით კასპიის კარს ეძახდნენ, სინამდვილეში კავკასიის კარია (დარიალი) და იბერიიდან სარმატებისკენ მივყავართ (Pliny. NH, 6. 16. 6). ნერონის კამპანიის მიზანი ჩრდილო კავკასიელთა იმ თარეშის აღკვეთა უნდა ყოფილიყო, რომელიც წყაროებშიც აისახა: 'ალანებმა იბერიის (ჰირკანიის) მეფის თანხმობით გადმოლახეს კავკასიონი და ააოხრეს მიდია და სომხეთი' (Cass. Dio. 69. 15. 1; მელიქიშვილი, 1970, გვ. 517; Gagoshidze, 2008, pp. 17-18; Sauer, et al., 2020, p. 979).

იბერიის მეფის ხელშეწყობით ალანთა მიერ მიდია-სომხეთის დარბევა, ქართლის მეფეთა მოქნილი სტრატეგიის მაგალითია. იბერიელთა ალიანსი ალანო-სარმატებთან, არყევდა რომისა და პართიის პოზიციებს რეგიონში და იბერიის სამეფოს პოლიტიკურ ძლიერებას უწყობდა ხელს. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ იზრუნა რომმა იბერიასთან სამოკავშირეო ურთიერთობების გამტკიცებაზე, რაც მცხეთაში აღმოჩენილ, ახ.წ. 75 წლის ბერძნულ წარწერაშიც აისახა. წარწერა გვამცნობს, რომ იმპერატორმა ვესპასიანემ „კეისრისა და რომაელთა მეგობარ" მითრიდატეს (იბერიის მეფეს) მცხეთის გალავანი გაუმაგრა (წერეთელი გ. , 1958, გვ. 5-20; მელიქიშვილი, 1970, გვ. 520; Gagoshidze, 2008, p. 18). ეს სამუშაოები, 60-იან წლებში, სწორედ, ალანთა დამარბეველი შემოსევების შემდეგ უნდა განხორციელებულიყო (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 63). ამ დროს იბერიას განაგებდა ფარსმან I-ის ვაჟი, მითრიდატე, რომლის სახელი იხსენიება არმაზისხევში აღმოჩენილ შარაგასის წარწერაში.[42]

[42] შარაგასის სტელის წაკითხვის უახლოეს მცდელობაში მეფის სახელი ამოკითხულია როგორც 'მირდატ' (ჭიჭინაძე, 2025, გვ. 174-192; Preud'homme & Schleicher, 2023, გვ. 341-382).

II საუკუნის დასაწყისში, რომსა და პართიას შორის განახლებულ დაპირისპირებებში იბერია კვლავ რომის მოკავშირედ გვევლინება. ამის არქეოლოგიური დასტურია რომში აღმოჩენილი ამაზასპის საფლავის ქვის წარწერა, რომლის მიხედვითაც ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის სამშობლო არის კასპიის ბჭესთან, დაიღუპა პართელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში (მელიქიშვილი, 1970, გვ. 525; ყაუხჩიშვილი თ. , 1975, გვ. 245; ბრაუნდი, 2014, გვ. 331; Sauer, et al., 2020, pp. 866, 984).

ადრიანესა (117-138) და ანტონინუს პიუსის (138-161) მმართველობის ხანაში, რომის პოზიციები ამიერკვაკასიაში მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო, ხოლო რომი-პართიის საომარი მოქმედებები - შეჩერებული (მელიქიშვილი, 1970, გვ. 525). ამ ორი იმპერატორის თანამედროვე ქართლის მეფე, ფარსმან II (ფარსმან ქველი) იყო. სწორედ ამ დროს მიაღწია პოლიტიკური ძლიერების ზენიტსა და ეკონომიკურ-კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს იბერიის სამეფომ. მიჩნეულია, რომ ამ დროს იბერია ცხადად დაუპირისპირდა როგორც რომს, ისე პართიას, ხოლო ფარსმანის თამამი ნაბიჯები პოლიტიკაში, განპირობებული იყო მისი ჭკვიანური პოლიტიკური და სამხედრო გათვლებით (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 53).

ფარსმანი დიდ იმედებს ამყარებდა ჩრდილო კავკასიელ (ალანები, სარმატები) მოკავშირეებზე. ამ ალიანსზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იბერიის სამეფოში ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმების კვალი არ დასტურდება, მაშინ როდესაც ისინი თავს ესხმოდნენ ალბანეთს, არმენიას, მიდიასა და კაპადოკიას. ჩანს, ფარსმანი უბრალოდ გზას უხსნიდა მათ, რაც 130-იან წლებში ალანთა თარეშის შესახებ დიონ კასიუსის ცნობებშიც აისახა. (Cass. Dio, 69. 15. 1). იგივე ავტორი გვამცნობს, რომ ალანები უკან მხოლოდ მას შემდეგ გაბრუნდნენ, რაც ერთი მხრივ პართიის მეფე ვოლოგესმა მოისყიდა მათი ნაწილი საჩუქრებით, ხოლო მეორე მხრივ, კაპადოკიაში ფლავიუს არიანეს მიერ რომაული ჯარის მობილიზებით იქნენ შეშინებულნი (Cass. Dio. 69. 15. 1.). დიონ კასიუსი ასევე აღნიშნავს, რომ პართიის მეფემ ფარსმანის ქმედებების გამო ადრიანეს შესჩივლა (Cass. Dio. 69. 15.1). მართლაც, ადრიანესა და ფარსმანს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე მოგვითხრობს ადრიანეს იტორიკოსი ელიუს სპარტიანე (Scriptores Historiae Augustae, I. Hadrian). მისი ცნობით, ადრიანე

ცდილობდა ამ ურთიერთობის გამოსწორებას, რა მიზნითაც კაპადოკიაში ყოფნისას მან თავისთან იხმო მოკავშირე და დაქვემდებარებული სახელმწიფოთა მეფეები, მათ შორის ფარსმანი, თუმცა მან მოწვევაზე უარი თქვა (Scriptores Historiae Augustae, Hadrian, 13. 9). იგივე ავტორი, თავის ნაშრომში სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ ადრიანემ უხვად დაასაჩუქრა იბერიისა და ალბანეთის ერთგული მეფეები, მიუხედავად მათი უარისა გამოცხადებულიყვნენ იმპერატორის მიღებაზე კაპადოკიაში (SHA. Hadrian, 17. 10. 11; Gagoshidze, 2008, p. 21). ადრიანეს გულუხვ საჩუქრებზე საპასუხოდ, ფარსმანსაც გაუგზავნია საჩუქრები, მათ შორის ოქროს წამოსასხამები, რომელიც განრისხებულმა ადრიანემ, ფარსმანის დასამცირებლად, არენაზე გასულ 300 დამნაშავეს ჩააცვა (SHA. Hadrian. 17. 10-12).

ჩანს, რომი-იბერიის ურთიერთობები ანტონინე პიუსის მმართველობის ხანაში (138-161) დასტაბილურდა, რისი დასტურიც ფარსმანისა და მისი ოჯახის წევრების საპატიო ვიზიტია რომში. დიონ კასიუსის ცნობით, ფარსმანს რომში საპატიო დახვედრა მოუწყვეს - იმპერატორმა თვალი ადევნა ფარსმანის ვაჟებისა და სხვა საპატიო იბერიელების სამხედრო ვარჯიშებს, ფარსმანს კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის უფლება მისცეს და ენიალიონზე მისი ცხენოსანი ქანდაკება აღმართეს (Cass. Dio, 70. 2. 3). ამავე ვიზიტის ფარგლებში, იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა აღიარა ფარსმანის სამეფოს გაფართოებული საზღვრები (Cass. Dio, 70. 2. 3). ფარსმანის ვიზიტზე ცნობები დაცულია ავგუსტუსების ისტორიაშიც და რომში აღმოჩენილი, დაახლოებით ახ.წ. 140 წლის მარმალოში ნაკვეთი ლათინური წარწერის ფრაგმენტზეც, სადაც რომში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ფარსმანის ვიზიტიც იხსენიება (SHA, Pius. 9. 6; მელიქიშვილი, 1970, გვ. 531-532).

ახ.წ. I-II საუკუნეებში, იბერიის სამეფოს სიძლიერე მის ტერიტორიულ ექსპანსიაშიც აისახა. იბერიამ აღმოსავლეთით ალბანეთი შეავიწროვა, ხოლო სამხრეთით, კორბულონის ლაშქრობამდე არმენიისგან მიტაცებული მიწები დაიბრუნა (Gagoshidze, 2008, p. 20). ახ.წ. I საუკუნის ავტორი, პლინიუსი, მდინარე ჭოროხთან, აფსაროსის მთებს მიღმა იბერიის ტერიტორიას ასახელებს (Pliny. NH. 6. 12). ამ ცნობით ჩანს, რომ იბერია ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში აკონტროლებდა მესხეთს ან მის ნაწილსაც (Gagoshidze, 2008, p. 21). უკვე II საუკუნეში, იბერიის

ტერიტორია შავ ზღვაზე გადიოდა, რისი დასტურიც ფლავიუს არიანეს ცნობებია ჭოროხის აუზში მოსახლე ძიდრიტების შესახებ, რომლებიც ფარსმანის ქვეშევრდომები იყვნენ[43] (Arrian, Periplus, 11). როგორც ვხედავთ, ახ.წ. II საუკუნეში ფარსმანის ჭკვიანური პოლიტიკითა და მისი სამეფოს ტერიტორიული ექსპანსიით, რომაული სასაზღვრო-სასიმაგრო ზოლი *(Pontus Limes)* კოლხეთის ზღვისპირეთში ერთგვარად დარღვეულია. შესაძლოა, ამით იყო გამოწვეული გონიო-აფსაროსში რომის ყველაზე დიდი სამხედრო მობილიზება (ხუთი კოჰორტა) კოლხეთის სხვა ციხე-სიმაგრეების ფონზე. ამ კონტექსტში საყურადღებოა დიონ კასიუსის ცნობა, რომლის მიხედვითაც, რომში ვიზიტისას, ანტონინუს პიუსს ფარსმანის სამეფოს გაფართოებული საზღვრები უღიარებია (Cass. Dio. 70. 2. 3). ჩანს, რომს იბერიასთან დაპირისპირება ხელს არ აძლევდა, რის გამოც მას გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწია.

ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებში კავკასიის გეოპოლიტიკურ პროცესებში სასანური ირანის გამოჩენით მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. რომთან ომებით დაუძლურებული პართიის ნანგრევებზე აღმოცენებული ირანის ახალი იმპერიის ზრახვები მკვეთრად ამბიციური და იმპერიალისტური იყო. სასანიანთა დინასტია ცდილობდა გამიჯვნოდა დამარცხებულ არშაკიდებს, თავს აქემენიანთა შთამომავლებად მიიჩნევდნენ და ძველი იმპერიის დიდების აღდგენისკენ მიისწრაფვოდნენ. სასანიანთა დინასტიამ შექმნა ვრცელ ტერიტორიებზე გადაჭიმული ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო თვითმყოფადი კულტურითა და რელიგიით. სასანური ირანის აღზევებაზე ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში, ლეონტი ლეონტი მროველის 'მეფეთა ცხოვრებაში'-ც აისახა (ყაუხჩიშვილი ს. , 1955, გვ. 59).

III საუკუნის შუა ხანებიდან კავკასია რომისა და სასანიდების იმპერიის დაპირისპირების ბუფერულ ზონად გადაიქცა. ამ მოვლენებმა განსაკუთრებული

[43] აზრთა სხვადასხვაობაა ძიდრიტების განსახლებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათ დღევანდელი არხავე-სუ და ჭოროხის აუზში მოსახლეებად მიიჩნევს (სანაპირო ზოლით 10-11კმ), ხოლო ზოგს მიაჩნია, რომ ძიდრიტები ჭოროხის ჩრდილოეთით, უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, დღევანდელი აჭარა-ქობულეთის მხარეში იყვნენ განსახლებულნი (ლომოური, 1968, გვ. 9-10; ბრაგვაძე, 2021; დუნდუა თ. , 2017, გვ. 121).

გავლენა მოახდინა იბერიის სამეფოზე, რომელიც რომისა და ირანის ძალაუფლების გადანაწილების ჭიდილში ხან ერთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდა, ხან - მეორის.

III საუკუნის მეორე ნახევარში იბერიის სამეფოს ისტორია შედარებით ბურუსითაა მოცული, რაც თანადროული წერილობითი წყაროების სიმწირით აიხსნება, ხოლო უფრო გვიანდელი ქართული და სომხური წყაროები ბევრ უზუსტობასა და ანაქრონიზმს შეიცავს. სამეცნიერო ლიტერატურაში რომისა და ირანის დაპირისპირების ეს ეტაპი დღემდე აქტიური განხილვის საგანია და რამდენადმე განსხვავენული მოსაზრებებიც არსებობს ცალკეულ თარიღებსა და მოვლენებთან დაკავშირებით.

იბერია სასანიდებმა პირველად შაპურ I-ის (ახ.წ. 240-270) დროს დაიმორჩილეს. განსხვავებული მოსაზრებებია იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელ წელს მოხდა ეს, 253 – 256 წლებში - ბარბალისის ბრძოლისა და სომხეთის დაპყრობის შემდეგ მალევე, თუ ედესას ბრძოლის შემდეგ, 260 წელს, როდესაც შაპურმა რომის იმპერატორი ვალერიანი დაამარცხა და დაატყვევა (ლომოური, 1975, გვ. 34-44; Sauer, et al., 2020, p. 867;). ნაქშე როსტამის შაპურ I-ის დიდი წარწერა „*SKZ*“(262 წ) იბერიას სასანური იმპერიის ნაწილად იხსენიებს, ხოლო დარიალს იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრად[44] (Braund, 1994, pp. 239-240; Rapp, 2014, p. 28; Sauer, et al., 2020, p. 867; Луконин, 1969, გვ. 128). შაპურ I-ის წარწერაში, ქართლის მეფის, ამაზასპის სახელი სიის დასაწყისში ირანის დამორჩილებული და გავლენიანი მოკავშირეებისა და იმპერიის დიდმოხელეთა შორისაა წარმოდგენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის ირანის გვალენიანი მოკავშირეა და არა იარაღით დამორჩილებული მმართველი (მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი I. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, 1970, გვ. 567). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იულიუს კაპიტოლინუსის ცნობა, რომ ვალერიანეს დატყვევების დროს იბერიელები ირანელთა მოწინააღმდეგეები იყვნენ (Julius

[44] წარწერის მოკლე შინაარსი ასეთია: „და მე ვფლობ მიწებს სპარსეთისა, პართიისა ...[ჩამონათვალი სხვადასხვა ქვეყნების].., სომხეთის, ვირზანი (იბერია)...[აგრძელებს ჩამოთვლას]..., კავკასიონის მთებამდე და ალანთა კარიბჭემდე, და მთელ ელბრუზის მთიანეთს...“ (ტექსტის ინგლისური ვერსია: „And I possess the lands of Persia, Parthia, Xuzestan, Mešan, Asurestan, Nodširagan [=Adiabene], Arbayestan, Azerbaijan, Armenia, Wirzan [=Iberia], Sigan, Albania, Balasagan, up to the Caucasus mountains and the gate of the Alani, and the entire range of the Elburz mountains…”) (Rapp 2014: 28).

Capitolinus. Valeriani Duo, 7; (მელიქიშვილი, 1970, გვ. 567). თუ აღნიშნული წყარო მიკერძოებულ ცნობებს არ გვაწვდის, გამოდის, რომ იბერიის მეფე, ამაზასპ II, იმპერატორის დატყვევებამდე რომის მოკავშირე ყოფილა, ხოლო შემდეგ დამოკიდებულება იმდენად მალე და რადიკალურად შეუცვლია, რომ სასანიდ მეფესთან კეთილგანწყობილ ურთიერთობაში იხსენიება. ამ მხრივ, უფრო ლოგიკური ჩანს ნ. ლომოურის მოსაზრება, რომ 253 წელს, ირანის მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, იბერიის მეფეს უკვე უნდა ეცნო სასანიდი შაჰის უზენასობა და თავისი ქვეყნის ვასალური დამოკიდებულება ირანისადმი, რის გამოც ის 262 წლის შაპურის წარწერაში, შაჰან-შაჰის სიის სათავეშივე იხსენიება (ლომოური, 1975, გვ. 40-41). იბერიის მოკავშირეობა-მორჩილება ირანთან ახ.წ III საუკუნის მიწურულამდე, ასახულია 295 წლის ნარსეს „პაიკულის წარწერაში“-ც (Braund, 1993, გვ. 240-242; Rapp, 2014, p. 29; Sauer, et al., 2020, p. 868).

შაპურ I-ისა და ბაჰრამ II-ის (274-293) მეფობის დროს იბერიასა და ირანს შორის დაძაბული ურთიერთობა არ უნდა ყოფილიყო. ჩანს, საომარი მოქმედებების ნაცვლად ირანის მმართველები დიპლომატიურ ურთიერთობებს ამჯობინებდნენ. ამის დასტურია არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები. ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრის იბერიის მატერიალური კულტურა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ამსახველია, ხოლო ორი უადრესი სასანური ვერცხლის ჭურჭელი საქართველოდან, რომელიც უთუოდ დიპლომატიური ძღვენია ირანის სამეფო კარიდან, სწორედ, ამ პერიოდს განეკუთვნება.

სასანიდების პოლიტიკური ბატონობა იბერიაში დიდხანს არ გაგრძელებულა. უფრო მეტიც, ის არასოდეს ყოფილა სტაბილური, ხანგრძლივი და ინტენსიური საუკუნეების მანძილზე. ირანის მეფეებს მუდმივად უხდებოდათ ბრძოლა იბერიის გასაკონტროლებლად ან კონტროლის ხელახლა მოსაპოვებლად (Sauer, et al., 2020, p. 868). სასანიდებმა იბერიაზე კონტროლი 298 წელს დაკარგეს, ქალაქ ნიზიბისში ნარსესა და დიოკლეტიანეს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით. ამ ზავით იბერია რომის გავლენის ქვეშ გადავიდა (დუნდუა თ. , 2017, გვ. 51; Daryaee, 2013, p. 13; Dodgeon & Lieu, 1991, p. 133). სწორედ ამით ისარგებლა იბერიამ და პრო-რომაული კურსი აიღო პოლიტიკაში. ამის გამოვლინებაა ქართლის მიერ ქრისტიანობის

სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება კონსტანტინე დიდის მმართველობის დროს (306-337), რომლის მეოხებითაც ქრისტიანობა ასევე რომის დომინანტური რელიგია გახდა. ეს ნაბიჯი ქართლის პროდასავლური პოლიტიკური კურსის ნათელი ილუსტრაციაა (ლომოური, 1975, გვ. 84-96; Daryaee, 2013, p. 13).

ნიზიბისის დამაკნინებელი ზავი, რომელმაც ნარსეს ავტორიტეტი საგრძნობლად შეარყია, მძიმედ აწვა სასანიდების დინასტიას. რომსა და ირანს შორის კონფლიქტი შაპურ II-ის (309-379) მეფობის დროს განახლდა და ახალი მასშტაბები მოიცვა. კონფლიქტის ძირითადი არეალი კვლავ კავკასია იყო, უფრო კონკრტულად კი სომხეთი, რომელიც რომაელი იმპერატორების მხარდაჭერით ირანს წინ აღუდგა. რომაულ-სპარსული კონფლიქტის ეს ფაზა იბერიას თითქოს არ შეხებია, თუმცა მოვსეს ხორენაცის გადმოცემით, იბერია ამ კონფლიქტში რომის იმპერიის მოკავშირედ რჩებოდა (მელიქიშვილი, 1973, გვ. 78). იგივე წყარო, რომელიც მკვეთრად მიკერძოებულია (რომაელთა მხარეს) და რომელზე ცალსახად დაყრდნობაც სათუოა, ასევე ამბობს, რომ იბერიელებმა სამხედრო დახმარება გაუწიეს სომხებს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში (მელიქიშვილი, 1973, გვ. 78). შაპურ II-სა (309-379) და რომის იმპერატორ იოვიანეს (363-364) შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულების თანახმად (363 წ), იბერია და სომხეთი ირანის კონტროლის ქვეშ გადავიდა. ამიანე მარცელიანუსის მიხედვით, 370 წელს ირანის კონტროლის ქვეშ მყოფი იბერია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი და ორი მეფე მართავდა: შაპურ II-ის ხელდასმული ასფაგური და იმპერატორ ვალენსის მიერ გამეფებული საურმაგი, ხოლო ორად გაყოფილ იბერიას შორის საზღვარი მდინარე მტკვარზე გადიოდა (Ammianus Marcellinus, XXVII. 12. 15; (ყაუხჩიშვილი და გამყრელიძე, 1961, გვ. 125; მელიქიშვილი, 1973, p. 79; Daryaee, 2013, p. 19; Sauer, et al., 2020, p. 870).

377 წელს შაპურმა და იმპერატორმა ვალენტმა (364-378) შეთანხმებების შემდეგ ერთგვარ მშვიდობას მიაღწიეს კავკასიაში (Daryaee, 2013, p. 19). 387 წლიდან, შაპურ III-სა (383-388) და იმპერატორ თეოდოსიუსს (379-392) შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულებით კავკასია ორად გაიყო და რომსა და ირანს შორის გადანაწილდა (Braund, 1994, p. 261). ქართლი მთლიანად სასანიდებს დაექვემდებარა, ხოლო ლაზიკა რომის გავლენის სფეროში გადავიდა. იბერიელი მეფეები თავიდან

ახერხებდნენ ავტონომიის შენარჩუნებას, თუმცა მოგვიანებით მათი მმართველობა ნომინალურ ძალაუფლებამდე იქნა დაყვანილი და ქვეყნის მართვა მთლიანად სპარსელების ხელში გადავიდა. თუ იბერიის მმართველობა თავდპაირველად ირანიდან მოვლენილი პიტიახშების ხელში იყო, მოგვიანებით პიტიახშის თანამდებობაზე სასანიანთა მიერ ადგილობრივი მმართველები ინიშნებოდნენ (მელიქიშვილი, 1970, გვ. 81; ლომოური, 1975, გვ. 25). პიტიახშები იერარქიულად მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირები იყვნენ ქართლში.

ახ.წ. V-VII საუკუნეების ქართლის ისტორია ძალზე კომპლექსურია. ეკონომიკურად დაკნინებული და პოლიტიკურად სასუსტებული, ფეოდალიზმის გზას შემდგარი ქართლი გარკვეულ აღმავლობას ვახტანგ გორგასლისა და მისი მემკვიდრის, დაჩის, მეფობისას აღწევს. თუმცა, მალევე, რომსა და ირანს შორის გაფორმებული 'საუკუნო ზავის' პირობები ქართლს მძიმედ დააწვა, რაც 530-იან წლებში ქართლში მეფობის გაუქმებითა და მისი სასანური ირანის პროვინციად გადაქცევით გამოიხატა (Daryaee, 2013, p. 30). VI საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში, გამოხატულია ირანის წინააღმდეგ არაერთი აჯანყებით, რაც მეფობის გაუქმებით იყო განპირობებული. (ყაუხჩიშვილი ს. , 1965; მელიქიშვილი, 1973, გვ. 268-269). ამ აჯანყებების მეშვეობით, ქართლი გარკვეული პერიოდი ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა, თუმცა ფორმალურად ირანის შემადგენლობაში რჩებოდა. ირანელთა კონტროლი თბილისზე 628 წელს ბიზანტიელთა მიერ თბილისის აღებით დასრულდა, თუმცა ქართლში მათი ბატონობა მაშინ შეწყდა, როცა სასანიდების ვრცელი იმპერია არაბთა შემოსევებმა იმსხვერპლა.

კოლხეთი

დიონ კასიუსის ცნობით, იბერიასთან ზავის შემდეგ, სხვადასხვა გაერთიანებათა მიწა-წყალზე გავლით პომპეუსი კოლხეთში გადავიდა (Cass. Dio, 37. 2-3; ლომოური, 1966, გვ. 61-62; მელიქიშვილი, 1970, გვ. 504; ბრაუნდი, 2014, გვ. 243; Gagoshidze, 2008, p. 11). საფიქრებელია, რომ პომპეუსმა კოლხეთი ბრძოლით დაიმორჩილა, ვინაიდან აპიანეს ცნობით, კოლხეთის სკეპტუხი ოლთაკესი პომპეუსის ტყვეთა შორის იყო

წარმოდგენილი მისსავე ტრიუმფზე (App. Mithr, 117; გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 38; Gagoshidze, 2008, p. 11). აპიანე ასევე გვამცნობს, რომ პომპეუსმა კოლხეთში ადგილობრივ მმართველად არისტარქე დანიშნა (App. Mithr., 114; (მელიქიშვილი, 1970, გვ. 505; გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 39; ბრაუნდი, 2014, გვ. 251). კოლხეთში არისტაქრეს მმართველობას ადასტურებს მისი სახელით ძვ.წ. 53-52 წლებში მოჭრილი მონეტაც[45] (Gagoshidze, 2008, p. 11).

კოლხეთის ისტორიის კვლევა ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებში დიდ გამოწვევებთან ასოცირდება, ვინაიდან ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა საკმაოდ მწირია, ხოლო წერილობითი წყაროები ფრაგმენტული. პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ რომაელთა მიერ დაპყრობილი კოლხეთი, მცირე ხნით, ცალკე ადმინისტრაციული ერთეული უნდა ყოფილიყო, რომელსაც არისტაქრე განაგებდა. არისტარქე, სავარაუდოდ, ძვ.წ. 48 წლამდე (ბოფსორის მეფის, ფარნაკეს შემოჭრამდე) განაგებდა კოლხეთს (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 40). ავგუსტუსის მმართველობისას (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) კოლხეთის შავიზღვისპირეთი და მისი ცენტრალური ნაწილი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში შედიოდა და ამ დროს აქ ჯერ კიდევ არ იყო განლაგებული რომაული გარნიზონები (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 43). ახ.წ. 63 წელს, ნერონის დროს, პროვინციად გადაქცეულ პონტოსთან ერთად, კოლხეთიც გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. ახ.წ. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე კოლხეთი 'კაპადოკიურ კომპლექსში' შედიოდა, მოგვიანებით კი კაპადოკიის პროვინციის ნაწილი გახდა (მელიქიშვილი, 1970, გვ. 537-538).

რომმა კოლხეთის სრული დამორჩილება, განსაკუთრებით კი, მისი შიდა რაიონებისა, ვერ მოახერხა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომაელთა მცდელობა, დაეწესებინათ ძლიერი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მმართველობა კოლხეთში, წარუმატებელი აღმოჩნდა, რის გამოც კოლხეთის გამგებლობა, ძირითადად, ადგილობრივ მმართველებს ებარათ (მელიქიშვილი, 1970, გვ. 538; გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 42; ბრაუნდი, 2014, გვ. 247). კოლხეთზე რომის პირდაპირი მმართველობის დაწესებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ამ ტერიტორიაზე არსებული რთული ეთნიკური მდგომარეობა. ერთ

[45] http://geonumismatics.tsu.ge/public/ge/catalogue/types?type=18

დროს ცენტრალიზებული კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ამ დროს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები სახლობდნენ. ახ.წ. 70-იანი წლების მიწურულს კოლხეთში საქალაქო ცხოვრება ძალზე დაქვეითებული ჩანს, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. დანგრეული და გაუკაცრიელებული ჩანს ელინისტური პერიოდის მდიდარი ქალაქები: დიოსკურია, ვანი, პიტიუნტი (ბრაუნდი, 2014, გვ. 254).

კოლხეთის ცენტრალიზაციას, სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უშლიდა მთიელთა მასობრივი მიგრირება და აღმოსავლეთით გაძლიერებული იბერიის სამეფოს ტერიტორიული ექსპანსიაც.

ახ.წ. I-II სს-ის კოლხეთის ეთნიკური სურათი საკმაოდ კომპლექსურია, ხოლო პოლიტიკური წყობილება და სხვადასხვა სოციალური საკითხები - ბუნდოვანი. როგორც წერილობითი წყაროებით, ისე არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ელინისტურ ხანაში აღორძინებული საქალაქო ცხოვრება და აღმავალი ეკონომიკა ამ დროს დაკნინებულია, რაც მთიელ ტომთა მიგრირებით, მათ მიერ ბარის მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროებითა და თავდასხმებით იყო განპირობებული. ეთნიკური ჯგუფების გადაადგილების შედეგად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წარმოიქმნილი ადრკლასობრივი პოლიტიკური ერთეულები რეგიონის გეოპოლიტიკურ პროცესებში აქტიურ როლს ასრულებენ. ნიშანდობლივია, რომ ამ ტომების სრულ მორჩილებაში ყოლა ვერც პონტომ და ვერც რომმა მოახერხა. შესაბამისად, რომისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა ადგილობრივი პოლიტიკურ ერთეულების მმართველებთან საერთო ენის გამონახვა და სამოკავშიეო ურთიერთობების დამყარება.

კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით, რომმა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში კოლხეთის ზღვისპირეთში რომაული ციხესიმაგრეები განალაგა. რომაული გარნიზონების კოლხეთში განლაგების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა, არქეოლოგიური მასალითა და წერილობითი წყაროებით, ეს I საუკუნის მიწურულისკენ უნდა მომხდარიყო. პლინიუს უფროსი (ახ.წ. I ს) აფსაროსსა და სებასტოპოლისს უკვე იხსნიებს ტერმინით *castellum* (Pliny. NH., 6, 14; 6. 12; გამყრელიძე & თოდუა, 2006, გვ. 59).

კოლხეთის რომაულ ციხესიმაგრეებზე და რეგიონში არსებულ ეთნიკურ სურათზე ახ.წ. 130-იან წლებში, მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ფლავიუს არიანეს პერიპლუსში „*Periplus Ponti Euxini*“.[46] არიანე კოლხეთის ზღვისპირა ზოლში (ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთის მიმართულებით) მოსახლე პოლიტიკურ გაერთიანებებს და მათ მეფეებს ასახელებს (სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით): მაკრონები და ჰენიოხები და მათი მეფე ანქილეა; მათ ჩრდილოეთით ძიდრიტები, რომლებიც ფარსმანის (იბერიის მეფის) ქვეშევრდომები ყოფილან; მათ გვერდით ლაზები და მათი მეფე მასალა, რომელსაც ტახტი ადრიანესგან ჰქონდა მიღებული; ლაზების ზემოთ აფსილები მეფით იულიანე, რომელმაც მეფობა ადრიანეს მამისგან მიიღო; აფსილების გვერდით აბასგები მეფით რესმაგა, ადრიანესგან ხელდასხმული; მათ ზემოთ კი სანიგები და მათი მეფე სპადაგა, ასევე ადრიანესგან გამეფებული. სანიგების ტერიტორიაზე მდებარეობდა სებასტოპოლისი (Arrian. Periplus, 11; კეჭაყმაძე, 1961, გვ. 42).

არიანეს ეს ცნობები საგულისხმოა, რადგან ჩანს, რომ ახ.წ II საუკუნის დასაწყისში კოლხეთის ზღვისპირა პოლიტიკურ გაერთიანებები რომმა ოფიციალურად აღიარა და ტომთა მმართველების სუვერენული ხელისუფლებ უბოძა.

არიანე კოლხეთში მდებარე სამ რომაულ ციხესიმაგრეს ასახელებს: აფსაროსს, ფასისს, სებასტოპოლისს[47] და გვაწვდის საიტერესო ცნობებს მათ მდებარეობაზე, გეგმარებაზე, ფორტიფიკაციასა და აქ განთავსებული სამხედრო ძალის რაოდენობაზე (Arr. Periplus, 6; 9-10). ფასისის დათვალიერებისას არიანემ ყურადღება გაამახვილა ციხესიმაგრეთა თავდაცვისუნარიანობაზე მთიელ ბარბაროსთა თავდასხმების მოსაგერიებლად (Arr. Periplus. 9; კეჭაყმაძე, 1961, გვ. 40). მისივე ცნობით, ყველაზე დიდი სამხედრო ძალა (ხუთი კოჰორტა) აფსაროსში იდგა, ხოლო უფრო ჩრდილოეთით მდებარე ფასისსა და სებასტოპოლისში შედარებით ნაკლები (Arrian. Periplus. 6-10; კეჭაყმაძე, 1961, გვ. 34-42). არიანეს დროს პიტიუნტში რომაული გარნიზონი არ მდგარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მას აუცილებლად

[46] კაპადოკიის მმართველმა, არიანემ იმპერატორ ადრიანეს დავალებით თავად იმოგზაურა კოლხეთში და მოინახულა შავზღვისპირა რომაული ციხესიმაგრეები.

[47] არიანე პერიპლუსში აღნიშნავს, რომ ახლანდელი სებასტოპოლისი, ძველი დიოსკურიაა იყო, მილეტის ახალშენი (Arrian. Periplus. 10; 17).

მოინახულებდა. ის, პიტიუნტს იხსენიებს, როგორც პატარა ნავსდაგომს (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 72). პიტიუნტში რომაელთა გარნიზონი ახ.წ 135-152 წლებში უნდა განთავსებულიყო, რასაც აქ აღმოჩენილი რომაული წარწერები მოწმობს (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 72; კვიციანი, 1997, გვ. 43; Speidel & Todua, 1988, გვ. 56-57). პიტიუნტის დაარსებით უნდა დამთავრებულიყო რომაელთა მიერ შავიზღვისპირა სასაზღვრო-სამხედრო სისტემის ორგანიზებული გაფორმება (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 74). ამის შემდეგ, III-IV საუკუნეებში, პიტიუნტი უმნიშველოვანეს ციხე-ქალაქად იქცა და კოლხეთის ჩრდილოეთში რომაელთა უკიდურესი პუნქტი გახდა.

რომის იმპერია კოლხეთის შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაული ციხესიმაგრეების მეშვეობით ახერხებდა გაეკონტროლირებინა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრები, უზრუნველეყო შავ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოება და სავაჭრო გზების დაცულობა. ამ ციხესიმაგრეების ფუნქცია, გარდა სამხედრო სტრატეგიული პუნქტების დანიშნულებისა, იყო პოლიტიკური სტაბილურობისა და ადგილობრივ ტომებთან სამოკავშირეო ურთიერთობების შენარჩუნება (მელიქიშვილი, 1970, გვ. 552; გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 74-75; დუნდუა თ., 2017, გვ. 55; კვიციანი, 1997, გვ. 44).

ახ.წ. II საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში კოლხეთის ზღვისპირა გარნიზონების მეშვეობითა და იბერიის მეფეებთან არსებული სამოკავშირეო ურთიერთობით, რომი ახერხებდა, თავისი იმპერიის აღმოსვალეთი ნაწილის კონტროლსა და უსაფრთხოებას. III საუკუნის მიწურულს, რომს გარკვეული ფორმალობა კვლავ ჰქონდა კოლხეთზე. 298 წელს ირანსა და რომს შორის დადებული ნიზიბისის ზავის მიხედვით, კოლხეთი, იბერია და სომხეთი, რომის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. ამ პერიოდში კოლხეთის რომაულ ციხესიმაგრეებში შეინიშნება ხელახალი მშენებლობებისა და აღმავლობის კვალი (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 94).

კოლხეთის პოლიტიკური ვითარება III საუკუნის შუახანებიდან საგრძნობლად იცვლება, რაც ლაზიკის, იგივე ეგრისის სამეფოს გაძლიერებასა და კონსოლიდაციას უკავშირდება. პარალელურად, რთულდება მდგომარეობა რომისთვის, რაც

განპირობებული იყო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან გუთების დამარბეველი თარეშით, რომში მიმდინარე პოლიტიკური დესტაბილიზაციითა და აღმოსავლეთში სასანური ირანის გაძლიერებით, რომელიც ამიერკვაკასიაში გაბატონებისთვის პოლიტიკურ ასპარეზზე რომის ძლიერ მეტოქედ გამოვიდა. ამ რთული ვითარების ფონზე, რომს კოლხეთში მძლავრი პოლიტიკური მოკავშირე სჭირდებოდა. სწორედ ამის ფონზე ვხედავთ აქ ლაზთა სამეფოს აღმავლობას.

ლაზთა სამეფოს ჩამოყალიბება, გაფართოება და გაძლიერება ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზღვისპირა კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში განსახლებულმა ლაზებმა, უკვე II საუკუნის მიწურულისთვის დაიმორჩილეს მთლიანი ბარის მოსახლეობა და ჩრდილოეთისკენ განდევნეს სამხრეთისკენ ჩამოწეული აფშილები, აბაზგები, სანიგები და სავარაუდოდ სვანებიც (ლომოური, 1968, გვ. 38; მელიქიშვილი, 1970, გვ. 556). ახ.წ. III საუკუნეში როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე კოლხეთის შიდა რაიონებში ლაზიკას არაერთი განვითარებული ქალაქი უნდა ჰქონოდა დაწინაურებული ეკონომიკითა და სავაჭრო ურთიერთობებით (ლომოური, 1968, გვ. 51-65).

დიდი წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ლაზებს ჩრდილო-დასავლეთიდან მომდინარე გუთების თავდასხმებისთვისაც, რომელზე ცნობებიც დაცულია ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს „ახალ ისტორიაში“ (Zosimeus. Hist. Nova, I). გუთები პიტიუნტს ორჯერ დაესხნენ თავს: პირველად - 252-255 წლებში, მეორედ 257 წელს. პირველად ისინი რომაელთა გარნიზონმა სუკესიანეს მეთაურობით მოიგერია, თუმცა, მეორედ მათ სასტიკად დაარბიეს ქალაქი[48] (მელიქიშვილი, 1970, გვ. 553; ლომოური, 1968, გვ. 41; დუნდუა თ. , 2017, გვ. 55; Wolfram & Dunlap, 1990, გვ. 49). ამ დარბევებისას, გუთებმა ფაზისის აღება ვერ შეძლეს, რაც შესაძლოა, იმით აიხსნას, რომ ამ დროს ფაზისი ლაზთა მფლობელობაში იყო და მისი დაცვა გაძლიერებულმა ლაზიკამ უკეთ მოახერხა, ვიდრე ამას რომი შეძლებდა (მელიქიშვილი, 1970, გვ. 554; ლომოური, 1968, გვ. 42). რომისთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ლაზიკის სახით

[48] გუთების მიერ პიტიუნტის ხელმეორედ დარბევა (დაალხოებით 257 წელს) არქეოლოგიურადაც დასტურდება. ნაქალაქარზე წარმოდგენილია ცეცხლისა და ნგრევის კვალი, მასობრივი სამაროვანი, დიდი რაოდნეობით იარაღი და სხვა (გამყრელიძე & თოდუა, 2006, გვ. 76; ფუთურიძე, 1975, გვ. 142-143; მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი I. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, 1970, გვ. 553).

მას ძლიერი პოლიტიკური მოკავშირე სჭირდებოდა კოლხეთში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ეგრისის სამეფოს აღმავლობას ხელი შეუწყო იბერიის დასუსტებამაც, რომლის საზღვრები დასავლეთით საგრძნობლად შეიკვეცა. IV საუკუნეში არგვეთი ლაზიკის დაქვემდებარებაში მოექცა. VI საუკუნის ცნობებში, ბიზანტია-სპარსეთის ომების დროს, ლაზიკის საზღვარი სურამის ქედს აღწევდა და შორაპანიც ლაზების ციხედ იხსენიება (Procopius. Persian Wars, II. 29. 18; მელიქიშვილი, 1970, გვ. 556).

ახ.წ. IV საუკუნეში ლაზიკის ძლიერების ზენიტია. ამ დროისთვის მათ დავქემდებარებაში იყო მეზობლად მოსახლე ძიდრიტები, აფსილები, აბაზგები და სხვა მეზობელი ტომები, მათ შორის სანიგებიც (ლომოური, 1968, გვ. 66-79; მელიქიშვილი, 1970, გვ. 556;). ამავე საუკუნის მოწურულს უნდა გაევრცელებინა ლაზიკას თავისი ძალაუფლება სვანურ ტომებზეც, რომლებიცც კავკასიის გადმოსასვლელებს აკონტროლებდნენ (მელიქიშვილი, 1970, გვ. 555-557). სვანები ლაზიკის დაქვემდებარებაში V საუკუნის 70-იან წლებამდე უნდ ყოფილიყვნენ, ლაზთა სამეფოს დასუსტებამდე (ლომოური, 1968, გვ. 79).

მომდევნო საუკუნეებში ლაზიკის პოლიტიკური ისტორია საკმაოდ კომპლექსურია, რაც ერთგვარად განპირობებული იყო სასანიდებისა და რომის დაპირისპირების ცენტრის აღმოსავლეთ კავკასიიდან დასავლეთით გადანაცვლებით. მანამდე რომი-ირანის დაპირისპირების ქარცეცხლში იბერიის სამეფო იყო გახვეული, ხოლო 542-562 წლებში ეგრისის დიდი ომის (“Lazic War”) ფრონტი კოლხეთის შავიზღვისპირეთი იყო.

V-VII საუკუნეები იბერიასა და ლაზიკაში რთული პოლიტიკური პროცესებითა და მათი თანმდევი სოციო-კულტურული ძვრებითაა გამოხატული. აღნიშნული პროცესები ირანისა და ბიზანტიის დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობდა.

5.2. იბერია-კოლხეთი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჭრილში

ზემოთ განხილულმა კავკასიის გეოპოლიტიკურმა პროცესებმა ნათლად დაგვანახა, რომ ძვ.წ. I - ახ.წ. IV საუკუნეებში, კოლხეთისა და იბერიის ისტორიისა და კულტურის ცალკეული ასპექტები ძალზე კომპლექსურია და მათი შესწავლა ინტერდისციპლინარულ მიდგომას საჭიროებს. ინდივიდუალური საკითხების გააზრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც წერილობითი წყაროების, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, გლიპტიკური და ტორევტიკული მასალის დარგობრივ ანალიზს, ისე მათ კვლევას ერთიან კონტექსტში. ნაშრომში არაერთხელ გავუსვით ხაზი ვერცხლის ჭურჭლის მნიშვნელობას იბერია-კოლხეთის ისტორიის ამ რთული ეტაპის კვლევაში და ისიც აღვნიშნეთ, რომ არქეოლოგიური მასალის ეს ჯგუფი ხშირად წარმოადგენს პირველწყაროს როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე დიპლომატიური ურთიერთობების გაანალიზებაში. შესაბამისად, ვერცხლის ჭურჭლის შესწავლა ისტორიულ და არქეოლოგიურ კონტექსტში შეიძლება შეფასდეს, როგორც გვიანანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის კომპლექსურ კვლევაში შეტანილი ცალკეული კონტრიბუცია. კვლევის მიზნების შესაბამისად, შევეცდებით პასუხები გავცეთ ისეთ მნიშვნელოვან კითხვას, როგორიცაა - რას უნდა დავუკავშიროთ ვერცხლის ჭურჭლის იმპორტული კომპლექსების შემოდინება გვიანანტიკური ხანის ქართლსა და კოლხეთში, სავაჭრო-ეკონომიკურ მიმოცვლას თუ დიპლომატიურ ურთიერთობებს? ან იქნებ ორივეს ერთად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, მოკლედ გადავავლოთ თვალი იბერია-კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსაც, როგორც წერილობითი წყაროების, ისე არქეოლოგიური მასალის საფუძველზე.

გვიანანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე რომაული, პართული, სასანური და ადგილობრივი კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ფუფუნების ნივთების, ნუმიზმატიკური, გლიპტიკური და ტორევტიკული მასალის თანაარსებობა დიდგვაროვანთა სამარხებში, მიგვანიშნებს, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ

ურთიერთობებში. მდიდრული სამარხეული ინვენტარი იბერიისა და კოლხეთის ელიტის მხრიდან ფუფუნების ნივთებზე მაღალ მოთხოვნაზე მიგვანიშნებს და ადგილობრივ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ დიფერენციაციაზე მეტყველებს. ცალსახაა, რომ მოსახლეობის წარჩინებული ფენა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით სარგებელს იღებდა და მოგებული რჩებოდა როგორც გარემომცველ იმპერიებთან გაცხოველებული ვაჭრობით, ისე საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პოლიტიკური ურთიერთობებით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანის საქართველოს ჩართულობა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ბევრად ადრეული ხანიდან იღებს სათავეს. დასავლეთიდან (შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ცენტრებიდან) ბერძნული, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ასურული და აქემენიდური კულტურების ინფილტრაცია რეგიონში, ჯერ კიდევ, ადრეანტიკური ხანიდან ჩნდება, თუმცა, ამას წინ უძღვოდა კიდევ უფრო ადრეული კონტაქტები. საერთასორისო სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა დიდ მასშტაბებს ელინისტურ ხანაში მიაღწია, რაც კოლხეთისა და იბერიის მატერიალურ კულტურაში ნათლადაა ილუსტრირებული (ლორთქიფანიძე ო., 1966, გვ. 117-147; ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 54-64; ლიჩელი, 2018, გვ. 26-165). ამ პერიოდში გაცხოველებული ვაჭრობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული არა მხოლოდ ბერძნულ სამყაროსთან, არამედ ელინიზირებული აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებთან: სელევკიდების სირიასთან, ეგვიპტესთან, პართიასთან და სომხეთთან (ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 55; ლიჩელი, 2018, გვ. 68-130).

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების აღმავლობის ხანაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, რომის იმპერიის ფართოდ გაშლილი ექსპანსიითა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მცდელობით იყო განპირობებული. რომისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოსავლეთთან ვაჭრობა იყო, რაც რომაელ ავტორთა ცნობებშიც აისახა (Pliny. NH., 12. 41; ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 67). რომის კავკასიით დაინტერესება არა მხოლოდ რეგიონის სამხედრო სტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული, არამედ მისი მნიშვნელობით სავაჭრო კონტაქტების

დამყარებისთვის როგორც აზიის ქვეყნებთან, ისე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთანაც (ლორთქიფანიძე ო. , 1968, გვ. 66). ამის შესახებ ცნობები დაცულია პლინიუსთან, რომელიც პომპეუსის ლაშქრობის კონტექსტში სავაჭრო გზების მოძიების დაინტერესებასაც ასახელებს და ამ გზების ჩამონათვალში საქართველოს მდინარეებს, მტკვარსა და ფასისს მოიხსენიებს (Pliny. NH., 6. 52).

იბერია

ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან რეგიონში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და იბერიის სამეფოს როლმა ამ მოვლენებში, მნიშვნელოვანწილად გაზარდა ქვეყნის ჩართულობა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში როგორც რომთან და პართიასთან, ისე ჩრდილო-კავკასიურ ტომებთან და მეზობელ სომხეთთან. გვიანანტიკური ხანაში საქართველოს ტერიტორია შიდა სავაჭრო-სატრანზიტო გზებით იყო დასერილი, რომლებიც მთავარი მაგისტრალების განშტოებებს წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მაგისტრალი უნდა ყოფილიყო მთლიანად მდინარე მტკვრის ხეობა და რიონ-ყვირილა-მტკვრის ხაზი, რომელიც, როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის საშინაო ვაჭრობისთვისა და კომუნიკაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო (ლორთქიფანიძე ო. , 1968, გვ. 69). სავაჭრო კონტაქტების შესასწავლად მნიშვენლოვანია ახ.წ. IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის, კასტორიუსის რუკა ე.წ *„Tabula Peutingeriana“*, რომელიც ახ.წ. I-II საუკუნეების მასალებზეა დაფუძნებული და მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია გვიანანტიკური სამყაროს მაგისტრალების, დედაქალაქებისა და მნიშვნელოვანი ურბანული ცენტრების შესახებ (ლომოური, 1958, გვ. 101; ლორთქიფანიძე ო. , 1968, გვ. 68; რამიშვილი რ., 2018, გვ. 178;). რუკის მიხედვით, აღმოსავლეთის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო მაგისტრალი კავკასიაში სომხეთის სამეფოზე, არტაშატთან ახლოს გადიოდა და, სავარაუდოდ, სწორედ აქედან ერთ-ერთი განშტოებით იბერიისკენ, ხოლო იბერიის გავლით ჩრდილო კავკასიისკენ მიემართებოდა (ლორთქიფანიძე ო. , 1968, გვ. 68; რამიშვილი რ. , 2018, გვ. 178-179). გამოთქმულია მოსაზრება, რომ იბერიის დედაქალაქ მცხეთაში რომის იმპერიიდან იმპორტირებული საქონელი, ძირითადად, სამხრეთის ამ მთავარი მაგისტრალის

გავლით შემოდიოდა, ვინაიდან მსგავსი ნაწარმი მწირი სახითაა წარმოდგენილი კოლხეთში (ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 69). აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრების მიხედვით, ძვირფასი იმპორტი თავს თავდაპირველად მცხეთაში იყრიდა, საიდანაც ქვეყნის შიდა სავაჭრო მაგისტრალებით ნაწილდებოდა სამეფოს სხვადასხვა კუთხეში (ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 69). იულონ გაგოშიძეს მიაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალს, ისე მცირე აზიიდან (ტრაპეზუნტიდან) და შავიზღვისპირეთიდან მომდინარე გზებსაც, რომლებიც ჭოროხის, რიონისა და შემდგომ მტკვრის გავლით ჯერ არტანჯუში, შორაპანსა და ურბნისში, შემდეგ კი მცხეთაში შემოედინებოდა (Gagoshidze, 2008, pp. 23-25). მისი დაკვირვებით, სწორედ ამ გზების მეშვეობით შემოდიოდა ქართლში დიდი რაოდენობით სირიული, ეგვიპტური და იტალიკური ნაწარმი (Gagoshidze, 2008, pp. 23-24).

იბერიასა და კოლხეთში რომისა და მისი პროვინციების იმპორტის შემოდინების სხვადასხვა გზების არსებობა როგორც წერილობითი წყაროებით, ისე არქეოლოგიური მასალით დასტურდება. ფაზისი-შორაპანი-მტკვრის სავაჭრო გზის შესახებ ცნობები შემონახულია სტრაბონთან (Strabo, 11. 2. 17; 11. 3. 7; ლორთქიფანიძე ო., 2010, გვ. 97-102). სტაბონივე უსვამს ხაზს ბაბილონური ნაწარმის შედინებას სარმატიაში (ჩრდ. კავკასიაში), რომელიც სავარაუდოდ მცხეთასა და მდინარე არაგვის ხეობაზე გამავალი სავაჭრო გზების გავლით ხდებოდა (Strabo, 11. 5. 8; ლომოური, 1958, გვ. 115-117; ლორთქიფანიძე ო., 2010, გვ. 102-103; Gagoshidze, 2008, p. 25).

არქეოლოგიური მასალა, მათ შორის სამკაული, ნუმიზმატიკური და გლიპტიკური ძეგლები, მოწმობს, რომ რომსა და იბერიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა, ხოლო განსაკუთრებულ მასშტაბებს ახ.წ. I-III საუკუნეებში მიაღწია. პარალელურად, აქტიური იყო სავაჭრო ურთიერთბები არშაკიდების იმპრიასთანაც. ქართლის სამეფოში დადასტურებულია ერთი მხრივ, რომის თითქმის ყველა იმპერატორის სახელით მოჭრილი აურეუსები და დინარები, ხოლო მეორე მხრივ, დიდი რაოდენობით პართული დრაქმები და სომხური ფულის ცალკეული აღმოჩენები

(ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 69; დუნდუა და დუნდუა, 2006, გვ. 122-132; შეროზია, 2015, გვ. 38-61; Gagoshidze, 2008, p. 23).

ახ.წ. I საუკუნიდან III საუკუნის შუა ხანებამდე დიდი რაოდენობით შემოედინებოდა ქვეყანაში რომაული გემები, რაც მოწმობს, რომ იბერიის ელიტარული ფენის წარმომადგენლები რომაული წარმოების საბეჭდავებისა და ფუფუნების ნივთების აქტიური მომხმარებლები იყვნენ (ლორთქიფანიძე მ., 1958, გვ. 30-48; ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 72-73; ჯავახიშვილი ქ., 2015, გვ. 5-36). აქვე აღსანიშნავია, რომ ქართლში სასანური ირანის გამოჩენის პარალელურად, რომაული გლიპტიკური ძეგლები ნელ-ნელა ჩაანაცვლა პართულ-სასანურმა გემებმა, რაც პოლიტიკური პროცესების გამოძახილი უდნა იყოს (ლორთქიფანიძე მ., 1958, გვ. 73-96; ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 73;). იბერიის ფართოდ გაშლილ სავაჭრო ურთიერთობებზე მეტყველებს ქართლში დიდი რაოდნეობით აღმოჩენილი რომაული ეგვიპტის სახელოსნოებიდან იმპორტირებული სამკაული და შუა აზიიდან, ინდოეთიდან და არაბეთიდან მომდინარე ძვირფასი ქვების ნედლეული მასალა (ლორთქიფანიძე ო. , 1968, გვ. 71-72).

ცალკე აღსანიშნავია რომაული ტორევტიკული ნაწარმი, რომელიც სავაჭრო ურთიერთობების შედეგად ხვდებოდა ქართლში, თუმცა ამ თემას შემდეგ ქვეთავში (5.3) განვავრცობთ.

ახ. წ. III საუკუნის შუა ხანებიდან, კავკასიაში სასანური იმპერიის გამოჩენის პარალელურად ცვლილებები შეინიშნება იბერიის მატერიალურ კულტურაში. წინა საუკუნესთან შედარებით, ნელ-ნელა იკლებს რომაული იმპორტი, რის ხარჯზეც შეიმჩნევა ადგილობრივი ნაწარმისა და აღმოსავლური იმპორტის მოჭარბება. ჩნდება სასანური ტორევტიკული, გლიპტიკური და ტორევტიკული მასალა. უკვე IV საუკუნიდან, პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითების გზაზე შემდგარი იბერიის სამეფოს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სულ უფრო და უფრო დაკნინებულია, რაც ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზე ნათლადაა ასახული.

კოლხეთი

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ.წ. I საუკუნის მიწურულსა და ახ.წ. I საუკუნის დასაწყისში კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რომთან ინტენსიურ ხასიათს არ ატარებდა. ამის დასტურია ამ პერიოდის რომაული იმპორტის სიმწირე ზღვისპირა ზოლში. ურთიერთობები რომთან შედარებით ინტენსიური უნდა გამხდარიყო ახ.წ. I საუკუნის ბოლოსკენ, კოლხეთში რომაული გარნიზონების განლაგების პარალელურად. უკვე II საუკუნიდან ვხედავთ კოლხეთის შავიზღვისპირეთსა და შემდეგ მის შიდა რაიონებში რომაული კულტურის თანდათანობითი ინფილტრაციას. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ციხე-ქალაქები რომსა და კოლხეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი გზაგამტარები უნდა ყოფილიყვნენ (ლორთქიფანიძე ო. , 2002, გვ. 261-266; Gamkrelidze, 2014, pp. 4-15;).

ზღვისპირა ზოლში რომაული იმპორტის განსაკუთრებული მოჭარბება ახ.წ. III-IV საუკუნეებში შეინიშნება, რაც არა მხოლოდ რომაული გარნიზონების ხელახალი აღმშენებლობითა და აქტივობით, არამედ ბიზანტიასთან ლაზიკის სამეფოს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დაამყარებით უნდა აიხსნას. ამ მხრივ სიანტერესოა პროკოფი კესარიელის ცნობა, რომლის მიხედვითაც ლაზები რომისადმი მტრულად განეწყვებოდნენ და სპარსეთს მიემხრობოდნენ მაშინ, როდესაც რომაელები მათ სავაჭრო ურთიერთობებში გარე სამყაროსთან უხეშად ჩაერეოდნენ (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 108). ასევე მნიშვნელოვანია აგათია სქოლაქტიკოსის ცნობა, რომ ლაზები, რომლებიც სხვა ტომებზე მბძანებლობდნენ, დაცურავდნენ ზღვაზე და ვაჭრობაშიც ნახულობდნენ დიდ სარგებელს (ყაუხჩიშვილი ს., 1936, გვ. 50-51).[49]

[49] გ. გამყრელიძე და თ. თოდუა კოლხეთის რომაულ იმპორტში ქრონოლოგიურად სამი ჯგუფს გამოიყოფენ: ახ.წ I-II საუკუნის დასაწყისი - მცირე რაოდენობის იმპორტი, განკუთვნილი ძირითადად რომაული გარნიზონებისთვის; II-III სს. - იმპორტის მოზღვავება, პონტო-კავკასიის ხაზის აქტიურ პერიოდი, როდესაც მომარაგება და იმპორტი უმთავრესად ტრაპეზუნტიდან ხორციელდებოდა; ახ.წ III-IV სს. – იმპორტის ახალი მოზღვავება ისევ მცირე აზიიდან, თუმცა ამჯერად ანტიოქიიდან (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 111-112).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, რომაული იმპორტის ერთი ნაწილი კოლხეთში რომაელი სამხედროების მიერ არის შემოზიდული, ხოლო მეორე ნაწილი (ძირითადად იტალიკური ნაწარმი) ადგილობრივი დიდებულებისთვის განკუთვნილ ძღვენსა თუ ჯილდოს წარმოადგენდა (გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 110-111). კოლხეთში იტალიკური ნაწარმის შემოდინებაზე განსხვავებული აზრი ჰქონდა ო. ლორთქიფანიძეს. მას მიაჩნდა, რომ ეს ნივთები იბერიიდან, სამხრეთის მაგისტრალით, მტკვარი-რიონ-ყვირილას გზის გავლით ხვდებოდა, და არა შავიზღვისპირა ქალაქებიდან. ამის დასტურად მიაჩნდა მას იტალიკური წარმოების ბრინჯაოს ჭურჭლის, (სურები, პატერები), გლიპტიკური ძეგლებისა და სხვა სახის რომაული იმპორტის დიდი რაოდენობით აღმოჩენა ქართლის ტერიტორიაზე (არმაზისხევი, ნიჩბისი, ბორი, კლდეეთი და სხვ), მაშინ როდესაც ისინი ერთეულების სახითაა აღმოჩენილი კოლხეთში (ლორთქიფანიძე ო., 1968, გვ. 100). იულონ გაგოშიძის მოსაზრებით როგორც იბერიაში, ისე კოლხეთში რომაული იმპორტი სხვადასხვა სავაჭრო გზით შემოედინებოდა და დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომის რომელი პროვინციიდან მომდინარეობდა მასალა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად მიაჩნია მას არტაშატზე გამავალი სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალიც, თუმცა ფიქრობს, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მცირე აზიიდან (ტრაპეზუნტიდან) და შავიზღვისპირეთიდან მომდინარე გზებსაც, რომლებიც ჭოროხის, რიონისა და შემდგომ მტკვრის გავლით ჯერ შორაპანსა და ურბნისში, შემდეგ კი მცხეთაში შემოედინებოდა (Gagoshidze, 2008, pp. 23-25).

რომი-კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ნუმიზმატიკური მასალა (დუნდუა და დუნდუა, 2006, გვ. 110-121). ამ მხრივ აღსანიშნავია სეფიეთისა (აბაშას რაიონი) და გერზეულის (სოხუმის რაიონი) რომაული მონეტების განძი, რომელიც წარმოდგენილია ასეულობით ეგზემპლარით და შეიცავს დიდი რაოდნეობით დინარებს მოჭრილის რომის სხვადასხვა იმპერატორების სახელით (ფუთურიძე, 1959, გვ. 64-65). ცხადია, კოლხეთში რომაული მონეტები როგორც ჯარისკაცების ანაზღაურების სახით შემოდიოდა, ისე ადგილობრივებთან სავაჭრო საშუალებად.

5.3. ვერცხლის ჭურჭელი - იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების არქეოლოგიური მარკერები

იბერიის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების სამხილები მრავლად მოიძებნება ვერცხლის ჭურჭელში. მკვეთრი ხაზის გავლება დიპლომატიისა და ვაჭრობის შედეგად შემოსული ვერცხლის ჭურჭლის ერთეულებს შორის, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. რთულია გადაჭრით იმის მტკიცება, თუ რა გზებით მოხვდა იბერიაში ესა თუ ის ნივთი, თუ ის არ შეიცავს წარწერას, ისტორიული პირის პორტრეტულ გამოსახულებას, ან იმ მნიშვნელოვან დეტალს ან/და მახასიათებელს, რომლიც მოგვცემს საშუალებას, ისინი დიპლომატიურ ძღვენს მივაკუთვნოთ.

იმ შემთხვევებში, როდესაც საუბარია რომაული ვერცხლის ჭურჭლის წარმომავლობის იდენტიფიკაციაზე, ჩვენ ვეყრდნობით როგორც მასზე დატანილ პორტრეტებსა და წარწერებს, ისე უშუალოდ ჭურჭლის ფორმას, ვინაიდან რომაულ საიმპერატორო ძღვენში მეტწილად ფიალები, ჯამები, ლანგრები და დიდი ზომის თეფშები იყო წარმოდგენილი, რომლებზეც ძღვენის გაცემის ცერმონიალზე - „*Largitionese*" - მონეტები ან სხვა სახის საჩუქრები თავსდებოდა (ტაბ. 1: სურ. 3).[50] სასანურ ვერცხლზე მსჯელობისას კი დიპლომატიური ძღვენის ჯგუფში, მეტწილად, ის ერთეულები ექცევა, რომლებზეც შაჰანშაჰების, სამეფო ოჯახის წევრებისა და დიდებულთა პორტრეტებია დატანილი. ასე მაგალითად, სასანური სამეფო ძღვენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე შაჰანშაჰების ნადირობის სცენებით შემკული ვერცხლის თეფშები იყო, რომელთა მთავარი დატვირთა შაჰის იდეალიზებული სახის წარმოჩენა იყო (Harper, 2006, pp. 81-81; Harper, 2008, p. 72). ამგვარი თეფშები III საუკუნიდან მზადდებოდა და იმპერიის პერიფერიებზე

[50] საიმპერატორო ძღვენის ე.წ. Imperial Largitio-ს რაობისა და შემადგენლობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაცულია გვიანრომაული ხანის ადმინისტრაციულ დოკუმენტში 'Notitia Dignitatum'-ში. აღნიშნულ დოკუმენტში ფინანსთა მინისტრის ემბლემაზე გამოსახულია ვერცხლის ლანგრებზე მოთავსებული ოქროს მონეტები, მონეტებით სავსე ნაჭრის ჩანთები, ვერცხლის თეფშები (ან ჯამები) და სხვადასხვა ძვირფასეულობა, რომელიც საიმპერატორო ძღვენს წარმოადგენდა და იმპერატორის სახელით გადაეცემოდა მოკავშირე ქვეყნების მმართველებს, დაქვემდებარებულ მოხელეებს, წარჩინებულ სამხედრო პირებსა და ადმინისტრაციულ მმარტველებს. საიმპერატორო ძღვენის გაცემა ფინანსთა მინისტრის მოვალეობა იყო, რის გამოც მან ასახვა მის ადმინისტრაციულ ემბლემაში ჰპოვა.

იგზავნებოდა (მაგალითად კრასნაია პოლიანას, შემახასა და სარის თეფშები), თუმცა IV საუკუნის შუა ხანებიდან ჭურჭლის ამ ფორმაზე ექსკლუზიურად სამეფო პორტრეტები დაიტანებოდა (Harper, 2006, p. 81; Canepa, 2009, გვ. 154-166). ყველაზე ადრეული ხანის სასანური ვერცხლის ჭურჭელი, სავარაუდოდ, ასევე დიპლომაიტური მიზნებისთვის განკუთვნილი, იყო ცენტრალურ მედალიონში დატანილი პორტრეტებიანი ჯამები (Harper & Meyers, 1981, p. 24). ადრესასანური ვერცხლის ასეთი ნიმუშია არმაზისხევის პაპაკ პიტიახშის ლანგარი. ხოლო სარგვეშის კილიკი, მასზე დატანილი ბაჰრამ II-ის პორტრეტით, ადრესასანური ტორევტიკული ძღვენის უნიკალურ ეგზემპლარს წარმოადგენს.

პრობლემის კვლევაში, თუ რა გზებით მოხვდა ესა თუ ის იმპორტული ნიმუში იბერია-კოლხეთის ტერიტორიაზე, შეიძლება დავეყრდნოთ არქეოლოგიური კომპლექსების ხასიათსა და მათ მდებარეობას. მაგალითად, ქართლის სამეფოს რეზიდენციასა და მმართველი წრის სამაროვანზე (ბაგინეთი, არმაზისხევი, სამთავროს 905-ე აკლდამა) აღმოჩენილი ვერცხლეულის ინტერპრეტირება დიპლომატიურ ძღვენად უფრო ლოგიკურია, ვიდრე რაიონებიდან მომდინარე აღმოჩენები. იმპერატორებისგან თუ შაჰანშაჰებისგან მიღებული ძღვენი იმდენად ღირებული იყო ადრესატისთვის, რომ ისინი მათი სამარხის ატრიბუტებიც კი ხდებოდნენ. თუმცა, აქვე თავს იჩენს ერთი ნიუანსი: სრულიად შესაძლებელია, რომ იბერიის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი რომაული და სასანური დიპლომატიური სახის ვერცხლის ჭურჭელი, თავდაპირველად მცხეთის სამეფო კარზე გაიგზავნა, ხოლო მოგვიანებით იბერიის მეფეთა ან/და პიტიახშთა მხრიდან დარიგდა რეგიონულ მმართველებთან ძღვენის სახით.

აღნიშნული ნიუანსების გათვალისწინებით, სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური გზებით მოხვედრილი ტორევტიკული მასალის კლასიფიკაციის მცდელობისას, ცალკეულ შემთხვევებში, მკვეთრი დასკვნების გაკეთებისგან თავს შევიკავებთ და ფრთხილი ვარაუდებით შემოვიფარგლებით. თანდართული ცხრილებში კი შევეცდებით მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და ტორევტიკული მასალის თანხვედრის წარმოჩენას.

იბერია

გვიანანტიკური ხანის ქართლის დიდგვაროვანთა სამარხების ინვენტარი ხაზს უსვამს სამეფოს კულტურულ-ეკონომიკურ და დიპლომატიურ კავშირებს რომის, პართიის და სასანიდების იმპერიებთან. ეს მასალა ნათელი ილუსტრაციაა მათი გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა ირანთან, მცირე აზიასთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან.

ჩვენი საკვლევი პერიოდის (I-IV სს.) ვერცხლის ჭურჭლის უადრესი ნიმუშების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე ემთხვევა რეგიონში რომაული კულტურის ინფილტრაციას. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტორევტიკული მასალა წინარე პერიოდშიც (ელინისტურ ხანაში) არაერთ არქეოლოგიურ ძეგლზეა დადასტურებული (მაგ. გრაკლიანი გორა, ტახტიძირის სამაროვანი (გაგოშიძე, 2020, გვ. 87, 215; Licheli, 2020, pp. 350-361). ამასთანავე, ძვ.წ. I ახ.წ. I საუკუნის ცალკეული ნიმუშები (მაგ. აღაიანის ადრეული მასალა და თბილისში, ს. ეულის ქუჩის აღმოჩენები) ელინიზირებული აღმოსავლეთისა და გვიანელინისტური ხანის შავიზღვისპირეთის სავაჭრო ცენტრებთან მანამდე არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სამხილებადაც შეიძლება ჩაითვალოს და მაინდამაინც რომს არ დავუკავშიროთ.

ნაშრომში განხილული ვერცხლის ჭურჭლის ყველაზე ადრეული ნიმუშები იბერიიდან აღმოჩენილია გომის, აღაიანისა და თბილისის არქეოლოგიურ ძეგლებზე.[51] გომის რიტონი, ადგილობრივი ნაწარმია, რომელიც გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის იბერიის მთის მოსახლეობის ცალკეული სოციალური ასპექტებისა და რწმენა წარმოდგენების ამსახველია. ჭურჭლის ეს არქაული ფორმა, რომელიც მეტად დამახასიათებელი იყო აქემენიდური და პართული ტორევტიკისთვის, დეკორთან ერთად მის უფრო მეტად ადრეულ თარიღზე მიგვანიშნებს, ვიდრე ჭურჭლის დანარჩენი კოლექციისა.

[51] შემთხვევით აღმოჩენილი გომის რიტონის დათარიღების ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონიდან გამომდინარე რთულია გადაჭრით იმის თქმა, თუ კონკრეტულად რომელ საუკუნეს მიეკუთვნება ეს ნაწარმი.

აღაიანისა და თბილისის გვიანელინისტური და ადრერომაული ხანის ვერცხლის ნაწარმი, ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებში როგორც რომთან, ისე ელინიზირებული აღმოსავლეთის ცენტრებთან და პართიის სამეფოსთან არსებული მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად უნდა იყოს მოხვედრილი იბერიაში.

ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ სამთავროს 905-ე აკლდამაში აღმოჩენილი არამეულწარწერიანი, პრინცი ტირიდატის ვერცხლის ლანგარი, შესაძლოა, იბერიაში დიპლომატიური გზებით მოხვედრილ უადრეს ნიმუშად ჩაითვალოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ლანგარი განხილულია, როგორც პართიის პრინცის, ტირიდატის (ტიბერიუს მიერ სომხეთში გამეფებული პართიის სამეფო ოჯახის წევრი), ძღვენი იბერიის მეფისადმი, რომელიც ახ.წ. 36 წელს სომხეთში შემქნილ პოლიტიკურ მოვლენებში ტირიდატის მოკავშირედ გვევლინება (Cass. Dio, 58. 26. 1-4; წერეთელი კ., 1987, გვ. 155-178; დიღმელაშვილი, 2022, გვ. 217-219).

ახ.წ. II საუკუნეში იბერიის სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობები რომთან უფრო ინტენსიური გახდა. ამავე პერიოდიდან გაძლიერდა ადგილობრივი ვერცხლის წარმოება. II საუკუნისა და III საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც ადგილობრივი ნაწარმი, ისე დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური გზებით რომიდან იმპორტირებული ტორევტიკის ნიმუშები. სწორედ ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება ბაგინეთის, არმაზისხევის, სამთავროს, სვეტიცხოვლის, ავჭალის, ბორის, კლდეეთისა და ზღუდერის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მრავალრიცხოვანი მასალა.

ზემოთჩამოთვლილ ძეგლებზე, რომიდან იბერიაში, უთუოდ, დიპლომატიური გზებით მოხვედრილ საჩუქრებად უნდა განვიხილოთ შემდეგი ეგზემპლარები: მარკუს ავრელიუსის პინაკი ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგიდან; მარკუს ავრელიუსის (ან ანტონინების დინასტიის ერთ-ერთი იმპერატორის) პინაკი კლდეეთიდან, რომელიც სავარაუდოდ მცხეთიდან განაწილებული ძღვენია რეგიონული მმართველისთვის; იმპერატორ ადრიანეს(?) პინაკი არმაზისხევის N6 სამარხიდან; ანტინოეს პინაკი არმაზისხევის N1 სამარხიდან; ტიხე ფორტუნას პორტრეტიანი პინაკი არმაზისხევის N6 სამარხიდან. დიპლომატიური გზებით

შეიძლება იყოს მოხვედრილი არმაზისხევის N1 სამარხში, ანტონოეს პინაკთან ერთად აღმოჩენილი და მისი ანალოგიური ჭურჭელი, სადა ცენტრალური მედალიონით. ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ბაგინეთის სარკოფაგიდან მომდინარე მაღალი ხარისხის ვერცხლისგან დამზადებული ჯამი კიდეებზე ზღვის სამყაროს სცენებით შემკული და ამავე სარკოფაგში აღმოჩენილი ჯამი, პირზე დატანილი მოოქროვილი მცენარეული ორნამენტებით.

რომაული დიპლომატიური ძღვენის დიდი ნაწილი ქართლში, ახ.წ. II საუკუნეში უნდა შემოსულიყო, ადრიანესა და ანტონინების მმართველობის ხანაში, რაც როგორ წერილობითი წყაროებით, ისე არქეოლოგიური მასალით დასტურდება. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია, რომ ადრიანეს საგარეო პოლიტიკაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო მეგობრული ურთიერთობების დამყარება რომის მოკავშირე ქვეყნებთან. ამასთანავე, წერილობითი წყაროების მიხედვით, იმპერიის წინააღმდეგ ამხედრებული ბარბაროსების შემორიგებას ადრიანე საჩუქრებისა და ფულის საშუალებით ცდილობდა (Aelius Spartianus, SHA, Hadrian, v. I. pp. 1-37).

რომიდან იბერიის სამეფო კარზე გამოგზავნილი ძღვენი უნდა იყოს არმაზისხევის N3 სამარხში აღმოჩენილი, ე.წ. ბერსუმა პიტიახშის მასიური ლანგარი და მისი ანალოგიური ცალი (ფორმით, დეკორაციითა და წარწერის ფრაგმენტით) ზღუდერიდან. თუმცა, ვფიქრობ, რომ თავდაპირველად რომიდან მიღებული ეს ძღვენი, მოგვიანებით იბერიის მეფემ უსახსოვრა მის დავქემდებარებაში მყოფ მცხეთელ და 'ზღუდერელ' მმართველებს და ჭურჭელიც შესაბამისი წარწერებით შეამკო. ვერცხლის ჭურჭლის და სხვა ფუფუნების ნივთების სახით ძღვენის გაცემა (*Imperial Largition*) მიღებული წესი იყო როგორც რომის, ისე ირანის სამეფო კარზე. ცხადია, რომაული კულტურისა და გავლენის ქვეშ მყოფი, მათ მოდურ ტენდენციებს აყოლილი იბერიელი მეფეები მსგავსად მიაგებდნენ პატივს თავის ქვეშევრდომებს. ასევე მცხეთიდან გაცემული ძღვენი შეიძლება იყოს ბორში აღმოჩენილი ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარიც. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ნივთი არგვეთელ ბუზმიჰრს თავად შეეძინა და მასზე საკუთარი სახელიდ აეწერა.

იმ შემთხვევაში, თუ ციხისძირს იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფი ძიდრიტების სამოსახლოდ განვიხილავთ, ახ.წ. II საუკუნის ციხისძირის განძში

შემავალი ვერცხლის ლანგარი და გემა იმპერატორ ლუციუს ვერუსის გამოსახულებით, რომელიც უთუოდ რომაული საიმპერატორო ძღვენია, შესაძლოა არა რომი-კოლხეთის, არამედ რომი-იბერიის დიპლომატიურ ურთიერთობებს დავუკავშიროთ. სრულიად შესაძლებელია, რომ ახ.წ. II საუკუნეში შავ ზღვამდე გაფართოებული იბერიის სამეფო თავისი ტერიტორიის შენარჩუნებასა და კონტროლს ასევე დიპლომატიური გზებით ცდილობდა. შესაძლოა, ძიდრიტების მმართველთათვის ქართლიდან განაწილებულ საჩუქრებად მივიჩნიოთ ურეკის განძში წარმოდგენილი ვერცხლის ნივთებიც.

ზემოთჩამოთვლილ კომპლექსებში აღმოჩენილი რომაული იმპორტის სხვა ნიმუშები, უტილიტარული დანიშნულების ნივთები (ჩამჩები, კოვზები, თეფშები, თასები, კათხები, სარკე და ვერცხლის სხვა საპარფიუმერიო ნივთები) რომთან გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად იმპორტირებულ მასალად მიგვაჩნია. ზოგიერთ ჭურჭელზე ამოკაწვრით დატანილი საკუთარი სახელები კი იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ ღირებული ნივთები იყო ისინი მათი მფლობელებისთვის.

ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებში და, განსაკუთრებით, მეორე ნახევარში, ქართლის სამეფოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ტორევტიკული მასალის კოლექციაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. III საუკუნის შუახანებისთვის თითქმის დომინანტური ხდება ადგილობრივი ნაწარმი, რომელიც რომაულ იმპორტთან თანაარსებობს და ზოგიერთ ძეგლზე რაოდენობითაც აჭარბებს. ფუფუნების ნივთების ადგილობრივ წარმოებაში ტრადიციულ მხატვრულ ელემენტებთან ერთად იკვეთება რომაული კულტურის გავლენა, რაც ერთი მხრივ მოზღვავებულ რომაულ იმპორტს უნდა დავუკავშიროთ, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივთა ამბიციებს, ფეხი აეწყოთ მოწინავე ქვეყნის მოდური ტენდენციებისთვის.

III საუკუნის მეორე ნახევრიდან, პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, თავს იჩენს სასანური ტორევტიკის იმპორტი. ამასთანავე, ამ პერიოდის ადგილობრივი ვერცხლის ჭურჭლის დეკორში ვხვდებით წინარე ირანული კულტურისთვის (აქემენიდური) დამახასიათებელი ისეთი ელემენტების

აღორძინებას, როგორიცაა ნუშისებური ბურცობები (მაგალითად, ხოვლესა და მაგრანეთის ჯამები, ცხინვალის ვერცხლის სურა). ამ ქრონოლოგიური ჯგუფის ვერცხლის ჭურჭელი მომდინარეობს არაგვისპირის, ახალი ჟინვალის, ხოვლეს, ურბნისის, ცხინვალის, კვაშხიეთისა და მაგრანეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან. თუმცა, ამ კომპლექსებში რომაული ვერცხლის ჭურჭლის ერთეული ნიმუშებიღა დასტურდება, მაშინ როცა II საუკუნის მეორე ნახევრისა და III საუკუნის დასაწყისის კომპლექსებში, ისინი დომინირებდა.

III საუკუნის მეორე ნახევრის ქრონოლოგიური ჯგუფის ვერცხლის ჭურჭლიდან იბრიაში დიპლომატიური გზებით მოხვედრილად უნდა ჩაითვალოს სასანური იმპორტი: პაპაკ პიტიახშის პორტრეტითა და წარწერით შემკული ლანგარი არმაზისხევის N2 სამარხიდან და ბაჰრამ II-სა და მისი ცოლ-შვილის პორტრეტებიანი თასი სარგვეშიდან. ორივე ჭურჭელი იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა, როდესაც იბერიის სამეფო სასანური ირანის დაქვემდებარებაშია, ხოლო იბერიის მეფე ამაზასპი, შაპურ I-ის წარწერაში მოკავშირე მმართველთა სიის დასაწყისშივე იხსენიება. იბერიის სამეფო ირანის დაქვემდებარებაში 298 წლამდე, ნიზიბისის ზავის დადებამდე იმყოფებოდა. სასანური ტორევტიკის ეს უადრესი ნიმუშები სწორედ 260-298 წლების შუალედში ექცევა და ნათელი ილუსტრაციაა III საუკუნის მეორე ნახევარში ირანის დიპლომატიური ურთიერთობებისა ქართლის მმართველებთან. ამავე პერიოდში რომიდან დიპლომატიური ძღვენის სახით ქართლში ვერცხლის ჭურჭლის შემოდინება გამქრალია.

III საუკუნის მეორე ნახევრის ქრონოლოგიურ ჯგუფში ექცევა არაგვისპირის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ორი სურა. სურებზე დატანილია ცხენოსანი მხედრის ნადირობის სცენები, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს სასანური ტორევტიკის თვითმყოფად, სამეფო ნადირობის კომპოზიციებთან. ვფიქრობ, ეს სურები იბერიულ სახელოსნოში იმ პერიოდშია დამზადებული, როცა ქვეყანა პირველად მოექცა სასანიანთა კონტროლის ქვეშ. სავარაუდოა, რომ იბერიელმა ოსტატებმა დაამზადეს ჭურჭელი, რომელზე გამოსახული სიუჟეტებიც როგორც ადგილობრივი კულტურისთვის იყო დამახასიათებელი, ისე ქვეყანაში გაბატონებული ახალი პოლიტიკური ძალისთვის.

კულტურულ ატრიბუციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა არაგვისპირის სამაროვანზე აღმოჩენილ ვერცხლის მასიურ ჯამზე, რომლის ცენტრში მოოქროვილი არწივის გამოსახულებაა დატანილი. არწივს ნისკარტში ბაფთით დამშვენებული გვირგვინი უჭირავს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ნივთი ადგილობრივი, იბერიული ნაწარმია შექმნილი სასანური კულტურის გავლენით, ვინაიდან ძალაუფლების სიმბოლო, ბაფთებიანი გვირგვინი სასანური ირანის ხელოვნების განუყოფელი ატრიბუტია (Machabeli, 2024, p. 109). ჭურჭლის ფორმა და დეკორიც, ასევე მისი შესრულების ტექნიკა, მსგავსებას ამჟღავნებს რომაულ ტორევტიკასთან, რის საფუძველზეც, რამინ რამიშვილმა ის რომის პროვინციულ ნაწარმად მიიჩნია (რამიშვილი რ., 2018, გვ. 154). აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჭურჭელი არწივის გამოსახულებით აღმოჩნდა ახ.წ. 250-იანი წლებით დათარიღებულ არმაზისხევის N3 სამარხშიც. ამასთანავე, ჭურჭლის რელიეფური ზედაპირი და დეკორი არ არის დამახასიათებელი ამ პერიოდის იბერიული ვერცხლის ჯამებისთვის, რომლებიც ძირითადად, ტალღოვანი ხაზებით იმკობოდა ან სადა ზედაპირით ხასიათდებოდა. ჩვენ ვიზიარებთ რ. რამიშვილის მოსაზრებას და არწივის გამოსახულებიანი ეს ჯამი III საუკუნის რომაულ იმპორტად მიგვაჩნია.

ცხინვალისა და კვაშხიეთის ვერცხლის ჯამები ცენტრში მოსევადებული ორნამენტით, ისევე როგორც ხოვლეს მდიდრულ აკლდამაში აღმოჩენილი ვაზის ფოთლით შემკული ლანგარი ასევე, რომთან არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველ მასალად უნდა იყოს გააზრებული. სევადით შემკული ვერცხლის ჭურჭელი განსაკუთრებით დამახასიათებელია გვიანრომაული ხანის ტორევტიკისთვის. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ვერცხლის კოვზიც.

მაგრანეთის, ხოვლესა და ახალი ჟინვალის სამაროვნების ადგილობრივი ვერცხლის ნაწარმი ნათელი ილუსტრაციაა წარჩინებულთა მხრიდან არსებულ მოთხოვნაზე ძვირფასი ლითონის ჭურჭელზე. როგორც ჩანს, ახ.წ. III საუკუნის მეორე მეოთხედიდან, რომიდან ძვირფასი ნაწარმის შემოდინების შესუსტების პარალელურად, ახ.წ. III საუკუნის მიწურულამდე, ადგილობრივი სახელოსნოები ქმნიდნენ ვერცხლის ჭურჭელს, რათა ბაზარზე არსებული მოთხოვნები

დაეკმაყოფილებინათ. ამას, თავის მხრივ, ხელს უწყობდა იბერიის სამეფოს ეკონომიკური კეთილდღეობაც. IV საუკუნიდან ვერცხლმჭედელობა, ისევე როგორც სხვა დარგები, მკვეთრ დაქვეითებას განიცდის.

ახ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრიდან სამარხებში ვერცხლის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია იშვიათი ხდება, ხოლო IV საუკუნის შუა ხანებში საერთოდაც ქრება. მოდინახეს IV საუკუნის სამაროვანი ის გამონაკლისი ერთეულია, სადაც სამარხებში ჯერ კიდევ გვხვდება ტორევტიკული მასალა. აქ ადგილობრივად დამზადებული, მრგვალძირიანი ვერცხლის ჯამები მიცვალებულის თავქვეშაა ამოდებული, რაც მიგვანიშნებს, რომ მათ რიტუალში იყენებდნენ. ერთ-ერთ სამარხში გვხვდება სურაც.

მოგვიანო პერიოდის, V-VI და VII საუკუნეების ვერცხლის ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის არ მოგვეპოვება. ერთადერთი გამონაკლისია ჭერმისხევში შემთხვევით აღმოჩენილი სასანური ვერცხლის ჯამი, რომელიც VI-VII საუკუნეების მიჯნითაა დათარიღებული. თასი გარედან მთლიანად ვაზის ორნამენტებითა და დიონისური სიმბოლიკითაა შემკული (გვიანსასანური ხანის ტორევტიკისთვის დამახასიათებელი კომპოზიციები), ხოლო შიდა მხარეს ცენტრში ტოლმკლავა ჯვრის ამოღარული და მოოქროვილი ორნამენტია დატანილი. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქრისტიანული სიმბოლიკის გამო გადარჩა ჭურჭელი გადადნობას ან განადგურებას. ამავე კონტექსტში შეიძლება გვაიაზროთ სვანეთის ლაგურკას ქრისტიანული ტაძრის საგანძურში დაცული VI-VII საუკუნეების სასანური სპილენძის სურაც, რომელიც დღემდე მნიშვნელოვანი ნივთია და ადგილობრივთა რელიგიურ დღესასწაულშიც ფიგურირებს (მაჩაბელი, 1979, გვ. 165-173).

ადრეშუასაუკუნეების პერიოდის, ახ.წ. IV ს-ის მიწურულიდან - VIII ს-მდე, ძვირფასი ლითონის ჭურჭლის სხვა ეგზემპლარები დღემდე არ არის ჩვენთვის ცნობილი, ხოლო VIII-IX საუკუნეებიდან თავს იჩენს ქრისტიანული, ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო ჭურჭლის ჯგუფი.

ტორევტიკის ნიმუშების სამარხში ჩატანების ტენდენციის დაქვეითება შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორებით აიხსნას. ვფიქრობთ, პირველ რიგში ეს რელიგიურ

ფაქტორს უკავშირდება. IV საუკუნის შუა ხანებიდან, გაქრისტიანებული იბერიის მმართველი ზედაფენის წარმომადგენლები აღარ იკრძალებოდნენ წარმართული ტრადიციებით. I-III საუკუნეებში იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებში ვერცხლის ჭურჭელი დაკრძალვის რიტუალის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად წარმოგვიდგება (მაგალითად, მიცვალებულის თავის დასვენება ფიალებზე, წყვილი სურისა და ჯამის ჩატანება, ლანგარზე დალაგებული ძვლები). შესაბამისად, წარმართული რიტუალის გაქრობასთან ერთად ქრისტიანულ ქართლში ქრება სამარხებში ვერცხლის ჭურჭელიც. იბერიელ დიდგვაროვნებს აღარ ატანდნენ წარმართული რელიგიური პანთეონის ღმერთებისა და სხვადასხვა სიმბოლიკით შემკობილ ფუფუნების ნივთებს. საინტერესოა, რომ არმაზისხევში ახ.წ II-III საუკუნეების ერისთავ-პიტიახშთა სამარხების გვერდით გაითხარა ახ.წ. IV საუკუნისა და V საუკუნის დამდეგის მდიდრული სამარხებიც. ამ სამარხთა ინვენტარი ხშირად წარმოდგენილია ოქროს სამკაულით (ყელსაბამები, სამაჯურები, საყურეები ბეჭდები), მონეტა (ერთ შემთხვევაში) ტანსაცმელთან დაკავშირებული ძვირფასი აქსესუარებით, თუმცა აღარსად გვხვდება ვერცხლის ჭურჭელი. კლებულობს და ნელ-ნელა ქრება გამოსახულებიანი თვლებით შემკული ბეჭდების ჩატანების ტრადიციაც.

მეორე ფაქტორი როგორც რელიგიურ, ისე ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირდება. პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და ფეოდალიზმის გზაზე შემდგარი იბერიის სამეფოს ეკონომიკურმა დაღმავლობამ და, შესაბამისად, ცხოვრების დონის გაუარესებამ, როგორც ძვირფასი ლითონის ჭურჭელზე მოთხოვნა და მისი იმპორტი შეამცირა, ისე მისი ადგილობრივი წარმოება და მოხმარება. ასევე შესაძლებელია, რომ ხმარებაში არსებული ვერცხლის ჭურჭელი ნედლეული გამხდარიყო შემდგომი პერიოდის სამონეტო წარმოებისა და საეკლესიო დანიშნულების ნივთების წარმოებაში. უნდა შემცირებულიყო ვერცხლის ადგილობრივად მოპოვებისა და მისი გადამუშავების მასშტაბებიც, რომელიც სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან ყურადღებასა და კონტროლს მოითხოვდა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. IV საუკუნიდან, საანური ირანის გაძლიერების პარალელურად, დასუსტებული

იბერიის მმართველები ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენდნენ არც ირანისთვის, არც რომისთვის. ამ პერიოდისა და შემდეგი საუკუნეების იბერიის ისტორია საკმაოდ კომპლექსურია და ნათლად ასახავს ქვეყანაზე რომაელთა და ირანელთა მონაცვლეობით გაბატონებას. იბერიის სამეფოს დაკნინებისა და შემდეგ მეფობის გაუქმების პარალელურად იკლო ქვეყანაში როგორც დიპლომატიური ძღვენის შემოდინებამ, ისე დასავლეთთან არსებულმა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობამ.

ვფიქრობ, მართებული იქნება თუ ვერცხლის ჭურჭლის სრულად გაქრობას იბერიელი დიდგვაროვნების სამარხებიდან რელიგიური, პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობით ავხსნით.

დასასრულს, ცხრილის სახით გთავაზობთ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შეჯერებასა და შეჯამებას.

ცხრილი 6: *ვერცხლის ჭურჭელი იბერიის საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.*

თარიღი	ისტორიული კონტექსტი	ვერცხლის ჭურჭელი
ძვ.წ. I ს-ის შუა ხანები და II ნახევარი	- ძვ.წ. 65 წელს რომაული გარნიზონები შემოვიდნენ იბერიაში პომპეუსის მეთაურობით. იბერიის მეფესა და პომპეუსს შორის დაიდო ზავი. - ძვ.ე. 36 წ. კანიდიუსის ლაშქრობა იბერიაში. - იბერიასა და რომს შორის სამოკავშირეო ურთიერთობების დაწყება.	• აღაიანის N9, N16 და N17 სამარხების ვერცხლის ჭურჭელი, კოვზი; • გომის ვერცხლის რიტონი (↓↑).[52]
ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი	- იბერია რომი პართიის დაპირისპირებაში მესამე ძალად გამოიკვეთა, რომელიც სომხეთის ტახტს დროებით დაეუფლა. - იბერიის მეფეები აკონტროლებენ ჩრდ. კავკასიის გადასასვლელებს. ხელს უწყობენ ალანო-სარმატებს სამხრეთის იმპერიების დასალაშქრად. - იბერიაში გამეფდა ფარსმან I.	• გომის ვერცხლის რიტონი (↓↑). • ტირიდატის ვერცხლის ლანგარი სამთავროს 905-ე აკლდამიდან. • აღაიანის ვერცხლის ორყურა თასი და ჩლიქისებური ტარიანი კოვზი (N2 სამარხი).

[52] (↓↑)-სიმბოლო გულისხმობს ნივთის შესაძლო კუთვნილებას უფრო ადრეულ ან გვიანდელ პერიოდში.

ახ.წ. I ს-ის II ნახევარი	- ქართლში ფარსმან I-სა და მითრიდატე II-ის მეფობის პერიოდი. - ვესპასიანეს დროს მცხეთის კედლების გამაგრება.	• ვერცხლის თასები და კოვზი თბილისიდან (მათ შორის სადაზედაპირიანი ჯამი მსგავსი აღაიანის ჯამისა) (↓↑). • აღაიანის N3, N7, N10 სამარხის მასალა (მათ შორის თბილისის სადაზედაპირიანი ჯამის მსგავსი, კოვზები).
ახ.წ. II ს	- რომი-პართიის კონფლიქტში იბერია რომის მოკავშირეა. მეფე მითრიდატეს ძმა პართელების წინააღმდეგ ომში დაიღუპა. - იბერიის მეფეა ფარსმან II ქველი. - იბერიის პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანაა. - იბერიის საზღვრები აღწევს შავ ზღვამდე. - 130-იან წლებში ალანთა ლაშქრობა სამხრეთში განხორციელდა დარიალი გვალით. - ფარსმანსა და ადრიანეს შორის დიპლომატიური ძღვენის მიმოცვლა. - ფარსმანის ვიზიტი რომში ანტონინე პიუსის ხანაში.	• ვერცხლის თასები და კოვზი თბილისიდან (↓↑). • სამთავროს 905-ე აკლდამის ვერცხლის ჭურჭელი (გარდა ტირიდატის ლანგრისა). • ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის მასალა (მათ შორის მარკუს ავრელიუსის პინაკი, ზღვის ცხოველებით შემკული ჯამები, თეფში, დიონისური მოტივებით შემკული თასები, ჩამჩები, კოვზები). • არმაზისხევის N1, N6, N7, N9 სამარხების მასალა (მათ შორის ადრიანეს(?), ანტინოეს, ტიხე ფორტუნას პინაკები); • კლდეეთის მასალა, მათ შორის მარკუს ავრელიუსის (?) პინაკი. • ბორის ზოგიერთი, I-II საუკუნების ვერცხლის ჭურჭელი. • ზღუდერის ზოგიერთი, I-II საუკუნების ვერცხლის ჭურჭელი. • ციხისძირის განძში შემავალი ვერცხლის ჭურჭელი (იმ შემთხვევაში, თუ ციხისძირს ამ პერიოდში იბერიის დაქვემდებარებაში მყოფი ძიდრიტების სამოსახლოდ გავიაზრებთ).
	- იბერიის სამეფოში ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის ხანაა. - განვითარების მაღალს აფეხურს აღწევს ადგილობრივი ვერცხლის წარმოება.	• ბორის განძის ზოგიერთი ჭურჭელი. • ზღუდერის ზოგიერთი ჭურჭელი.

ახ.წ. III ს-ის I ნახევარი	- სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები რომთან ინტენსიურია. - რომაული ტიპის ნაგებობების მშენებლობა საქალაქო ცენტრებში (ბაგინეთი, ძალისი, არმაზისხევი, თბილისი).	• სვეტიცხოვლის გალავანთან აღმოჩენილი ვერცხლის თასის ყურები.
ახ.წ. III ს-ის შუა ხანები და II ნახევარი	- იწყება იბერიის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური დასუსტების ხანა. - მცირდება სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები რომთან. - 260 წელს (ან 253 წლიდან მალევე) იბერია სასანური ირანის კონტროლის ქვეშ მოექცა. - 262 წლის შაპურ I-ის წარწერაში დამორჩილებულ ქვეყნებს შორის იხსენიება იბერია და მისი მეფე ამაზასპი. - იბერიაში ჩნდება პირველი სასანური იმპორტი. - 298 წელს ნიზიბისის ზავით იბერია გადადის რომის კონტროლის ქვეშ.	• არმაზისხევის N2 და N3 სამარხები (მათ შორის ბერსუმა პიტიახშის ლანგარი, პაპაკ პიტიახშის ლანგარი და იბერიული ჯამები ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით). • ბორის ბუზმიჰრ პიტიახშის ლანგარი ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციით. უყურო სურა. • ზღუდერის ბერძნულწარწერიანი ლანგარი, სურა, იბერიული ჯამები ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით, ასევე ტახისა და ღორის მედალიონით (III ს-ის შუა ხანები). • არაგვისპირის ვერცხლის სურები და პინაკი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით. • ახალი ჟინვალის ვერცხლის ადგილობრივი ნაწარმი, მათ შორის ჯამი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით. • ხოვლეს მდიდრული აკლდამის ვერცხლის ჭურჭელი, მათ შორის ნუშისებური ბურცობებით შემკული ჯამი და ვაზის ფურცლის დეკორიანი თეფში. • ცხინვალის სურა და ლანგარი (დიდი ჯამი). • კვაშხიეთის ვერცხლის თასი. • მაგრანეთის N1 სამარხის ვერცხლის ნუშისებურ ბურცობებიანი და სასანურ (?) მონოგრამიანი ჯამი და სურები. • სარგვეშის სასანური თასი ბაჰრამ II-სა და მისი ცოლ-შვილის პორტრეტებით.

ახ.წ. IV საუკუნის I ნახევარი	- ნიზიბისის ზავის შემდეგ იბერია რომის კონტროლირებადი ტერიტორიაა. - ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 330-იან წლებში. - იბერიის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაღმავლობა გრძელდება.	• ამ პერიოდის ვერცხლის ჭურჭელი თითქმის არ გვხვდება სამარხებში. მხოლოდ მაგრანეთის N1 სამარხის თარიღმა შეიძლება გადაიწიოს IV საუკუნის ადრეულ წლებში.
ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი	- შაპურ II ის მმართველობისას, რომი-ირანის ზავით (363 წ) იბერიის სამეფო სასანური ირანის მმართველობის ქვეშ მოექცა. - 387 (ან 384) წლის ზავით იბერია ირანის კონტროლის ქვეშ დარჩა.	• მოდინახეს სამაროვნის ვერცხლის მომრგვალებულძირიანი ჯამები და სურა
ახ.წ. V ს - VII ს-ის პირველი ნახევარი	- ვახტანგ გორგასლის მეფობა. - 530-იანი წ. ქართლში მეფობის გაუქმება. - ქართლი - ირანის პროვინცია - VI-VII სს-ის მიჯნაზე ფორმალურად ირანის დავქემდებარებაში მყოფი ქართლი დროებით ბიზანტიის მფარველობის ქვეშ გადავიდა.	• VI-VII საუკუნეების სასანური ჯამი ჭერმისხევიდან.

კოლხეთი

რომსა და კოლხეთის პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის არსებული ურთიერთობების კვლევა ერთობ კომპლექსურია, ვინაიდან იბერიასთან შედარებით მწირია როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური აღმოჩენები. კოლხეთის შიდა რაიონებთან შედარებით, უკეთაა შესწავლილი ზღვისპირა ზოლი და აქ არსებული რამდენიმე რომაული ციხე-სიმაგრე (გონიო-აფსაროსი, ციხისძირი, პიტიუნტი), რაც ცალკეული დასკვნების გაკეთების საშუალებას ჩვენს კვლევაშიც გვაძლევს.

გვიანანტიკურ ხანაში მეფის ხელისუფლებას დაქვემდებარებული იბერიის სამეფო ბევრად ძლიერი და ცენტრალიზებული იყო, ფართოდ გაშლილი სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობებით, ვიდრე კოლხეთი. არიანეს ცნობა იმის თაობაზე, რომ კოლხეთის პოლიტიკურ გაერთიანებათა მეფეებს სუვერენული ხელისუფლება რომის იმპერატორებისგან ჰქონიათ მინიჭებული,

გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ეს გაერთიანებები რომის პოლიტკური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიურ მასალაზე დაყრნობით, კოლხეთის შავიზღვისპირა და შიდა რაიონებში რომაული კულტურის გავლენა უფრო ნაკლებად იგრძნობა, ვიდრე იბერიაში. ეს თავისთავად მიგვანიშნებს, რომ კოლხეთს ნაკლებად ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებდათ რომთან. თუმცა, იმპერიაში დროდადრო არსებული პოლიტიკური დესტაბილიზაციებისა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა თავდასხმების ფონზე, რომს კოლხეთში მშვიდობის უზრუნველსაყოფად, რაც თავისთავად იმპერიის ჩრდილო-აღმოსვალეთ საზღვრების დაცვას გულისხმობდა, მხოლოდ აქ განლაგებული რომაული გარნიზონები არ კმაროდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ რომი კოლხეთში ძლიერი მოკავშირის ყოფნით სარგებელს ნახავდა, რაც თავისთავად გულისხმობს დიპლომატიური ურთიერთობების არსებობას. ამ მხრივ საინტერესოა ტაციტუსის ცნობა, რომ რომაელებმა მრისხანე „ბარბაროსული“ ტომების ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ლარნაკები მიართვეს (Taccitus, Annles, V, 31; გამყრელიძე და თოდუა, 2006, გვ. 107).

კოლხეთის ტერიტორიაზე ვერცხლის ჭურჭლის შემცველი მდიდარი არიტოკრატიისა და მეომრების სამარხები აღმოჩენილია ციხისძირში, ურეკში, ხელვაჩაურში, თაგილონში, ბანძასა და პიტიუნტში, თუმცა მასალა სიმდიდრის მხრივ მეტწილად ჩამოუვარდება თანადროულ კომპლექსებს იბერიიდან. აღნიშნულ ძეგლებზე ვერცხლის ჭურჭელი ძირითადად წარმოდგენილია რომაული ტორევტიკის ნიმუშებით და ახ.წ. I-IV საუკუნეებს განეკუთვნება. რ. ფუთურიძეს მიაჩნდა, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ჭურჭლის ნაწილი ანტიკური სამყაროდან, უფრო მეტად კი რომაული პროვინციებიდან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად ხვდებოდა, ხოლო ნაწილი ადგილობრივად მზადდებოდა მათი განსხვავებული ფორმებიდან გამომდინარე (ფუთურიძე, 1959, გვ. 72).

კოლხეთში აღმოჩენილი ტორევტიკის ნიმუშებიდან დიპლომატიური ძღვენის კონტექსტში გააზრებულია ციხისძირისა და ურეკის აღმოჩენები. თუმცა, როგორც

წინა თავებში აღვნიშნეთ, ურეკისა და ციხისძირის კუთვნილების საკითხი ახ.წ. II-III საუკუნეებში ბურუსითაა მოცული. შემოთავაზებულია ვარაუდი, რომ ურეკისა და ციხისძირის ტერიტორია ძიდრიტების განსახლების არეალია, რომელიც ახ.წ. II საუკუნიდან იბერიის მეფის, ფარსმანის ქვეშევრდომები იყვნენ. იბერიის სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიად მიიჩნევდა ურეკს არქეოლოგი ზ. ბრაგვაძე, ხოლო აქ აღმოჩენილ განძს იბერიელი დიდგვაროვნების საკუთრებად (ბრაგვაძე, 2021, გვ. 74). ურეკში მცხოვრები დიდგვაროვნების გარკვეულ კონტაქტებს იბერიასთან აღნიშნავდა ა. აფაქიძეც (აფაქიძე ა., 1947, გვ. 108). ამ ტერიტორიას ფარსმანის ქვეშევრდომების, ძიდრიტების განსახლების არეალად მიიჩნევდა ნ. ლომოურიც (ლომოური, 1968, გვ. 10).

ურეკის განძის ოქროს ნაწარმი და საკმაული ძალზე ემსგავსება კლდეეთისა და არმაზისხევის ნივთებს, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ეს იბერიის სამეფოდან გაგზავნილი ძღვენია დაქვემდებარებული ადგილობრივი მმართველისთვის. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ციხისძირის განძიც, რომელშიც რომის იმპერატორის პორტრეტიანი გემაა წარმოდგენილი (ბრაუნდი, 2014, გვ. 269, სურ. 12). მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მკლევარის მიერ ეს ნივთი კოლხი მმართველისთვის გაგზვანილი საჩუქარია რომიდან, (ბრაუნდი, 2014, გვ. 269), მიმაჩნია, რომ რომის იმპერატორ ლუციუს ვერუსს, ეს გემა ქართლის მეფის კარზე უნდა გაეგზავნა, საიდანაც, შემდგომ შიდა დიპლომატიური გზებით რეგიონული მმართველის (ძიდრიტების მმართველის) საკუთრებაში გადავიდა. ვფიქრობ, ამ ვარაუდს ამყარებს გარემოება, რომ ციხისძირის განძი II საუკუნისაა, როდესაც აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა რომაელთა სტრატეგიული პუნქტი.

თაგილონის განძი, რომი-კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უადრეს კომპლექსად უნდა მივიჩნიოთ. განძში წარმოდგენილი ნივთების დიდი ნაწილი, ვერცხლის ჭურჭელი, ოქროს ირმის თავის ქანდაკება, განძს ახ.წ I საუკუნის მეორე ნახევრითა და ახ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს. თაგილონის მდიდრული ნივთები საზოგადოების წარჩინებული ფენის წარმომადგენლების სამარხეულ ინვენტარი უნდა იყოს. ახ.წ. II საუკუნის დასაწყისში არიანე ამ ადგილებს აფსილების ტერიტორიებად მიიჩნევს. ეს ნივთები, რომელიც

ერთგვარად ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტებითაა წარმოდგენილი (ოქროს ნივთები), ხოლო მეორე მხრივ რომის იმპერიის პროვინციულ ნაწარმს მოიცავს (ვერცხლის ჭურჭელი), მიგვანიშნებს, რომ დაწინაურებულ ფენებს ჰქონდათ წვდომა რომაულ სამყაროში გავრცელებულ ფუფუნების ნივთებზე და ადგილობრივად დამზადებულ ძვირფასეულობაზე.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხაიშის განძი, რომელიც სხვადასხვა პერიოდის ძვირფასი ნივთების ერთობლიობაა და ადრეიმპერიული ხანის რომაულ თასებს შეიცავს, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ახ.წ. I ს-ში კოლხეთის ბარისა და მთის მოსახლეობას შორის არსებული კონტაქტების არქეოლოგიურ ატრიბუციად. ეს განძი კოლხეთის მთიანეთში რომაული კულტურის ინფილტრაციის ერთ-ერთი იშვიათი დასტურია.

კოლხეთის პოლიტიკური ცხოვრებისა და შიდა დიპლმატიური კონტაქტების, ასევე ბარისა და მთის მოსახლეობის ურთიერთობების არქეოლოგიურ სამხილად უნდა ჩავთვალოთ აჩმარდაში აღმოჩენილი ვერცხლის კათხისებური სასმისი. სასმისზე დატანილი ბერძნული წარწერის მიხედვით, ჭურჭელი მეფე პაკორუსის (პაკორი/ბაკური) საჩუქარია მისი ქვეშევრდომისთვის. მსგავს წარწერიანი რომაული წარმომავლობის თასი (დიონისური სცენებით შემკული) აღმოჩნდა გასულ საუკუნეში მაიკოპშიც.[53] სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ორი ჭურჭლის წარწერებში ერთი და იგივე მეფე იხსენიებოდეს, რომელმაც ეს ნივთი თავის ქვეშევრომებს გაუგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ მეფის იდენტიფიკაციაზე, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ლაზიკის მეფე პაკორია (ახ.წ. II ს), რომელსაც სუვერენული ხელისუფლება ანტონინუს პიუსისგან მიუღია (Julius Capitolinus, SHA, IX, 6). ამ მოსაზრებას ამყარებს ისტორიული გარემოება, რომ კოლხეთის შავიზღვისპირეთში არსებული პოლიტიკური გაერთიანებების დამორჩილება და ძლიერი ცენტრალიზებული სამეფოს შექმნა სწორედ ლაზებმა მოახერხეს.

[53] მაიკოპში აღმოჩენილი თასი დიონისური სცენებითაა შემკული და II-III საუკუნეების ნაწარმს წარმოადგენს. უწარწერო, თუმცა მისი მსგავსი დიონისური კომპოზიციებით შემკული თასი აღმოჩნდა პიტიუნტშიც, რომელიც ჩვენ სავაჭერო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად იმპორტირებულად მიგვაჩნია.

შესაბამისად, ეს ვერცხლის თასები ლაზთა მეფის, პაკორუსის/პაკორის ძღვენი უნდა იყოს მისი ქვეშევდომი სანიგებისთვის გაგზავნილი.

ახ.წ. III საუკუნის მიწულიდან, გაძლიერებული ლაზიკის სამეფოს დაქვემდებარებაში ექცეოდა დღევანდელი აფხაზეთი და შესაძლოა, კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე კრასნაია პოლიანას მიმდებარე ტერიტორიები. შუბარაში აღმოჩენილი სასანური ვერცხლის თეფში სამეფო ნადირობის სცენებით (სავარაუდოდ ბაჰრამ IV ?), ასევე, სოხუმის მუზეუმში დაცული, კრასნაია პოლიანას ვერცხლის თეფში ანალოგიური კომპოზიციით (ბაჰრამ II-ის პორტრეტით), მიგვანიშნებს, რომ სასანიდების იმპერიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის გარკვეული კონტაქტები არსებობდა. კარსნაია პოლიანას თეფშს ირანიდან კოლხეთის დიდგვაროვნებისთვის გამოგზავნილ ძღვენად მიიჩნევს დ. ბრაუნდი (Braund, 1994, p. 243). თუმცა, არ შეიძლება გამოირიცხოს ამ ტერიტორიებზე აღნიშნული ჭურჭლის ნიმუშების მოხვედრის ალბათობა ნადავლის ან ნავაჭრის სახით. ამ კონტექსტში, საინტერესოა ცნობები კოლხეთის სანაპირო ზოლში ჩრდილო-კავკასიელთა დამარბეველი შემოსევებისა და აქედან დიდძალი ნადავლით გაბრუნების შესახებ. მაგალითად, პლინიუსის გვამცნობს, რომ ჰენიოხებს გაუძარცვავთ უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი და იხსენიებს შემოსევების გამო დაცარიელებულ დიოსკურიას (Pliny, NH, 6, 15-16; მელიქიშვილი, 1970, გვ. 539). ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მომთაბარე ტომთა დამარბეველ შემოსევებზე კოლხეთის შავიზღვისპირეთში და ძარცვა-გლეჯაზე ცნობები დაცულია სტრაბონთანაც (Strabo, 11, 2. 12). ზოსიმე კი გვაწვდის ცნობებს, თუ რაოდენ დიდი ნაძარცვით გაბრუნდნენ მომთაბარენი პიტიუნტიდან (Zosimus, Historia Nova, I, 28; მელიქიშვილი, 1970, გვ. 553-554).

კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, ისევე როგორც იბერიისა, ვერცხლის ჭურჭლის ნიმუშები სამარხებში IV საუკუნიდან ნელ-ნელა, ბოლოს კი საერთოდ ქრება. შემდეგი პერიოდის ტორევტიკა ქრისტიანული ხანის ძვირფასი ლითონის ჭურჭლითაა წარმოდგენილი.

დასასრულს, ცხრილის სახით გთავაზობთ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შეჯერებასა და შეჯამებას კოლხეთის მაგალითზე.

ცხრილი 7: ვერცხლის ჭურჭელი კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში

თარიღი	ისტორიული კონტექსტი	ვერცხლის ჭურჭელი
ძვ.წ. I - ახ.წ. I სს	- ძვ.წ. 65 წელს იბერიის დალაშქვრის შემდეგ პომპეუსი კოლხეთში გადავიდა. - ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში კოლხეთს პომპეუსის დანიშნული არისტარქე განაგებდა. - ავგუსტუსის მმართველობისას კოლხეთი შედიოდა პონტოს პოლემონის შემადგენლობაში. - ახ.წ. 63 წელს კოლხეთი გალატიის პროვინციის შემადგენლობასი მოექცა. - ახ.წ. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე კოლხეთი 'კაპადოკიის კომპლექსში' შედიოდა, მოგვიანებით კი კაპადოკიის პროვინციის ნაწილი გახდა. - ახ.წ. I საუკუნის მიწურულისთვის კოლხეთის შავიზღვისპირეთში რომმა პირველი გარნიზონები განალაგა. პლინიუსი აფსაროსსა და სებასტოპოლისს იხსენიებს ტერმინით '*Castellum*'.	• ხელვაჩაურის (კაპანდიბი) ვერცხლის თასები. • გონიოს ოქროს ჯამი. • ხაიშის განძის ვერცხლის თასები. • თაგილონის განძის ცალკეული ვერცხლის ჭურჭელი (↓↑).
ახ.წ. II ს	- ახ.წ. 131 წელს ფლავიუს არიანემ განახორციელა კოლხეთის ზღვისპირა ზოლისა და აქ განლაგებული რომაული ციხესიმაგრეების ინსპექცია-აღწერა. - არიანე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოთვლის მოსახლე ტომებს: ძიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასგებს, სანიგებს. ამ პოლიტიკურ გაერთიანებათა მეფეებს სუვერენიტეტი რომის იმპერატორებისგან აქვთ მიღებული. - ახ.წ. II საუკუნის პირველ ნახევარში კოლხეთის ტერიტორიაზე შეჭრილია იბერიის სამეფო, რომლის საზღვრები შავ ზღვამდეა გაფართოებული. - 131 წლისთვის კოლხეთში სამი რომაული ციხესიმაგრე იყო: აფსაროსი, ფაზისი და სებასტოპოლისი. - 135-152 წლების შუალედში უნდა ჩამდგარიყო რომაული გარნიზონი პიტიუნტში. - II საუკუნის მანძილზე რომი კოლხური ციხესიმაგრეების (*Pontus Limes*) დახმარებით ახერხებდა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვას.	• ბანძას ვერცხლის კანელურებიანი, მრგვალძირიანი თასი. • თაგილონის განძის ცალკეული ვერცხლის ჭურჭელი (↓↑). • ციხისძირის განძი (იმ შემთხვევაში თუ განძს არა იბერიის მეფეს, არამედ რომს დაქვემდებარებული მმართველი წრის საკუთრებად მივიჩნევთ).

	- საუკუნის ბოლოს იწყება ლაზთა სამეფოს გაძლიერება.	
ახ.წ. III - IV სს	- ახ.წ. III საუკუნეში რომი ინარჩუნებს კონტროლს კოლხეთზე (უმეტესწილად მის ზღვისპირა ზოლზე). - მიმდინარეობს ლაზიკის/ეგრისის სამეფოს კონსოლიდაცია და შემდგომი გაძლიერება. - III საუკუნის შუა ხანებში, 250-იან წლებში კოლხეთის შავიზღვისპირეთში ორჯერ განხორციელდა გუთების დამარბეველი თავდასხმა. - III საუკუნის მიწურულს, ნიზიბისის ზავით, კოლხეთი რომის მფარველობის ქვეშ მოექცა. რომაულ ციხეებზე იწყება ხელახალი მშენებლობებისა და აღმავლობის კვალი. - IV საუკუნე ლაზიკის სამეფოს ძლიერების ზენიტია. მის შემადგენლობაში ექცევა არგვეთი.	• ურეკის განძი (იმ შემთხვევაში თუ განძს არა იბერიის მეფეს, არამედ რომს დაქვემდებარებული მმართველი წრის საკუთრებად მივიჩნევთ). • ვერცხლის თასი პიტიუნტიდან (ბიჭვინთიდან) • ვერცხლის კათხისებური ჭურჭელი აჩმარდადან. • ვერცხლის თეფში შუბარადან სასანური სამეფო ნადირობის სცენით.
ახ.წ. V-VI სს	- V საუკუნე ლაზთა სამეფოს ძლიერების ზენიტია, თუმცა 470-იანი წლებიდან ნელ-ნელა იწყება მისი დაქვეითება. - VI საუკუნეში ლაზიკის პოლიტიკური ისტორია ძალზე კომპლექსურია. - 542-562 წლებში (ეგრისის დიდი ომი) ბიზანტიისა და სასანური ირანის ბრძოლების ეპიცენტრი ლაზთა სამეფოა.	• -

დასკვნა

საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტების კვლევაში. გარდა ამისა, იბერიიდან და კოლხეთიდან მომდინარე ტორევტიკული მასალა უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს რომაული, პართული, სასანური და ადგილობრივი ტორევტიკის ჩამოყალიბების, განვითარების, ქრონოლოგიისსა და დისტრიბუციის საკითხების შესწავლის ჭრილშიც. გამომდინარე იქიდან, რომ გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის სრული კორპუსის კვლევა 1970-იანი წლების შემდეგ არ განხორციელებულა, ხოლო არსებული ნაშრომების უმრავლესობა მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის კუთხითაა ჩატარებული, შეიძლება ითქვას, რომ სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს არქეოლოგიურ-ისტორიული კუთხით ჩატარებულ პირველ კომლექსური კვლევას.

რაოდენობა და ტოპოგრაფია. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დღეისათვის, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექცია მოცავს 158 ერთეულს, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით 31 არქეოლოგიურ ძეგლზეა აღმოჩენილი. ამ არქეოლოგიური ძეგლებიდან 21 იბერიის სამეფოს ტერიტორიიდან მომდინარეობს, ხოლო 10 - კოლხეთიდან. I-IV საუკუნეებში იბერიის სამეფოს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგური კომპლექსები წარმოდგენილია შემდეგ ლოკაციებზე: არმაზისხევი, ბაგინეთი, სამთავრო, მცხეთა (სვეტიცხოველი), არაგვისპირი, ახალი ჟინვალი, მაგრანეთი, აღაიანი, ხოვლე, ცხინვალი, ზღუდერი, ურბნისი, სარგვეში, ბორი, კლდეეთი, კვაშხიეთი, მოდინახე, გომი, ჭერემი, ავჭალა, თბილისი (დელისი). ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე კი საკვლევი მასალა აღმოჩენილია: ბიჭვინთაში, სოფლებში აჩმადრა, შუბარა, ბანძა, თაგილონი და ხაიში, ციხისძირში (პეტრა), ურეკში, გონიოში (ოქროს ფიალა) და ხელვაჩაურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

როგორც უშუალოდ ვერცხლის ჭურჭლის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსები, ისე საკუთრივ მასალა იბერიის ტერიტორიაზე უფრო მრავლადაა წარმოდგენილი, ვიდრე იტორიულ კოლხეთში. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ახ.წ. I-IV საუკუნეებში იბერიის ცენტრალიზებული სამეფო უფრო აქტიურად იყო ჩართული გარემომცველ სამყაროსთან არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში, ვიდრე კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები, ხოლო მოგვიანებით - ლაზიკის/ეგრისი სამეფო.

აღმოჩენის პირობები. კვლევა გვიჩვენებს, რომ გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი იბერიიდან და კოლხეთიდან, მეტწილად, სამარხეული ძეგლებიდან მომდინარეობს. ეს, თავისთავად, მეტყველებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო ძვირფასი ლითონისგან შექმნილი ჭურჭელი დიდგვაროვანთა დაკრძალვის რიტუალში. ამ პროცესიაში ვერცხლის ჭურჭლის განსზღვრულ როლზე მიგვანიშნებს ცალკეულ ძეგლებზე დაფიქსირებული ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა სურების წყვილად ჩატანება და მათი ვერტიკალურ მდგომარეობაში განთავსება თავის არეალში (არმაზისხევი, არაგვისპირი, მაგრანეთი); ვერცხლის ფიალებზე თავის დასვენება (ზღუდერი, ახალი ჟინვალი, მოდინახე); მეორადი დაკრძალვის დროს ძვლების დალაგება ლანგარზე (არმაზისხევი). ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ვერცხლის ჭურჭლის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა დადასტურებული ურბნისის ნაქალაქარზე, ხოლო რამდენიმე კომპლექსი (ხაიში, გონიო, გომი, ჭერმისხევი) შემთხვევით აღმოჩენად ან განძებადაა ინტერპრეტირებული.

ქრონოლოგია. არქეოლოგიური ძეგლებისა და უშუალოდ ვერცხლის ჭურჭლის კომპლექსური კვლევის საფუძველზე განისაზღვრა ქრონოლოგიური ნიუანსებიც. უადრესი კომპლექსები განეკუთვნება ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებს, კავკასიაში რომაელთა გამოჩენის პერიოდს, რასაც თან ახლდა რომთან სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური კონტაქტების ჩასახვა და გაძლიერება. II-III საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა მასალის უმეტესობა და უკავშირდება იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანას. აქედან II საუკუნე

გამოიხატება რომთან გაძლიერებული ვაჭრობითა და ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობებით, რის შედეგადაც ფიქსირდება რომაული იმპორტის მოჭარბება. III საუკუნიდან კი შეინიშნება ადგილობრივი ვერცხლის ჭურჭლის წარმოების ზრდაც, რომელიც საუკუნის მეორე ნახევრიდან რაოდენობრივად აჭარბებს კიდეც იმპორტს. IV საუკუნის ქრონოლოგიურ ჯგუფში მასალის მხოლოდ რამდენიმე ერთეულიღა ექცევა, რაც ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური ფაქტორებით უნდა აიხსნას. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან - VI საუკუნის მიწურულამდე ერთგვარი ლაკუნა შეინიშნება და ვერცხლის ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიიდან სრულიად ქრება. ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელ, VI-VII საუკუნეების მიჯნის ჯგუფში მხოლოდ ერთი, გვიანსასანური თასია წარმოდგენილი.

კულტურული ატრიბუცია. კულტურული ატრიბუციის მიხედვით ვერცხლის ჭურჭელი რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1. რომაული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები (რომისა და მისი პროვინციების ნაწარმი); 2. პართული ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები; 3. სასანური ტორევტიკის იმპორტული ნიმუშები; 4. ადგილობრივი ნაწარმი, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფს მოიცავს: ა) რომაული ტორევტიკის გავლენით შექმნილი ნაწარმი; ბ) აქემენიდურ-პართულ-სასანური ტორევტიკის გავლენით შექმნილი ნაწარმი გ) ჭურჭელი, რომელიც აერთიანებს იბერიული, ირანული, რომაული და ალანო-სარმატული კულტურების სხვადასხვა ელემენტებს. გარდა ამ ოთხი ძირითადი ჯგუფისა, კიდევ ერთ, დამატებით ჯგუფში სახელწოდებით „გაურკვეველია“, ვაერთიანებთ ყველა იმ ჭურჭელს, რომლის წარმომავლობის დადგენაც კვლევის ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

ჩამოთვლილი ჯგუფებიდან რაოდენობით მოწინავეა რომაული იმპორტი, რომელიც 84 ერთეულითაა წარმოდგენილი და მასალის სრული რაოდენობის 53%-ს მოიცავს. რომაული იმპორტი იმპერიის სხვადასხვა პროვინციის ნაწარმია, რომელთაგან უადრესი ძვ.წ. I -ახ.წ. I საუკუნეებს განეკუთვნება (ხელვაჩაური, ხაიშის, აღაიანის მასალა), ხოლო ყველაზე გვიანდელი - III საუკუნით თარიღდება (არმაზისხევის, არაგვისპირის, ურეკის იმპორტი). რომაული ნაწარმის რაოდენობრივი დომინირება მიგვანიშნებს იბერია-კოლხეთის მჭიდრო სავაჭრო-

ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე რომის იმპერიასთან ახ.წ. I-III საუკუნეებში.

რაოდნეობრივად მეორე ადგილზეა „ადგილობრივი“ ნაწარმი, რომელიც საერთო რაოდენობის 28%-ს შეადგენს და სულ 44 ერთეულითაა წარმოდგენილი. ახ.წ. II ს-ის კომპლექსებში რომაული იმპორტი ბევრად მეტია, ვიდრე ადგილობრივი ნაწარმი, ხოლო ახ.წ. III საუკუნიდან შეინიშნება ადგილობრივი ვერცხლეულის დომინირება. ეს მიგვანიშნებს ახ.წ. III საუკუნეში ადგილობრივი წარმოების დაწინაურებაზე და, ამასთანავე, რომაული იმპორტის შემცირებაზე.

რიცხობრივად სიდიდით მესამე ჯგუფია „გაურკვეველია“-ს სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული მასალა, რომელშიც 23 ეგზემპლარია წარმოდგენილი და სრული რაოდენობის 15%-ს შეადგენს. ამ ჯგუფში შემავალი ჭურჭლის კულტურული ატრიბუციის განსაზღვრა კვლევის ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მათი ფრაგმენტულობის, დაზიანების ხარისხისა და სათანადო კვლევების (მაგ. ნედლეულის ქიმიური კვლევები, დეტალური მხატვრულ-სტილისტური ანალიზი) დეფიციტის გამო. სამომავლოდ, ამ ჯგუფში შემავალი ჭურჭლის სათანადო შესწავლა საფუძველს მოგვცემს, დავაზუსტოთ მათი წარმომავლობა.

კულტურული ატრიბუციის მიხედვით, რაოდენობრივად ყველაზე მცირე ჯგუფებია პართული და სასანური ტორევტიკის ნიმუშები. პართული ვერცხლის ჭურჭელი სულ 3 ნიმუშითაა წარმოდგენილი და საკვლევის მასალის 2%-ს შეადგენს, ხოლო სასანური - 4 ნიმუშით და სრული რაოდენობის ასევე 2%-ია. პართული ნაწარმი ახ.წ. I საუკუნეში უნდა იყოს ქართლში მოხვედრილი, ხოლო სასანური იმპორტი ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება იბერიისა და კოლხეთის ტერიტორიაზე.

სოციალური ატრიბუცია. ცალკეული ნიმუშებისა (განსაკუთრებით, წარწერებითა და პორტრეტებით შემკული ცალების) და მათი არქეოლოგიური კომპელქსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გვიანანტიკური ხანაში ვერცხლის ჭურჭელს, ძირითადად, ქვეყნის უმაღლესი მმართველები (მეფეები, პიტიახშები, ერისთავები) და წარჩინებული ფენის წარმომადგენლები (დიდგვაროვნები, სამეფო კართან დაალხოებული პირები, სამხედრო მოხელეები, რეგიონული მმართველები)

ფლობდნენ და მოიხმარდნენ. ეს იმის დასტურია, რომ იბერიისა და კოლხეთის სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები, ფეხს უწყობდნენ გარემომცველ იმპერიებში (პართიაში, რომში, სასანურ ირანში) დამკვიდრებულ ტრადიციებსა და მოდურ ტენდენციებს. ვერცხლის ჭურჭელი მათი სოციალური სტატუსის, სიმდიდრისა და პრივილეგიების ინდიკატორი უნდა ყოფილიყო, რაც ბაზარზე და ადგილობრივ წარმოებაში მასზე არსებულ მოთხოვნას განაპირობებდა. წარჩინებული წრის წარმომადგენლები, სავარაუდოდ, ვერცხლით გაწყობილ სუფრაზე ნადიმობდნენ, როგორც ეს რომისა და ირანის დიდებულთა კარზე ხდებოდა; ძვირფას ჭურჭელს მოიხმარდნენ რელიგიურ რიტუალებშიც, ხოლო საჭიროების დროს სამარხებში ატანდნენ თანმდევი დაკრძალვის რიტუალის ფრაგლებში. ცხადია, მიმოქცევასა და ყოფა-ცხოვრებაში არსებული მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი აღმოჩნდებოდა სამარხებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ I-III საუკუნეების ტორევტიკული მასალის დიდი ნაწილი IV საუკუნისა და შემდგომი პერიოდის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს შეეწირა.

იბერია-კოლხეთის საერთაშორისო ურთიერთობების ატრიბუტი. ისტორიულ პირთა პორტრეტებითა და მათი სახელების შემცველი წარწერებით შემკული ნიმუშების კვლევა გვიჩვენებს, რომ ვერცხლის ჭურჭელს უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა, როგორც საგარეო, ისა ქვეყნის შიდა დიპლომატიურ ურთიერთობებში. იბერიასა და კოლხეთში ვერცხლის ჭურჭელი, სხვა საჩუქრებთან ერთად (მაგ. საიმპერატორო გემები და აურეუსები) იგზავნებოდა რომის იმპერატორთა მხრიდან, რაც წერილობით წყაროებშიც არის ასახული. რომაული და სასანური სამეფო ძღვენის აღმოჩენის შემთხვევები სამეფო კარის მიღმა, იბერიისა და კოლხეთის სხვადასხვა რეგიონებში (სარგვეშში, ზღუდერში, კლდეეთში, ციხისძირში, შუბარაში) მეტყველებს, რომ იბერიელი და ლაზი მმართველები, მსგავსად რომაელი იმპერატორებისა და ირანის შაჰებისა, საჩუქრების დარიგების მსგავს პრაქტიკას იყენებდნენ თავის ქვეშევრდომებთან მიმართებაშიც. აღნიშნული შემთხვევები ზოგჯერ წარწერებითაა დამოწმებული (მაგალითად, არმაზისხევისა და ზღუდერის ლანგრები, პაკორუს მეფის თასები).

რომაული, პართული და სასანური ვერცხლის ჭურჭელი იბერია-კოლხეთის ტერიტორიაზე როგორც დიპლომატიური, ისე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გზითაა მოხვედრილი. ახ.წ. I-III საუკუნეებში, კავკასიის რთულ გეოპოლიტიკურ პროცესებში იბერიისა და კოლხეთის შავიზღვისპირეთის განსაკუთრებული როლი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა და განსაზღვრავდა ანტიკური საქართველოს ჩართულობას საერთაშორისო ვაჭრობაში. კავკასიაზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალები, რომლებიც აბრეშუმის გზის განშტოებებს წარმოადგენდა, უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენდა ანტიკური სამყაროს საერთაშორისო ვაჭრობის რთულ ქსელში. ყოველივე ეს ნათლადაა ასახული იბერია-კოლხეთის მატერიალურ კულტურაში და მათ შორის ჩვენს საკვლევ მასალაში - ვერხლის ჭურჭელში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან არსად არ არის აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ტორევტიკული მასალის ისეთი მრავალრიცხოვანი კოლექცია, როგორიც საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იბერია-კოლხეთის მნიშვნელობას კავკასიის გეოპოლიტიკურ პროცესებსა და რომი-ირანის საგარეო პოლიტიკაში. ამ მხრივ განასკუთრებით თვალში საცემია NN6 და 7 ცხრილების ანალიზის შედეგები - ტორვეტიკული მასალის ინტენსიური შემოდინება სრულიად ემთხვევა კოლხეთისა და იბერიის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების გააქტიურების ფაზებს, განურჩევლად იმისა, იყო ეს ვასალური დამოკიდებულება თუ პარტნიორული ურთიერთობა.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის სამომავლო კვლევების მნიშვნელობა და აუცილებლობა, ვინაიდან მასალის ეს ჯგუფი წარმოადგენს პირველწყაროს როგორც რეგიონის გეოპოლოტიკური პროცესების, ისე რომაული, პართული, სასანური, იბერიული და კოლხური ტორევტიკის დარგობრივი განვითარების კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბდალაძე, ა. (1984). *მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

აბრამიშვილი, მ. (2021). რომი და თბილისი. *National Geographic საქართველო, აგვისტო (2021).*

ამირანაშვილი, შ. (1944). *ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ამირანაშვილი, შ. (1958). არმაზისხევის გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი. *თბილისი - 1500: საიუბილეო კრებული.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი. 85-93.

აფაქიძე, ა. (1944). ახალი არქეოლოგიური მასალა სოფ. ბორიდან. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B*, 441-548.

აფაქიძე, ა. (1947). გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 14-B*, 89-111.

აფაქიძე, ა. (1963). *ქალაქები და საქალაქო ცხოვება ძველ საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

აფაქიძე, ა. (რედ) (1978). *დიდი პიტიუნტი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, III.* თბილისი: მეცნიერება.

აფაქიძე, ა., ნიკოლაიშვილი, ვ. (1996). მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ III საუკუნისა - აკლდამა 905. *მცხეთა XI*, 5-80.

აფაქიძე, ა., გობეჯიშვილი, გ., კალანდაძე, ა., ლომთათიძე, გ. (1955). *მცხეთა I. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით.* თბილისი: მეცნიერება.

აფაქიძე, ა., ყიფიანი, გ., ნიკოლაიშვილი, ვ., მანჯგალაძე, გ., კაპანაძე, მ. (2003). სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, მცხეთა 2001. *VI სამეცნიერო სესია, 2001 და 2002 წლების საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ანგარიშები.* თბილისი: მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი. გვ. 81-123.

აფაქიძე, გ. (1973). ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი. *ძეგლის მეგობარი N33*, 59-65.

ბახტაძე, მ. (2003). *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში.* თბილისი: არტანუჯი.

ბოხოჩაძე, ა. (1981). *არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები I.* თბილისი: მეცნიერება.

ბრაგვაძე, ზ. (2021). *კოლხეთი და იბერია, არქეოლოგიური ძიებანი.* თბილისი: არტანუჯი.

ბრაგვაძე, ზ., ჩიგოგიძე, ქ. (2002). მოდინახეს სამაროვანი. *არქეოლოგიური ჟურნალი, 2*, 91-108.

ბრაუნდი, დ. (2014). *საქართველო ანტიკურ ხანაში, კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია ძვ.წ 550 - ახ.წ 562.* ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბრაუნდი, დ., ჯავახიშვილი, ქ., ნემსაძე, გ. (2009). *საგანძური ზღუდერიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ 200-250.* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

გაგოშიძე, ი. (1979). თაგილონის განძი. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (რედ. ი. აბაშიძე.* თბილისი. 558.

გაგოშიძე, ი. (2007). ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები. ქ.წ. I საუკუნეში. *იბერია-კოლხეთი: საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, N3*, 20-32.

გაგოშიძე, ი. (2012). აქემენიდური და აქემენიდური მსგავსი ვერცხლის ჭურჭელი. *ონლაინ არქეოლოგია N3*, 20-47.

გაგოშიძე, ი. (2020). *ტახტიძირის სამაროვნები.* თბილისი: შპს სეზანი.

გაგოშიძე, ი., გაგოშიძე, გ. (2014). ვერცხლის თასი ჭერმისხევიდან. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, N5 (50-B)*, 341-350.

გაგოშიძე, ი., მარგიშვილი, ს. (2013). მეფე ფლავიუს დადის ვინაობისთვის. *ონლაინ არქეოლოგია N4*, 14-59.

გამყრელიძე, გ., & თოდუა, თ. (2006). *რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში.* თბილისი: საუნივერსიტეტო გამოცემა.

გიგოლიშვილი, ე. (2005). ვერცხლის ჭურჭელი საირხედან. *იბერია-კოლხეთი N2*, 57-64.

გობეჯიშვილი, გ. (1952). ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III*, 183-190.

გობეჯიშვილი, გ. (1966). ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რაჭაში. *ძეგლის მეგობარი. N6*, 16-20.

დვალი, თ. (1977). ვერცხლის მეტალურგიის ისტორიიდან. *სამუზეუმო ექსპონატთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია, II* (რედ. რ. ბახტაძე). თბილისი: მეცნიერება. 62-72.

დიღმელაშვილი, ქ. (2022). სამეფო რანგის სამარხები მცხეთიდან სამეფო განსასვენებელთა პრობლემატიკის ჭრილში. *ქრონოსი, N3*, 216-229.

დუნდუა, გ., დუნდუა, თ. (2006). *ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი.* თბილისი: არტანუჯი.

დუნდუა, თ. (2017). *საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები.* თბილისი: მერიდიანი.

დუნდუა, თ., ჩიქობავა, ა. (2013). *დასავლეთ საქართველოს ჰეგემონი ლაზთა მეფე პაკორი.* თბილისი: მერიდიანი.

ვინოგრადოვ, ა. ი. (2013). ბაკურ მეფის თასი - კავკასიის ადრეული ისტორიის ახალი წყარო. *ინტერდისციპლინარული არქეოლოგია N2*, 60-67.

თავაძე, ფ., მესხია, შ., ბარქაია, ვ. (1954). *ფოთლოვანი ლითონები ჩარხზე დამუშავება ძველ საქართველოში.* თბილისი: ტექნიკა და შრომა.

ინაიშვილი, ნ. (1993). *ციხისძირის ახ.წ I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი: მეცნიერება.

ინანიშვილი, გ. (2007). ლითონდამუშავება ანტიკური პერიოდის საქართველოში. *იბერია-კოლხეთი N3*, 50-56.

ინანიშვილი, გ. (2014). *ქართული მეტალურგიის სათავეებთან.* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

კალანდაძე, ნ., ქებულაძე, ნ. (2020). ტახტიძირში აღმოჩენილი ლითონის ნივთების ტექნიკური კვლევა. *ტახტიძირის სამაროვნები (ი. გაგოშიძე).* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. 302-308.

კახიძე, ა., შალიკაძე, თ., ფარტენაძე, თ. (2015). *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური, კატალოგი.* ბათუმი: შპს კოლორპაკი.

კეჭაყმაძე, ნ. (1961). *ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები და რუკა.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კვირკვაია, რ., ბუაძე, შ. (2024). არქეოლოგიური ოლექცია სოფ. ბორიდან. კრებულში *იბერია-კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები* (გვ. 105-111). თბილისი: მწიგნობარი.

კვირკვაია, რ., დავლიანიძე, რ., ჩხარტიშვილი, ნ. (2016). არქეოლოგიური კოლექციები სოფ. ბორიდან. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VII (52-B)*, 31-55.

კვიციანი, ზ. (1997). *დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლიჩელი, ვ. (2018). კავკასიის არქეოლოგია - ამიერკავკასია ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VIახ.წ. IV საუკუნეებში). *კავკასიის არქეოლოგია. ენციკლოპედია. ტ. III*, რედ. რ. გორდეზიანი, მ. დანელია, გ. უგულავა, (გვ. 26-163). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. ლოგოსი.

ლიჩელი, ვ. (2021). *საუბრები არქეოლოგიაზე.* თბილისი: კლიო.

ლომთათიძე, გ. (1957). *კლდეეთის სამაროვანი, ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ლომთათიძე, გ., ციციშვილი, ი. (1951). ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.12. N10*, 641-648.

ლომოური, ნ. (1958). ძველი საქართველოს სავაჭრო გზის საკითხისთვის. *ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი IV*, გვ. 99-117.

ლომოური, ნ. (1966). *დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XVII, დიონ კასიოსი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ლომოური, ნ. (1968). *ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ.წ. V საუკუნის ბოლომდე).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლომოური, ნ. (1975). *ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან (III საუკუნეში და IV ს. დასაწყისში).* თბილისი: ს. ჯამაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. მეცნიერება.

ლორთქიფანიძე, მ. (1958). *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II. არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ლორთქიფანიძე, ო. (1966). *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ისტორიისთვის ძვ.წ. VI-II სს-ში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლორთქიფანიძე, ო. (1968). *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი ძვ.წ III საუკუნიდან ახ.წ III-IV საუკუნემდე,.* თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი.

ლორთქიფანიძე, ო. (1983). *ვანი VII, არქეოლოგიური გათხრები.* თბილისი: მეცნიერება.

ლორთქიფანიძე, ო. (1986). *ვანი VIII, არქეოლოგიური გათხრები.* თბილისი: მეცნიერება.

ლორთქიფანიძე, ო. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლორთქიფანიძე, ო. (2010). *ძველი საქართველო სტრაბონის გეოგრაფიაში (კოლხეთი და იბერია). ახალი კომენტარები.* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ლორთქიფანიძე, ო., მიქელაძე, თ., ხახუტაიშვილი, დ. (1980). *გონიოს განძი.* თბილისი: მეცნიერება.

მათიაშვილი, ნ. (1977). ლითონის ჭურჭელი. კრებულში *ვანი III, არქეოლოგიური გათხრები, რედ. ო. ლორთქიფანიძე,* (გვ. 101-114). თბილისი: მენციერება.

მაკალათია, ს. (1927). ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. *საქართველოს მუზეუმის მოამბე N3*, 175-194.

მაკალათია, ს. (1928). საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისთვის. *საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, 1927*, 161-188.

მაჩაბელი, კ. (1969). ვერცხლის სურები არმაზიდან. *ძეგლის მეგობარი, N17*, 3-6.

მაჩაბელი, კ. (1972). ვერცხლის ლანგარი ურეკიდან. *ძეგლის მეგობარი, N29*, 11-16.

მაჩაბელი, კ. (1975). ვერცხლის ჭურჭლის ფრაგმენტები ურეკიდან. *ძეგლის მეგობარი, N38*, 37-40.

მაჩაბელი, კ. (1976). მელითონეობის ხელოვნება ძველ საქართველოში. *საბჭოთა ხელოვნება, N3*, 81-88.

მაჩაბელი, კ. (1979). სასანური სურა სვანეთიდან. *ქართული ხელოვნება - Ars Georgica, N8*, 165-173.

მაჩაბელი, კ. (1982). *სვანეთის საგანძურიდან.* თბილისი: მეცნიერება.

მაჩაბელი, კ. (1983). *ძველი საქართველოს ვერცხლი.* თბილისი: ხელოვნება.

მელიქიშვილი, გ. (1970). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი I. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მელიქიშვილი, გ. (1973). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი II. საქართველო IV-X საუკუნეებში.* თბილისი.

მირიანაშვილი, ნ. (1983). *შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები). ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები II.* თბილისი: მეცნიერება.

მშვილდაძე, მ. (2017). ულპიას საბეჭდავი ბეჭდის შესწავლის საკითხისთვის. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII*, 53-61.

ნადირაძე, ჯ. (1975). *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ნემსაძე, გ. (1969). ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები 1965-1967*, 45-56.

ნემსაძე, გ. (1979). ავჭალის ვერცხლის თასი. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 34-B*, 55-63.

ნიკოლაიშვილი, ვ. (2011). *არმაზციხე - ქართლის სამეფოს რეზიდენცია.* თბილისი.

რამიშვილი, რ. (1979). *ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები III.* თბილისი: მეცნიერება.

რამიშვილი, რ. (1983). *ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ განათხარის მიხედვით, ჟინვალი I.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რამიშვილი, რ. (2018). *ქართლის სამეფო ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით).* თბილისი: მწიგნობარი.

რამიშვილი, რ., წითლანაძე, ლ., ჯორბენაძე, ბ., წერეთელი, ლ., გვასალია, ჯ., არჩვაძე, თ., . . . კალანდაძე, ზ. (1972). ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები. *არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს*, 43-50.

რამიშვილი, ქ. (1979). *სასანური გემები საქართველოში.* თბილისი: მეცნიერება.

რამიშვილი, ქ. (1999). ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე. *ძიებანი N3*, 71-75.

ფიფია, ნ., დუნდუა, თ. (2023). მეფე პაკორუსის/პაკორის წარწერები. ნ. ფიფია, ე. კობახიძე, თ. დუდნუა, *ანტიკური ხანის ბერძნულ-ლატინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო* (გვ. 170-177). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

ფიფია, ნ., კობახიძე, ე., დუნდუა, თ. (2023). *ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო.* თბილისი: სამშობლო.

ფოფორიძე, ნ., კალანდაძე, ნ. (2007). ვანში აღმოჩენილ ვერცხლის ნაკეთობათა ქიმიური შედგენილობა. *იბერია-კოლხეთი, 3*, 81-86.

ფუთურიძე, რ. (1959). გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II (რედ. ა. აფაქიძე)*, 54-94.

ფუთურიძე, რ. (1975). ბიჭვინთის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. კრებულში *დიდი პიტიუნტი ტ. I, რედ. ა. აფაქიძე,* (გვ. 127-160). თბილისი: მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი, თ. (1975). *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები.* თბილისი.

ყაუხჩიშვილი, თ. (2000). *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. ტ. II. აღმოსავლეთ საქართველო.* თბილისი: ლოგოსი.

ყაუხჩიშვილი, ს. (1936). *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

ყაუხჩიშვილი, ს. (1955). *ქართლის ცხოვრება - ტომი I - ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.* თბილისი.

ყაუხჩიშვილი, ს. (1965). *გეორგიკა ტ. II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, (მეორე შევსებული გამოცემა).* თბილისი: მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი, ს., გამყრელიძე, ა. (1961). *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ.I.* თბილისი: მეცნიერებათა აკადემია.

შატბერაშვილი, ვ. (2007). მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. *იბერია-კოლხეთი N3*, 87-96.

შეროზია, მ. (2015). რომაული აურეუსები და მათი მინაბაძები იბერიის ფულად მიმოქცევაში. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VI (51-B)*, 38-61.

შეროზია, მ. (2025). რომაული საიმპერატორო მონეტების სამკაულად გამოყენების შესახებ. *იბერია-კოლხეთი N19*, 130-139.

ჩართოლანი, მ. (1962). სვანური სევადი (ლგჰელვე) და მისი ადგილი ქართულ ოქრომჭედლობაში. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 23-B*, 139-154.

ჩოლოგაური, ლ. (2016). *დიონისეს გამოსახულებები ელინისტური ხანის ამიერკავკასიაში (სამაგისტრო ნაშრომი).* თბილისი.

ჩოლოგაური, ლ. (2024ა). გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭელი იბერიიდან და კოლხეთიდან: ტოპოგრაფია და სოციალური ატრიბუცია. კრებულში *იბერია-*

კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები (რედ. გ. ნარიმანიშვილი) (გვ. 202-211; სურ. 21.1-21.8). თბილისი: მწინობარი.

ჩოლოგაური, ლ. (2024ბ). ვერცხლის სურები იბერიის დიდგვაროვანთა სამარხებიდან (ახ.წ. I-IV სს). *იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, N18*, 75-94.

ჩოლოგაური, ლ. (2025). ვერცხლის ჭურჭლის როლი და მნიშვნელობა ძველ იბერიასა და კოლხეთში (ახ.წ. I-IV სს). *სპეკალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, N19.*

ცქიტიშვილი, გ. (1964). ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II*, 71-106.

წერეთელი, გ. (1948). არმაზის სასანური წარწერა. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგ. მეცნიერებათა განყოფილების 28-ე სესიი ნაბეჭდი თეზისები.* თბილისი.

წერეთელი, გ. (1958). *მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

წერეთელი, კ. (1987). არამეული დამწერლობით შესრულებული ახალი წარწერა მცხეთა-სამთავროდან. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე N3*, 155-178.

წოწელია, მ. (1979). სასანური სინი კრასნაია პოლიანადან. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 34-B*, 79-86.

ჭილაშვილი, ლ. (1964). *ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჭილაშვილი, ლ. (2004). *ვენახი, ღვინო და ქართველები.* თბილისი: პეტიტი.

ჭიჭინაძე, ბ. (2025). შარაგას პიტიახშის არამეოგრაფიული წარწერა (შესწორებული წაკითხვა, ტოპონიმების იდენტიფიკაცია და კომენტარები). *იბერია-კოლხეთი N19*, 174-192.

ხოშტარია, ნ. (1962). *ციხისძირი (ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში).* თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი.

ჯავახიშვილი, ა. (1958). ხაიშის განძი. *მნათობი N3*, 148-158.

ჯავახიშვილი, ი. (1928). *ქართველი ერის ისტორია, ტ. I.* ტფილისი: სილოვან თავართქილაძე.

ჯავახიშვილი, ქ. (2015). საქართველოს გლიპტიკური ძეგლები. *იბერია-კოლხეთი N11*, 5-36.

Abramishvili, M., Bolkvadze, G., Gagoshidze, I., Nemsadze, G., & Kadagishvili, T. (2008). Roman Aristocracy in Tbilisi? *Archaeology in Sauthers Caucasus: Perspectives from Georgia. Edited by Antonio Sagona and Mikheil Abramishvili. Ancient Near Eastern Studies, supplement 19*, 441- 448.

Avisseau-Broustet, M., & Colonna, C. (2017). *Le luxe dans l'Antiquité. Trésors de la Bibliothèque nationale de France.* Musée départemental Arles antique: Éditions Snoeck.

Avisseau-Broustet, M., & Colonna, C. (2017). Le trésor de Berthouville, une Découverte "Inattendue Autant Que Merveilleuse". In M. Avisseau-Broustet, & C. Colonna, *Le luxe dans l'Antiquité : trésors de la Bibliothèque nationale de France* (pp. 28-55). Arles: Snoeck Publishers.

Baratte, F. (2013). Silver Plate in Late Antiquity. In F. Hunter, & K. Painter, *Late Roman Silver* (pp. 57-73). Edinburgh: Society of Antiquaries of Scotland.

Baratte, F., & Painter, K. (1989). *Tresors D'orfevrerie Gallo-Romains.* Paris: Ministere de la Culture, de la Communication, des Grands Travaux es du Bicentenaire & Editions de la Reunion des musees nationaux.

Baratte, F., Depassiot, M.-C., Helly, B., Langlet, V., & Bot-Helly, A. L. (1990). *Le trésor de la place Camille-Jouffray à Vienne, Isère : un dépôt d'argenterie et son contexte archéologique.* Paris: Éd. du Centre national de la recherche scientifique .

Braund, D. (1993). King Flavius Dades. *Zeitshrift fÜr Papirologie und Epigraphik, Band 96*, 46-50.

Braund, D. (1994). *Georgia in Antiquity, A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC – AD 562.* Oxford: Clarendon Press.

Canepa, M. (2009). *The Two Eyes of the Earth, Art and Ritual of Kingship between Rome and Sasanian Iran.* University of Californian Press.

Canepa, M. (2021). The Getty Stag Rhyton and Parthian Aristocratic Culture: New Epigraphic and Technical Discoveries. *Getty Research Journal, vol. 13*, 1-30.

Canepa, M. (2022). Parthian Silver. In J. Spier, T. Potts, & C. S., *Persia: Iran and the Classical World* (pp. 215-222). Los Angeles: The J. Paul Getty Museum.

Chilashvili, L. (1999). Bowl. In O. Z. Soltes, *National Treasures of Georgia* (p. 201). London: Philip Wilson Publishers.

Chologauri, L. (2024). Late Antique Silverware from Iberia and Colchis: Geographocal Context and Social Attribution. In *Issues in the Archaeology of Iberia-Colchis* (pp. 202-211; Figs: 21.1-21.8). Tbilisi: Mtsignobari.

Chologauri, L. (2024). Two Silver Bowls from Georgia. Persistence of the Achaemenid Traditions in Late Antique Iberian Silverwork. *Sasanian Studies, vol. 3, 3*, 43-65.

Coert, J., & Schmitt, T. (2019). Wer war Fl. Dades? Überlegungen zum Verständnis einer Inschrift aus dem kaukasischen Iberien. *ADVANCES IN ANCIENT BLACK SEA STUDIES: Historiography, Archaeology and Religion*, 347-390.

Craddock, P. (2014). Production of Silver across the Ancient World. *ISIJ International, Vol. 54 (2014), No. 5*, 1085–1092.

Curtis, J. E. (2001). *Mesopotamia and Iran in the Parthian and Sasanian Periods: Rejection and Revival c. 238 BC - AD 642.* London: The British Museum.

Dági, M., & Mráv, Z. (2020). *The Seuso Treasure. The Splendour of Pannonia.* Budapest: Hungarian National Museum.

Daryaee, T. (2013). *Sasanian Persia, The Rise and Fall of an Empire.* I.B. TAURIS. London & New York.

Dodgeon, M. H., & Lieu, S. N. (1991). *The Roman Eastern Frontier and the Persian Wars, A documentary History.* London and New York: Routledge.

Drexel, F. (1909). Alexandrinische Silbergefasse der Kaiserzeit. *Bonner Jahrbücher : Jahrbücher des Vereins von Altertumsfreunden im Rheinlande*, 176-235.

Dundua, T. (2002). Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship - a Pattern for Europe in Future? *Caucasica, vol. 5*, 57-62.

Fauduet, I. (2017). Le Sanctuaire de Berthouville et Son Trésor Dans Le Contexte De La Gaule Romaine. In M. Avisseau-Broustet, & C. Colonna, *Le luxe dans l'Antiquité : trésors de la Bibliothèque nationale de France* (pp. 74-87). Arles: Snoeck Publishers.

Gaffron, P., Hans-Hoyer, & Mielsch, H. (1997). *Das Haus Lacht vor Silber. Die Prunkplatte von Bizerta und das Romische Tafelgeschiirr.* Bonn: Rheinland-Verlag.

Gagoshidze, I. (1996). The Achaemenid Influence in Iberia. *Boreas, 19*, 125-136.

Gagoshidze, I. (2008). Kartli in the Hellenistic and Roman Times. General Aspects. In A. I. Furtwangler, I. Gagoshidze, H. Lohr, N. Ludwig, A. Furtwängler, I. Gagoshidze, & H. L. Löhr (Eds.), *Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia / Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes B.13* (pp. 1-40). Langenweißbach: Beier & Beran.

Gamkrelidze, G. (2009). Two Silver Rhytons from West Georgia - Colchis (Mtisdziri and Gomi). *Iberia-Colchis, 5*, 204-214.

Gamkrelidze, G. (2014). *Archaeology of the Roman Period of Georgia (Iberia-Colchis), Essay & Catalog.* Tbilisi: Center of Archaeology, Georgian National Museum.

Grabar, O. (1967). *An introduction to the Art of Sasanian Silver. Sasanian Silver Late Antique and Early Medieval Arts of Luxury from Iran.* The university of Michigan Museum of Arts.

Greatrex, G. (2022). *Procopius of Caesarea: The Persian Wars. Translation, with Introduction and Notes.* Cambridge: Cambridge University Press.

Guggisberg, M. A. (2003). *Der spätrömische Silberschatz von Kaiseraugst - Die neuen Funde. Forschungen in Augst, band 34.* Augst: Römermuseum Augst.

Guggisberg, M. A. (2013). Silver and Donatives: non-coin exchange within and outside the Roman empire. In F. Hunter, & K. Painter, *Late Roman Silver* (pp. 193-212). Edinburgh: Society of Antiquaries of Scotland.

Gyselen, R. (2016). The Parthian Language in Early Sasanian Times. *The Parthian and Early Sasanian Empires: Adaptation and Expansion (edited by V.S. Curtis, E.J. Pendleton, M. Alram & T. Daryaee)* (pp. 61-68). The United Kingdom: Oxbow Books.

Gyselen, R. (2017). Sasanian seals: Owners and reusers. *Engraved gems: From antiquity to the present (Papers on Archaeology of the Leiden Museum of Antiquities 14), edited by Ben van den Bercken & Vivian Baan*, 85–92.

Hallier, U. W. (1972). Fort, Atashgah und Chahar Taq von Nakhlak. Überreste einer sasanidischen Bergbausiedlung. *Archäologische Mitteilungen aus Iran, 5*, 285-307.

Hans-Hoyer von Prittwitz und Gaffron und Mielsch, H. (1997). *Das Haus Lacht vor Silber. Die Prunkplatte von Bizerta und das Romische Tafelgeschirr.* Bonn.

Harper, P. O. (2000). Sasanian Silver Vessels: The Formation and Study of Early Museum Collections. In J. Curtis, & J. Curtis (Ed.), *Mesopotamia and Iran in the Parthian and Sasanian Periods. Rejection and Revival c.238 BC- AD 642, J.* (pp. 46-56). London: The British Museum Press.

Harper, P. O. (2006). *In Search of a Cultural Identity. Monuments and Artifacts of the Sasanian Near East, 3rd to 7th Century A.D.* New York: Tauris.

Harper, P. O. (2007). Silver Vessels. In F. Demange, *Glass, Gilding, & Grand Design, Art of Sasanian Iran (224-642). The Catalogue* (pp. 24-28). New York: Asia Society.

Harper, P. O. (2008). Image and Identity: Art of the Early Sasanian Dynasty. *The Sasanian Era, The Idea of Iran edited by V.S. Curtis & S. Stewart, 3*, 71-87.

Harper, P. O., & Meyers, P. (1981). *Silver Vessels of the Sasanian Period, vol.1 Royal Imagery.* New York: The Metropolitan Museum of Art.

Henning, W. B. (1961). A Sasanian Silver Bowl from Georgia. *Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, 24*, 353-356.

Hobbs, R. (2006). *Late Roman Precious Metal Deposits, c. AD 200-700, Changes over Time and Space.* Oxford: BAR publishing.

Hobbs, R. (2016). *The Mildenhall Treasure: Late Roman Silver Plate from East Anglia.* London: The British Museum.

Hobbs, R. (2021). Use of decorated silver plate in Imperial Rome and Sasanian Iran. In R. Wood, & J. Elsner, *Imagining the Divine: Art in Religions of Late Antiquity Across Eurasia* (pp. 136-149). London: The British Museum.

Hunter, F. (2022). Hacking the Traprain Treasure. In F. Hunter, A. Kufmann-Heinimann, & K. Painter, *The Late Roman Silver Treasure from Traprain Law* (pp. 333-358). Edinburgh: National Museums Scotland.

Hunter, F., & Painter, K. (2013). *Late Roman Silver, The Traprain Treasure in Context.* Edinburgh: Society of Antiquaries of Scotland.

Hunter, F., Kaufmann-Heinimann, A., & Painter, K. (2022). *The Late Roman Silver Treasure from Traprain Law.* Edinburgh: NMSE – Publishing Ltd.

Hunter, F., Kufmann-Heinimann, A., & Painter, K. (2022). The Treasure of Traprain: conclusions and questions. In F. Hunter, A. Kufmann-Heinimann, & K. Painter, *The Late Roman Silver Treasure from Traprain Law* (pp. 425-432). Edinburgh: National Museums Scotland.

Kacharava, D., & Kvirkvelia, G. (2009). Recent Archaeological Finds on the Upper Terrace of Veni Site. *Ancient Civilizations from Scythia to Siberia. Vol. 14. No 3-4, Brill,*, 237-317.

Lapatin, K. (2017). Le Luxe Romain de la Maison a La Tombe et au Sanctuaire. In M. Avisseau-Broustet, & C. Colonna, *Le luxe dans l'Antiquité: trésors de la Bibliothèque nationale de France* (pp. 16-27). Musée départemental Arles antique: Éditions Snoeck.

Lapatin, K. (2020). Mercurial Metrics. In N. S. (ed), *Wonders Lost and Found. A Celebration of the Archaeological Work of Professor Michael Vickers* (pp. 108-116). Oxford: Archaeopress.

Leader-Newby, R. E. (2004). *Silver and Society in Late Antiquity: Functions and Meanings of Silver Plate in the Fourth to Seventh Centuries.* UK: Ashgate Publishing Limited.

Lerner, J. A. (2006). The Seal of a Eunuch in the Sasanian Court" in Journal of Inner Asian Art and Archaeology. *Journal of Inner Asian Art and Archaeology, 1*, 113-118.

Licheli, V. (2020). Intellectual Innovations in Georgia (11th – 9th centuries BC), Excavations at Grakliani Hill. *Ancient Civilzations from Scythia to Siberia, vol. 26.* 350-361.

Licheli, V. (2007). Oriental Innovations in Samtskhe (Southern Georgia) in the 1st mill. BC. *Ancient Civilzations from Scythia to Siberia, vol. 13*, 55-66.

Machabeli, K. (2023, 09 15). *atinati*. Retrieved from atinati.com: https://atinati.com/news/6502ff8250a72600382d3189

Machabeli, K. (2024). Adaptation of Elements of Sasanian Art in Early Christian Georgian Reliefs. *Hunara: Journal of Ancient Iranian Arts and History. Volume 2, Special Issue: Ancient Iran and the South Caucasus; edited by Yousef Hassanzadeh and Helen Giunashvili,*, 107-127.

Marzinzik, S. (2022). Silver in the Roman and Germanic Worlds: provenance, production, uses and significance. In F. Hunter, A. Kufmann-Heinimann, & K. Painter, *The Late Roman Silver Treasure from Traprain Law* (pp. 401-424). Edinburgh: National Museums Scotland.

Niemeyer, B. (2018). *Römische Siulberschätze. 150 Jahre Hildesheimer Silberfund.* Germany: Theiss.

Odisheli, M. (2014). „Ancient Georgia at the turn of the eras and Khaishi treasure.“. *Iberia-Colchis, 10*, 186-196.

Oliver, A. J. (1977). *Silver for the Gods. 800 Years of Greek and Roman Silver.* USA: The Toledo Museum of Art.

Painter, K. S. (1977). Gold and Silver from the Late Roman World. Fourth-Fifth Centuries. In J. P. Kent, & K. S. Painter, *Wealth of the Roman World. AD 300-700* (pp. 15-62). London: British Museum Publications Ltd.

Painter, K. S. (1980). Gold and Silver in the Roman World. *Aspects of Early Metallurgy. British Museum Occasional Paper No 17, edited by Oddy, W.A.*, 135-158.

Painter, K. S. (2001). *The Insula of the Menander at Pompeii, Volume IV, The Silver Treasure.* Oxford: Clarendon Press.

Painter, K. S. (2013). Hacksilber: a means of exchange? In K. Painter, & f. Hunter, *Late Roman Silver* (pp. 215-242). Edinburgh: Society of Antiquaries of Scotland.

Parjanadze, T., & Bode, M. (2017). Roman Silver Objects from the Ancient Kingdom of Kartli (Caucasian Iberia) in Georgia (Mtskheta, Dedoplis Gora. *Metalla Nr. 23. 2*, 39-50.

Pfrommer, M. (1993). *Metalwork from the hellenized East. Cattalogue of the Collections.* Malibu, California: The J. Paul Getty Museum.

Preud'homme, N., & Schleicher, F. (2023). The Stele of Śargas - New Reading and Commentary. *EPIGRAPHICA. PERIODICO INTERNAZIONALE DI EPIGRAFIA, LXXXV, 1-2*, 341-382.

Preud'homme, N. (2022). Short Aramaic Inscriptions from Ancient Southern Caucasia. *Epigraphica, Periodico Internazionale di Epigrafia, LXXXXIV, 1-2*, 391-433.

Preud'homme, N. (2024). *À la porte des mondes: Histoire de l'Ibérie du Caucase (IIIe siècle a.C.-VIIe siècle p.C.).* Bordeaux: Ausoniu Editions - Scripta Antiqua -.

Rapp, S. H. (2014). *The Sasanian World through Georgian Eyes, Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature.* Ashgate Publishing, Ltd.

Sauer, E. W., Chologauri, L., Gabunia, A., Hopper, K., Lawrance, D., Macdonald, E., . . . Naskidashvili, D. (2020). *Dariali: The Caspian Gates in the Caucasus from Antiquity to the Age of the Huns and the Middle Ages, the Joint Georgian-British Dariali Gorge Excavations & Surveys of 2013-2016. Vol. 2.* The United Kingdom: Oxbow books.

Schreiber, T. (1894). *Die alexandrinische toreutik; untersuchungen über die griechische goldschmiedekunst im Ptolemaeerreiche.* Leipzig: Hirzel.

Shatberashvili, V. (2024). The Grave of Noble Kartlian (Iberian) Woman from Roman Period Site Khovle (Georgia, Transcaucasia). *Iberia-Colchis N18*, 175-190.

Speidel, M. P., & Todua, T. (1988). *Three Inscriptions from Pityus on the Caucasus Frontier.* Saalburg Jarbuch, 44.

Spier, J., Potts, T., & Cole, S. E. (2022). *Persia: Ancient Iran and the Classical World.* Malibu, California: J. Paul Getty Museum.

Stein, H., & Boetzkes, M. (1997). *Der Hildesheimer Silberfund. Original und Nachbildung. Vom Römerschatz zum Bürgerstolz.* Gebrüder Gerstenberg, Hildesheim: Roemer-Museum und Autoren.

Stöllner, T., & Weisgerber, G. (2004). Die Blei-/Silbergruben von Nakhlak und ihre Bedeutung im Alterum. Zum Neufund eines Förderkörbchens im Alten Mann. *Der Anschnitt, 56/2-3*, 76-97.

Strong, D. (1966). *Greek and Toman Gold and Silver Plate.* London: Methuen and Co. Ltd.

Tchubinaschwili, G. (1925). "Der Fund von Sargweschi. *Известия Кавказского историко-археологического института, т. 3, Тбилиси.*, 83-85.

Tsereteli, G. (1948). Epigraphic Finds from Mtskheta - Ancient Capital of Georgia. *Vestnik Drevney Istorii (ВДИ), 2*, 50-57.

Walters, H. B. (1921). *Catalogue of the silver plate Greek, Etruscan and Roman, in the British Museum.* London.

Wolfram, H., & Dunlap, T. J. (1990). *History of the Goths.* University of California Press.

Yatsenko, S. A. (2010). 'Marks of the Ancient and Early Medieval Iranian-Speaking Peoples of Iran, Eastern Europe, Transoxiana and South Siberia',. In *Traditional Marking Systems, Preliminary Survey* (pp. 133-154). London and Dover: Dunkling Books.

Zahn, R. (1933). Die Silberteller Von Hassleben und Augst. In W. Schulz, *Das Fürstengrab Von Hassleben. I ... Das Fürstengrab und Das Grabfeld Von Hassleben. [By W. Schulz.] Mit Einem Beitrag Von Franz Weidenreich. II ... Die Silberteller Von Hassleben und Augst. [By Robert Zahn.]* (pp. 60-96; Plates: 26-34). Berlin and Leipzig: W. de Gruyter & Co.

Zehnder, F. G., & Koschik, H. (1997). *Die Franken in Wesseling. Die Ausgrabungen an der Pontivystraße.* Köln.

Амиранашвили, А. (1935). *Новая Находка в Низовьях Реки Ингура.* Тифлис.

Балахванцев, А. (2005). Царь Флавий Дад. *Нумизматика и эпиграфика, том XVII*, 44-53.

Борисов, А. (1947). Надписина серебряной чаше из Бори. *Сообщения государственного Эрмитажа, 4*, 8-10.

Воронятов, С. В. (2009). О функции сарматских тамг на сосудах. In *Гунны, готы и сарматы между Волгой и Дунаем* (pp. 80-98). Санкт-Петербург.

Иващенко, М. (1980). *Самтаврские погребения первых -трех веков н.э. Мцхета т. 3,.* Тбилиси .

Капанадзе, Д. (1957). Ауреусы Армазского некрополя. *Советская археология, N3*, 159-175.

Луконин, В. Г. (1961). *Иран в эпоху первых Сасанидов.* Ленинград: Издательство Государцтвенного Эрмитажа.

Луконин, В. Г. (1969). *Культура Сасанидского Ирана, Иран в III-V вв. Очерки по истории культуры.* Москва: Наука.

Луконин, В. Г. (1977). *Исскуство Древнего Ирана.* Москва: Исскуство.

Луконин, В. Г. (1987). *Древний и раннесредневековый Иран. Очерки истории культуры.* Москва: Наука.

Мачабели, К. (1970). *Серебряные фиалы из Армазисхеви.* Тбилиси: Мецниереба.

Мачабели, К. (1976). *Позднеантичная торевтика Грузии.* Тбилиси: Мецниереба.

Поповић, И. (1994). *Античко сребро у Србији.* Београд: Народни музеј Београд.

Придикъ, Е. (1914). *Новые Кавказские Клады.* Петроград.

Рамишвили, Р. (1977). Новые открытия на новостройках Арагвского Ущелья. *Краткие Сообщения, Античные памятники Колхиды и Иберии, 151*, 114-122.

Рамишвили, Р. (1983). Серебряные кувшинчики со сценами ахоты ис Арагвского ушелья. In *IV международный симпозиум по Грузинскому искусству* (pp. 2-11). Тбилиси.

Тревер, К., & Луконин, В. (1987). *Сасанидское серебро, собрание Государственного Эрмитажа, Художественная культура Ирана III-VIII веков.* Москва: Искусство.

Хоштариа, Н. (1955). Археологические Исследования Уреки. *მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I.*

Церетели, Г. (1948). Армазское писмо и проблема происхождения грузинского алфавита 1. *Эпиграфика Востока, 2.*

Церетели, Г. (1948). Эпиграфические находки в Мцхета - древней столице Грузии. *Вестник древней истории (ВДИ), N.2*, 50-57.

Церетели, К. (1990). *Новая надпись из Мцхета-Самтавро, Выполненная арамейским письмом.* Тбилиси.

Цкитишвили, Г., Гветадзе, Д., Накаидзе, Н., Берадзе, Э., Рамишвили, А., Иремашвили, Ш., . . . Нуцубидзе, А. (1976). Итоги Работ Кавтисхевской археологической екпедиции. *Полевые Археологические Исследования в 1976 году*, 117-130.

Яценко, С. (2001). *Знаки и тамги ираноязычных народов древности и раннего средневековья.* Москва.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. 1. **სურ. 1.** ახ.წ. II-III სს-ის რომაული მოზაიკა, რომელზეც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს შორის გამოსახულია ვერცხლის ჭურჭელი. The House of Dionysus, Paphos, Cyprus. *ფოტოს ავტორი ლ. ჩოლოგაური.*

სურ. 2. ვერცხლის ჭურჭელი გამოსახული ახ.წ. I საუკუნის რომაულ ფრესკაზე. გაიუს ვესტორიუს პრისკუსის აკლდამა, პომპეი. *ფოტოს ავტორი ლ. ჩოლოგაური*

სურ. 3. ფინანსთა მინისტრის ემბლემა „Notitia Dignitatum"-დან. *© Nico Roymans & Stijn Heeren (2015), A Late Roman Solidus Hoard with Hacksilber from Echt (Prov. Limburg /NL), fig. 8- ის მიხედვით.*

ტაბ. 2. საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის ტოპოგრაფიული რუკა. *რუკის ავტორი ლ. ჩოლოგაური.*

ტაბ. 3. საქართველოში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის ტოპოგრაფიული რუკა. ლურჯიდან სიწითლისკენ გარდამავალი გრადაცია შეესაბამება რაოდენობრივ სიჭარბეს. *ავტორი ლ. ჩოლოგაური.*

ტაბ. 4. **იბერია. 1. არმაზისხევი.**

სურ. 1-7. არმაზისხევის NN 1, 2, 3, 6, 7, 9 სამარხები. *მცხეთა I-ის მიხედვით.*

ტაბ. 5. **1. არმაზისხევი.** ვერცხლის ჭურჭელი. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. ვერცხლის პინაკი ანტინოეს პორტრეტით. სამარხი N1.

სურ. 2. ვერცხლის ორყურა ჯამი. სამარხი N1.

სურ. 3. ვერცხლის სურა. სამარხი N1.

სურ. 4. პაპაკ პიტიახშის ლანგარი. სამარხი N2.

სურ. 5. ბერსუმა პიტიახშის ლანგარი. სამარხი N3.

ტაბ. 6. **1. არმაზისხევი.** ვერცხლის ჭურჭელი. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური.*

სურ. 1-2. ჯამები ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციით. სამარხი N3.

სურ. 3. ვერცხლის პინაკი ტიხე-ფორტუნას ბიუსტით. სამარხი N6.

სურ. 4. ვერცხლის პინაკი ადრიანეს(?) ბიუსტით. სამარხი N6.

სურ. 5. ვერცხლის სურები. სამარხი N6.

სურ. 6. ვერცხლის პინაკი ვაზის ორნამენტით. სამარხი N7.

სურ. 7. ვერცხლის სურა. სამარხი N7.

სურ. 8. ვერცხლის ცალყურა ქილისებური ჭურჭელი. სამარხი N9.

ტაბ. 7. **2. ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი.** *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. ა) ვერცხლის პინაკი მარკუს ავრელიუსის პორტრეტით; ბ) ჯამი ზღვის სამყაროს ორნამენტით შემკული კიდეებით; გ) ჯამი ვაზის ორნამენტებით; დ) თასი დიონისური სცენებით; ე) ჯამი ჩაღრმავებული

ბურცობებით; ვ) თეფში ზღვის სამყაროს ორნამენტებით; ზ) ჩამჩები და კოვზი.

ტაბ. 8. **3. სამთავრო 905-ე აკლდამა; სამარხი 212**. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. ვერცხლის ჭურჭელი 905-ე აკლდამიდან: ა) პრინცი ტირიდატის ლანგარი; ბ) ვერცხლის სურა; გ) ჯამი ნუშისებრი ბურცბებით; დ) მცირე ზომის მართკუთხა ლანგარი.

სურ. 2. ვერცხლის თასი და კოვზები 212-ე სამარხიდან.

ტაბ. 9. **4. მცხეთა, სვეტიცხოველი.** ვერცხლის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი. *Мачабели 1976-ის მიხედვით.*

ტაბ. 10. **5. ზემო ავჭალა.** ვერცხლის ჯამი. *მაკალათია 1928-ის მიხედვით.*

ტაბ. 11. **6. თბილისი, ს. ეულის ქუჩა.** *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. გათხრების გეგმა და სამარხთა განლაგება. *Abramishvili & others 2008: Fig. 4-ის მიხედვით.*

სურ. 2. ვერცხლის ჯამი არამეული წარწერით. სამარხი D.

სურ. 3. ვერცხლის კოვზი. სამარხი D. *Abramishvili & others 2008: Fig. 2-ის მიხედვით.*

სურ. 4. ვერცხლის ჯამი მცენარეული ორნამენტით. სამარხი A.

ტაბ. 12. **7. ახალი ჟინვალი.** *ფოტოს ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. სამარხი N5.

სურ. 2. ჯამი ტალღისებური ნაჭდევებით. სამარხი N5.

ტაბ. 13. **8. არაგვისპირი.** *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. პინაკი ცხენისა და საკურთხევლის გამოსახულებით. სამარხი N13.

სურ. 2. თეფში ვარდულით. სამარხი N13

სურ. 3. ვერცხლის სურები ნადირობის კომპოზიციით. სამარხი N13.

ტაბ. 14. **9. მაგრანეთი.** ქუშანაანთ გორის სამაროვანი. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. სამარხი N1 და დასაკრძალავი კამერის სახურავის რეკონსტრუქცია.

სურ. 2. ვერცხლის სურები. სამარხი N1.

სურ. 3. ჯამი ნუშისებური ბურცობებით და მონოგრამით. სამარხი N1.

ტაბ. 15. **10. ხოვლე.** მდიდრული ქვაყუთი; ზესურის ველის მდიდრული სამარხი. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. ქვაყუთი (2004 წ. აღმოჩენა). *ნახაზის ავტ. Domizziana Rossi.*

სურ. 2. ვერცხლის ჯამი ნუშისებური ბურცობებით. ქვაყუთი.

სურ. 3. ვერცხლის თეფში ვაზის ფურცლის დეკორით. ქვაყუთი.

სურ. 4. ვერცხლის ცილინდრული ჭურჭელი. ზესურის ველის მდიდრული სამარხი (1976 წ. აღმოჩენა).

ტაბ. 16. **11. აღაიანი.** რიყიანების ველის სამაროვანი. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. თიხის სარკოფაგი (სამარხი N16).

სურ. 2. ვერცხლის ორყურა თასი. სამარხი N2.

სურ. 3. ვერცხლის კოვზები. სამარხები N2 და N3.

სურ. 4. ცილინდრული ფორმის ჭურჭელი. სამარხი N17.

სურ. 5. წაკვეთილი კონუსური ფორმის თასი. სამარხი N9.

სურ. 6. პირმოყრილი, სადა ჯამი. სამარხი N10.

ტაბ. 17. **12. ზღუდერი.** *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. სარკოფაგი N1.

სურ. 2. ლანგარი არწივის ორნამენტით. სარკოფაგი N1. *ბრაუნდი და სხვ. 2009. 1.2-ის მიხედვით.*

სურ. 3. ჯამი ტახისა და ძაღლის კომპოზიციით. სარკოფაგი N2.

სურ. 4. ჯამი ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციით. სარკოფაგი N2

სურ. 5. ლანგარი წარწერით „ვუბოძებ“. სარკოგაფი N1. *ბრაუნდი და სხვ. 2009. 1.3-ის მიხედვით.*

სურ. 6. ვერცხლის სურა. სარკოფაგი N1. *ბრაუნდი და სხვ. 2009. 1.4-ის მიხედვით.*

სურ. 7. ორყურა თასი და კოვზები. N3 სარკოფაგი.

ტაბ. 18. **13. ცხინვალი.** *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

სურ. 1. ვერცხლის თასი მოსევადებული ორნამენტით.

სურ. 2. ვერცხლის სურა ტალღისებური ჭდეებით.

ტაბ. 19. **14. ურბნისი.**

სურ. 1. ვერცხლის კოვზი. *ჭილაშვილი 1964, სურ. 29-ის მიხედვით.*

ტაბ. 20. **15. ბორი.** *ფოტოები Придик 1914-ის მიხედვით.*

სურ. 1. ბორის განძის ცალკეული ნივთების და კოლექციის ფოტო. 1914 წ.

სურ. 2. ბუზმიჭრ პიტიახშის ჯამი ცხენისა და საკურთხევლის კომპოზიციით. *ფოტოები Придикъ 1914 მიხედვით. გრაფიკული ჩანახატი Preud'homme 2022.fig. 25-ის მიხედვით.*

ტაბ. 21. **16. სარგვეში.**

სურ. 1. სამკაული და ვერცხლის კოვზი. *© წყარო Kharagauli.ge*

სურ. 2. თასი (კილიკი) ბაჰრამ II-ისა და მისი ცოლ-შვილის პორტრეტებით. *Harper & Meyers 1981 და Мачабели 1976-ის მიხედვით.*

ტაბ. 22. **17. კლდეეთი.** ვერცხლის ჯამები და მინიატურული ჭურჭელი. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

ტაბ. 23. **18. მოდინახე.** ვერცხლის სურა და ჯამები. *ნადირაძე 1975, სურ. 19 და ტაბ. XIX-ის მიხედვით.*

ტაბ. 24. **19. კვაშხიეთი.** ვერცხლის თასი მოსევადებული ორნამენტით. *ფოტოების ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

ტაბ. 25. **20. გომი.** ვერცხლის რიტონი ორთაბრძოლის სცენებით. შემთხვევითი აღმოჩენა. *ფოტოების ავტორი შ. ბუაძე. © ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი.*

ტაბ. 26. **21. ჭერმისხევი.** გვიანსასანური ვერცხლის ჯამი. შემთხვევითი აღმოჩენა. *ფოტოებს ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი. გრაფიკული ჩანახაზის ავტორი ც. თურქიაშვილი.*

ტაბ. 27. **კოლხეთი. 1. აჩმარდა.** ვერცხლის კათხისებური ჭურჭელი და მასზე დატანილი ბერძნული წარწერა. *ვინოგრადოვ, 2013-ის მიხედვით.*

ტაბ. 28. **2. ბიჭვინთა.** ვერცხლის თასი დიონისური კომპოზიციებით. *ფოტოები: http://www.irrsochi.ru/sochi/60.html , დიდი პიტიუნტი, ტ. III, სურ. 257-ის მიხედვით.*

ტაბ. 29. **3. შუბარა.** სასანური ვერცხლის თეფში სამეფო ნადირობის კომპოზიციით. *ფოტო: https://dzen.ru/a/Y91YqcGQQSNYVOeg , გრაფიკული ნახაზი გენერირებულია AI-ს მიერ (შეიცავს ბევრ უზუსტობას).*

ტაბ. 30. **4. ბანძა.** ვერცხლის კანელურებიანი მრგვალძირიანი სასმისი. *ფოტოს ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ქვევრსამარხის გრაფიკული ჩანახაზი მაკალათია 1928-ის მიხედვით.*

ტაბ. 31. **5. თაგილონი.** ვერცხლის კანელურებიანი მრგვალძირა სასმისი, ფეხიანი თასი და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. *Амиранашвили 1935-ის მიხედვით.*

ტაბ. 32. **6. ხაიში.** განძში შემავალი ფმაღალფეხიანი ფერცხლის თასი და თასის ყურის ფრაგმენტები. *ფერადი ფოტოს ავტორი ლ. ჩოლოგაური. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

ტაბ. 33. **7. ციხისძირი.** *ფოტოები Мачабели 1976-ის მიხედვით.*

სურ. 1. ვერცხლის ჩამჩის ყურის ფრაგმენტი.

სურ. 2. ვერცხლის ლანგარი.

სურ. 3. ლანგრის მედალიონი ტიხე ფორტუნას გამოსახულებით.

ტაბ. 34. **8. ურეკი.** ვერცხლის ლანგარი ვარსკვლავისებური ორნამენტით. *Мачабели 1976-ის მიხედვით.*

ტაბ. 35. **9. გონიო.** ოქროს ფიალა. *კახიძე და სხვ. 2015, N84-85-ის მიხედვით.*

ტაბ. 36. **10. ხელვაჩაური (კაპანდიბი).** *კახიძე და სხვ. 2015, N79-82-ის მიხედვით.*

ტაბ.1

სურ. 1



სურ. 2

სურ. 3

ცხრ. 2


სოფლათშორისი ავტომაგისტრალი ბავიანტიკური ხანის ვერცხლის ჭურჭლის გავრცელების რუკა
კოლხეთის რიმბული ციხე-სიმაგრეები
ვერცხლის ჭურჭლის ადმიჩენის ლოკალიზაცია
იბერიის სამეფოს დასავლეთი საზღვარი (ახ.წ. I-III სს) - ვერსია 1
იბერიის სამეფოს დასავლეთი საზღვარი (ახ.წ. I-III სს) - ვერსია 2
დედაქალაქი
ანაკოპია
ბოჭვი
ბიჭვინთა
ბეჭვარა
ბეგასტოპოლისი
ბეგასტოპოლი
ბანძა
ბაზალეთი
ბორი
ბოსლეთი
ბოსლეთი
ბოსლეთ

ტაბ. 3


მეოთხეშუალი ხანის ფენების ჭურჭლის გავრცელება იბერიასა და კოლხეთში.
ფენის ცვლილება ლუწჯიდან - წითლისკენ მიმავალი მიმართულებებს
რაიონებრივი კონცენტრაციის მაჩვენებელი
Mtskheta
Colchis-Iberia border (version 1)
Colchis-Iberia border (version 2)
Achmarda
Bichvinta
Sokhumi
Black Sea
Khaishi
Tagiloni
Bandza
Kvashkheti
Modinakhe
Tskhinvali
Ureki
Tsikhisdziri/Petra
Kldeeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Aghaiani
Svetitskhoveli
Magraneti
Baginetі
Tbilisi
Delisi
Chermiskhevi
N
0
50
100
150
200 km

ტაბ. 4





სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

ტაბ. 7





ა

ბ

გ

დ

ზ

ე

ვ

სურ. 1





ა

ბ



გ



დ

სურ. 1

სურ. 2

ტაბ. 9


4. სვეტიცხოველი
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Black Sea
Tskhinvali
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Ureki
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Gonio
Khelvachauri / Kapandibi

ტაბ. 10


5. ზემო ავჭალა
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Black Sea
Tskhinvali
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Ureki
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Gonio
Khelvachauri / Kapandibi









სურ. 1

სურ. 2

სურ. 4

სურ. 3

ტაბ. 12





სურ. 1

სურ. 2

ტაბ. 13



სურ. 1 სურ. 2 სურ. 3







სურ. 1

სურ. 2

სურ. 3





სურ. 1



სურ. 2

სურ. 3

სურ. 4



სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6





სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4



სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

ტაბ. 18



სურ. 1

სურ. 2

ტაბ. 19



სურ. 1

ტაბ. 20





სურ. 1



სურ. 2


16. სარგვეში
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Kvashkhieti
Tagiloni
Bandza
Modinaubie
Tskhinvali
Black Sea
Kldeeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Ureki
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Baginети
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Gonio
Khelvachauri / Kapandibi


kharagauli.ge/admin/Givi

სურ. 1

სურ. 2

ტაბ. 22


17. კლდეეთი
Achmarda
Bichvinta / Pitsyus
Shubara
Khaishi
Gomi
Kvashkhieti
Tagiloni
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Baginetі
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Tbilisi
Chermiskhevi
Ureki
Tsikhisdziri/Petra
Khelvachauri / Kapandlbi
Gonio

ტაბ. 23


18. მოდინახე
Achmarda
Bichvinta / Pitsyus
Shubara
Khaishi
Gomi
Kvashkhieti
Tagiloni
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Baginetі
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Tbilisi
Chermiskhevi
Ureki
Tsikhisdziri/Petra
Khelvachauri / Kapandlbi
Gonio






19. კვაშხიეთი
Achmarda
Bichvinta / Pitsyus
Shubara
Khaishi
Gomi
Kvashkhieti
Tagiloni
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Ureki
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Khelvachauri / Kapandibi
Gonio

ტაბ. 24

ტაბ. 25


20. გომი
Achmarda
Bichvinta / Pitsyus
Shubara
Khaishi
Gomi
Kvashkhieti
Tagiloni
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Ureki
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Khelvachauri / Kapandibi
Gonio

ტაბ. 26


21. ჭერმისხევი
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Kvashkheti
Tagiloni
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Ureki
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Urbnisi
Aragvispiri
Zhinvali
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Baginceti
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Tbilisi
Chermiskhevi
Tsikhisdziri/Petra
Khelvachauri / Kapandlbi
Gonio

0 cm

10 cm



ტაბ. 27


1. აჩმარდა
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Aragvispiri
Zhinvali
Bori
Zghuderi
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Ureki
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Khelvachauri / Kapandlibi
Gonio


ΟΤΩΠΤΑΚΟΥ ΡΟΣΟΒΑΣΙΛΕΥΣ ΤΟΙΣΑ
ΜΝΟΙΣΕΘΩΚΑ

ტაბ. 28


2. ბიჭვინთა
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Aragvispiri
Zhinvali
Bori
Zghuderi
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Ureki
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Khelvachauri / Kapandlibi
Gonio

ტაბ. 29



შენიშვნა: ნახაზი გენერირებულია ხელოვნური ინტელექტის მიერ და შეიცავს ბევრ უზუსტობას

ტაბ. 30



5. თაგილონი
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Ureki
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Gonio
Khelvachauri / Kapandibi

ტაბ. 32



ტაბ. 33



სურ. 1





სურ. 2

სურ. 3

ტაბ. 34


8. ურეკი
Black Sea
Achmarda
Bichvinta / Pitsyus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Zhinvali
Aragvispiri
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Baginetі
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Tbilisi
Chermiskhevi
Ureki
Tsikhisdziri/Petra
Khelvachauri / Kapandlbi
Gonio

ტაბ. 35


9. გონიო
Black Sea
Achmarda
Bichvinta / Pitsyus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Zhinvali
Aragvispiri
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Baginetі
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Tbilisi
Chermiskhevi
Ureki
Tsikhisdziri/Petra
Khelvachauri / Kapandlbi
Gonio


10. ხელვაჩაური
Achmarda
Bichvinta / Pityus
Shubara
Khaishi
Gomi
Tagiloni
Kvashkhieti
Bandza
Modinakhe
Tskhinvali
Black Sea
Ureki
Kideeti
Sargveshi
Bori
Zghuderi
Aragvispiri
Zhinvali
Urbnisi
Aghaiani
Magraneti
Khovle
Samtavro
Bagineti
Tsikhisdziri/Petra
Tbilisi / S. Euli st.
Mtskheta
Chermiskhevi
Tbilisi
Gonio
Khelvachauri / Kapandibi

სურ. 1

სურ. 2